# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 3 მაისი 2013 №9(191)




## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | ლევან ბებურიშვილი **ოიკოფობია როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმის არსებითი ნიშანი** |
| ჩვენი ყოფა, წუთისოფელი | 5 | ეკატერინე ტუკვაძე **გამომცემლები, ავტორები და განათლების სამინისტრო** |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 7 | ქეთი დოლიძე **„წარმატება მოგზაურობაა და არა მიზანი...“** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა) |
| პროზა | 8 | **გრიგოლ კ. რობაქიძე ორი ნოველა** |
| | 12 | **ინგა მილორავა სამი ეტლი** |
| | 15 | **გურამ ქართველიშვილი მზე** |
| პოეზია | 16 | **რეზო ესაძე ერთი მოხევე ქალი და სხვა ლექსები** |
| | 18 | **მანონ ბულისკერია (***თუ მიეცემა დავიწყებას ეს ხმა)** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 20 | **„ვისურვებდი ეკლესიაში წამეკითხა“** (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ნინო დოლიძე) |
| ერთი მოთხრობის სივრცე | 23 | **ელგუჯა თავბერიძე ნილოსისფერი პერანგი ჟასმინის სურნელით** (ხალიდ ალ ხამისის ნოველა „ტაქსი“) |
| გალაკტიონოლოგია | 25 | **ნათია სიხარულიძე ორი კომენტარი** |
| წუთები და წლები | 27 | **როსტომ ჩხეიძე ისევ ოთხშაბათობით** (ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები) |
| კრიტიკა | 36 | **მურმან ჯგუბურია ერთი ეპითეტის თაობაზე** (ანუ — ეხ, ტარიელ, ტარიელ!) |
| რეპორტაჟი | 38 | **ელენე ამაღლობელი ჩვენი ომიროსი** (სამეცნიერო კონფერენცია — მიძღვნილი ალექსანდრე ყაზბეგისადმი) |
| ფიქრები | 44 | **გივი ალხაზიშვილი დღიური** |
| გამოხმაურება | 52 | **შორენა შამანაძე ანტიკური მითის ახლებური გააზრება** (მთარგმნელთა ტანდემის შესაგულიანებლად) |
| ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ | 53 | **ოთარ ჭულუხაძე საშაქრე** |
| ბედი კაცისა | 55 | **ნინო სულუხია პირველ პრეზიდენტს მიეძღვნა** (ზვიად გამსახურდიას გახსენება) |
| პოეზიის მერიდიანები | 56 | **გიორგი ივანოვი (***ჩემთვის გაზაფხულს არაფერი უთქვამს)** |
| სპორტი | 57 | **გივი გამრეკელი მაგნუს კარლსენი — აფერუმ!** |
| უცხოური ნოველა | 58 | **ფრანსუა ჟირუ სხვისი მეხსიერება** |
| ნაკვესები | 61 | **მახვილსიტყვაობის ნიმუშები** |
| მოზაიკა | 63 | **დაბრუნება ანუ ძიება წარსულისა** |



**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – **(995 322) 96_20_62**

რეკლამა – **(995 93) 65_93_68**

გავრცელება – **(995 92) 25_94_94**

ფაქსი: **(995 322) 96_20_62**

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **„აღდგომა“**

**ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა**

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 17 მაისს**

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საჯარისტვილი, თბილისი, საჯარისტვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

ლევან ბებურიშვილი

# ოიკოფობია როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმის არსებითი ნიშანი

პაატა ჩხეიძის ესეი „ოიკოფობია“ („ჩვენი მწერლობა“ 2013, №5) უთუოდ მრავალს აუშლიდა ფიქრის საღერღელს. ავტორი მოგვითხრობს თანამედროვე ბრიტანელი ფილოსოფოსის როჯერ ვერნონ სკრუტონის და მის მიერ დამკვიდრებული ტერმინის — „ოიკოფობია“ — შესახებ. ოიკოფობია ქსენოფობიის საწინააღმდეგო ცნებაა და ეროვნული მემკვიდრეობისაგან, შინაურობისაგან განდგომას აღნიშნავს.

ეროვნულ ნიჰილიზმს ჯერ კიდევ ივანე ჯაბადარი ქადაგებდა მეცხრამეტე საუკუნეში; განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს. აღნიშნული თვალსაზრისით საქრესტომათიო ნიმუშია ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“. ეროვნული ნიჰილიზმის განსაკუთრებული გაფურჩქვნა კი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება. როგორც პაატა ჩხეიძე აღნიშნავს, ოიკოფობია „პატრიოტული გრძნობების აღორძინებას... აადევნეს საქართველოს ახდილმა თუ ფარულმა მტრებმა, რამაც სწრაფად გაიდგა ფესვი ჩვენს სნობებში და თავისი როლი შეასრულა დიდ ეროვნულ ტრაგიკომედიაში“.

XX საუკუნის მიწურულს ეროვნული ნიჰილიზმის გაღვივებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. ერთი მხრივ, ეს იყო შედეგი მტრების მიზანმიმართული პოლიტიკისა, ხოლო მეორე მხრივ კი — რეზულტატი იმ უკიდურესი სულიერი და მატერიალური კრიზისისა, რაც 90-იან წლებში სუფევდა. ოიკოფობიის გავრცელება დიდწილად განაპირობა ძმათამკვლელმა ომმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, კრიმინალმა და ზოგადად იმ ფაქტმა, რომ ქართველებმა სახელმწიფო ვერ შევქმენით. ასეთ ვითარებაში მრავალს დაეუფლა ნიჰილისტური განწყობა. ზოგიერთს კი ამ მდგომარეობამდე მისვლაში უცხოური გრანტებიც წაეხმარა. ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ასეთი გრძნობის გაჩენა სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ყოვლად გაუგებარია, როგორ შეიძლება აქციოს ადამიანმა ეროვნული ნიჰილიზმის ქადაგება თავისი ცხოვრების მთავარ შინაარსად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ოიკოფობიური განწყობილებების გაღვივებაში წარმმართველი როლი შეასრულა, მახინჯი პატრიოტიზმი გახლავთ. საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ფსევდო-პატრიოტის ტიპი, რომელსაც დღესაც ხშირად შეხვდებით. ასეთი „პატრიოტი“ საშუალო ინტელექტუალური მონაცემების მქონეა, შეიძლება სამეცნიერო ინსტიტუტებშიც უმოღვაწია და წიგნებიც აქვს გამოცემული. იგი სამშობლოს ძირითადად სუფრაზე ეალერსება, ნადიმიდან კი ისეთი განწყობით ბრუნდება, როგორც ვალმოხდილი მეომარი — ბრძოლის ველიდან. „პატრიოტი“ ვნებიანად უცქერს სხვის ცოლებს, ყანნით სვამს პატრიარქის სადღეგრძელოს და მხურვალე პატრიოტიზმს „ლიბერასტებისათვის“ დედის გინებით ამტკიცებს.

ასეთი „პატრიოტების“ კიდევ ერთი ძალზე სიმპტომური, თითქმის პათოლოგიურობამდე მისული თავისებურება ისაა, რომ ქართველ „პატრიოტს“ თავი სამყაროს ცენტრად წარმოუდგენია. მისგან იწყება ეროვნული მოძრაობა და ისიც არასოდეს თაკილობს საკუთარ მიღწევებზე საუბარს. იგი ცხელ ტყვიასაც არ დაიშურებს მისთვის, ვინც მის უდიდეს მამულიშვილურ დამსახურებას ეჭვის თვალით შეხედავს. ერთი სიტყვით, ქართველი „პატრიოტი“ და თავმდაბლობა ერთმანეთს არ იცნობენ.

ასეთი „პატრიოტები“ ხშირად ეტმასნებოდნენ ნამდვილ მამულიშვილებს, რამაც ზოგიერთებში პატრიოტიზმისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გაჩენა გამოიწვია.

საბჭოთა ეპოქაში პატრიოტიზმის ასეთი გადაგვარება ძირითადად იმან განაპირობა, რომ ერთმანეთისაგან გაითიშა ეროვნული და რელიგიური გრძნობები. ცხადია, თუ მორალს სარწმუნოებრივი საფუძველი არ გააჩნია, იგი უბრალო ეტიკეტად იქცევა. ქართველი „პატრიოტიც“ უზნეო ცხოვრების წესს მისდევს. ზნეობრივი ქცევის თვალსაზრისით, „პატრიოტსა“ და ლიბერალს შორის არ არის განსხვავება. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ პატრიოტი მალავს თავის უზნეო ცხოვრებას, ლიბერალი კი უკომპლექსოა და სახალხოდ აფრიალებს თავის საცვლებს.

ფაქტი კი ერთია: ოიკოფობიურმა განწყობილებამ ყველაზე დიდი გასაქანი თანამედროვე ქართულ ლიბერალიზმში ჰპოვა და, როგორც ადრეც არაერთგზის აღნიშნულა, ეროვნული ნიჰილიზმი ქართული ლიბერალიზმის უმთავრეს იდეოლოგიურ ქვაკუთხედად იქცა.

თანამედროვე ლიბერალებს ზოგიერთი „ლიბერტარიანელებად“ მოიხსენიებს. ეს, ალბათ, არ არის სწორი. ლიბერტარიანიზმი ანარქიზმს ენათესავება და სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის მაქსიმალურ შეზღუდვას მოითხოვს, თანამედროვე ქართველ ლიბერალს კი პირიქით, სახელმწიფო ერთგულ მოკავშირედ მიაჩნია სოდომიის გავრცელების საქმეში. იგი მიესალმება სახელმწიფოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ტრადიციული ცნობიერებისა და ეკლესიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამიტომაც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმი, ალბათ, უფრო ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი გადაგონჯებული სახეობაა. მას „ლიბერასტიზმსაც“ უწოდებენ. შეიძლება ეს ტერმინი ყურში უხეშად გვხვდება, მაგრამ კარგად ასახავს ამ იდეოლოგიის შინაგან ფიზიონომიას.

ბატონი პაატა თავის ესეიში „არქიოიკოფობად“ ედუარდ შევარდნაძეს მოიხსენიებს, მაგრამ ამ წოდებას მარტო ბატონ ედუარდს ვერ დავუსაკუთრებთ. აღნიშნული ტიტულის გაყოფა შევარდნაძეს მერაბ მამარდაშვილთან მოუწევს.

ეს განცხადება უდავოდ მრავალი ახალგაზრდა თუ მხცოვანი „მამარდისტის“ აღშფოთებას გამოიწვევს, მაგრამ სათქ-

მელი მაინც უნდა ითქვას, რადგანაც ჭეშმარიტება მამარდაშვილზე მაღლა დგას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის მამარდაშვილის მიღწევათა შეფასება ან დისკრედიტირება თეორიულ ფილოსოფიასა თუ ეპისტემოლოგიაში, არამედ მისი როლის განსაზღვრა ეროვნული ნიჰილიზმის გავრცელების პროცესში მოინტელექტუალო ადამიანებს შორის.

დოსტოევსკი წერდა გოგოლის შესახებ: ჩვენ, ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო. მსგავსადვე ჩვენი ნეოლიბერალებიც ყველანი მამარდაშვილის შინელიდან არიან გამოსულნი. იშვიათია მოინტელექტუალო ლიბერალი, რომელსაც სახოტბო სტატია ან გამოკვლევა არ ჰქონდეს მიძღვნილი მამარდაშვილისათვის, როგორც სულიერი მოძღვრისათვის. ეს ადამიანები ხშირად დასცინიან მორწმუნეებს, რომ ისინი კრიტიკულად არ უდგებიან ეკლესიის სწავლებას და ბრმად ენდობიან მას. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ნეოლიბერალები ურწმუნონი იყვნენ! მათთან რელიგიური ავტორიტეტის ადგილს მამარდაშვილი იკავებს. მამარდაშვილის კრიტიკა არ შეიძლება! მისით მხოლოდ აღფრთოვანებაა ნებადართული.

მამარდაშვილი ფილოსოფოსად საქართველოში არ ჩამოყალიბებულა. სამწუხაროდ, იგი ადრევე დაშორდა ეროვნულ კულტურას და სწორედ ამაში იყო მისი ტრაგედიაც. „შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ პირადად მე, რამდენადაც თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი, იმდენადვე ვგრძნობდი თავს არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“[1] — ბრძანებდა მამარდაშვილი. ეს სიტყვები ის ქვაკუთხედია, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედება ქართულ ნეოლიბერალიზმს, რომლის მიხედვითაც, ქართველთა უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნა-გადაკეთება.

მამარდაშვილმავე ისროლა „სოფისტური ავანტიურა“, რომ „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!“ ითქვა ეს სიტყვები ისეთი პათოსით, „გეგონება ერთ მხარეს თავისუფალი სამშობლო გვედო, მეორე მხარეს — ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება და რატომღაც ერთ-ერთი მათგანი უნდა აგვერჩია და იყო საშიშროება, რომ დაუფიქრებლად სამშობლოს ამოვირჩევდით“ (დავით წერედიანი). მოინტელექტუალო სნობებმა კი ერთხმად აიტაცეს ეს სიტყვები და საკუთარ დროშაზე წააწერეს ისე, რომ არც ჭეშმარიტება იცოდნენ სად იყო და არც სამშობლოზე ჰქონდათ წარმოდგენა.

ცამდე მართალია უნიჭიერესი ფილოსოფოსი ზურაბ ხასაია, როცა წერს, რომ მამარდაშვილს, ერთი მხრივ, აღაშფოთებდა ტერმინი „თურქი მესხი“ („ქართველს შეუძლია არ დაინახოს მესხის ტანჯვა და დაარქვას მას „თურქი მესხი“), მაგრამ მეორე მხრივ, უსაზარლესი ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ მას სრულიადაც არ ანაღვლებდა.

მამარდაშვილი მიიჩნევდა, რომ მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ჩვენში აზროვნების განვითარებას ძლიერ შეუშალა ხელი, რომ „რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა“.[2]

ეს სიტყვები რომ მტკნარი სიცრუეა, ჩვენმა ახალმა ლიბერალებმაც შესანიშნავად იციან, მაგრამ ურჩევნიათ თავი არ აიტკიონ და სრულად დაეთანხმონ მამარდაშვილს. არადა, თუ რამე შექმნილა ჩვენს კულტურაში ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის, ეს ან „საძაგელი კომუნისტების“ დროს მომხდარა, ანდა იმ ეპოქაში, როდესაც მართლმადიდებლობა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ეროვნულ ცნობიერებასთან.

დღეს სეკულარულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. მართლმადიდებლური ეკლესია ვეღარ ახერხებს ჩაახშოს თავისი მარწუხებით ნეოლიბერალთა „თავისუფალი აზროვნება“, რომელიც უკვე თუხთუხებს და გადმოდის. მამარდაშვილის ლოგიკით, სწორედ ახლა უნდა გვქონოდა დიდი მიღწევები აზროვნებასა და ხელოვნებაში. რა შედეგები მივიღეთ? მწერლობაში — ზაზა ბურჭულაძე, ფილოსოფიაში — გიგა ზედანია, თეოლოგიაში — ნოდარ ლადარია. არ გვგონია, ეს მაინცდამაინც დიდი მიღწევა იყოს. ქართულ კულტურაში მკვდარი უნაყოფობის ხანამ დაისადგურა.

სწორედ ხაზგასმული მართლმადიდებლური მრწამსის გამო აღიზიანებდა მამარდაშვილს დოსტოევსკი. მის ღირსებად მხოლოდ წერის მანერას მიიჩნევდა, სხვა მხრივ კი თვლიდა, რომ „მსჯელობის დონეზე ის უბრალოდ სულელია“.[3] ერთი სიტყვით, ნებით თუ უნებლიეთ მამარდაშვილი ქართველი მოინტელექტუალო ნიჰილისტების კერპად იქცა. სწორედ მამარდაშვილის დროიდან იკრებს ძალას ეროვნულ ნიჰილიზმზე დამყნობილი ლიბერალიზმი, რომლის ძირითადი იდეები შემდეგია:

ქართველები, შუასაუკუნეობრივი, საძაგელი მენტალიტეტის მქონე ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს გარდავიქმნათ დასავლურ ყაიდაზე. როცა ეროვნულ კულტურაზე ჩამოვარდება საუბარი, ლიბერალს იმწამსვე ირონიული ღიმილი გადაურბენს სახეზე.

ჩვენი ქვეყნის განვითარებას აფერხებს მართლმადიდებლური ეკლესია, ამიტომაც იგი უნდა გარდაიქმნას პროტესტანტულ თარგზე (ყოველმხრივ მისასალმებელია თუ იგი გაწყვეტს ევქარისტულ კავშირს რუსეთის ეკლესიასთან).

ლიბერალები მიესალმებიან განათლების სისტემის რეფორმას, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანაა მხოლოდ ინფორმაციის, ცოდნის მიწოდება და არამცდაარამც სულიერი, ზნეობრივი აღზრდა და ისეთი „შუასაუკუნეობრივი იდეების“ პროპაგანდა, როგორიცაა პატრიოტიზმი და რელიგიური ცხოვრება.

ნეოლიბერალები მხარს უჭერენ სრულ სქესობრივ აღვირახსნილობას (ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობები, მამათმავლობა, დედათმავლობა) და სოდომიას მიიჩნევენ სქესობრივი ცხოვრების ბუნებრივ ფორმად.

დაბოლოს, ნეოლიბერალები მხურვალედ მიესალმებიან ჩამოთვლილი იდეოლოგიური კონცეპტების ასახვასა და პროპაგანდას მასმედიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით.

ერთი სიტყვით, ნეოლიბერალების მიხედვით, ქართველთა წარუმატებლობის სათავე მათ ქართველობაში მდგომარეობს. ქართველები უბედურები იმიტომ არიან, რომ ქართველები არიან! ქართული ტრადიციები, ქართული სუფრა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გვეღობება დემოკრატიისა და მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე. ნეოლიბერალების მიერ მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს ჩვენი ყოფის ყველა ნაკლი, ყველა სიმახინჯე, ყოველი უარყოფითი თვისება თვით ჩვენი ეროვნული ბუნებიდან მომდინარეობს. სწორედ ეს უარყოფითი თვისებები წარმოადგენენ კიდეც ქართველობის არსს, მის ნამდვილ სახეს. ამიტომაც ქართველი არსობრივად უნდა გარდაიქმნას, უნდა გადაკეთდეს.

თუ ვინმე ალმაცერად შეხედავს ნეოლიბერალთა მოღვაწეობას, მაშინვე შეტევაზე გადავლენ: ილია ჭავჭავაძეც ხომ ლიბერალი იყოო?!

ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესად ამხილა ქართველთა მანკიერებანი, მაგრამ ამ მხილებას ეროვნული ფენომენის უდიდესი

სიყვარული ედო საფუძვლად. ნეოლიბერალებიც ბევრს წერენ ქართველთა უკეთურებებზე, მაგრამ მათი საქციელი ეროვნული ფენომენისადმი სიძულვილით არის მოტივირებული; ილია ჭავჭავაძე ებრძოდა იმ არაარსებითსა და არაბუნებრივ თვისებებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ფესვი გაიდგა ქართველთა სულში; ნეოლიბერალები კი ებრძვიან იმ არსებითსა და ძირეულ ნიშნებს, რომლის გარეშეც ქართველი კაცი აღარ იქნება ქართველი; ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო ქართველებს შეენარჩუნებინათ ისტორიული წარსული, დაბრუნებოდნენ ისტორიულ ძირებს, ამიტომაც ხალხს იდეალად უსახავდა ისტორიულ გმირებსა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს; ნეოლიბერალებს კი სურთ ქართველების გადაყვანა აზროვნების სხვაგვარ წესზე, თვისებრივად განსხვავებულსა და არაეროვნულ ნიადაგზე, ამიტომ ისტორიულ გმირებს ქონდრისკაცებად წარმოაჩენენ და ხალხს ეტალონად მამათმავლებსა და უზნეო ადამიანებს უსახავენ; ილია ჭავჭავაძე მედგრად იცავდა ეროვნულ კულტურას აბუჩად აგდებისა და დამცირებისაგან, ნეოლიბერალები კი თავად ესხმიან თავს და ცილს სწამებენ ყოველივე ქართულს. ილია ჭავჭავაძემ დააარსა სათავადაზნაურო ბანკი, რათა ქართულ მიწებს უცხოელები არ დაპატრონებოდნენ; ნეოლიბერალები კი უდიდესი სიამოვნებით ასხვისებენ ქართულ მიწებს ნებისმიერზე, ვისაც ფულის გადახდა არ დაეწანება.

აი, რა განსხვავებაა ნეოლიბერალებსა და ილია ჭავჭავაძეს შორის.

დოსტოევსკის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ქართველი ლიბერალების მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ლიბერალები არიან, არამედ ის, რომ ისინი ქართველი ლიბერალები არ არიან. ჩვენს სინამდვილეში უკვე დიდი ხანია, რაც შეიქმნა უნიკალური ფენომენი უეროვნებო კოსმოპოლიტისა, რომელიც მუდამ ოპოზიციაში უდგას საკუთარ ხალხს.

თანამედროვე ლიბერალების სანუკვარი ოცნება ე. წ. „ღია საზოგადოების“ შექმნაა. ამგვარი საზოგადოება ღიაა ყოველგვარი სიბილწისა და ამორალიზმის, მაგრამ ჩაკეტილია და დახშულია კონსერვატიული, ტრადიციული ცნობიერების მიმართ. პრესა და ტელევიზია გამუდმებით იმ ადამიანებს უთმობს ასპარეზს, რომელნიც ნაკურთხნი არიან „ექსპერტებად“ და რეალურად საზოგადოების 0,01%-ის ინტერესებს გამოხატავენ. სამაგიეროდ სატელევიზიო სივრცე მიუწვდომელია მისთვის, ვინც ტრადიციული ცნობიერების მქონეა, შეუძლია რიგიანი მსჯელობა და ვისი მოსმენაც საზოგადოების უდიდეს ნაწილს სურს.

ფაქტი კი ისაა, რომ ლიბერალიზმი და ყბადაღებული „დასავლური ღირებულებები“, რომელიც სანატრელად გვქონდა კომუნისტური მმართველობის ჟამს, დღეს ბევრს უკვე ავადმყოფობად ექცა. იშვიათად თუ ბედავს ვინმე აზრიან და ობიექტურ მსჯელობას დასავლეთზე. დასავლური ღირებულებები, რომელთაც, ერთი შეხედვით არ აქვთ უნივერსალურობაზე პრეტენზია, ქართველი ლიბერალების მიერ რელიგიური სიწმიდის სფეროშია აყვანილი.

ერთია, გვხიბლავდეს კლასიკური დასავლური კულტურა და მეორეა, თვალი გავუსწოროთ თანამედროვე დასავლურ კულტურასა და ცხოვრების წესს, რომელიც დიდწილად, პირდაპირ ვიტყვით, ანტიქრისტულია. ქრისტიანულ სარწმუნოებას მოწყვეტილი ჰუმანიზმი და აღვირახსნილი ლიბერალიზმი კი ბოლოს აუცილებლად მიგვიყვანს ისეთი სახის მონობამდე, როგორიც ჯერ კიდევ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ გვიჭირს თვითმყოფადი აზროვნების დაწყება. ჩვენს მოინტელექტუალო ელიტაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მოაზროვნედ მაშინ ითვლები, როდესაც ზედმიწევნით, კაჭკაჭივით იმეორებ დასავლეთში გამოთქმულ შეხედულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „ფაშისტის“ ან „შავრაზმელის“ წოდებას უნდა დასჯერდე. სწორედ ამიტომ, მრავალს დამოუკიდებელ აზროვნებას სხვათა აზრების გამეორება ურჩევნია. არადა, მანამდე არაფერი გვეშველება, ვიდრე არ დავიწყებთ აზროვნებას არა დასავლეთის, არამედ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ჯერ კიდევ შალვა ნუცუბიძე წერდა 1922 წელს: „დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს. რა თქმა უნდა ეს შესაძლო გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დავძლევთ დასავლურ აზროვნებას. უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთიც არსებობს“.[4]

ეს რა თქმა უნდა არ გულისხმობს იზოლაციონიზმს. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ დასავლური გამოცდილება და გავეცნოთ დასავლელ ავტორებს, თუნდაც ისეთებს, როგორიც როჯერ სკრუტონია და ვისაც გამალებით მალავენ ჩვენი ლიბერალები. მაგრამ ჩვენთვის დასავლური ღირებულებები მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ჯერ ეროვნული, შემდეგ — დასავლური. ნეოლიბერალები პირიქით ფიქრობენ, მათთვის ეროვნული ღირებულებები მისაღებია იმდენად, რამდენადაც შეესაბამებიან დასავლურ ღირებულებებს. დასავლური მათთვის პირველადია, ეროვნული — მეორეული.

გავითვალისწინებთ რა იმ გარემოებასაც, რომ მათ ხელშია პრესა, ტელევიზია, ინტერნეტ-საიტები, უცხოური დაფინანსება და სხვ., არცთუ სახარბიელო ვითარება წარმოგვიდგება. როდესაც ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაზე ვსაუბრობთ, ბევრი რამ, ცხადია, სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ჩვენს ხელისუფლებას კი ჯერჯერობით გამუდმებით უწევს თავის მართლება დასავლეთთან და საკუთარი ევროპული ორიენტაციის მტკიცება. მოიცლის თუ არა იგი ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად, არავინ იცის.

ამ ვითარებაში ტრადიციული ცნობიერების მქონე საზოგადოებას მხოლოდ ქმედითი ქრისტიანული კონსერვატიზმი გადაარჩენს. პატრიარქის მოწოდებისამებრ, ყველამ „ჩვენს თავში და ჩვენს გარშემო უნდა დავიცვათ ჩვენი წილი საქართველო“. ჩვენი ისტორია, ტრადიციები და რელიგია მკვიდრ საფუძველს იძლევა ნაციონალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებისათვის.

როდესაც მასმედიისა და ხელოვნების საშუალებით მიდის გამალებული პროპაგანდა ეროვნული ნიჰილიზმისა, რომ ქართველები ჩამორჩენილი, შუასაუკუნეობრივი ცნობიერების ხალხი ვართ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, დავაბრუნოთ საზოგადოებაში ეროვნული სრულფასოვნების განცდა, რომელიც დღეს ისე გვჭირდება როგორც არასდროს. ამის გარეშე შეუძლებელია, ერმა სახელმწიფო ააშენოს, რისი დასტურიც ჩვენი უახლესი ისტორიაა.

[1] **კრ. მერაბ მამარდაშვილი, თბ., 2007, გვ. 84.**

[2] **მ. მამარდაშვილი, ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ. 190.**

[3] **კრ. მერაბ მამარდაშვილი, თბ., 2007, გვ. 77.**

[4] **შ. ნუცუბიძე, ალეთოლოგიის საფუძვლები, ტფ., 1922, გვ. 2.**

ეკატერინე ტუკვაძე

# გამომცემლები, ავტორები და განათლების სამინისტრო

**საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და სასკოლო სახელმძღვანელოთა ავტორები საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ უზრუნველყოფაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 8 აპრილის ინიციატივას მიესალმებიან. ამასთან, მიიჩნევენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. ასოციაციის წევრთა მოსაზრებით კი, სამინისტროს ამ ინიციატივით უხეშად სწორედ საქართველოს კონსტიტუცია ირღვევა და საგამომცემლო საქმიანობაში პირდაპირი ჩარევით სახელმწიფო ავტორთა და გამომცემელთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ლახავს. გარდა ამისა, მათი თქმით, კონკურენციის არარსებობა სახელმძღვანელოებისა და სკოლებში სწავლების ხარისხს გააუარესებს და ქვეყანაში საკმაოდ განვითარებულ საგამომცემლო საქმეს დიდ დარტყმას მიაყენებს. გამომცემლები იმედოვნებენ, რომ განათლების სამინისტრო დათმობაზე წავა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. ქართულ ბაზარზე მომუშავე გამომცემლობათა წარმომადგენლებმა და სახელმძღვანელოთა ავტორებმა ამ საკითხზე სამსჯელოდ ქართული ენციკლოპედიის შენობაში პრესკონფერენცია გამართეს.**

როგორც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წარმომადგენელმა თინა მამულაშვილმა განაცხადა, განათლების სამინისტრო ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებათა სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესში იმ ნორმების ამოქმედებას აპირებს, რომლითაც გამომცემლებისა და ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების მესამე პირებისათვის გადაცემა ხდება შესაძლებელი. მისი თქმით, გამომცემლები და ავტორები მოსწავლეებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოთა შესაქმნელად ცოდნასა და გამოცდილებას მრავალ წელიწადს აგროვებდნენ. ამიტომაც დასახეს მოქმედების ერთიანი სტრატეგია, რათა მათი ქონებრივი უფლებები მესამე პირის ხელში უკანონოდ არ გადავიდეს.

როგორც გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა კახმეგ კუდავამ აღნიშნა, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებაზე განათლების სამინისტროს არადამაჯერებელი მოსაზრებები აქვს. რამდენიმეს პრესკონფერენციაზე უპასუხა.

„განათლების მინისტრი აცხადებს, გამომცემლობებსა და ავტორებს 1 მილიონ ლარს გადავცემთო და დასძენს, მგონი, ეს ცოტა თანხა არ არისო. 78 წლის ბავშვებმაც იციან, რომ 1 მილიონი დიდი თანხაა, მაგრამ გააჩნია, რისი ღირებულებაა. ისინი აცხადებენ, რომ 4 მილიონ წიგნს ბეჭდავენ. თუ ამისათვის 1 მილიონი ლარი ირიცხება, გამოდის, რომ სახელმწიფო ერთ ეგზემპლარში 25 თეთრს იხდის. გამომცემლობებსა და ავტორებთან დადებული ხელშეკრულებით, დაბეჭდილი წიგნიდან მაქსიმუმ, 20 პროცენტი ავტორს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ახალი ინიციატივის ამოქმედების შემდეგ ავტორი ერთ წიგნში მხოლოდ ერთ თეთრს მიიღებს. ეს კი ინტელექტუალური საკუთრების, გამომცემლობების, ავტორების, მშობლებისა და თვით იმ ბავშვების დაცინვაა, რომლებისთვისაც ეს წიგნები იბეჭდება“, — აღნიშნა კახმეგ კუდავამ.

მან იმ მდგომარეობაზეც ისაუბრა, რომელშიც განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ქართველი გამომცემლები მოექცნენ. კუდავას განმარტებით, სახელმძღვანელოების ბაზარზე 20 გამომცემლობა მოქმედებს, რომელთაგან 19 ქართულია, ერთი კი — „მაკმილანი“ — ინგლისური. მათთვის განსხვავებული სტანდარტებია დაწესებული: ქართველი გამომცემლებისათვის თითო წიგნზე ზედა ზღვარი 10, ინგლისელისათვის 15, 16, 18 ლარით განისაზღვრება.

„ჩვენ „მაკმილანს“ არ ვუპირისპირდებით, მაგრამ თუ განათლების სამინისტრო ბავშვებისათვის უფასო სახელმძღვანელოების ჩუქებას აპირებს, მაშინ „მაკმილანის“ გამოცემულიც აჩუქოს. დაბეჭდონ მათი წიგნები ჩვენი წიგნების პარალელურად. მაგრამ სახელმწიფო „მაკმილანს“ ამას ვერ უბედავს, რადგან ის უცხოური გამომცემლობაა. „მაკმილანი“ მათ სახელმძღვანელოს 1 ლარად და 80 თეთრად ვერ მისცემს, როგორც ისინი აცხადებენ“, — აღნიშნა კახმეგ კუდავამ და დასძინა, რომ ეს ორი მაგალითი ინტელექტუალური საკუთრების წართმევის გამო კანონიერი პროტესტის გამოსახატად სრულიად საკმარისი საფუძველია.

მისი ინფორმაციით, საქართველოში ათეულობით სტამბა მოქმედებს. განათლების სამინისტრომ კი 4 შეარჩია და სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვა რაც შეიძლება იაფად დაბეჭდვას აიძულებს. აღნიშნულ სტამბების ხელმძღვანელებმა მათთან გამართული შეხვედრებისას აღნიშნეს, რომ 400, ან, თუნდაც 100-გვერდიანი წიგნის დაბეჭდვა 1,80 ლარად შეუძლებელია.

„მივმართავთ ამ სტამბებს: ნუ დაბეჭდავთ სხვისთვის წართმეულ წიგნებს. ეს ისეთივე უკანონობაა, როგორც სხვისთვის წართმეულის წიგნების გაჩუქება. ჩუქების წინააღმდეგნი არ ვართ, მაგრამ საჩუქარი მხოლოდ შენი ჯიბიდან უნდა გაიღო“, — აღნიშნა კახმეგ კუდავამ. მან აქვე ის ტერმინებიც ჩაიკითხა, რომლებითაც საზოგადოების წევრები თავიანთ გამოხმაურებებში განათლების უწყების ამ ნაბიჯს აფასებენ: „გამომცემლობების განკულაკება“, „მხედრიონული ძარცვა“, „კაბალური პუნქტი“, „ბოლშევიზმი“.

— მთავრობის წევრებს კი ეს უკვირთ. დიახ, მოვლენებს თავისი სახელი უნდა დავარქვათ!

საგამომცემლო სახლის „ტრიასი“ დირექტორმა ელიზბარ არსენაშვილმა ხაზი იმ გარემოებას გაუსვა, რომ გამომცემელთა და ავტორთა დიდი მცდელობის მიუხედავად, განათლების სამინისტრომ ამ უკანასკნელთა როლი ვერ დაინახა და მათ სახელმძღვანელოები ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ჩამოართვა. საზოგადოება კი არ არის ინფორმირებული, თუ რეალურად რა ხდება.

„რითია ცუდი, რომ წიგნებს უფასოდ ვარიგებთ? — არაფერი, მაგრამ ამას აქვს მეორე მხარე — ჩვენი საავტორო

უფლებების დაუკითხავად გადაცემა მესამე პირისათვის“, — განმარტა მან.

შპს „ლოგოს“ პრესის დამფუძნებელმა ლაშა ბერაიამ დამსწრეების ყურადღება საკითხის იურიდიულ მხარეზე გაამახვილა. მან ის სამართლებრივი ნორმა განმარტა, რის საფუძველზეც სახელმწიფო გამომცემლებს ინტელექტუალურ საკუთრებას ართმევს.

„კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტროს აქვს უფლება, შეზღუდოს ჩვენი საავტორო უფლებები და ჩვენი სახელმძღვანელოები ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გადასცეს. ეს მუხლი დიმიტრი შაშკინის დროს იმ მოტივით შემოიღეს, რომ თუ რომელიმე გამომცემელი სასექტემბროდ წიგნებს ვერ დაბეჭდავდა, ბაზარს დროულად ვერ მიაწვდიდა და პრობლემებს შექმნიდა, დაისჯებოდა და სამინისტრო მის წიგნებს დასაბეჭდად ტენდერით შერჩეულ სტამბას გადასცემდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც დასჯილ გამომცემლებსა და ავტორთა ჯგუფს ტირაჟის ღირებულების 10 პროცენტი გადაეცემოდათ“, — განმარტა ლაშა ბერაიამ.

მისივე თქმით, არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული საქმეები, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეულ შემთხვევებში კერძო საკუთრება შეზღუდოს, მაგრამ ეს აწონილ-დაწონილი, მართლზომიერი და ნამდვილად აუცილებელი გადაწყვეტილება უნდა იყოს. სახელმწიფოს პოზიცია კი ამ შემთხვევაში ძალიან მყიფეა — ის არაორდინარულ საქციელს სჩადის — დაახლოებით 15 მილიონი ლარის ეკონომიას გამომცემლების ხარჯზე აკეთებს.

„ახლა გზასაყარზე ვდგავართ — ან ვთანხმდებით კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვასა და სოციალისტურ სამყაროში დაბრუნებაზე, სადაც ერთი გამომცემელი და ავტორი შეირჩეოდა და ტოტალური კორუფცია არსებობდა, ან არ ვთანხმდებით ამას და მტკიცედ ვდგავართ“, — დასძინა ლაშა ბერაიამ.

გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელმა თამარ ლებანიძემ გულისტკივილთ აღნიშნა, რომ ხდება საზოგადოების დეზინფორმირება და არასწორ სტერეოტიპთა გაღვივება, თითქოსდა გამომცემლები და ავტორები მოსწავლისათის უფასო განათლების მიღების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას ეწინააღმდეგებოდნენ. ეს კი ასე არ არის.

„არავის ეგონოს, რომ ვიღაცა ვიღაცის ხარჯზე იღებს მილიონებს. ჩვენ ვარსებობთ და ვვითარდებით მხოლოდ საკუთარი შრომის ხარჯზე. ეს არის მთავარი პოსტულატი, რომელიც ყველა ქვეყანაში წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული. წინააღმდეგ შემთხვევაში უკან წავალთ“, — და დასძინა, რომ კომუნისტურ წარსულში დაბრუნების ნიშნებიც უკვე არის — კერძოდ, ლაპარაკია ერთი სახელმწიფო გამომცემლობის შექმნის შესაძლებლობაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გამომცემლები და ავტორები სახელმწიფოსთან დიალოგისათვის მზად არიან. ეს უკანასკნელი ამას თავს არიდებს. გამომცემლები თავიანთ უფლებათა დასაცავად სასამართლოში შესატან სარჩელს ამზადებენ. ისინი განათლების სამინისტროს ნაჩქარევ, გაუგებარ გადაწყვეტილებაზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებასა და საქმეში გამომცემელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვას აპირებენ. როგორც ლაშა ბერაია განმარტავს, ამ უკანასკნელს არაერთ სახელმწიფოზე მოუხდენია გავლენა და საავტორო უფლებათა დარღვევის მხრივ არსებული სიტუაცია გამოუსწორებია.

პრესკონფერენციაზე ხაზი იმ გარემოებასაც გაესვა, რომ სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებასთან დაკავშირებით განვითარებული პროცესები წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე ქართველი გამომცემლების მონაწილეობასაც სათუოს გახდის. საქართველო კი ბოლო ხანს ამ ღონისძიებათა აქტიური მონაწილე იყო. კერძოდ, თინა მამულაშვილის ინფორმაციით, ამ პრობლემის გამო ლონდონის წიგნის ბაზრობას წელს შესაძლოა რამდენიმე ქართველი გამომცემელი გამოაკლდეს. იგივე ითქმის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზეც.

ჟურნალისტებს თავიანთი გულისტკივილი სახელმძღვანელოთა ავტორებმაც გაუზიარეს. 112 კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოების ავტორმა თეიმურაზ ვეფხვაძემ განაცხადა, ჩემთვის ეს საქმიანობა დამატებითი შემოსავლის წყაროაო.

„ახლა კი მეუბნებიან, რომ რასაც იღებდი, იმაზე 40-ჯერ ნაკლები თანხა იქნება შენთვის საკმარისიო. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო — ე.ი. აქამდე რამეს არასწორად ვაკეთებდი?!“ — იკითხა თეიმურაზ ვეფხვაძემ.

როგორც „დიოგენეს“ ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორთა ჯგუფის წარმომადგენელმა ბესიკ ლორთქიფანიძემ აღნიშნა, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება ძალიან კარგია, მაგრამ ამით ავტორთა და გამომცემელთა უფლებები ილახება. მკვეთრად, თითქმის 20-ჯერ მცირდება მათი გასამრჯელოც.

„განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით გამოდის, რომ კარგი სახელმძღვანელოს 10 000-იანი ტირაჟის შემთხვევაში ავტორები 360 ლარს მიიღებენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითო სახელმძღვანელოს, სულ ცოტა, სამი ავტორი ჰყავს, თითო ავტორს 120-120, ანუ თვეში 10-10 ლარი ერგება. თვეში 10-ლარიანი ანაზღაურება ავტორს მოტივაციას დააკარგვინებს და ის სამინისტროსთან აღარ ითანამშრომლებს. შედეგად, დაბალხარისხიან სახელმძღვანელოებს მივიღებთ, რაც განათლების ხარისხზეც უარყოფითად აისახება“, — ამ სიტყვების შემდეგ ორატორმა იკითხა, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები თუ იმუშავებდნენ თვეში 10 ლარადო?

დასასრულ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და სასკოლო სახელმძღვანელოთა ავტორებმა ერთობლივი განცხადება მიიღეს. მასში სახელმწიფოს მხრიდან გამომცემელთა და ავტორთა ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა არის დაგმობილი:

„განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებით გრძელდება უკანონო მოქმედებების ჯაჭვი, რომლებიც მიზანმიმართულად ხორციელდებოდა თავისუფალი ბაზრის შეზღუდვის კუთხით. მსგავსი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში უახლოეს მომავალში მოსალოდნელია თავისუფალი კონკურენციის მკვეთრი შეზღუდვა, რომელიც ავტომატურად გამოიწვევს ქართულ ენაზე შექმნილი საგანმანათლებლო ლიტერატურისა და სწავლების ხარისხის დაცემას. ჩვენ მზად ვართ სახელმწიფო ინსტიტუტებთან დიალოგისთვის და ვაფიქსირებთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ქართველი გამომცემლები და ავტორები იყვნენ განათლების რეფორმის სრულფასოვანი მონაწილენი. ეს თანამონაწილეობა გამოხატავდა ჩვენი ბიზნესის სოციალურ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ქართული საზოგადოების წინაშე“.

ქეთი დოლიძე

# „წარმატება მოგზაურობაა და არა მიზანი...“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როდესაც შენს შვილს უჭირს.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ საქართველოში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— შვილები და შვილიშვილები თუ გაგიმართლებენ.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ქეთრინ ბარკლი, ჰემინგუეის „მშვიდობით იარაღო!“

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— ქეთევან წამებული, დედა მატრონა, წმინდა ავგუსტინე.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— მიქელანჯელო, ჯოტო, ვან გოგი, როი ლიხტენშტაინი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მოცარტი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?**

— გულწრფელობას, ვაჟკაცობას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ერთგულებას, გულწრფელობას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— მიმტევებლობა, სულგრძელობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— თეატრი, კინო, ფესტივალი.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ანა მანიანი.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— უკომპრომისობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ერთგულებას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— მოუთმენლობა, სიფიცხე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ჩემი შვილებისა და შვილიშვილის ბედნიერება.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— არასოდეს არ უნდა გავიგო ცუდი ჩემს შვილებზე!!!!

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— რეჟისორი, მსახიობი, არქეოლოგი!

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ფირუზისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— თეთრი ვარდი.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბეღურა.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— პასტერნაკი, დოსტოევსკი, ჯოისი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, პუშკინი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— არა მყავს.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— არა მყავს.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— წმინდა ნინო.

**— საყვარელი სახელები?**

— თამარი, თორნიკე, ლუკა, ქეთევანი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— სიცრუეს!

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჰიტლერი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— დიდგორის ომი.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ბატონყმობის გადავარდნა.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ხატვის.

**— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— დაღლილი.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— აფორიაქებული.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— უნებისყოფობა, სიფიცხე.

**— თქვენი დევიზი?**

— „წარმატება მოგზაურობაა და არა მიზანი...“

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— რომ ცოდვები მომიტევა...

**მოხდა ისე, რომ „ჩვენი მწერლობისათვის“ გამზადებულ ამ ორ მონათხრობთაგან პირველი, „რას ფიქრობდა კურდღელი“, მამის ხსოვნისადმი მინდოდა მიმეძღვნა, მაგრამ... „რბოლა“ რომ დავასრულე, მეორე დილით ჩემი უფროსი მეგობრის, კოლორიტული თბილისელი კაცისა და თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მხატვრის, მიშა იაშვილის გარდაცვალების ამბავი შევიტყვე; და რადგან ყველა ხელოვანი ერთმანეთის მოსწავლეცაა და მასწავლებელიც, და კიდევ იმიტომ, რომ ამ ორ მოთხრობაში თქვენი მონა-მორჩილი თითქოს „ლანდებს ელაციცება“, გადავწყვიტე, ყველა ჩვენი მეგობრისა და ახლობლის, სისხლისა თუ სულისმიერი ნათესავის, მოსწავლისა თუ მასწავლებლის, ხელოვანთა თუ უბრალოდ კარგი ადამიანების გრძელ სიას სათავეში ჩემი ძველი მეგობარი ჩავუყენო და მოგახსენოთ, რომ ორივე ეს მოკრძალებული მოთხრობა.**

**მიშა იაშვილის ნათელ ხსოვნას ეძღვნება**

**P.S. ...ის მუდამ გასხივოსნებული, მახვილსიტყვიანი, გულისხმიერი და თბილი იყო; 2005 წელს, ერთად მუშაობისას, გამიცინა:**

**— ახლა ვიწყებ ხატვის სწავლასო, — და ჩუმად დაამატა, — თუ არ იცი, რომ სწავლობ, არაფერი გცოდნიაო...**

**ძალიან მომენატრები!**

**შენი ძმა გრიშა**

**გრიგოლ კ. რობაქიძე**

# ორი ნოველა

## რგოლა

**(თბილისური „ავტო“ პორტრეტები)**

— გვიდო! გვიდო, საით?! სად გარბიხარ, სულელო ბიჭო?!..*

* * *

„ქემელი“. მოკლედ თმაგაკრეჭილი, მკვრივად ჩაკურატებული, უხეშად შავბალნიანი, საშუალოზე ოდნავ მეტი, არა მაღალი; ოქროს სამაჯურიანი, ოქროსავე ჯაჭვ-ჯვრიანი და, თქმა რაღად უნდა, ბაჯაღლოს ბეჭდებიანი; სახელად — ნუკრი. მუქი ლურჯი „ალფა რომეო“, გასარეცხი და არც ისე ახალი მოდელის; უკანა შუშები — ჩამუქებული, საქარე შუშის სარკეზე ჩამოკონწიალებული გიშრის თვალი, პატარა, ლამინირებული ორი დროშა — პირველი თეთრწითელზოლებიანი, ლურჯ ფონზე ჩავარსკვლავებული, მეორე კი თეთრად სპეტაკი და, სირცხვილით თითქოს, სიწითლეშეპარული... და კიდევ აქ რწევით გაოცებული, მაგრამ ყოველთვის და ყველაფრის გამგებ-მიმტევებელი ჯვარი... სანომრე ნიშანი — 663; მუსიკა — დუდუკებიანი, შემოგევლოებიანი, ტაშ-ტაშ, დამწვარჯიგრიანი და იაფი სახინკლის ოხშივარგამოყოლილი რაღაც, მობაიათო.

. . .

„პირველი“. სახელად სერგო; დაბალი, შავი, ეშმაკურად ელვარე, მაგრამ კეთილთვალებიანი, 2-3 დღის გაუპარსავი, ჭაღარა მოღალატეობრივად შეპარვია ოდნავ დატალღულ, მხრებამდე დაშვებულ თმაში — აშკარად ნაჰიპპარი; ბეჭედი — ერთი ცალი, ოსტატურად ნაკეთი ვერცხლის, ტყავისქამრიანი მაჯის საათი — დასაქოქი, ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი, სათვალე — შავი, ისიც ძველი; კბილებში — კევი?.. მოხორცისფრო-მოთეთრო, ყველაზე ცოტას რომ წვავს, აის „ფოლკსვაგენი“, ახალი გარეცხილი, ყოველ ეჭვს გარეშე პატრონის მიერ; უკანა სავარძელზე რაღაც ყუთებთან და რატომღაც ჭრელ, ქალის ქოლგასთან ერთად — პარკში კოხტად გამოხვეული დიდრონი ღრუბელი და სარეცხსაშუალებიანი ბოთლ-ქილა; საქარე შუშაზე — კამათლები; სანომრე ნიშანი — ARM148. მუსიკა — „DDT“, საშინლად გამომწვევი ამ ქალაქში და ამ დროს, მაგრამ ხმადაბლა, „სკრომნად“...

. . .

„პარლიამენტი“. ეს — მშვენიერია! აჰ, რარიგ ტურფა და სასურველი!.. ფერუმარილისთვის, როგორც ყოველთვის, ვერ მოიცალა, უკვე დიდი ხანია შუადღე მიილია, მაგრამ ჩანს, — თანაც რარიგ თვალნათლივ? — ახალგამოღვიძებულია, თვალები შეშუპებია, ქერად შეღებილი თმა ყველა მიმართულებით იბურძგნება და თითქოს თვალდახელშუა ხუნდება. სამკაულები? — ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამისთვისაც კი ვერ იპოვა დრო, მხოლოდ პაწაწინა ოქროს ჯვარი გადაღლილ, მაგრამ მაინც მოღერებულ ყელზე... ჯერაც ქორფაა. სახელი? — თათუთუქათათეთიქათოოთოთააა... ალბათ, რუსკა. დიიდი, შავი „ჯიპი“, „მერსედესის“, სამარცხვინოდ ბინძურ-გასარეცხი, უკანა შუშაზე ბავშვებს „გამრეცხე“-ს გარდა კიდევ წაუწერიათ რაღაცეები; სანომრე ნიშანი — MIS900. მუსიკა? — არაა, ლამაზი თავუკა ძალიან სტკივა, თლილი თითუნიები გაუჩერებლად მოხმაურე, მანქანასავითვე ძვირ ტელეფონს ხან პასუხობენ, ზოგჯერ კი არც!

. . .

ვახტანგი გალურჯებამდე გაპარსულია, თითქოს უკვდავი „06“-ით დადის, — პრინციპულად?! შვილს კი ახალი „ბმვ“ უყიდა... — მაგრამ „მარლბოროს“ ეწევა, თანაც მედიუმს და რადიოთი „ოპოზიციურ“ პოლიტიკურ გადაცემებს უსმენს.

აეს ოთო კი, ჯერაც ჯეელი, წარამარა გამომწვევად იფურთხება, ბოლო მოდელის „აუდიში“ ბოლოვე ხმაზე „ჰაუსებს“ ახავლებს; ჯიბეში „სასროლი“ „უგდია“... წვრილი სიგარები.

ციცინო, ახლობლებისთვის, უბრალოდ, ციცი, გადაღლილია დიეტებით, ყელის ჭიმვით და ტუჩების ბერვით, თანაც — ასაკი... ეეჰ! აფსუს, რა დრო იყო, მარტვილიდან რომ ჩამოვიდა?! მაგრამ, სამაგიეროდ, იმ ქორფტურფა ქარაფშუტაზე უფრო ძვირი, უფრო დიდი, უფრო „ნავაროჩენი“ და — უფ, კაი რა? შავი ხომ ქართველების საყვარელი ქა-

* ფედერიკო ფელინი — „8 1/2“, გვინდო ანსელმის როლში მარჩელო მასტროიანი

ჯური ფერია! — ვერცხლისფერი „დოჯ“-ის „ჯიპი“ ჰყავს, თანაც — MIS002! „კენტს“ ერთგულობს და — ჰოჲ, საოცრებავ?! ბეთჰოვენი! დიახ, სწორედ ის, ლუდვიგი, ვანი!

მათემატიკოსი ბატონი ჯუმბერი ძველისძველი „სააბით“, მოულოდნელად „პინკ-ფლოიდ“-ით და... ეე, იცოცხლე, „ვინსტონით“, მაგრამ აღარ ეწევა — ფილტვები, ღვიძლი... თან როგორ გაძვირდა ეს ოხერი?! ღამღამობით ტაქსაობს.

* * *

რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, საკუთარ თავს ჰქმნის ისევ და ისევ, თავიდან და ხელახლა; რბოლა ხომ სიცოცხლესავითაა — დაბადება-გარდაცვალება, სტარტი-ფინიში; მაგრამ ხანდახან, თუნდაც იშვიათად, თუნდაც ათასში ერთხელ — უნდა შეჩერდე! და სადგომი შენი, დროებითი, წამიერი, სწრაფწარმავალი, შეეცადე ლამაზი იყოს...

*მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი*

* * *

ერთ მშვენიერ, ნისლიან დილით ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ „კუბინკა“-დან ოდნავ მოშორებით ალვის ხეების ჩრდილქვეშ მოხერხებულად შეყუჟულ, კოხტა ფანჩატურში მყუდრო საუზმის სამზადისში გახლდით გართულნი ჰერრ კანტი, მაესტრო ფედერიკო, მიხაილ აფანასძევიჩი, მსძე დძუმა და თქვენი მონა-მორჩილი, როცა მუნჯმა მსახურმა ჩვეული მონოტონური, დინჯი მოძრაობით გვაცნობა — უწონადობიდან მარადიულობამდე სულ რაღაც თხუთმეტი წუთი დარჩაო; მოცინარ მზეს მხიარული სხივებით უკვე გაეფანტა ნისლი და ახლა ლაჟვარდოვან ზეცაზე ზანტად გაწოლილიყვნენ ქულა ღრუბლები. დავფაცურდით, კოცონზე უკვე თუხთუხებდა დიდრონი ლოქოს თავიანი და ბოსტნეულიანი „კოტჲოლი“ და სწორედ შესაფერი დრო გახლდათ, შიგ ახლადდაჭერილი, ვერცხლისფრად ელვარე სტერლჲადები გადაგვეშვა; მოხუცი იმმანუილი ყინულივით „ბავარიულს“ თიხის მაღალ კათხებში აშკარა სიამოვნებით, წვეთდაუქცევლად არაკრაკებდა, თუმცა, ნაბახუსევობისდა მიუხედავად, მის გარდა ლუდისკენ გული არავის მიგვიწევდა — მე და მიშას მისი საგზაო მათარიდან უკვე გვარიანად გვქონდა ნაწრუპი დალოცვილი ხორბლის არაყი, ფედერიკო კი ისეთი აღფრთოვანებით შესცქეროდა ბოლო დროს მკითხველის უყურადღებობის გამო გამხდარ-ჩამომდნარ, მაგრამ მაინც მხიარულ, ჩვენს საყვარელ ნახევრადზანგს, სასოებით რომ წმენდდა და სუფრაზე ფრთხილად დგამდა უზადოდ გამოყვანილ ბოთლებს, რომ ეჭვი არ იყო — ვოლგაში ჩაციებულ ძველ ანჟუურს ამ ორს ვერავინ შეეცილებოდა... მერე, წვნიანს პირი რომ არ დავაკარე, მიშამ მიწყინა, ამდენს რას მეხმარებოდი, „უხას“ თუ არ შეჭამდიო, და მეც, რადგან მარადიული უწონადობა უკვე გრიმოს გაფრთხილებების გარეშეც დაუბრკოლებლად განფენილიყო, ხელის ერთი მოძრაობით ისედაც კოხტა სუფრა ორთქლავარდნილი, „ველჲამინოვში“ ნაოსტატარი ხინკლით სავსე ლანგრით გავახალისე.

— რაულ, ჩემო ბიჭუნა, — თვალცრემლმორეულმა — ხინკალზე წიწაკა მოეყარა ზედმეტი! — შემომიყვირა ჩვეული მამა-შვილური მგზნებარებით „პახმელიის“ უებარი წამლის დაგემოვნების წამსვე უწინდებურად ფერხორცშესხმულმა ალექსანდრმა, — რა საოცრებაა! თითქოს სადღაც, ოდესღაც გამისინჯავს!.. მმმ!..

მე კი თითქოს მართლაც მეხუთე მუშკეტერად თუნდაც მხოლოდ წამით ქცეული, სიამოვნებით ვისმენდი ფედერიკოს ჭეშმარიტად რომაული, მომნუსხავ-მსუსხავი მზერით თანხლებულ ლექციას შიდა წვის ძრავის შესახებ; მიშამ შეაწყვეტინა:

— Про трамвай всё таки интереснее, — და იმმანუილს თვალი ჩაუკრა; მაესტრომ მკაცრად გახედა და დაასრულა:

— სულ სხვა რამეშია საქმე... აი, ამ სტერლჲადზედაც რომ დამიკვეთონ ფილმი... ანდა ზვიგენზე... ნებისმიერ, სულ უკანასკნელ თევზზე, ქორჭილაზე, ლიფსიტაზე, ხიზილალაზე... მე ვიქნები მაინც ის თევზი, მე ჩემი ამბით... გაიგე, გვიდო?! — და ვიცინოდით... მზესთან ერთად.

* * *

გერმანიასა თუ რუსეთში, იტალიასა თუ საფრანგეთში, აქ, ჩვენს გაწამებულ სამშობლოში, გამუდმებული ხორციელი და, რაც უფრო მთავარია, სულიერი ნგრევა-ვითომშენების ამაოებაში რომ გაოგნებულა, მილიარდობით „ავტო“ პორტრეტი დაქრის ზოგი, ზოგიც დაიარება... და სწორედ მათი გროტესკულ-პარადოქსული, სატირულ-დრამატული და ტრაგიკომიკური მრავალფეროვნებაა ჭეშმარიტად ნუგბარი საზრდო ჩემთვისაც და ჩემი მეგობარ-მასწავლებლებისთვის...

და არა „უხა“, ან თუნდაც ხინკალი.

ხავიან, ღმუიან, გუგუნებენ ძრავები. მწვანედ ზანტი შუქნიშანი კვლავაც თავიდან იწყებს ათვლას — 10, 9, 8, 7... რბოლა გრძელდება!

აგერ ვართ ჯერ და, ალბათ, ვნახავთ, რამდენად გამძლე ფილტვები გვაქვს ჩვენ და დედამიწას...

— ცხენი მომგვარეთ!.. ერთ ცხენში ვაძლევ მთელს ჩემს სამეფოს!..

## ბოსსების საყვარელი ფერრი

ეს უბედური ოთხმოციანები.

...მაგრამ მანამდე — წყვდიადი გაანაყოფიერაო ნაპერწკალმა! კარგია, მე და ჩემმა მზემ! თუმცა მზეს იქ მაშინ რა უნდოდა?! არაა, მაინც კარგია და ლამაზი.

მერე კიდევ — ექვს დღეში შექმნა ყოვლის და მეშვიდეს — დასვენება. ეს კი ხომ უკვე თვით სრულიად მარადიულობაა! თანაც სრულყოფილი.

...და დრო ქვათა შეგროვების?! ასსეთი საჩუქარი? ყოველ შვილს თან რომ დააყოლებ მოვლინებისას და იცი, ოდესმე, ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად, როგორც ბასრი დანა წესიერ კარაქს, გაჭრის დროსა და სივრცეს გაცისკროვნებული მზერა მადლიერი; არა — მისი, არა — შენი, არა — ჩემი, არა — ვისი, უბრალო და მარტივი ბედნიერებაა ეს, როგორც ბუნება — ხალასი.

ღმერთი სამყაროს მოქანდაკეა, სრულ-სულ-მყოფელი.

...და იმდენად გულუხვი, რომ აიმ თავის დიდ ნიჭ-ნაპერწკალს პირმშოებს დაბადებისთანავე თან აყოლებს, როგორც ტურფ-ქორფ პატარძალს მზრუნველი, კეთილი დედა სასოებით გაწყობილ მზითევს.

ეს მზე კი გვიმზერს მერამდენე ათასწლეულია უკვე და ზოგჯერ სიცილისგან, ზოგჯერ ბრაზისგან ფეთქდება ხოლმე, ვინაიდან, ბევრ სხვასაც, მაგრამ განსაკუთრებით ბუანაროტტის დავითს თუ არ ჩავთვლით, ღმერთის შვილები უპირატესად კი არ აქანდაკებენ რამეს — ძეგლსა თუ ქალაქს, მოვლენას და ხანდახან დროსაც კი, ცოდვილობენ და უფრო ხშირად კიდევ უარესი — მაიმუნობენ... ამიტომ არ ღირს ზედმეტი სიმკაცრით განსჯა მუყაითად მოფიქრალთა, ვინც, ამ გარემოებით გაოცებულ-შეწუხებული, თავს ფილოსოფოსს უწოდებს და ზეადამიანის გაბოლოადამიანება სტკივა; გზა მაიმუნობიდან შეგირდობამდე, შეგირდობიდან ოსტატობამდე და ოსტატობიდან კი ბრძენ ბავშვობამდე ყველა ცალკეულ შემთხვევაში თავისებურია და ერთადერთი.

გასაკვირი და სასინანულო არა, მაგრამ სულ ოდნავ მხრებასაწური და კიდევ მცირედ წარბასაზიდი ის სევდაწუხილია, უწესოდ არეული, ძაფის გორგალივით აბურდული, გაურკვეველი დროის მოქანდაკის მიმართ ბუნებრივად რომ ჩნდება...

თუმცა ყველაფერს მიზეზ-შედეგი, დასაწყის-დასასრული, პროლოგ-ეპილოგი და ცხადი ახსნა აქვს, მაინც —

— ეს უბედური, უბედური ოთხმოციანები!

* * *

— რა „ფლეშკა“?! ეხლა „ლეპ-ტოპი“, „სახე-წიგნი“, „შენ-აქ-ხარ“ და ეგეთი რაღაცეები არ მითხრა, თორემ გადმოვძვრები ამ ფოტოდან და... არ დაგავიწყდეს, თითქმის ოცი წლით ახალგაზრდა ვარ შენზე, — მიღიმის სურათიდან „08“-ის წინა საბურავზე ამაყად ფეხშემოდებული, გრძელნაწნავიანი, მარცხენა ყურგახვრეტილი, ანონილი ბიჭი; „ბატინკა“, ჯინსი, ტყავის „კურტკა“, ბენდენა, „ნიკოლსონკა“, ხელთათმანები — ყველაფერი შავი აცვია და შავივე სათვალიდან აშკარა სიამოვნებით დასცქერის ჯერმოუკიდებელ, წვერჩაკეცილ, თეთრ „Беломор канал“-ს; „08“-ის წინა სავარძლიდან ყველა სულელური სტერეოტიპის დამამსხვრეველი სიკეთით თითქოს იღიმება თავისი ჯიშისთვისაც კი წარმოუდგენლად დიდი, შავი დობერმან პინჩერი, სახელად მარს კაიზერ ოზზი, — კვირაობით „დილა მშვიდობისა“ იწყებოდა ათზე თუ თერთმეტზე... ჯერ ქართულები, მერე პუგაჩოვა და ლეონტევი, ან როტარუ და ანნე ვესკი, ლეშჩენკო, რამე... ყველაზე საინტერესო ბოლოს — ალ ბანო და თავისი ცოლი, ან რაფაელა კარა და ჩელენტანო, შეიძლება დასსენი ან კუტუნო... და! — აქ ინაბებოდა დილის თბილისი — აბა, მიდით და ეგებ როგორმე... ყველაზე ხშირად მაინც „Secret service“-ს ან „Modern talking“-ს უშვებდნენ... ნუ, თუ „კარგი დღე“ იყო — ჯექსონს და სიდნი ლოპერს, ან ვანდერს და დაიანა როსსს... აი, თუ ძაალიან გაამართლებდა — „Queen“ ან „Chicago“... გააჩნია, რა „სასტავი“ მორიგეობდა პეკინზე, მუს-რედ-ში... მოკლედ, ძაან მაგრა ვხალისობდით, ჰაჰ!.. მე ის ცოდვაც მეყოფა, „კედელი“, „მექანიკური ფორთოხალი“ და „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ რომ ჩამოვაპარე მოსკოვიდან... ფრენკ ზაპაზე და რობერტ ფრიპზე აღარაფერს ვამბობ... არა, მერე ნელ-ნელა დაიქოქა TV — „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ“... „კინოს სახლმაც“ გაბედა და შეაპარა რეტროსპექტივები — ბენჟუელი, ვემდერსი, ანტონიონი, ბერგმანი... პაზოლლინნიც კი... მერე ეს ომი... გაგვანახევრა კი არა, გაგვამეასედა, მაგის!.. მე ვისთვის მესროლა?! აფხაზეთში ჩემთან ერთად გაზრდილი ვახაიკასთვის და ახრიკასთვის, თუ აქ — პარალელური კლასელებისთვის?!.. სიგიჟე იყო... ჯოჯოხეთური... დავრბოდით აქეთ-იქით და ხან „იმათ“ ვუყვიროდით — ხომ არ გაგიჟდით, ბიჭო, აზრზე მოდით, ჩვენ ვართ-მეთქი, და ხან ამათ — ნაღდი „სნარიადი“ არ ვესროლოთ, „ბალვანკით“ შევაშინოთ-მეთქი... პატიოსნად ვიტყვი, ესენი უფრო გვიჯერებდნენ... აბა, „იმათმა“ ერთხელ „ალექსანდროვში“ ისეთი დაგვცხეს მთავრობის სასახლის სახურავიდან, მე და ჩემი მამიდაშვილი ორი საათი ხეებს ვიყავით აკრული, სანამ ქუთაისურმა „ბმპ“-მ დერეფანი არ გაგვიკეთა... ეეე!.. მერე წამალი დაყარეს ქალაქში... „დუსტივით“ იყო... აფხაზეთს და თბილისს ვინც გადაურჩა, ისე გააუბედურეს, ზოგი თვითონ, ზოგი გულით, ზოგი „პერედოზით“ „მოისტუმრეს“... ღმერთმა აცხონოს... აღარ მინდა გახსენება, ამ ფოტოდანაც კი მტკივა ეს გაქვავებული გული... მანდ რა ხდება, ბაბუ? მართლა ყველაფერი ეგრე ცუდადაა, როგორც გული მიგრძნობს? ეე, მაგრად დავაშავეთ ჩვენ მაშინ...

სურათი უკან, ალბომში უნდა ჩასრიალდეს, ალბომი საწერი მაგიდის უჯრას დაუბრუნდეს, მაგიდამ კი თავისი წყნარი დგომა განაგრძოს ამ უსაშველოდ მაღალჭერიან ოთახში, მაგრამ... ყოველ ოთახს ჰყავს თავისი ფერია; ვიღაც ვერ ამჩნევს... თუმცა ის ზოგი ვიღაც ხომ ქუჩის მაწანწალა კატასაც ვერ ამჩნევს, არ შეუძლია დაინახოს მის თვალ-სარკეში — მრრ, რა კარგია, რომ შევხვდით, იქნებ ცოტაოდენი ძეხვი მიწილადო? ან თუნდაც ბატის პაშტეტი? მე — სულს გაგითბობთ... და კატებზე კი სხვა დროს იყოს, ეს ჩვენი ფერია კი ფარფატად მფრენი, სახელად მოხდენილ-დროულ-შესაფერად ფიქრიად წოდებული და ამ ოთახის ყოველი დროის ავ-კარგის მცოდნე, თავისი ნაზი მკერდისმიერი, ოდნავ ანცი, ოდნავ სევდანარევი ხმა-მუსიკით ჩასჩურჩულებს ძველ, ნაცნობ ფოტოს:

— ისეა ყველაფერი, როგორც უნდა იყოს... შენ არ იდარდო... ო, ეს სულელური, პირობითი დაბრკოლებები... ეს დრო და სივრცე... მაგრამ — ჰა-ჰა! — ვერსად წამიხვალ! ძალიან მომწონხარ და აუცილებლად შევხვდებით ისევ...

ახლა განაგრძოს მაგიდამ დგომა.

* * *

ოთხმოცდაცამეტის თუ თოთხმეტის ზამთარი თბილისში — „კერასინკები“, „დვიჟოკები“, პურის რიგები... ბევრი ნამდვილი ყაჩაღი, უფრო მეტი „პიჟონი“, ბრიყვულად დამჩემებელი ყაჩაღობის, და კიდევ უამრავი შიშითა და ვიწრო თვალსაწიერით დაბნეულ-დამფრთხალი ცილისმწამებელი, ქალაქსა თუ ქვეყანაში თუნდაც ოდნავი წესრიგისთვის მზრუნველ, პატიოსან ადამიანებსაც ყაჩაღებად რომ ნათლავდა. უსამართლობა. კარგი არაფერი, უფრო სწორად კი — ძალიან ცოტა და კიდევ უფრო ცოტაგან. ზამთარი.

„08“-ში ნაწნავიანის გვერდით ერთ-ერთი „ყაჩაღი“ განაბულა; ფეხებშუა „კალაშნიკოვი“, გამშრალ ტუჩებს მიკრული ტარიანი, ნერვიულ ხელებში „ზიპო“ ხტუნავს და მართლა ძალიან კარგი ჯაზი დინამიკებიდან.

— აუ, რა მაგარია, ტოო! ვინ არი ესა, ძმობას გაფიცებ?.. ჯაბას ევასება ესეთი რაღაცეები...

გოგირდის აბანოებთან ჩადის „ყაჩაღად“ ცილნაწამები, ეს, აწოწილი, მაგნიტოფონიდან კასსეტას იღებს და უწვდის:

— ა, ჩემგან გადაეცი... მე კიდევ ჩავწერ... და, თუ გინდა, შენც ჩაგიწერ...

— ოქრო ხარ! მაგრა გაუსწორდება...

* * *

...ეს XXI-ც მოიპარა, მყარად დადგა სულ ცოტა, ათასი წლით მაინც და კიდევ უფრო მეტის აბსურდულობით გაართულ-ჩახლართა ყველაფერი.

„08“ დიდი ხანია აღარავის ახსოვს, ალბათ, ნაწილებად დაშალ-გაყიდეს; ნაწნავიანსაც ვეღარ იცნობთ, ახლა სულ სხვაა— მოკრივესავით თმაშეჭრილი, „ჩაშარვალ-პიჯაკებული“, „ინსპექტორები“ ფეხზე, „რეიბანები“ თვალზე, ქამარში „სტეჩკინი“ აღარ, „მაკაროვი“ იღლიის ქვეშ, ჩუ, რა საყურე?! საათი და სამაჯურიც მარცხენიდან მარჯვენა ხელზე გადაიტანა, სვირინგი რომ დაეფარა. იაპონური ჯიპის საჭე უმალ დამყოლი და მყის დამჯერეა; ზაფხულობს თბილისი და გვერდით სავარძელში ნებივრად ჰალსტუხშეხსნილი „სალიდნი“ ბიძა უტყვი სახით და მსუბუქი „Marlboro“-ს ბოლებით მზეს ეფიცხება.

„ნავაროჩენი“ „CD“-შნიკიდან კი სწორედ ის ჯაზი...

— ვა, ეს რა კარგი რამეები გქონია, კაცო, შენ აქ, აა? კახას უყვარს ეგეთი მუსიკები... მე სამინისტროსთან ჩამოვალ.

ახლა ამას უწვდის... ამჯერად დისკს:

— ჩემგან გადაეცით, ბატონო...!

— აა-აჰ, კააარგი, კარგი! ესიამოვნება! შენ რას შვრები, არ ამოდიხარ?

აღარასოდეს, „სამინისტრო“, აღარასოდეს! ისედაც სულ ტყუილად შეგალიე ჩემი ცხოვრების სამი ყოვლად უნაყოფო და უინტერესო, წამებით გაწელილი და უსაშველოდ გრძელი თვე!

მაგრამ, ცხადია, ეს, აწოწილი, კარგ ოჯახში კარგადვე გამოზრდილი ამას როგორ ეტყვის?!..

* * *

— ასეც ვიცოდი! — აღტაცებას ვერ მალავდა ტახტზე მიგდებულ, ზიზღით დაჭმუჭნულ „შარვალ-პიჯაკზე“ მოფარფატე ფიქრია; იქვე იატაკზე ეყარა „ინსპექტორები“ და ამერიკელი რეინჯერივით გაბრაზებული ეგდო გაბზარული „რეიბანი“, ფიქრია კი ჰაერში ყირაზე გადადიოდა და გულწრფელსიხარულიანი სიცილით იგუდებოდა, — ვიცოდი! ვიცოდი! დარწმუნებული ვიყავი! სად შენ და სად — ეს... ესენი! ჰაჰა-ჰა! სად ერეკლე... ჰა-ჰა!

საზაფხულოდ თეთრსამოსიანი იაპონური ჯიპის მესაჭე კიდევ მოხერხებულ, „სტილნი“ სანდლებს ირგებდა ბოლო სამ თვეში „ინსპექტორებით“ გატანჯულ, დაკოჟრილ ფეხებზე; ფიქრია დაღლილ მხარზე ჩამოუჯდა, დიდხანს ეფერა ორივე ხელით გახოტრილ თავზე, მერე სიფრიფანა ფრთები შეარხია და ჯადოსნური, ფერია ხმით, სევდას რომ გავიწყებს და ღიმილის ნიჭს გაგონებს, ჩასჩურჩულა:

— იჩხვლიტები... თან არც გიხდება ასე... ან ისევ მოუშვი, ან სულ გადაიპარსე... საყვარელო სულელო!.. ახლა კი ჩართე ფერრი, გთხოვ...

მაესტრო ფერრიც, იმ ნიჭ-ნაპერწკლით განსაკუთრებული სიუხვით დაჯილდოებული, მარტის კატასავით მექალთანე, აპოლლონივით ლამაზი, დენდივით ელეგანტური მუდამ, თანამედროვე მუსიკის სალვადორ დალიდ წოდებული, ხავერდოვან, მომხიბლავ ხმას წყნარ როიალს, სევდიან საქსაფონს, ზომიერ ბას-გიტარას და თითქოს ბოშურ ვიოლინოს უზადოდ უზავებდა და ბედნიერმადლიერი იჩუქებოდა ამ თავის ნაქანდაკარს...

ესენი კიდევ, ეს აწოწილი და უკვე თავგაპარსული და ეს ფარფატა თვით მოფერება, ფერად ფიქრია, ფიქრით ფერია, ჩამთბარ-ჩამტკბარნი ყოვლისმომცველ ჰარმონიაში, ქვებს აგროვებდნენ, ალაგებდნენ და წესიერად აწყობდნენ გეგმას, თუ როგორ გამოაქანდაკებდნენ ულლლამმაზზეს დროს!.. ალბათ, გაზაფხულს და, ეჭვს გარეშე, სივრცისმიერ უსაზღვროებას!..

— მე ვიქნები შენი ბოსსი, — იცინოდა ფიქრია, — ანდა მორიგეობით ვიყოთ — ერთ დღეს — შენ, მეორე დღეს — მე!

დიდრონი, თეთრი ეშვებიდან ვარდისფერენაგადმოგდებული მარს კაიზერ ოზზი მხიარულად იღიმებოდა, რადგან თვალდახელშუა მატულობდა რიცხვი ქუჩის მაწანწალა კატების ბატის პაშტეტით მომასპინძლეთა.

ო, ეს მეოცნებე ოთხმოციანები...


სამშაბათს, 23 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

**გია მურღულიას**
პოეტური კრებულისა

**„საღამოს ლექსები“**

და აგრეთვე
**ახალი ლირიკული**
**ნაწარმოებებისა**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ინგა მილორავა

# სამი ეტლი

ერთ სოფელში ცხოვრობდა მშრომელი, კეთილი და პატიოსანი კაცი. ოთხი ვაჟი ჰყავდა. ერთად შრომობდნენ თავიანთ ნაყოფიერ მიწაზე, უვლიდნენ მშვენიერ ბაღს, სადაც აურაცხელი მსხმოიარე ხე და ფერადი ყვავილი ხარობდა, საღამოობით კი ერთად თლიდნენ ხისგან ყველასთვის საჭირო და ლამაზ ნივთებს. იმ მხარეში ყველას უყვარდა და პატივს სცემდა მშრომელ კაცს და მის შვილებს. ბიჭებს დედა არ ახსოვდათ, მხოლოდ კედელზე ეკიდა ნაზი და მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სურათი. ქალს ალერსიანი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და ისე იმზირებოდა ჩარჩოდან, თითქოს თვალს ადევნებდა, როგორ იზრდებოდნენ მისი შვილები. მამა არასოდეს ლაპარაკობდა დედაზე, თუმცა ალბათ არც ეცალა ამისთვის, ყოველ დღეს, საათსა და წუთს შრომაში ატარებდა. ერთხელ, ზამთრის ყინვიან საღამოს კაცი ტყიდან შინ დაბრუნდა, შემცივნებული ადრიანად ჩაწვა საწოლში და ვეღარც ადგა. რა არ იღონეს შვილებმა, რა წამალი არ უშოვნეს, როგორი ბრძენი და განსწავლული ექიმები არ მოძებნეს, მაგრამ არაფერი ეშველა. თვალსა და ხელს შუა ილეოდა და ქრებოდა მამა. ერთ დღესაც კაცმა იგრძნო, რომ მისი წასვლის დრო დადგა, საწოლთან მოუხმო სამივე ვაჟს და მძიმედ, სვენებ-სვენებით ამოთქვა სათქმელი:

„ჩემო შვილებო, თქვენ ჩემი თვალის სინათლე და გულის სიამაყე ხართ. მეძნელება განშორება, მაგრამ სხვა გზა არაა, მოვიდა ჩემი აღსასრულის ჟამი. მე აქამდე არაფერი მითქვამს დედათქვენზე, ახლა კი დროა ყველაფერი იცოდეთ. ის ლურჯი კლდეთა გრძნეული მბრძანებლის ასული იყო. ჩვენ შემთხვევით შევხვდით მზით განათებულ ველზე ერთმანეთს, ის დღე არასოდეს დამავიწყდება... მაშინვე ვიგრძენით, რომ უერთმანეთოდ ვეღარ გავძლებდით ამქვეყნად და ისიც უყოყმანოდ გამომყვა სოფელში. მამამისი, გრძნეული მბრძანებელი, განრისხდა, რომ მისმა ასულმა ადამიანის ცოლობა ისურვა და იკადრა, და შეაჩვენა შვილი, მაგრამ ჩვენ ერთად ძალიან ბედნიერები ვიყავით, ვუვლიდით სახლს, ბაღს, მიწას და ისინიც სითბოთი, მადლიერებით და სიუხვით ავსებდნენ ჩვენს დღეებს. მერე ერთმანეთის მიყოლებით დაიბადეთ თქვენ და სიხარულით ჩასახლდა გულში. მაგრამ ულმობელმა სენმა წამართვა დედათქვენის თავი. სიკვდილის წინ ცრემლიანი თვალებით მთხოვდა, არასოდეს მიმეტოვებინეთ და მუდამ თქვენს გვერდით ვყოფილიყავი... — ავადმყოფს გული ამოუჯდა, ცოტა ხანს გაჩუმდა, ამოიკვნესა, გული ამოაყოლა და ძლივძლივობით განაგრძო, — მამამისი, თქვენი ბაბუა, მის დაკრძალვაზე მოვიდა, დიდებული, ამაყი, მაგრამ დარდისგან განადგურებული. ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა, იმწუთას სიცოცხლეც აღარ მინდოდა, გარშემო ვერაფერს ვხედავდი. როცა ყველაფერი დამთავრდა, ბაბუათქვენი მოვიდა ჩემთან, ზვიადად გადმომხედა და მითხრა: „შენ წამართვი შვილი, მაგრამ ამქვეყნად დარჩა ოთხი არსება, რომელიც მისი ნაწილია. ისინი შენი შვილები არიან და მე ვერ წაგართმევ, არც შენ გამატან ცოცხალი თავით, მოუარე და უპატრონე ღირსეულად. მე არ შეგაწუხებთ, მაგრამ როცა სრულწლოვანნი გახდებიან, გამოვუგზავნი იმას, რაც შესაძლებლობას მისცემთ აირჩიონ თავიანთი გზა. ჩემი შვილის მოსაგონრად გავაკეთებ ამას“. — მითხრა ეს და გაქრა. ძალიან მინდოდა თქვენს გვერდით ვყოფილიყავი, როცა ეს დღე დადგება თითოეული თქვენგანის ცხოვრებაში, დაგხმარებოდით, რომ სწორად აგერჩიათ თქვენი გზა, მაგრამ ვერ შევძელი, არ გამომივიდა. ახლა გემშვიდობებით და გტოვებთ ამქვეყნად, მაგრამ არ მეშინია, რადგანაც მჯერა, რომ მშრომელი, ღირსეული და კეთილი ადამიანები იქნებით, არ გააცივებთ კერიას, დაეხმარებით ადამიანებს, გეყვარებათ დალოცვილი მიწა და ერთმანეთი, და სწორად აირჩევთ თქვენი ცხოვრების გზას. მაგრამ თუ შეგეშლებათ, გახსოვდეთ, რომ უკან დასაბრუნებელი გზა სინანულზე გადის და ის ყველასთვის არსებობს. მე კი თუმცა აღარ ვიქნები ამქვეყნად, მაინც არასოდეს მიგატოვებთ და სიცივეში, როცა უცებ სითბოს იგრძნობთ, გახსოვდეთ, რომ ეს ჩემი სიყვარულია“.

თქვა ეს მამამ და სულიც განუტევა. ბიჭები დადარდიანდნენ, დიდხანს გლოვობდნენ და გულში ფიქრობდნენ, რომ მის დანაბარებს შეასრულებდნენ. გავიდა ხანი. მობრძანდა ოქროსფერი ზაფხული. უფროსი ძმა ამ ზაფხულს ხდებოდა სრულწლოვანი. გათენდა მისი დაბადების დღე და დილაადრიან ძმებს ცხენების ჭიხვინი და ზარების წკრიალი მოესმათ. გამოცვივდნენ გარეთ და დაინახეს, რომ ჭიშკართან სამი ეტლი იდგა. თეთრ ცხენზე თეთრტანსაცმლიანი თეთრწვერა მოხუცი იჯდა. მოხუცი ჩამოქვეითდა, თაყვანი სცა ძმებს და თქვა:

— ეს სამი ეტლი ლურჯ კლდეთა დიდმა მბრძანებელმა გამოუგზავნა თავის უფროს შვილიშვილს. კარგად დააკვირდი, ჩემო ბიჭო, რომელს აირჩევ, რადგან შენს მომავალ ცხოვრებას და გზას ირჩევ ახლა.

ძმები გაოცებული და აღფრთოვანებული შესცქეროდნენ ეტლებს:

პირველი ეტლი შავი იყო, ჩუქურთმებით მორთული, სამეფო გერბი ბრწყინავდა მის კარზე. შავი ბედაურები ფლოქვებს სცემდნენ მიწას, კოფოზე ოქრომკედით მოქარგულ სამოსში გამოწყობილი მეეტლე იჯდა, აქეთ-იქით კი ეტლს შავ ცხენებზე ამხედრებული ოცი მეომარი მიჰყვებოდა. ეტლში კი შავატლასგადაკრულ დასაჯდომზე, თეთრი აბრეშუმის ბალიშზე იდო სამეფო გვირგვინი.

მეორე ეტლი ოქროსი იყო, ძვირფასი თვლებით შემკული, მასში მდიდრულად აღკაზმული ოქროსფერი ცხენები იყო შებმული. დასაჯდომზე კი წითელი ატლასის ბალიშზე იდო ულამაზესი ოქროს ზარდახშა.

მესამე თეთრი ეტლი მზეზე ბრწყინავდა. ათასფერი მხიარული ნახატებით შეემკო ოსტატს. თეთრი წვრილფე-

ხება არაბული რაშები მოუთმენლად ფრუტუნებდნენ. კოფოზე მეეტლის ნაცვლად ფერად ტანსაცმელში მორთული ჯამბაზი იჯდა, ეტლიც სავსე იყო მხიარული ჯამბაზებით, ფერადკაბებიანი მშვენიერი მოკისკისე ქალებითა და მუსიკოსებით, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტზე სიამისმომგვრელ მელოდიებს უკრავდნენ. ყველას წითელი ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში. ჯამბაზები დროდადრო ხტებოდნენ ეტლიდან, ყირაზე გადადიოდნენ, თან ისე, რომ ერთ წვეთ ღვინოსაც არა ღვრიდნენ, მაშინ მუსიკოსები კიდევ უფრო მხიარულ მუსიკას უკრავდნენ, მშვენიერი ქალბატონები კი ზარებივით წკრიალა ხმით უფრო ხმამაღლა კისკისებდნენ.

უფროს ძმას ბევრი არ უფიქრია. გულმა შავი ეტლისკენ გაუწია. ძმები აღარც კი გახსენებია, უკან არც მოუხედავს, ისე მიეჭრა შავ ეტლს, ავიდა, დაბრძანდა და თავზე მეფის გვირგვინიც დაიდგა. მაშინ თეთრტანსაცმლიანმა თეთრწვერა მოხუცმა ქედი მოიხარა ძმების წინაშე, ხელი აიქნია და სამივე ეტლი გაქრა. ძმები მიხვდნენ, რომ უფროსი ძმა მათგან წავიდა და გული ჩასწყდათ, თუმცა ბედნიერი გზა უსურვეს.

*ილუსტრაცია ავტორისა*

გამოხდა ხანი. ჩაიარა დღეებმა და ღამეებმა, მოვიდა მწიფე და უხვი შემოდგომა. მეორე ძმა შემოდგომაზე იყო დაბადებული. გათენდა მისი დაბადების დღის დილა და ძმებმა ისევ გაიგონეს ცხენების ფრუტუნი და ზანზალაკთა წკრიალი. ახლა უკვე იცოდნენ, რომ მეორე ძმას უნდა აერჩია თავისი გზა, თეთრწვერიანი მოხუცის განმარტება აღარც დასჭირდათ. მოხუცი კი ისევ იქ იყო სამ ეტლთან ერთად და გულხელდაკრეფილი ელოდა მეორე ძმის არჩევანს. მეორე ძმა არც კი დაფიქრებულა, თავიდანვე თვალი დაადგა ოქროს ეტლს. ახლა, როცა მისი ჯერი მოვიდა, გახარებული უკანმოუხედავად გაიქცა, ოქრომკედით მოქარგულ დასაჯდომზე მოხერხებულად მოეწყო, მშვენიერი ოქროს ზარდახშა გახსნა და სიხარულისგან შეჰყვირა, ზარდახშაში ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე დიდი და წმინდა წყლის თვლები ეყარა. მეორე ძმამ ხელი ამოურია ფერად ელვარე თვლებში, აღარ იცოდა რა ექნა, ურევდა, ურევდა ხელებს ბრჭყვიალა ქვებს, ტკბებოდა მათი ციმციმით, ყველაფერი დაავიწყდა... მაშინ თეთრმა მოხუცმა თაყვანი სცა ძმებს, ხელი აიქნია და სამივე ეტლიც გაქრა.

ახლა შინ ორი ძმაღა დარჩა. ისინი ცდილობდნენ გაემხნევებინათ ერთმანეთი, ერთად მუშაობდნენ ბაღში, მიწაზე, თლიდნენ ხისგან სხვადასხვა ლამაზ და საჭირო ნივთს, საზამთროდ შეაკეთეს სახურავი და ზამთარიც მოვიდა, ჩამოთოვა, გზები გაიყინა და ბუხრებთან ზღაპრების დრო დადგა. მესამე ძმა ზამთარში იყო დაბადებული და მისი დაბადების დღის ვერცხლისფერ სუსხიან დილას ისევ გაისმა ჭიშკართან ცხენების ჭიხვინი, ფლოქვების ხმა და ზანზალაკთა წკრიალი. ძმები გარეთ გამოვიდნენ. მესამე ძმა ხარბად შესცქეროდა თეთრ ეტლს, რომელშიც ფერადკაბებიანი მხიარული ქალები, ჯამბაზები და მუსიკოსები ისხდნენ, ისეთი ნაზი, ჰაეროვანი კაბები ეცვათ ქალებს, თითქოს სულაც არ ყინავდა, ისე ხტოდნენ მოყინულ გზაზე ჯამბაზები, რომ ერთხელაც არ დასცდენიათ ფეხი, მუსიკოსები კიუკრავდნენ მელოდიებს, რომელიც თავდავიწყების ნაირფერ ბურუსში ხვევდა ადამიანს. მესამე ძმას აღარც შეუხედავს უმცროსისთვის, ისე გაიქცა მესამე ეტლისკენ, ჯამბაზებმა ხელი შეაშველეს, აიყვანეს და ის უცებ აღმოჩნდა ამ მოზეიმე ადამიანთა შუაგულში. უცებვე შეაჩეჩეს ღვინით სავსე ბროლის ჭიქა, ჯამბაზები ყირაზე გადავიდნენ, მუსიკოსებმა ამქვყნად ყველაზე მხიარული მელოდია დაუკრეს და ეტლი სიცილ-კისკისში ჩაიძირა. თეთრმა მოხუცმა თაყვანი სცა ჭიშკართან დარჩენილ ყველაზე უმცროს ძმას, ხელი აიქნია და სამივე ეტლი გაუჩინარდა.

დარჩა მარტო მეოთხე ძმა. უვლიდა სახლს, ბაღს, მიწას, საღამოობით კი იჯდა ბუხართან და თანასოფლელთათვის მშვენიერ და სასარგებლო ნივთებს თლიდა, ისე, როგორც მამამ ასწავლა. ამასობაში კი გაზაფხულიც მოვიდა. ხეებში წყალი ჩადგა. ნაკადულები აწკრიალდნენ, ამოიწვერა ჯეჯილი, მიწა მოირთო ყვავილებით და მერცხლებიც მოფრინდნენ. მეოთხე ძმა გაზაფხულზე იყო დაბადებული. მოვიდა მისი დაბადების დღეც და ისევ ჩამოდგა ჭიშკართან სამი ეტლი. უყურებდა მეოთხე ძმა ეტლებს და ფიქრობდა: „მაგრამ მე რომ არცერთი ეტლი არ მხიბლავს? არსად არ მინდა წასვლა. გაზაფხულია, იმდენი სამუშაოა, ვინ მოუვლის ბაღს, ვინ მიხედავს მიწას, ყანას, ან სახლი როგორ უნდა გამოვკეტო, აქ ხომ მამასა და ძმებთან გატარებული საღამოებია. ის საღამოები ხომ არსად გამქრალა, ისევ ამ სახლშია, კედელზე კი დედის სურათი ჰკიდია, აქ, ჩემს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მიყვარს, ჩემი მეგობრები არიან და იმ გორაკს იქით კი მამის საფლავია...“ უმცროსი ძმა უხმოდ შებრუნდა და შინ შევიდა. თეთრმა მოხუცმა კი ხელი აიქნია და სამივე ეტლი გაქრა.

გადიოდა დრო. მეოთხე ძმა შრომობდა, უვლიდა სახლკარს, მიწას, ბაღს. მერე, ერთ მშვენიერ დღეს დაინახა გოგონა, რომელსაც მიწასავით შავი თვალები და მზის სხივებისფერი თმა ჰქონდა და გულში ჩაუვარდა. გოგონასაც შეუყვარდა მეოთხე ძმა და შემოდგომის თბილ, ატმის სურნელით სავსე დღეს მთელმა სოფელმა თავი მოიყარა მათ ქორწილში. წლები ცხენებივით მირბოდნენ სიცოცხლის ველზე. მეოთხე ძმას და მის ცოლს შვილები შეეძინათ,

სახლი და ეზო სიხარულმა აავსო. გავიდა ხანი, მერე შვილები მხარში ამოუდგნენ მამას და ახლა მასთან ერთად უვლიდნენ ბაღს და მიწას, საღამოობით კი ბუხრის პირას ერთად თლიდნენ ლამაზ და საჭირო ნივთებს მთელი სოფლისთვის. წლები კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ — შრომასა და სიყვარულში, ფიქრსა და ზრუნვაში, ხანდახან დარდსა და ტკივილში, მერე ისევ სიხარულსა და შვებაში და სახლი უკვე შვილიშვილების კისკისმა აავსო. მეოთხე ძმის თმაზე ჩამოთოვა, ახლა უკვე იმდენს ვეღარც შრომობდა, მაგრამ მაინც ცდილობდა გვერდში ამოსდგომოდა შვილებს.

ზაფხულის ერთ ცხელ, დახუთულ საღამოს, როც ნიავიც კი არსაიდან ჰქროდა, სახლის ფანჯარაზე ვიღაცამ მიაკაკუნა.

— გადი, ნახე, ვინაა. — სთხოვა მამამ უფროს შვილს.

კაცი გარეთ გავიდა და მალე წელში მოკაკულ, თავით ფეხამდე ძონძებში გახვეულ აკანკალებულ მოხუცთან ერთად დაბრუნდა.

— აი, ფანჯრის ქვეშ იჯდა, ძლივს წამოვიყვანე, ძალიან ეშინია, — თქვა ვაჟმა.

მეოთხე ძმა მიუახლოვდა აკანკალებულ, წელში ოთხად მოკეცილ მოხუცს, უნდოდა ეთქვა, აქ ნურაფრის გეშინია, ჩვენი სტუმარი ხარ და ღირსეულად გიმასპინძლებთო, მაგრამ შეხედა თუ არა მოხუცის ნაოჭებით დაფარულ გამხდარ სახეს, უცებ ადგილზე გაშეშდა და თავბრუ დაეხვა. ეს ხომ მისი ძმა იყო, მისი უფროსი ძმა! მეოთხე ძმამ გულში ჩაიკრა უფროსი ძმა და ისიც, მის განიერ და თბილ მკერდზე მიყრდნობილი, ჩუმად ატირდა. როცა მოხუცი დაბანეს, თეთრი ტილოს პერანგი და შარვალი ჩააცვეს და დაანაყრეს, მისი ამბის დროც დადგა.

მე დიდი და ძლიერი სახელმწიფოს მეფე ვიყავი. განუზომელი იყო ჩემი ძალაუფლება, ყველა და ყველაფერი ჩემი შიშით ძრწოდა. ჩემს ბრძანებას ემორჩილებოდა უძლეველი ჯარი, მდიდარი ქვეყანა. ყველა თაყვანს მცემდა, პოეტები ლექსებს მიძღვნიდნენ, მხატვრები ჩემს პორტრეტებს ხატავდნენ და მერე ის პორტრეტები ყველა ქვეშევრდომს ყველაზე გამოსაჩენს ადგილას ეკიდა და ყვავილებით ამკობდნენ. მე სასტიკი და დაუნდობელი ვიყავი, ვტკბებოდი ჩემი ძალაუფლებით, არავის შეეძლო ჩემთვის წინააღმდეგობის გაწევა და მეც თანდათან დამავიწყდა, რომ შენ უნდა შეეწინააღმდეგო შენს თავს, როცა სიკეთე ნელ-ნელა გტოვებს. არც ვფიქრობდი ამაზე, დღე და ღამე გარს მეხვია უამრავი ადამიანი, რომლებიც ხოტბას მასხამდნენ და სიყვარულს მეფიცებოდნენ. ასე გადიოდა წლები და მე ამქვეყნად ყველაზე ძლიერი მეგონა თავი, მაგრამ ჩემმა ცბიერმა ვეზირმა მოინდომა გამეფება და შეთქმულება მოაწყო. ღამით დამესხნენ თავს მკვლელები, დაცვამ მიღალატა, მეგობრები რომ მეგონა, იმათაც მიღალატეს... საიდუმლო გასასვლელით თავი დავაღწიე მკვლელებს და გავიქეცი. ვხედავდი, როგორ წვავდნენ ჩემს სურათებს ქუჩებში, ისინი, ვინც ადრე ჩემს წინ მიწაზე დაღოღავდა. ვისაც კი მივაკითხე, ვინც სამუდამო ერთგულებას მეფიცებოდა, არავინ დამეხმარა, ზოგმა შინ არ შემიშვა, ზოგმა კი შეთქმულებს უხმო. როგორღაც დავაღწიე მაინც თავი. დიდხანს დავეხეტებოდი ასე, მარტოდმარტო, შიშით და ზაფრით სავსე გულით. ერთ ღამეს კი სიზმარი ვნახე: ჩვენ, ოთხივენი და მამა, ვისხედით ბუხრის პირას და ხისგან ვთლიდით ლამაზ თოჯინებს. გული შემეკუმშა და გადავწყვიტე, როგორმე კიდევ ერთხელ მენახა ჩემი სახლი, ჩემი ბაღი, ჩემი მიწა... დავბრუნებულიყავი იქ, სადაც ოდესღაც მართლა ვუყვარდით, მართლა ადამიანი ვიყავი, მიუხედავად იმისა, ძალაუფლება მქონდა თუ არა...

უმცროსმა ძმამ გულში ჩაიკრა უფროსი. პატარა შვილიშვილები ჯერ ერიდებოდნენ უცხო მოხუცს, მაგრამ მერე თანდათან გაუშინაურდნენ, კალთაშიც ჩაუსხდნენ, წვერზეც მოქაჩეს, ნაოჭებზეც მიეფერნენ და მოხუცმა ძმამ იგრძნო, რომ მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა.

მოვიდა შემოდგომა. აიღეს და დააბინავეს მოსავალი. დაიწყო დიდი წვიმების დრო. ერთ წვიმიან საღამოს სახლის კარზე კაკუნი გაისმა. მეოთხე ძმის ცოლმა კარი გააღო და ოთახში ერთიანად გაწუწულ, ჩონჩხივით გამხდარ მოხუცს შემოუძღვა.

— მობრძანდი, ცეცხლთან, გაშრი, გათბი და ლუკმაც გატეხე ჩვენთან, მგზავრო, — მიიპატიჟა მეოთხე ძმამ მოხუცი. როცა მგზავრმა მოსასხამი გაიხადა, უფროსმა და უმცროსმა ძმამ ერთად შეჰყვირეს, ეს გაძვალტყავებული, ღონემიხდილი კაცი მათი მეორე ძმა იყო...

ძმები უყურებდნენ, როგორ ხარბად ჭამდა მეორე ძმა, როგორ იტენიდა ლუკმებს პირში, როგორ აცეცებდა დამშეულ თვალებს აქეთ-იქით და გული უკვდებოდათ. როცა მეორე ძმა როგორც იქნა დაპურდა, გაშრა და გათბა, თავისი ამბავი უამბო ძმებს:

„მე ამქვეყნად ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი ვიყავი. ოქროს სასახლე მედგა, ჩემს გემებს შორეული ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ ოქრო, ძვირფასი თვლები, სანელებლები და ფარჩა-ატლასი. ჩემი მარნები სავსე იყო უძვირფასესი ღვინოებით, საწყობები — ურიცხვი საქონლით, სკივრები — ფულით, ყველა თაყვანს მცემდა და ფეხქვეშ მეგებოდა, ოქროს ბრჭყვიალში დაბანგული ვისმენდი მათ მაამებელ სიტყვებს და თანდათან დამავიწყდა გულმოწყალება, თვალს ვხუჭავდი, როცა ღარიბ და მშიერ ბავშვებს ვხედავდი, მეტიც, მე უკვე მძულდა სიღარიბე და სისუსტედ, სიმახინჯედ მივიჩნევდი. ისინი კი, ვინც გარს მეხვია, მაქებდნენ, მადიდებდნენ და ჩემთან ერთად ტკბებოდნენ ყველა მიწიერი სიამით. მაგრამ ერთხელაც ჩემი საწყობები ცეცხლმა შთანთქა, გემები შორეულ მღელვარე ზღვებში ჩაიძირნენ, სასახლეები მიწისძვრამ დაანგრია და თვალ-მარგალიტი მიწამ ჩაყლაპა. ნელ-ნელა დამედო ვალები, თანდათან გაიყიდა ჩემი მარნები, ბაღები, შემორჩენილი სახლები, ძვირფასი ნივთები და ბოლოს უსახლკარო დავრჩი, მიუსაფარი, მშიერი, ღატაკი, მარტოდმარტო ღია ცის ქვეშ. არცერთმა ძველმა მეგობარმა აღარ ისურვა ჩემი ნახვა, მშიერს კარი მომიხურეს, დამცინეს კიდეც... დიდხანს დავეხეტებოდი მარტოსული, დარდიანი, გულგატეხილი, სინანულით სავსე და ერთ ღამეს, ხის ქვეშ მიგდებულს მესიზმრა, რომ ჩვენ, ოთხივენი და მამა, ვისხედით ბუხრის პირას და ხისგან ლამაზ სკამებს ვთლიდით, და მაშინ მომინდა კიდევ ერთხელ მენახეთ, ჩემო ძმებო, მენახა სახლი, სადაც ბედნიერი, მშრომელი და კეთილი ვიყავი ოდესღაც“.

მეორე ძმამ თავი ჩაქინდრა და ატირდა.ძმები დუმდნენ. უცებ მოხუცთან მეოთხე ძმის პატარა შვილიშვილი მივიდა, პატარა გოგონა, რომელსაც მიწასავით შავი თვალები და მზის სხივებისფერი თმა ჰქონდა, ფრთხილად მოქაჩა კალთაზე და ჩუმად ჰკითხა:

— რატომ ტირი, ბაბუ? გინდა ჩემს თოჯინას გაჩუქებ და ითამაშე, ოღონდ არ იტირო.

მეორე ძმამ ხელში აიტაცა პატარა გოგონა, გულში ჩაიკრა და გამოლეული სახე მის მზის სხივებისფერ რბილ თმაში ჩამალა.

გავიდა დრო. მოვიდა ზამთარი. ჩამოთოვა. გზები შეიკრა. ფანჯრები მოხატა ყინვამ. ზამთრის ერთ ცივ საღამოს, როცა გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა, სახლის კარზე სუსტი კაკუნი გაისმა. მეოთხე ძმამ კარი გააღო და ადგილზე გაშეშდა. მის წინ მესამე ძმა იდგა. დაბერებული, უზომოდ გასუქებული, ძლივს ადგამდა დასიებულ ფეხებს. ძმები მიეშველნენ, სავარძელში ჩასვეს, მეოთხე ძმის ცოლმა ცხელი რძე დაალევინა და როცა დაისვენა და გათბა, მანაც უამბო ძმებს თავისი თავგადასავალი:

„მე ერთ დიდ, მხიარულ ქალაქში ვცხოვრობდი. მთელმა ცხოვრებამ ქეიფში, გართობასა და დროსტარებაში გაიარა. ათასნაირ საკრავზე ვუკრავი, ვმღეროდი, ვცეკვავდი, მუდამ გარს მეხვივნენ მხიარული, უდარდელი ადამიანები, მხოლოდ უგემრიელესი კერძები და უძვირფასესი ღვინო იდო ჩვენს მაგიდებზე. მაგრამ გადიოდა დრო და წვეულებებიდან, მეჯლისებიდან შინ დაბრუნებულს სულ უფრო ხშირად მაწვებოდა გულს ნაღველი. მარტო ვიყავი, არავის ვუყვარდი, არავინ მიყვარდა, შინიდან გასულს არავინ მელოდა... მერე და მერე შინ ჩავიკეტე, აღარ მიმიწევდა გული გარეთ და მაშინ ყველამ, ვინც ჩემს მეგობრად მიმაჩნდა, დამივიწყა. მათ მხოლოდ მხიარული, ჯანმრთელი და ბედნიერი ვუნდოდით, მხოლოდ გართობა და სიმღერა სურდათ ჩემთან ერთად, დარდიანი მოხუცი კი აღარაფერში სჭირდებოდათ. სულ მარტო დავრჩი და ერთ ღამეს მესიზმრა, რომ ჩვენ, ოთხივენი და მამა, ვისხედით აქ, ჩვენს სახლში ბუხრის პირას და ხისგან ლამაზ საკრავებს ვთლიდით და მაშინ ვიფიქრე, რომ უნდა დავბრუნებულიყავი იქ, სადაც მხიარულიც და სევდიანიც, უბედურიც და ბედნიერიც ერთნაირად საყვარელი და ძვირფასი ვიყავი ოდესღაც“.

ძმებმა გულში ჩაიკრეს მესამე ძმა. ოთხივე შეეცადა ცრემლი შეეკავებინა. ბავშვები კი მათ გარშემო დარბოდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ და ბოლოსდაბოლოს ძმებსაც გულიანად გაეცინათ.

იბობოქრა, იბობოქრა ქარიშხალმა და ჩადგა. იბატონა, იბატონა ზამთარმა და მისი ბატონობის დროც დამთავრდა. მოვიდა გაზაფხული. დადნა თოვლი. ხეებზე კვირტები გამოჩნდნენ. გათბა დედამიწა და მაშინ ოთხივე ძმამ ერთად გაიტანა ყანაში გუთანი, გაავლეს ხნული, მიაბიჯებდნენ და გრძნობდნენ, რომ მეხუთეც, მამაც, მათთან ერთად ადგამდა ფეხს ამ მადლიან შავ მიწაზე.

**გურამ ქართველიშვილი**

# მზე

ჯეელმა სიფათმა ისეთი გამომეტყველებით შემოიხედა სარკმელში, თითქოს ჯოჯოხეთი დაენახოს. არადა ოთახში ბევრი არაფერი ხდებოდა. იჯდა მაგიდასთან ლადო და წერდა. სამი დღის მშიერი კუჭის ჩივილს ვერც გრძნობდა, რადგან მთელი სისხლი ტვინის კვებაზე ჰქონდა გადართული. სიფათს კი წამიერად იმიტომ გახედა, რომ სარკმლიდან შემომავალი მზე დაუჩრდილა.

— კიდე სწერამ?

ლადოს საიდანღაც მოსული წინადადება დაენანა, წერა გააგრძელა და სიფათი უპასუხოდ დატოვა.

— მაინც რასა სწერამ ეგეთსა?

— ვეფხისტყაოსანს... მაშ, — პაუზით დაუბრუნა, მიტრიალდა და სიფათის მამლის ბიბილოსავით დაყენებულ „პრიჩოსკას“ მიაშტერდა.

— ვეფხისტყაოსანსა? რაზეა? — ცნობისმოყვარედ დაკარკლა თვალები სიფათმა.

— ვეფხვებზე. — მასპინძლის მოთმინებით უპასუხა ლადომ, ოღონდ ისეთი კილოთი, აი, გზას ბარაქა დააყოლეო, რომ იტყვიან.

ახალგაზრდამ ქათქათა ღოჯები გამოაჩინა:

— ვეფხვები? ვა, მაგარია, რა... წამიკითხამ, რომ მორჩები.

— თვითონ წაიკითხე.

— წავიკითხო არა... — იუკადრისა სიფათმა.

— შენ ის მითხარი, ეგრე ვინ გაგილამაზა თავი?

— რაიონში შამკრიჭეს ძმაკაცებმა.

— რას გერჩოდნენ?

— ე, რას ამბობ?! თითონაც ეგრე აქვთ დაყენებული. ამასა პროტესტი ქვიან. არ მოგწონს, არა? ოცდამეერთე საუკუნეა, ლადო ძია. თვენთი ვან, მაშ!

— მაინც ჩამორჩენილი კაცი ხარ.

— რათა?

— რათა და ეგ თმის პოჩოჩი წითლად უნდა შეიღებო, ცხვირში ძვალი გაიყარო და ხიდან ხეზე გადახტომა ისწავლო ყივილით. მთელი ამერიკის თვენთივანელი ახალგაზრდობა ეგრე იქცევა თურმე. გული არ გაიტეხო, მალე დაეწევით.

თავისი უცოდინრობის გამო კოპებშეკრულმა სიფათმა მამლის ბიბილოსავით „პრიჩოსკაზე“ ხელები აისვა, მაგრა იყავიო, დაიბარა და გაქრა. სარკმელში მისი ადგილი ისევ მზემ დაიკავა და ლადოს თვალები დაახუჭინა. ცოტახანს ასე იჯდა და, სანამ წერას დაუბრუნდებოდა ფიქრით იკითხა:

— შენთვის რომელი საუკუნეა, მანათობელო?

**რეზო ესაძის შინაგანი მოტივია ბგერწერა. მას ახასიათებს თანხმოვნებისა და ხოვნების მოშველიება ჰარმონიისა და კეთილხმოვანების ეფექტის შესაქმნელად, მაგრამ აღნიშნულ ცდებს აქვს კიდევ რაღაც სხვა, ფარული მიზანი და თუ ამ მიმარულებას გავყვებით, დავინახავთ, რომ ლექსის ტექნიკის ეს მხარე სიმშვიდისა და გაწონასწორებულობის განცდასაც ქმნის.**

**ეს არის გზა აღქმის თავისუფლებისაკენ. ავტორს სურს შეგვიქმნას სიმშვიდის, უშფოთველობის, უშუალობის მდგომარეობა, რათა წაიშალოს გაუცხოების, განზიდვის დისტანციურობის ზღვარი, რაც საერთოდ ხელს უშლის წაკითხვას, აღქმას, გააზრებას, აზრის სტრუქტურაში შეღწევას, ტექსტის გახსნაში მონაწილეობას, დასწრებას.**

**რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ლექსის ბგერწერა თემატიკას უკავშირდება, ძირითადი მოტივების გადმოცემის საშუალებაა. ამ ნიშნით, ამ ელფერით არის გაფორმებული მორალურ-ზნეობრივი საკითხები, რაც რეზო ესაძის ლექსებში თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი.**

**არის აგრეთვე დინამიკა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ლექსი სიტყვებით კი არა, მოძრაობით, საგნითა და განცდათა მონაცვლეობით იწერება.**

**ამიტომ ჩნდება კითხვა: ლექსი გვესმის თუ ლექსს ვხედავთ?**

**რეზო ესაძე**

## ბალადა მეცხვარეზე, შენზე, ჩემზე და მხედარზე

(და) დილის სისხამს არ გაათბობს მზის სიელვარე,
არ დაფანტავს ალალ ლალებს
და არ მოვისმენ სიმღერას მისას...

იყავი მძლე და ერთადერთი, მაშინაც როცა
მარტო იყავი, არავინ იყო
დაგინახე და გავიოცე...

იყავი მეტად მსუბუქი და შენს სიმსუბუქეს,
აქანავებდა სხეულს ქარი
და მე ვისმენდი მშვენიერ სიტყვებს...

იყო მოლი და ანკარა წყალი,
სიშორეები გამჭვირვალე, მშვენიერი
და ყველაფერი იხატებოდა შენი სხეულით

გულისხმიერი, მათრობელი როგორც ზედაშე.
უცებ, მთიელი, მომქროლავ რაშით
შემოგვეფეთა ბილიკზე მაშინ, —
მე და შენ...

დამფრთხალი ცხვარი აირია ფანტელებივით,
გამოეღვიძა მძინარ მეცხვარეს.
გამოიხატა წყენა მის ხმაში...

შეგხედა და მოეწონე მას მეყსეულად (გიყურებდა, გიფრთხილდებოდა).
სხვა ვერაფერი მოიფიქრა და
გამოგიწოდა იმან ყვავილი.

მე არ ვიცოდი რა უნდა მექნა:
უცხო ეჭვმა გული დაწურა,
როს ის ყვავილი ნედლი, სამყურა
გადმოგაწოდა მან ჩემი ხელით...
და შევეცადე გაგშორებოდით
მაგრამ მეცხვარე მოგეწონა თითონ და რომ არ
დამფრთხალი ცხვარი,
გაგრძელდებოდა ლაპარაკი უშუალო ამით
და მეცხვარე იგი თვალმარღი

მიგიწვევდა თავის კარავში —
და გიხილავდა უფრო თმაგაშლილს,
მოგიყვებოდა საოცარ ამბებს...
ამოვისუნთქე თავისუფლად როს ეს არ მოხდა...

და როცა ხიდზე გავედით გაღმა
აღარ გვესმოდა ცხვრის პეტელი, ხმები მეცხვარის...

ახლოვდებოდა უმთვარო ღამე
(და) წინ ბილიკი იტოტებოდა
კარწახოვანი არემარე
(და) (ყველაფერი მაშინ)...
მეცხვარისა და შენს ამბავს უხმოდ
ყვებოდა...

## დარდი

ჩამოღვენთილი ზეა
ქვეა წასული ზე ვით,
ან მოწყენილი მზეა
და ცაა, მეტის მეტი...

არცაა ქარი, არც კი,
მაღლა ეკვრება ალვა,
და ზე ვერ ავა კაცი,
ვერ დაეშვება დაბლა

გაქვავებული გვალვა,
ლოდინი — ლოდზე მძიმე...
და არ სჭირია მალვა
ცრემლს ღაწვზე მოციმციმეს

გულზე გართხმულა დარდი:
მთვარე, მზე, ავი დარი.
მჭიდროდ დახშული კარი
სურო და კოინდარი

და მოლოდინი, კვლავაც,
სიჩუმე, ოდნავ ჩქამი,
დარჩება, არსად წავა
დილითაც, დღითაც, ღამით

იგივ ლოდინი, ისევ,
როგორც დღეს, ხვალ და გუშინ
დარდი დარდს შემოიხვევს
და ჩაიქცევა გულში...

## „ჰაი ჰამას“: ანუ სიზმარში წამოძახილი

გამოგონილო ბუტაფორავ, ხარ ვითომ მეხი,
ჯერ არ ნახულო ავკაცობავ, სიმყრალევ ნეხვის —
შენ იმთავითვე მიეყიდე ეშმას და მზაკვარს
გადააფურთხე სალოცავს და ბავშვობის აკვანს —
შენს სახვალიო მოგონებებს თავს დანა უდევს
დანაწევრებას მით უქადი ღვთით დაცულ ბუდეს
მრუდეა, მრუდე, აღარ კმარობ? უძღებო ზრახვავ,
აღარ მობრუნდე, წყეული ხარ, წყეული წახვალ!

## ბალადა შინმოუსვლელზე

აქ სამუდამო რაა,
არცა რაა და რაა,
იქით მსუბუქი მთაა,
აქეთ, მსუბუქი „ცია“

გადიზნიქება ტოტი,
სიო ხუმარებს, — დარდი.
ჭოტებს გასძახის ჭოტი —
„მიყვარხართ, ვით მიყვარდით!“

გაინაბება ნამი,
გაიველება ველი
როგორც ნახტომი წამის,
როგორც ჭრილობა კედლის

დაიღალება დღე და
თავს დადებს მუხლზე ღამის...
ღამე — შავებში დედა,
დღე — ბავშვობაა წამის.

ასე, სიჩუმე ხმაა,
ხმა — სიჩუმეა დიდი...
მონატრებაა — რაა (?!)
ბილიკზე კაცი მიდის...

მერე სუნია გვიმრის
მერე ხმაურობს ჭალა.
სიო უკვე არ იძვრის...
შვილი?! — შრიალებს ჩალა.

## ერთი მოხევე ქალი

*ციცის*

მეხება შენი თმები
(და მოჰქრის ივნისის ქარი...
შორს, ახლობელია ხმები,
ახლოს, ხმა ჯადოქარი!

სულს გადაიწნავ მკლავზე
და გამოგყვები მხარ-მხარ...
ვჩურჩულებ, — სილამაზევ
ბილიკი ხარ, თუ გზა ხარ?!

ან ხეს წასული სურო
(სანთელი ჩაუმქრალი)
დედოფალი ხარ ყუროს —
ერთი მოხევე ქალი.

## ამ ლაზარობის უკვდავ ნეტაფრასს

ისევ დატბორა ტკივილმა სახე
როცა თვალს ვახელ იწყება მარტი.
ვერც იასპერსი და ვერცა სარტრი
გაითავისებს ამ განცდის ნახევს

ვერსად წაუველ მე ბედისწერას,
რაც თავი მახსოვს, მათოვს და მაწვიმს,
არც ჰაიდეგერს და არც რენე შარს
მე არ ვენდობი და არ ვცნობ ანი!

ამას მკარნახობს ბაღი და კერა,
მშობლიურია ისინი რაკი,
ვერ მომაშორებთ, ვერასგზის ვერა
თავს ცისარტყელად მადგას აკაკი

სად სული მუდამ მშობლიურს ელის
და შეუვალად ვალმოხდილია —
ვით დედაბოძი დგას რუსთაველი,
ვით სატევარი ელავს ილია...

ბობოქრობს ვაჟა როგორც გრიგალი,
როგორც კლდეკარი დგას ის კარიბჭედ
სასთუმალს მედო დავითიანი
როს საქართველო აკვნად დამირწეს

დაჰბერე ქარო, რომ არ დამიწდეს
ოქრო ტაბიძე გალაკტისანი,
მხოლოდ ცად ქრიდეს, მხოლოდ ცას მიწვდეს,
სამეფო ლექსი დიდი მისანის!..

ამ ლაზარობის უკვდავ ნეტაფრასს
ყველა ბილიკი გამოვლილი აქვს...
მე რუსთაველის ვკოცნი ნატერფალს
და წიწამურში ვგლოვობ ილიას...

**სტაბილურობა — ეს არის მანონ ბულისკერიას, როგორც შემოქმედის, მთავარი თვისება, რომელიც, სხვათა შორის, მისი პიროვნული ხასიათსის ნიშანიცაა, თუმცა პერსონალურ მოტივებზე საუბარი ზედმეტია იქ, სადაც პოეტური გამოხატვის მდგრადობაზე მსჯელობენ.**

**უწყვეტობა — ეს არის მანონ ბულისკერიას ლექსების გარეგნული თვისება, რომელიც გადმოცემის ფორმისა და შინაარსის სიმწყობრით გამოიხატება.**

**კარგად გამართული სინტაქსი, ჰარმონიული რიტმი, ჭკვიანი რითმები, სასაუბრო ინტონაციები და მშვიდი ტონალობები — ეს ყველაფერი გარსია, გაფორმებაა, სიმშვიდის იმიტაციაა, შიგნით — ქარიშხალია. ლირიკული გმირის სულის სიღრმეში იმალება დრამა, შინაგანი ბრძოლა, ჭიდილი საკუთარ თავთან, მღელვარება, რომელიც სინათლის, მიგნების, ნათელხილვის წყაროდ იქცევა.**

**ლექსის ფორმა მოწესრიგებულია იმდენად, რამდენადაც მასში არის ქმედების ძალა. ეს ძალა აზრისა და ემოციის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა.**

**ნაკლები ორნამენტი, მეტი ემოცია — ეს არის მანონ ბულისკერიას პოეტიკური მრწამსი. იგი იცავს კონსტრუირების მარტივ, ბუნებრივ წესს; მეორე მხრივ, არის ლირიკული გმირი, რომელიც ამ წესის იდეურ ხორცშესხმას წარმოადგენს. მასში ბორგავს ეგზისტენციური ტკივილი, რომელიც საბოლოოდ იქცევა ფორმულად: „სავსე სიცარიელე“.**

**აფხაზეთიდან დევნილისათვის ეს სავსებით ბუნებრივი ფორმულაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სიცარიელესთან ბრძოლა აძლებინებს და განამტკიცებს. ამიტომ არის სანდო, ამიტომ არის პოეტი, რომელსაც შეუძლია თქვას, ეს ჩემია, ეს ჩემგან არის.**

## მანონ ბულისკერია

* * *

ამკრიფე ახლა, მიმსხვრეული ყინულის კედელს.
მარცხენა პეშვში მომაგროვე და დამაფარე მერე მარჯვენა.
ამოჩემებულს მიღალატე რამდენჯერ... გენდე
უფრო მეტჯერ და გაიძულე ღმერთთან დარჩენა.
მიმქრალ ცისფერში მიაშველე სევდა ნამსხვრევებს
ჩემსას და გლოვა სიზმარივით ცხადი გახადე —
ისეთი რუხი (დღის ნათელზე ხშირად ვახსენებ),
რომ ჩამოვფურცლო ბინდისფერი შავ-თეთრ ნახატებს
და დარბეული ამკრიფე და შემაკოწიწე,
განა ბოლოჯერ... კვლავ მოგენდე! აგერ რომ ზიხარ,
ხომ არ გგონია, გაჩუმება დიდხანს მოგიწევს,
ან, იქნებ ფიქრობ, რომ (ჩემ ფონზე) ანგელოზი ხარ...
განა უარვყოფ?! დასასრულიც სადღაც იწყება,
ყველა რიტუალს მართებს მზე და მთვარის ნატეხი.
ჩემი პორტრეტი არის სადა — შეშლილს სიცხე მაქვს,
წამოდგომას და გამოხედვას მაინც ვახერხებ.
თენდება... იქნებ ღამდება და ნაბიჯების ხმამ
თუ მარტოობამ მომიყვანა ამ ცივ სარკმელთან.
ისე ვარ ახლა (დამიჯერებ?), ვერც ფრთებს შევისხამ,
გაქვავებაა ალბათ ეს თუ... უფრო — დაღვენთვა!
როგორ ვარ? არა, „ცუდად ყოფნა“ ამას არ ჰქვია,
ახლა ის დროა, უსათუოდ უნდა მოგძებნო.
მალე ქუჩებში შემოდგომის ფოთლებს დაგვიან,
არ გამომივა ხეტიალი უამფოთლებოდ!
და მერე რა, თუ იყო ცეცხლი და თბილი ფერფლიც,
მე ხომ აღვსდექი მაინც მხოლოდ ჩემი შიშიდან.
კორიანტელი სიტყვების და... ბოლომდე ვერ ვთქვი!
განა სხვა? მხოლოდ საკუთარი მზერა მიშლიდა!
დიდიხანია, ველარ ვგუობ უკვე ბალავარს
მარტოდყოფნის და ჩაგითრევდი, თუ არ მიწყენდი,
რადგან უშენოდ მარტოობის ფსკერზეც არა ვარ,
შენ გეყრდნობოდი, შენებას როს ციდან ვიწყებდი!
ხელი ჩამჭიდე. იქნებ, ქარი მაინც გავდენოთ,
სანამ ჩვენს ღიმილს ჯერ! ნამსხვრევებს მერე წახვეტავს,
ვინმე ხომ იტყვის, გადაფხეკილ ფრესკებს გავდნენო,
მოიტანესო უცნაური სასონარკვეთა!
ვინ გვიმეგობრებს ნეტა... როგორ მიამიტი ხარ,
ხელი მომეცი, ერთი ვარ და ზრუნვას ვუნდები.
როცა ლექსების სივრცეებით „მე“-დან მიდიხარ,
ხშირად (ასევე წარმატებით!) „სხვა“-ში ბრუნდები
და ორი შენ და ერთიც მე და (ერთად სამია!)
ეშმაკმა უწყის (აბა, ღმერთი ისე შორს არის!),
მოეკითხება რა რა დოზით ერთ ადამიანს,
იყოს მეთევზე... ან — მეზღაპრე... თუნდაც — მგოსანი...
ხელი მომეცი, შეგაგებო უნდა ნაპირი
ცის, სადაც მთვარე ბევრჯერ ჩვენი ხათრით ეკიდა
და ვერ ვუთხარით, რომ სიცოცხლეს აღარ ვაპირებთ,
რომ გადმოვედით ნესტიანი კედლის ფრესკიდან!
შეხედე, როგორ იწრიტება მჟავე სისხლისგან
ალუბალი და ბინდისფერში ნელა ვფხიზლდებით.
ლექსი თუ არა, მეწამული მაინც გვიხსნის და...
დავრჩებით, მაგრამ მეტი ცრემლით... უფრო ხისტები.
მერე რა, თუკი მოცახცახე მაჯას მისდგნენ და
ისე დასერეს, თითქოს ბედის ვარსკვლავს ხატავდნენ,
თვითონ უფალიც (არაერთხელ , ვიცი!) გვისმენდა,
სწორედ ამიტომ (არაერთხელ!) კიდეც გადავდეთ
ეს რიტუალი! დღეს რომელიც უნდა აღსრულდეს,
ახელილ თვალებს გზა მიეცი, ცაში გახიზნე
და მენდე, მე რომ გადარჩენა შენი არ მსურდეს,
ამ ფორიაქში სიყვარულს ხომ აღარ აგიხსნი!
შეხედე, უკვე დაიწრიტა... გვაქვს ახლა მჟავე
სისხლი, ცოტა მზე, უფრო მეტი — მთვარის ნატეხი,
არ შეგეშინდეს, გამომყევი! ეს მე ვაშავებ
თორემ... შენ ახლა უფლისაკენ ნაბიჯს ახერხებ!

* * *

მქრქალი ღრუბლიდან გამოწურულ შუქსაც ვიკმარებ.
ამ მეგზურ სისხლის ნაკადულებს უნდა მივსდიო.
გეტყვი —
ხელები შეეჩვია ცივ და გლუვ კედლებს
და ეს დუმილი გადმომედო. ბზარებიც. ახლა
ვერმომხრობილი თ ე თ რ ი ს შუქ-ჩრდილს თუ დავემჩნევი.
სიმარტოვეში სუფევ, მზეო.
არის სავსე სიცარიელეც აქვე
და ფერში მაგრძნობინებს წახნაგოვან გარდაცვალებას.

გეტყვი —
მგონია, ვარ სამყარო (ნაწილი მაინც)...
მღიმარი შიში ხშირად ჩნდება ძალიან ახლოს.
მზერას მართმევს ფიქრის ნამხრევი.
და შემცივნული „შინისაკენ“ გზას მოვნიშნავ
ნისლში გახვეულს.
ჯერ კი, შრიალით
სანამ ზარები სულის ფსკერისკენ ჩაჰყვებიან
მტრედისფერ ღიობს,
შეწყრომას მკაცრი განაჩენი გადამიფარე.
გეტყვი —
ვით ტალღა, ზღვის სილურჯეს გამოქცეული,
გიახლოვდები!
სანაპიროს სევდა-ხიბლი გაქვს...

* * *

თუ მიეცემა დავიწყებას ეს ხმა,
სისხლი ხომ
შემოინახავს ტანჯვის ნაკვალევს.
წაშლილი სახის ზღვისმიერი ჟინით მოქცევამ
არ შეგაშფოთოს.
უკვდავება არის ზღაპარი!
წავალ და
აბა, მიწას როგორ მიმაბარებენ?
ეს... ჩემი ფერფლი არ გეგონოს,
ეს... გულუბრყვილო ხეები ნამით გაღიმებულ
ფოთლებს კარგავენ.
ხომ ხედავ, როგორ ვიფანტებით...
და თვალებიდან, მარადიულ სევდად ჩამდგარი,
მზერა როდესაც გაბრწყინდება, უკანასკნელი
ღიმილი უნდა აირეკლოს თბილმა კურცხალმა.
ძალიან კარგი — უცნაური ტანჯვის სიმბოლო.
ძალიან შორი, ცას კი არა, სევდის ნათელს
სწყდება ვარსკვლავი.
თუ მიეცემა დავიწყებას ეს ხმა,
სისხლი ხომ შემოინახავს ყველა დანარჩენს.

* * *

***ექსპრომტად***

მხოლო იმიტომ... შენი მზერის სხივი დავლანდე
ნაძვის ხშირ წიწვებს შორის
მქრქალი მზე რომ გამოკრთა,
ამეკვიატა ჟრუანტელი! ახლა გადამდებ
სევდას ვიკრებ და რა აზრი აქვს, როდის რა მოხდა
(სულაც არ ვნაღვლობ, გამოხედვას და ხმის იოგებს
ნისლი და ხრინწი რომ დამართა ხშირმა ნარგილემ)...
ვერმომხრობილი მარტოობის ვრცელი ხრიოკი
აბიბინებულ უშენობას გამიადვილებს!
...
მისმენ და ახლაც, როგორც მაშინ, უხმოდ იცინი,
მარწმუნებ — ყავლი რომ გაუვა ას გრამ კონიაკს...
ნაძვის წიწვებზე ნამია და ისღა ციმციმებს...
ნაბახუსევზე აღტაცება ვის არ ჰქონია!

* * *

როგორც შენ გინდა. ძალას აღარ დაგატან, მაგრამ...
ისე გამწირე, გამიმეტე — ყოველდღე მკარგავ!
არ გსაყვედურობ, მხოლოდ უნდა გითხრა, გულში რაც
ამიყვავდა და ვერღარ ვამბობ (ვერ ვთქვი გუშინაც)...
დღეს ყველა კედელს, ყველა ჯებირს და ზღვარს გავანგ-
რევ
(არ გამაცინო, ხომ არ გიკვირს გიჟის პერანგი?!
ან კიდე, დღემდე რომ შემომრჩა ფრთები საფრენი)...
ხომ მომიქნიე, დამანარცხე სევდის ქვაფენილს,
სამშობლოვ ჩემო, აღარ გიწერ სიტყვებს ხატოვანს —
სითბომ დიდიხნით, სიყვარულმაც უკვე დამტოვა!
რაც დარჩა ჩემგან — ერთადერთი — ცხელი გულია,
შენი იყოს და... ეს ცხოვრება წაგებულია —
ვატყობ. ვერ ვგუობ ვერანაირ შიშს და კალაპოტს,
მარტო დავრჩი და საკუთარი თავიც მღალატობს,
თორემ რად მინდა ფორიაქი, სევდა, ან კიდე...
ცოდვა ცოდვად და... სათაკილო ფიქრი ამკიდე —
კმაყოფილი ვარ! დღემდე რადგან შენთვის ვარ უცხო,
თუ ოდნავ მაინც აგაღელვებ, უნდა გაუწყო —
ბალახის სევდით მოავლინე ქვეყნად ვინც, ასე
აღაფრთოვანე, დაანარცხე მერე მიწაზე —
გიტოვებ ცხელ გულს! სულ ესაა, მისგან რაც დარჩა
და აირჩიე — ცივი დაშნა, თოფი, დამბაჩა...
ეს სულერთია! აღიარე, რომ ვერ მიშველე!
სიცოცხლე ახლა გვიანია, უნდა მიშველო —
ჩემი სახელი დიდი შავი ფანქრით გახაზე,
მე გამომღადრე ყელი ჯერ და მერე — აფხაზეთს!
შენ შეგიძლია, საქართველოვ! სისხლი ჩემი და
მომავალი კი შენი იყოს! ლექსი შემინდე...

* * *

***ილიას***

შენს თვალებში რომ საბერიოს ცის ფერი ჩადგა,
ჯერ ხომ არ იცი, რატომ! მაინც, ტიტინებ როცა,
ასე მგონია, ყველა ბგერა იქით გეწევა,
საითკენ ილტვის ჩემი ფიქრი და ჩუმი ლოცვა.
გზა ბევრია და ერთადერთი — სამურზაყანო,
იქ ჩემი (შენი მამიკოსიც!) ბავშვობა დარჩა.
ხვდები, პატარავ? ცამ გაჩუქა თვალების ფერი,
ცამ, სულ რომ ფხიზლად დაგყურებს და აქედან არ ჩანს!

* * *

დღემდე, რა ვქნა, რომ ცრემლი ცხარეა
(ვერ დამაჯერე ჩრდილის სიმაღლე.
თუ მიენდობი, სევდაც ქარია,
სასოწარკვეთის კედელს მიგახლის)!
...
დავემშვიდობე ღამეს განათევს
სარკმელთან. ფიქრებს დილამ უბიძგა.
მოგონებებმა ცეცხლი დაანთეს
და ფერფლი დარჩა ჩემი გულისგან!

**ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის მცირე დარბაზში გაიმართა ლიბანელი მწერლის ჯიბრან ხალილ ჯიბრანის (1883-1931) წიგნის — „წინასწარმეტყველი“ — პრეზენტაცია. არაბულიდან თარგმნა თსუ პროფესორმა ნინო დოლიძემ. ორგანიზატორი — „აღმოსავლური კლუბი“ და გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნი“.**

**„წინასწარმეტყველი“ მსოფლიოში ამ ყველაზე აღიარებული არაბი მწერლის გამორჩეული ნაწარმოებია. პირველად 1923 წელს გამოქვეყნდა ინგლისურად ნიუ იორკში და შეფასდა, როგორც ჯიბრანის მსოფლაღქმის მხატვრული ენციკლოპედია და არაბული რომანტიზმის მწვერვალი. ავტორს უწოდებდნენ მეხუთე მახარებელს, ნაწარმოებს კი „ეკლესიასტეს“ ადარებდნენ. თხზულება იმ წელსვე ითარგმნა 20 ენაზე. „წინასწარმეტყველში“ თავისებური კომპოზიციითაა წარმოდგენილი ფილოსოფიური ფიქრები სიყვარულსა და მეგობრობაზე, ქორწინებასა და ბავშვებზე, წყალობასა და თავისუფლებაზე, კანონზე, დანაშაულსა და სასჯელზე, ტკივილსა და რწმენაზე და კიდევ სხვა მარადიულ თემებზე, რაც მთავარი გმირის ალმუსტაფას თქმით „ახლაც არ ასვენებს, აწუხებს და აფორიაქებს თქვენს სულებს“.**

**აუდიტორიას სიტყვით მიმართეს ღონისძიების თაოსნებმა — ზურაბ გაიპარაშვილმა, თამარ მოსიაშვილმა და მაია ღამბაშიძემ. ასევე გიორგი ლობჟანიძემ, დარეჯან გარდავაძემ, ირმა მახარაძემ, ლია რუხაძემ. წაიკითხეს როსტომ ჩხეიძის ესეი „ქადაგებათა პოეტური სული და მადლი“. ნინო დოლიძის, თქმით: „წინასწარმეტყველი“ დღეს უკვე ორმოცდაათამდე ენაზეა ამეტყველებული, მათ შორის ქართულადაც, მანანა გიგინეიშვილისა და დეფი გოგიბედაშვილის მიერ. „წინამდებარე თარგმანი „წინასწარმეტყველის“ გადმოქართულების მესამე მცდელობა გახლავთ. შევეცადე ავტორის ნაფიქრალი მაქსიმალური სიზუსტით მომეტანა თქვენამდე“.**

**„თუ პოეტები რითმებს ზღვისაგან იღებენ, ჩემი თხზულების რითმა წმინდა წიგნებიდან მოდის,“ — ამბობდა ჯიბრან ხალილ ჯიბრანი „წინასწარმეტყველის“ შესახებ. მისი შემოქმედება გასცდა ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს. 2000 წელი კი „იუნესკომ“ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წლად გამოაცხადა. სწორედ ამ მწერლისა და მისი გახმაურებული თხზულების შესახებ გვესაუბრება ახლა მთარგმნელი.**

# „ვისურვებდი ეკლესიაში წამეკითხა“

## (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ნინო დოლიძე)

— ჯიბრან ხალილ ჯიბრანი დაიბადა ლიბანის ჩრდილოეთში, ბშარიში. თუმცა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა მთელი ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, ბშარი კი მისი ბავშვობის, სიყმაწვილის მოგონებად იქცა. მომავალმა მწერალმა საფუძვლიანად შეისწავლა ინგლისური ენა, ხოლო არაბული ენის ცოდნის გასაღრმავებლად 1897-99 წლებში საგანგებოდ გაემგზავრა ლიბანში, რომელიც სულ ენატრებოდა და სადაც გარდაცვალების შემდეგ გადაასვენეს. მოგვიანებით არაბულიც და ინგლისურიც მისი სამწერლო ენები გახდა...

— **ცნობილია, რომ ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ერთ-ერთი პირველი ემიგრანტი არაბია, რომელიც გასული საუკუნის დამდეგს შეერთებულ შტატებში დამკვიდრებას ცდილობდა, რაც ალბათ არ იქნებოდა იოლი...**

— იოლი არც ახლაა და მაშინ — მით უფრო. ვის უნდა მიექცია ყურადღება ბოსტონის ჩინურ კვარტალში მცხოვრები, ლიბანის მთიანი დასახლებიდან გახიზნული ღარიბი ოჯახის შვილისთვის, რომელსაც მამა უკვე ამერიკაში ჩასვლისას აღარ ჰყავდა, ხოლო დედა და ორი და 1902-03 წლებში ჭლექით გარდაეცვალა?! ოცი წლის დაობლებული ჯიბრანი უფროსი დის კმაყოფაზე ცხოვრობდა, რომელიც ჭრა-კერვით ირჩენდა თავს. მიუხედავად ამისა, მან მოახერხა 1903 წელს ბოსტონში პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. სწორედ ამ გამოფენაზე დაინტერესდა ნიჭიერი ახალგაზრდით მარი ჰასქელი — გოგონათა სკოლის დირექტორი და არაერთი დამწყები ხელოვანის მფარველი, რომელმაც ლიბანელი ყმაწვილი პარიზის ჟულიანის აკადემიაში სასწავლებლად გაგზავნა. ჯიბრანი პარიზიდან ლონდონს გაემგზავრა. ევროპაში მოგზაურობისას გაეცნო არა მარტო დასავლურ სახვით ხელოვნებას, არამედ ლიტერატურასაც. განსაკუთრებით იტაცებდა ფილოსოფია. 1911 წლიდან ნიუ იორკში დამკვიდრდა, 1920 წლიდან კი სათავეში ედგა არაბ მწერალთა ორგანიზაციას, რომელიც აშშ-ში არაბული მწერლობის პოპულარიზაციას ეწეოდა...

— **ჯიბრანის ბიოგრაფიას რომ ეცნობი, აღარ გიკვირს, რატომაა მის შემოქმედებაში შერწყმული, ერთი მხრივ, აღმოსავლური, ტრადიციული, და მეორე მხრივ, დასავლური, ახალშეძენილი კულტურის ელემენტები**.

— თუმცა მხოლოდ ამ ფაქტს არ გაუმდიდრებია ჯიბრანის მხატვრობა („წინასწარმეტყველის“ ქართულ თარგმანს, ისევე როგორც ამ თხზულების პირველ გამოცემას, ავტორისეული ილუსტრაციები ამშვენებს) პროზა თუ პოეზია. მისი, როგორც შემოქმედისა და ფილოსოფოსის მსოფლხედვა მეტად თავისებური და ორიგინალურია.

— **ემიგრანტული ლიტერატურის უამრავი წარმომადგენლის მსგავსად, ჯიბრანიც ორი კულტურის მიჯნაზე იდგაო, — ამბობთ. ორი კულტურის მსახურებაც ექცა ხვედრად — ცნობილია, რომ როგორც არაერთი ემიგრანტი მწერალი, ჯიბრანიც ორივე ენაზე წერდა, მშობლიურზეც და ინგლისურზეც...**

— არასოდეს დავიწყებია ეროვნული ტრადიციები, ლიტერატურული ფესვები, მის შემოქმედებას რომ ასაზრდოებდა; მეორე მხრივ კი, დასავლური კულტურა შეითვისა. თუ გადავხედავთ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ვნახავთ, რომ 1905 წლიდან 1933 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული თექვსმეტი პუბლიკაციიდან (იქნება ეს წიგნი, წერილი, ესეი, ნოველებისა თუ ლექსების კრებული) რვა არაბულად აქვს გამოცემული, რვა — ინგლისურად. მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ ჯიბრანმა არაბულად დაიწყო წერა და მერე გადავიდა ინგლისურზე. შეიძლება ითქვას, ორივე ენაზე ერთდროულად ქმნიდა.

მხატვრულ-ფილოსოფიური თხზულება „წინასწარმეტყველიც“, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მის პოეტურ და პროზაულ ქმნილებებს შორის, ჯერ არაბულად დაუწერია. ნაწარმოები ავტორსაც განსაკუთრებით ჰყვარებია...

— **ამის შესახებ წიგნის წინასიტყვაობაშიც ამბობთ — ჯიბრანი პირად წერილებში წერდა: „ესაა ჩემი აღმსა-**

**რებლობა. ჩემი ცხოვრების ხელშეუხებელი სიწმინდე. ვისურვებდი, ის ერთ-ერთ ეკლესიაში წამეკითხაო“.**

— პირადი წერილებიდან ისიც ჩანს, რომ მწერალს ოთხი წლის განმავლობაში (1918-1922) უმუშავია „წინასწარმეტყველზე“, მაგრამ თუ ნაწარმოებს ყურადღებით წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ ამ თემებზე ის ოთხი წელი კი არა, ალბათ სულ ფიქრობდა, ბავშვობისა და სიყმაწვილის ხანიდან მოყოლებული. მარტო არაბულად სამი ვარიანტი შეუქმნია, მხოლოდ მეოთხე და საბოლოო ვარიანტი იყო ინგლისურად.

— **რომელიც თარგმნეთ...**

— დიახ... ისე კი ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა არაბული ორიგინალის გაცნობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დაკარგულია. ამიტომაც დღეს ორიგინალად ითვლება ინგლისური ვარიანტი, რომელიც პირველად 1923 წელს ნიუ იორკში გამოქვეყნდა და იმავე წელს ოც ენაზე ითარგმნა, დღეს კი უკვე ორმოცდაათამდე ენაზეა თარგმნილი.

*ნინო დოლიძე*

— **თარგმანთა ასეთი სიმრავლე ალბათ იმაზეც მეტყველებს, რომ თხზულება საინტერესოა როგორც შინაარსობრივად, ასევე თარგმნის თვალსაზრისითაც...**

— ბევრ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი ამ წიგნის თარგმნისა, ის იმ ნაწარმოებთა კატეგორიას განეკუთვნება, კიდევ და კიდევ სიამოვნებით რომ წაიკითხავ და რაღაც ახალს აღმოაჩენ. მასში, ერთი მხრივ, ფილოსოფიური სიღრმით გამორჩეული აზრები გხიბლავს, მეორე მხრივ, არაჩვეულებრივი პოეტური სტილი. წიგნში წარმოდგენილია ფილოსოფიური ფიქრები ადამიანური ყოფის ელემენტარულ საკითხებზე, როგორიცაა სიყვარული, ქორწინება, სილამაზე, მეგობრობა, წყალობის გაცემა, ტკივილი, თავისუფლება, დანაშაული, სასჯელი, ყიდვა-გაყიდვა, კანონი, რწმენა, სიკვდილი და სხვა.

— **მუდმივი თემები, დასაბამიდან რომ აფიქრებდა კაცობრიობას...**

— და, როგორც წიგნის მთავარი გმირი ალმუსტაფა ამბობს, „ახლაც არ ასვენებს, აწუხებს და აფორიაქებს თქვენს სულებს.“ ამიტომაცაა, რომ 1923 წელს გამოცემული „წინასწარმეტყველი“ არ ძველდება. გამომცემლობა „ალფრედ ქნოფს“, რომელმაც პირველად გამოსცა ეს ესეი, დღემდე არ შეუწყვეტია წიგნის გამოცემა და ის კი კვლავ წარმატებით იყიდება.

— **„წინასწარმეტყველს“ გამოცემისთანავე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, არაერთგვაროვნად შეხვდა მკითხველიცა და კრიტიკაც.**

— ზოგმა ამ ესეიში ნიცშესა და, ზოგადად, დასავლელ ფილოსოფოსთა გავლენა დაინახა, ზოგმა — სუფიზმის სიმბოლიკა და აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა კვალი. ზოგმა თქვა: იგავებით თხრობა, შეგონების, ქადაგების სტილი „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გავლენაა, ზოგიერთმა კი სუფიურად მიიჩნია ჯიბრანის უცნაური მანერა წერისა — რაღაცის თითქოს პრინციპული უთქმელობა ბოლომდე. რასელი წერდა: ხალილ ჯიბრანმა, თაგორის მსგავსად, აზიის მითოსური რწმენა გამოხატაო. ხოლო ნიუ იორკში, როცა „წინასწარმეტყველი“ პირველად გამოიცა, მას „ახალი სახარება“ უწოდეს, ოღონდ XX საუკუნის შესაფერისი ბიბლიური სტილით დაწერილი. ბევრმა ის სამაგიდო წიგნადაც გაიხადა. ზოგმა ნაწარმოები ეკლესიასტეს შეადარა, ზოგიერთმა კი მის ავტორს მეხუთე მახარებელი უწოდა. თუმცა ასე არ ყოფილა, რა თქმა უნდა. მორწმუნეს, ვისაც სახარების ორიგინალ ტექსტთან აქვს ყოველდღიური შეხება, რაღად უნდა ვიღაცის, თუნდაც ჯიბრანისნაირი ნიჭიერი ადამიანის მიერ ინტერპრეტირებული სახარება ან აღმოსავლურ-სუფიური ელემენტებით გაჯერებული სწავლება?

— **თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თხზულებას?**

— არა მხოლოდ ჩემი, ბევრი ჩემი კოლეგის შეფასებით, „წინასწარმეტყველი“ უფრო ფილოსოფიური ესეია და არა რელიგიური. ჯიბრანის მსოფლმხედველობას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ 1923 წელს, როდესაც „ალფრედ ქნოფის“ გამომცემლობამ „წინასწარმეტყველი“ გამოაქვეყნა, ის ვერავინ აღიქვა მხატვრულ ესედ, არაბული რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშად, რომლის ავტორმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა თანამედროვე არაბული პროზის აღორძინებისა და გათანამედროვების საქმეში. „წინასწარმეტყველი“ აღიქვეს როგორც რელიგიური თხზულება, რაც იქიდანაც ჩანს, რომ წიგნის მაღაზიებში „რელიგიური განყოფილების“ თაროებზე იყიდებოდა.

სწორედ ამითაც ხსნის თხზულების უპრეცედენტო პოპულარობას არაბი მკვლევარი იფრან შაჰიდი, რომელიც დანანებით აღნიშნავს, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი არ შევიდა არც 1994 წელს გამოცემულ The Dictionary of American Biography-ში, არც National Encylopaedia of American Biography-ში და არც Who is who in America-შიო. ამ ტიპის ენციკლოპედიებში ავტორები სწორედ გაყიდული ტირაჟის დიდი ოდენობის გამოც ხვდებიან, თუმცა არაბ ემიგრანტ ჯიბრანს ეს არ შეეხო, მიუხედავად იმისა, რომ „წინასწარმეტყველის“ გაყიდული წიგნების რაოდენობა აშკარად აჭარბებდა ამერიკის უსაყვარლესი პოეტის უოლტ უიტმენისა და არანაკლებ პოპულარული ტომას სტერნზ ელიოტის კრებულებისას...

— **თვით უიტმენისა და ელიოტისაც? მაშ როგორ მოხდა, რომ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სახელი იმ ცნობილი გამოცემების ყურადღების მიღმა დარჩა?**

— ოციანი წლების დასაწყისში ელიოტი აშშ-ში ძალიან პოპულარული გახლდათ. ის, რომ „წინასწარმეტყველის“ რომანტიკულ-სენტიმენტალური გადახვევები თვალში არავის მოხვდა, მიუხედავად ტომას ელიოტის ბუმისა (მოგეხსენებათ, ის მასხრად იგდებდა სენტიმენტალიზმსაც და რომანტიზმსაც), ისევ იმ ფაქტს უნდა მივაწეროთ, რომ „წინასწარ-

მეტყველი“ აღიქვეს როგორც რელიგიური თხზულება, და არა როგორც მხატვრული ქმნილება, სადაც არამარტო ქრისტე, ძველი ან ახალი აღთქმის რომელიმე პერსონაჟი ან წინასწარმეტყველი, არამედ საერთოდ არც ერთი რელიგია არ არის ნახსენები. გამოგონილია ორივე მოქმედი გმირი — წინასწარმეტყველი ალმუსტაფა და ნათელმხილველი ალმიტრა, გამოგონილია ქალაქის სახელიც — ორფალესი. თითქოს ავტორი ყველა ადამიანს მიმართავს, განურჩევლად მრწამსისა...

— **და, მგონი, იგივე შეიძლება ითქვას „წინასწარმეტყველზე“, როგორც ლიტერატურულ ნაშრომზეც. აკი აღნიშნეთ კიდეც, რომ მისი განსაზღვრება — „მხატვრული ესეი“ — პირობითია.**

— ასეა. ის არ მიეკუთვნება არც ერთ კონკრეტულ ჟანრს. ტექსტში, რომელსაც საკმაოდ თავისებური კომპოზიცია აქვს, შერწყმულია სხვადასხვა პროზაული ფორმები, როგორიცაა ლექსი პროზად, ესეი, იგავი, ქადაგება. მაშასადამე, არ განეკუთვნება არც ერთ კონკრეტულ ლიტერატურულ ჟანრს და არ ქადაგებს არც ერთი კონკრეტული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობისა თუ კონფესიის მოსაზრებებს. ავტორს იმის თქმა სურს, რომ ადამიანი მყესებისა და კუნთების ერთობლიობა არ არის მხოლოდ, და რომ მას დიდი სულიერი ძალა და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვს: „თქვენი შეფასება თქვენი ყველაზე მცირედი საქმით იგივეა, ოკეანის ძალა მისი ქაფის სიმყიფით შეაფასო!“ — ეუბნება ალმუსტაფა ორფალესის მკვიდრთ.

— **საინტერესოა, როგორ გადაწყვიტეთ ამ თხზულების თარგმნა? მკითხველი იცნობს მის სხვა ქართულ ვერსიებს. ასეთ დროს ერთგვარი რისკი ხომ არ არის მთარგმნელის მხრიდან ახალი ვერსიის შეთავაზება?**

— „წინასწარმეტყველი“ პირველად კაიროში შევიძინე 2002 წელს. მაგრამ ეს გახლდათ ესეის არაბული თარგმანი. ორიგინალის სრული ტექსტი ინტერნეტშიც იყო ხელმისაწვდომი. თავიდან მისი სრულად თარგმნა არ მიფიქრია. როცა 2006 წელს ვახუშტი კოტეტიშვილის მხატვრული თარგმანის მასტერკლასის ერთ-ერთი მონაწილე აღმოვჩნდი, შეხვედრების დასასრულს „დიოგენეს“ უნდა გამოეცა მისი მონაწილეების თარგმანები ბატონი ვახუშტის თარგმანთან ერთად. ამ გამოცემისთვის მოვამზადე ნაწყვეტი „წინასწარმეტყველიდან“. მახსოვს, მაშინ ეს თარგმანი მოიწონა ბატონმა ვახუშტიმ და, ასევე, მასტერკლასის პროექტის ასისტენტმა ნიკა ჯორჯანელმა. კრებულში გამოქვეყნებული ნაწყვეტი კი ქართული ლიტერატურის მე-12 კლასის სახელმძღვანელოშიც აღმოჩნდა. მერე კი ისე მოხდა, რომ 2006 წელსვე ბეირუთში „წინასწარმეტყველის“ ორიგინალი მოვიპოვე...

— **და გადაწყვიტეთ, ბოლომდე გეთარგმნათ ნაწარმოები...**

— ვთარგმნე კიდეც, მაგრამ ვიდრე გამოვცემდი, გამოვიდა „წინასწარმეტყველის“ მანანა გიგინეიშვილისა და დეფი გოგიბედაშვილისეული თარგმანები. მაინც გადავწყვიტე, მეც გამომეცა ჩემი ნამუშევარი, რადგან ასეთი წიგნის გაცნობის შემდეგ შეიძლება ბევრს გაუჩნდეს მისი თარგმნის სურვილი. მაგალითად, არაბულად „წინასწარმეტყველი“ ითარგმნა შვიდჯერ, ხოლო ფრანგულად თარგმანის ჩვიდმეტი ვარიანტი არსებობს. ამან გამაბედვინა მესამე ქართული ვარიანტის გამოქვეყნება. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამომცემლობა „ქართულ აკადემიურ წიგნს“ — ქ-ნ მაია ღამბაშიძესა და ბ-ნ ვახტანგ ინანიშვილს. მათთან თანამშრომლობა მართლა ერთი სიამოვნებაა. ეს არის გამომცემლობა, რომელიც მხოლოდ ბაზარზე არ არის ორიენტირებული და განუწყვეტლივ მოგებაზე არ ფიქრობს. მისთვის პრიორიტეტულია მასალა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ დონეს. ამიტომაც ძალიან გამიხარდა, როდესაც ქ-ნი მაია დამთანხმდა ინგლისურენოვანი არაბული ლიტერატურის დღეს უკვე კლასიკად ქცეული ნიმუშის გამოქვეყნებაზე. მადლობა ყველას, ვინც სულ პატარა დახმარებაც კი გამიწია თარგმანზე მუშაობისას ან რჩევა მომცა. მადლობა ბ-ნ ვახუშტის და პოეტ ნიკა ჯორჯანელს, გიორგი ლობჟანიძეს და დარეჯან გარდავაძეს, განსაკუთრებით კი ქ-ნ ლია რუხაძეს, რომელმაც წიგნის გამოცემამდე კიდევ ერთხელ გულდასმით წაიკითხა ეს ამოუწურავი, უცნაური შედარებებით სავსე ტექსტი და სასარგებლო შენიშვნები გამიზიარა.

— **ნებისმიერი ნაწარმოების თარგმანზე მუშაობა თავისებურებებით ხასიათდება — გასათვალისწინებელია ავტორის სტილი, ენობრივი ქსოვილი, თხრობის რიტმი თუ ბევრი სხვა ნიუანსი. თქვენ რით გამოარჩევდით „წინასწარმეტყველის“ თარგმნის პროცესს? მთავარი პრინციპი რა იყო მუშაობისას?**

— სიზუსტე. ზოგჯერ მთარგმნელი გარკვეულწილად ინტერპრეტაციას მიმართავს, სათარგმნ ტექსტში რაღაცას განმარტავს, რათა სხვა ენაზე აღმქმელისთვის ის უფრო ბუნებრივი და გასაგები გახდეს. არის შემთხვევები, როცა ჯიბრანი თითქოს ბოლომდე არ ამბობს სათქმელს. მე შეიძლება სხვანაირად დავაბოლოვო ფრაზა, სხვამ — სხვანაირად. ამიტომ ეს ბუნდოვანება — ის, რაც ერთი შეხედვით უთქმელია ან პირდაპირ არ არის ნათქვამი — თარგმანშიც ასე უნდა დარჩეს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ ჯიბრანი ისე წერს, თითქოს ტილოს ხატავს. და კიდევ ერთი — ეს ტექსტი მართლაც სახარებისეული სიმარტივითაა დაწერილი. აზრი ღრმაა, მაგრამ არა ჩახლართული და რთული წინადადებებით გადმოცემული. ჩემი აზრით, მთარგმნელმა უთუოდ ესეც უნდა გაითვალისწინოს.

— **დასასრულ, ამ თვალსაზრისით საგულისხმო ამონარიდსაც ხომ არ წაგვიკითხავდით ნიმუშად მკითხველისათვის?**

— სიამოვნებით. აი, თუნდაც:

„სილამაზე მოთხოვნილება არ არის. აღფრთოვანებაა, აღტაცებაა.

ის არც მწყურვალე ბაგეებია და არც ცარიელი გაშვერილი ხელი.

ის მხურვალე გულია და მოხიბლული სული.

ის არც სახეა, რომლის დანახვაც გინდათ და არც მელოდია, რომელსაც მოისმენდით.

ის ხატებაა, რომელსაც ხედავთ თვალდახუჭულნი, და სიმღერა, რომელიც ყურებდახშულებსაც გესმით.

ის არც დღვილია დანაოჭებული ქერქის ნაკეცებში და არც ფრთაა კლანჭებთან შეზრდილი.

ის მარადაყვავებული ბაღია და მუდმივადმოფარფატე ანგელოსთა დასი.

ორფალესის მცხოვრებნო, სილამაზე ცხოვრებაა, თავისი წმინდა სახიდან საფარველი რომ ჩამოუშორებია,

მაგრამ ცხოვრება თქვენ ხართ და საფარველიც თქვენ ხართ.

სილამაზე მარადისობაა, სარკეში რომ იხედება,

მაგრამ მარადისობაც თქვენ ხართ და სარკეც თქვენ ხართ.“

ელგუჯა თავბერიძე

# ნილოსისფერი პერანგი ჟასმინის სურნელით

ხალიდ ალ ხამისის „ტაქსი“ („ჩვენი მწერლობა“, №7, 2013) პერსონაჟთა ჩამოქნილი ხასიათებით, სათქმელით, იდეითა და მხატვრული მიზანდასახულებით ევროპული რანგის ნოველაა. თითქოსდა არაფერი—ტაქსის ექვსი მძღოლი ყვება ამბავს, რომელიც უფრო მათი დარდწუხილია, მაგრამ მონათხრობით იხატება საზოგადოება, ნუ გაგიკვირდებათ და, მთელი სამყარო თავისი ძნელად გასაძლები ყოფიერებით.

*ხალიდ ალ ხამისი*

ტაქსის მძღოლები ანუ პერსონაჟები ნოველისა სხვადასხვა საწუხარს შეუწუხებია, ზოგს — სოციალური, ზოგს — პოლიტიკური, ზოგს კიდევ ზნეობრივი საგონ-საფიქრი გაჩენია, მაგრამ ყველა ამბავს ერთი ოცნება აერთიანებს—როგორი იქნება ხვალინდელი ეგვიპტე და მერე — დანარჩენი მსოფლიო.

ამბებში გამხელილი სურვილები სადღეისოცაა, იმავდროულად — ძველიც. სადღეისო იმდენად, რამდენადაც მრავალი ეროვნების ადამიანის ფიქრი შეიძლება მოერგოს და მოეზომოს ნოველის პერსონაჟთა ოცნებას სამშობლოზე, და ძველი იმიტომ, რომ ადრეც გულიანად ჩიოდნენ მამულის სხვათაგან დაპატრონებისა გამო, რომელსაც იმ დროს ბარბაროსთა გაკულტურებას ეძახდნენ, დღეს კიდევ დემოკრატიის დამკვიდრება ჰქვია.

მაჰმუდ მუხთარის გამოქანდაკებულის მსგავსი ხნიერი ტაქსის მძღოლი, სახეზე იმდენი ნაოჭი რომ ჰქონდა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე („ყოველი ნაოჭი მომდევნოს აწვებოდა და ეგვიპტურ სახეს ქმნიდა“), მორწმუნე კაცია. სჯერა, რომ უფალი არ გაწირავს, თუ გააჩინა, კიდეც არჩენს.

მართლაც ასე მოხდა. „ხედავ, ბატონო? — ეუბნება მგზავრს, იგივე მთხრობელს—ერთი მგზავრის მომსახურებამ 1000 ფუნტი მაშოვნინა. შეიძლებოდა ერთი თვე მემუშავა და ამდენი ვერ ამეღო. ღმერთმა შინიდან გამომიყვანა, პეჟო 504 გააფუჭა (ამ მანქანიდან გადმოუსვეს მგზავრი) და ყველაფერი იღონა, რათა დამხმარებოდა. ეს ფული მე არ მიშოვია. ღმერთმა მიწყალობა“.

ტაქსის მეორე მძღოლს 1977 წლის 18 და 19 იანვრის დემონსტრაციები მიაჩნია დასასრულის დასაწყისად. სწორედ იმ გამოსვლებს უწოდა სადათმა „ქურდების აღზევება“, მაგრამ დემონსტრანტთა სიმრავლისა შეეშინდა და ასუანში გაიქცა, თუ საბოლოოდ ჩამოაგდებდნენ, სუდანში გაქცევას აპირებდა.

ნასერის დროსაც იყო დემონსტრაციები, მაგრამ თაჰრირის მოედანზე თვითონაც გავიდა და ამით გადაირჩინა თავიო—გვეუბნება ტაქსის მძღოლი. მას შემდეგ მთავრობამ ხალხში შიმშილის შიში დათესა, ხმას ამოიღებ, საარსებო წყაროს მოგისპობენ, ამიტომ ცოლი — ქმარს, ქმარი — შვილებს და ყველანი ერთმანეთს ეხვეწებიან, რომ არაფერი თქვან მთავრობის საწინააღმდეგო, სამსახური არ დაკარგონ და შიმშილით არ ამოხდეთ სული.

მძღოლის რამდენიმე შეგონება:

„მთავრობა შეშინებულია, მუხლები უკანკალებს, სულის ერთი შებერვა და, ღმერთმანი, დაეცემა“.

„ღმერთო ჩემო, იმ დღეს (18 და 19 იანვარზეა ლაპარაკი) ნებისმიერს შეეძლო ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ ეს ნებისმიერიც კი არ გამოჩნდა! მხოლოდ საწყალი ხალხი, რომლებიც ფასების შემცირებას მოითხოვდა!“

მძღოლი წუხს იმაზე, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი მხოლოდ სოციალური პრობლემებს განიცდიდა, მაგრამ ამით იწყებოდა დასაწყისი დასასრულისა.

მესამე მძღოლი, მანქანის განვადების თანხა რომ დააგროვოს, სამი დღე მანქანიდან არ გადმოსულა, საჭესთან ეძინება, ხშირად მანქანა თავისით უხვევს მარცხნივ (ეს მარცხენაც არ უნდა იყოს შემთხვევითი) და მგზავრის ყვირილი აფხიზლებს, მაგრამ მაინც ასე ურჩევნია, ღმერთის სჯერა, ფიქრობს, პრობლემას გაუმკლავდება.

დანარჩენ მძღოლთა მონათხრობი უფრო საინტერესოა.

მომდევნო მძღოლი, ცხოვრების საუკეთესო წლები ერაყში რომ გაატარა, ამერიკელთაგან ამ ქვეყნის დაპყრობაზე დარდობს. ვერ წარმოედგინა სადამის დამარცხება, სადამისა, 80-იან წლებში ქაიროში რომ სწავლობდა და, ერაყელებსა და ეგვიპტელებს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა, კანონი გამოსცა, ვინც ეგვიპტელს ცუდად მოექცევა, 6 თვით ციხეში ჩავსვამო.

ისტორიულად ასეა, რაც ერთი ქვეყნისთვის სამართლიანია, მეორისათვის უსამართლოა. პირველი ნიღბავს თავის განაზრახს — ხშირად დაპყრობას გათავისუფლებას არქმევს, ზოგჯერ: დაპყრობილთა ნებით ვმოქმედებდიო, — ამბობს... საკუთარ სურვილს გამართლება რომ მოუძებნოს, რას არ სჩადის, რა არ გამოუგონებია ამისათვის უძველესი დროიდან დღემდე ძლიერთა ამა სოფლისათა. ერაყის დაპყრობასაც ასე ნიღბავენ, შევიდნენ სხვა მიზეზით, მაგრამ სულ სხვა მიზნითა და განაზრახით დამკვიდრდნენ.

ვთქვათ და, ერაყი არ იყო დემოკრატიული ქვეყანა, ისიც ვიფიქროთ, ზოგიერთთა უფლებები ირღვეოდა, მაგრამ ეს ხომ იმ ხალხის საქმე გახლდათ და სხვა არავისი.

„ტაქსის“ ყველა პერსონაჟს ღმერთის იმედი აქვს, სჯერა, ის მიუზღავს საკადრისს დამპყრობელს, არ აპატიებს უღონოთა დაპატრონებას, ღარიბს მდიდრად აქცევს, პრობლემას მოუგვარებს... ამიტომაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა, კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი ნებისმიერი ადამიანი სწორ გზაზე დგას, იქნებ ვერც გმირობა ჩაიდინოს, ვერც მომხვდურთაგან იხსნას მამული, მაგრამ მისი პატრონობის ფიქრი წამიერადაც რომ არ შორდება, ესაა ყველაზე დიდი გმირობა.

სადამიც გმირია, ტაქსის მძღოლს ერაყის დაცემის არც მაშინ სჯეროდა, ბაღდადის ქუჩებში ამერიკელთა ტანკები რომ გამოჩნდნენ, სადამის ხრიკიაო, ფიქრობდა, დედაქალაქში შემოიტყუებს და მერე კუდით ქვას ასროლინებსო. სადამი უდანაშაულოა, ერაყის ოკუპაციასთან არაფერ შუაშიაო, იმასაც გულწრფელად ამბობდა, რაც იყო შუაში, უფრო — თავში: „ამბობდნენ, საშიში იარაღი აქვთო, მაგრამ ნახეს რამე? ერაყის ნავთობი ჭირდებოდათ. დაიპყრეს ერაყი“.

„მათთვის (ამერიკელებისათვის) მწერები ვართ, რომლებიც შეგიძლია ერთი ხელის დაკვრით მოკლა ან ჭიანჭველასავით ფეხით გასრისო... თავი დამცირებულად ვიგრძენი... ჩემი ამხანაგები გამახსენდა, არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ დაიღუპნენ... მაგრამ გეტყვით, რასაც გამუდმებით ვფიქრობ—ერაყი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს“. სხვაგან იმასაც ამბობს, დღე არ გავა, ერთი ამერიკელი მაინც არ მოკლან, ასე სათითაოდ ამოჟუჟავენ, „მათ განადგურებასა და ერაყელთა გამარჯვებას ინებებს ღმერთიო“.

ანტიამერიკულად განწყობილი რომელიმე პოლიტიკური მიმომხილველის სტატიაშიც შეიძლება ამოიკითხო იგივე, მაგრამ ხალიდ ალ ხამისის ნოველაში ამ ნათქვამს სხვა დატვირთვაც ეძლევა—ეგვიპტელი დარდობს ერაყის ბედზე („საწყალო ერაყო, ჩემი გული შენზე დარდობს“), სამშობლოს მომავალი აწუხებს და იმიტომ, დღეს ერთს დაიპყრობენ, ხვალ მეორეს. იმასაც ვიტყვით, პუბლიცისტურობისა და მხატვრულობის ზღვარზე შეთხზული ეს ნოველა იმდენ დარდსა და საფიქრალს გვიჩენს, რომ უკვე მახვილგონივრული იდეაც აღარ გიკვირს, ამერიკელებს გაუკეთონ იგივე, რასაც ისინი სხვა ქვეყნებს უკეთებენ, რამეთუ იმ ხალხმა, რომლებიც შუშის სახლებში ცხოვრობს, ქვები არ უნდა ისროლოს, ამერიკელები კიდევ დაბზარულშუშებიან სახლებში ცხოვრობენო.

თითქოსდა არაფერი, პერსონაჟი ფიქრობს, ჩავიდნენ ამერიკაში, რომელსაც ატომური და სხვა მასობრივი განადგურების იარაღი გააჩნია და მოსთხოვონ, განიარაღდნენ. დაიცვან კუბა, პატარა ქვეყანაა და იმიტომ. საპრეზიდენტო არჩევნებზე გაგზავნონ დამკვირვებლები, რამეთუ არსებობს ეჭვი, ბუშის ძმამ ტეხასის შტატის არჩევნების შედეგები ძმის სასარგებლოდ შეცვალაო. აღვძრათ საქმე ამერიკის წინააღმდეგ საერთაშორისო ტერორიზმისა და არადემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერისათვის. ხმარებიდან ამოვიღოთ სიტყვა ამერიკელი და დავამკვიდროთ: ირლანდიელი პროტესტანტი ამერიკელი, ან შავკანიანი მუსლიმი ამერიკელი, როგორც ისინი წერენ და ამბობენ: შიიტი ერაყელი, ქრისტიანი ეგვიპტელი, სუნიტი ერაყელი, დავიცვათ შავკანიანთა უფლებები და ა.შ.

ეს იდეა ორთქლის გამოდენაა და მეტი არაფერი, მაგრამ ვმშვიდდები, კატასტროფა კატასტროფად რჩებაო,—გვეუბნება პერსონაჟი. „...ჩვენი ასეთი ნაბიჯით მსოფლიოს ვაიძულებდით, პოზიცია აერჩია. მსოფლიოს მოუწევდა ჩვენი მხარდაჭერა, ისე, როგორც ამერიკას დაუჭირეს მხარი ერაყის წინააღმდეგ და როგორც დღეს დგანან ირანის წინააღმდეგ“.

ილუზიაა, მაგრამ ილუზიასაც აქვს საფუძველი, იქნებ ძველ ეგვიპტესა, შუმერსა და აქადზეც ასე ფიქრობდნენ პატარა ქვეყნები — ისე მოვექცეთ, როგორც გვექცევიანო. დადგეს ჟამი და შებრუნდეს...

ერთი ტაქსის მძღოლის ოცნებაა, ოთხი წელიწადი აგროვოს ფული, რომ საკუთარი მანქანით ჩავიდეს სამხრეთ აფრიკაში და დაესწროს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს.

„ოცნების გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს, ყოველთვის ზანტი იქნება და საწოლიდან ადგომა დაეზარება, დეპრესიაში ჩავარდება და სიკვდილი მოუნდება“... — ფიქრობს.

რაზეც ოცნებობს, ვთქვით.

ოცნებობს, მაგრამ განხორციელება შეუძლებელია, ჯერ ერთი, სუდანამდე მიმავალი გზა დაკეტილია, სარკინიგზო ხაზი არ არსებობს, სუდანშიც რომ მოხვდე უშიშროების სამსახურის ნებართვის გარეშე, ქვეყანას ვერ დატოვებ და მთავარი — ქაიროს ტაქსს არ აქვს ქვეყნის დატოვების უფლება.

ესეც განუხორციელებელი ოცნება მეხუთე ტაქსის მძღოლისა.

ასე იმსხვრევა ნაოცნებარი ანუ კაცი ოცნებობს ისეთ რამეზე, რომლის აღსრულებაც შეუძლებელია. და კიდევ: აფრიკის კონტინენტიც აღარაა აფრიკელებისა, იქაც თეთრკანიანები ბატონობენო — გვეუბნება ხალიდ ალ ხამისი.

ძველ, ჭუჭყიან პერანგს შეიძლება სამი რამ მოუხერხო — გვეუბნება ერთი — დაწვა და ახალი იყიდო, ძველს ნაჭერი ჩააკერო და შენს ზომაზე მოირგო და მესამე — შეგიძლია გარეცხო და გააუთოო. პოლიტიკურ სისტემაზეც იგივე ითქმის — გვთავაზობენ, არსებული გადაასხვაფერონ ანუ ძველი პერანგი გარეცხონ და გააუთოონ — ამბობს ბოლო პერსონაჟი „ტაქსისა“.

გვთავაზობენ, მაგრამ ხალხი არ მოითმენს ამას, ისინი მხოლოდ ძველის გადაგდებასა და ახლის ყიდვაზე იქნებიან თანახმაო. „აქ, ეგვიპტეში, ადამიანთა უმრავლესობა რელიგიაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს არ მიიღებს, თუმცა არც რელიგიისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს მიიღებენ“-ო.

ეგვიპტისათვის ის ახალი პერანგი სჯობს, ნილოსისფერი იყოს და ჟასმინის სურნელი ჰქონდესო.

მოკლედ, აქაური სისტემა სხვების მსგავსი და იდენტური ვერ იქნებაო.

* * *

გადავიკითხე ეს წერილი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ნოველის შინაარსი მოვყევი და მეტი არაფერი.

თუმცა ესეც საქმეა. ვისაც არ წაუკითხავს, წაიკითხავს, ჩაუფიქრდება.

მთარგმნელის უპირველესი ამოცანაა, უცნობი ავტორის მაღალმხატვრული თხზულება გააცნოს მკითხველს. ირმა მახარაძის შერჩეული მწერალი და ნოველა მართლაც ასეთია.

„ტაქსი“ მრავალ კითხვას სვამს, უპასუხოდ არცერთს ტოვებს. პასუხები ილიას ფრაზით შეიძლება გამოხატო — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.

ნილოსისფერი პერანგი ჟასმინის სურნელით სწორედ ესაა და სხვა არაფერი.

ნათია სიხარულიძე

# ორი კომენტარი

## გალაკტიონი და ჟემჩუჟნიკოვი

გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის მერვე ტომში სათაურით „ეპიტაფიები“ დაბეჭდილია ორი ეპიგრამა:

**ჟურნალი „კვალი“**
**აწ აღარა გვყავს ჟურნალი „კვალი“,**
**მან სამუდამოდ დახუჭა თვალი,**
**მაგრამ ვინა სთქვას: რომ ჟამმა დაჰკრა**
**და „კვალი“ იგი უკვალოდ გაჰქრა?**

**ძველი ცენზორი**
**შენ აღარ ხარ. მაგრამ სული**
**შენი ჩვენში იფარება**
**და ყველასთვის ნათელია**
**იმა სულის უკვდავება.**

ამ ეპიტაფიათაგან ერთ-ერთის — „ძველი ცენზორის“ შინაარსმა ლევან ბრეგაძის მიერ ნათარგმნი ეპიგრამა — „ჩვენს ცენზურას“ — გამახსენა:

**ჩვენს ცენზურას**
**შენ აღარა ხარ... შენს მსჯავრს შიშით აღარ ელიან,**
**ვეღარ დაჩეხავ ნაწერს, ვეღარ გაატიალებ.**
**მაგრამ სული კი შენი ისევ თავს დაგვტრიალებს**
**და არ იწამო უკვდავება მისი — ძნელია.**

ტექსტებს შორის მსგავსება — „გარდაცვლილი“ ცენზორის/ცენზურის სულის უკვდავება იმდენად საინტერესო ჩანდა, რომ ნათარგმნი ეპიგრამის დედანი – XIX საუკუნის რუსი პოეტის ალექსეი ჟემჩუჟნიკოვის ნაწარმოები — მოვძებნე.

სათაური „ეპიტაფიები“ ჟემჩუჟნიკოვთან ოთხ ეპიგრამას აერთიანებს. მათგან ერთ-ერთია „Нашей цензуре“:

**Тебя уж нет!.. Рука твоя**
**Не подымается, чтоб херить, -**
**Но дух твой с нами, и нельзя**
**В его бессмертие не верить!..**

„ეპიტაფიების“ კომენტარებში ნათქვამია, რომ ეს ეპიგრამა კონკრეტულ ფაქტს ეხმაურება: 1865 წელს რუსეთში შემოიღეს კანონი, რომლის თანახმადაც ჟურნალ-გაზეთების წინასწარი ცენზურის წესი გაუქმებულად ითვლებოდა. თუმცა, მიუხედავად ამგვარი კანონის არსებობისა, სასამართლოს მიერ არაერთი რედაქტორი იდევნებოდა.

გალაკტიონის თარგმანი 1924 წლით თარიღდება. როგორც ცნობილია, ამ თარიღს პოეტის ბიოგრაფიის არასასიამოვნო ფაქტი უკავშირდება: 1924 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, რომელშიც ანტიბოლშევიკური გამოსვლის ანარეკლი დაინახეს. ჟურნალი არ გავრცელებულა, მისი ტირაჟი თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხოლო პოეტი დააპატიმრეს.

რევაზ თვარაძის დაკვირვებით, ეს ფაქტი 1924 წლის სექტემბერში უნდა მომხდარიყო. საყურადღებოა, რომ ის უბის წიგნაკიც, რომელმაც ჟემჩუჟნიკოვის ეპიგრამის გალაკტიონისეული ვერსია შემოგვინახა, სწორედ 1924 წლის სექტემბრით თარიღდება.

ეტყობა, ცენზურისადმი დამოკიდებულება პოეტმა ჟემჩუჟნიკოვის ცნობილი ეპიგრამის გადმოქართულებით გამოხატა.

აკადემიური გამოცემის მომზადებისას, როგორც ჩანს, „ძველი ცენზორის“ გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავეს. მეტიც, მეშვიდე ტომში ამ ტექსტის არსებობის კვალიც კი არ ჩანს: სათაური „ეპიტაფიები“ შეცვლილია სახელწოდებით „ეპიტაფია“ და დაბეჭდილია მხოლოდ ერთი ეპიგრამა — „ჟურნალი „კვალი“. კომენტარებშიც მეორე ეპიტაფიაზე არაფერია ნათქვამი.

* * *

ა. ჟემჩუჟნიკოვის დანარჩენ სამ ეპიტაფიას შორის არის ტექსტი, რომელიც გალაკტიონის ეპიგრამის — „ჟურნალი „კვალის“ პირველწყაროდ შეიძლება ჩაითვალოს. ესაა გაზეთ „ვესტის“ შესახებ დაწერილი ეპიგრამა:

**ГАЗЕТЕ „ВЕСТЬ“**
**О том, что „Вести“ нет, воздержимся тужить:**
**Она своим друзьям жить долго приказала;**
**И „Вести“ партия без „Вести“ будет жить, -**
**Не скажут про нее, что без вести пропала.**

ეს ეპიტაფიაც კონკრეტული ვითარებითაა ნაკარნახევი: 1870 წელს გამოქვეყნდა „ვესტის“ რედაქტორისა და გამომცემლის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ მატერიალური რესურსების არარსებობის გამო იგი იძულებული ხდებოდა, შეეწყვიტა გაზეთის გამოცემა. საზოგადოებამ არ ისურვა მხარი დაეჭირა რედაქტორისათვის. იმავე წელს „ვესტის“ გამოცემა, მართლაც, შეწყდა.

„კვალი“ 1893-1904 წლებში გამოდიოდა. მისი გამოცემა მთავრობის განკარგულებით შეწყდა. გალაკტიონი, როგორც თვითონ იგონებდა, ბავშვობაში განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა „კვალის“ ძველ ნომრებს.

რუსული გაზეთის ბედმა, როგორც ჩანს, პოეტს ქართული პერიოდული გამოცემა „კვალი“ მოაგონა და ჟემჩუჟნიკოვის ეს ეპიგრამა ამის გამო გააქართულა.

* * *

ალექსეი ჟემჩუჟნიკოვი (1821-1908) რუს პოეტ-სატირიკოსთა შორის გამორჩეულ ავტორად ითვლება. „ეპიტაფიები“ კი, რომლებმაც გალაკტიონის ყურადღება მიიპყრო, ჟემჩუჟნიკოვის ყველაზე ცნობილ ეპიგრამებს აერთიანებს.

ალბათ, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რუსი პოეტის 1900 წელს გამოცემული თხზულებათა კრებული, სადაც „ეპიტაფიებია“ დაბეჭდილი, დღემდე ინახება გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში.

ვფიქრობ, გალაკტიონის „ეპიტაფიები“ ალექსეი ჟემჩუჟნიკოვის ნაწარმოებების თარგმნის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, გალაკტიონის მომავალ აკადემიურ გამოცემაში სხვა თარგმანებთან ერთად უნდა დაიბეჭდოს.

აქვე შეუძლებელია არ აღინიშნოს რუსული დედნის კალამბურული სიტყვათა თამაშის („Вести“... без вести) მარჯვე გადმოტანა ქართულ ტექსტში („კვალი“... უკვალოდ), რაც უფრო გამოკვეთს გალაკტიონის ეპიგრამის წარმომავლობას რუსული წყაროდან.

## ჰავაელი პატარა ქალი — სახელად ემმა

გალაკტიონის 1915 წლით დათარიღებული ლექსი — „პირველი ვარდი“ ასე იწყება:

**პირველი ვარდი...**
**მოვიდა პირმშვენიერი მაისი**
**რად დაგვავიწყდა**
**ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი**
**კუნძული ჰავაის**
**და ჰავაელი პატარა ქალი**
**სახელად ემმა...**

ამ სტრიქონების წაკითხვისას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვინ არის ჰავაელი ემმა? გალაკტიონის შემოქმედებაში ნახსენებ პიროვნებათა ვინაობა, ჩვეულებრივ, პოეტის აკადემიური გამოცემისათვის დართულ კომენტარებშია განმარტებული. ემმა, გარდა „პირველი ვარდისა“, გალაკტიონის ორი სხვა ნაწარმოების პერსონაჟიც არის, მაგრამ ქალის ვინაობის შესახებ თორმეტტომეულში ინფორმაცია არ მოიპოვება.

გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურაში „პირველი ვარდზე“ ბევრი არაფერია ნათქვამი. მაგალითად, თამაზ ჭილაძის წერილში ვკითხულობთ: სიტყვები „ჰავაელი პატარა ქალი“ ლექსს ეგზოტიკური სურნელებით ავსებს და ტროპიკული მთვარისა და წყნარი იალქნების ჩვენება შემოაქვს. შედარებით ზუსტ ცნობას გვაწვდის ნოდარ ტაბიძე, რომელიც აღნიშნავს, ემმა ამერიკელი ბელეტრისტის – ელიზა ფრენსის ბიპორნეტის მოთხრობის პერსონაჟიაო.

ძიება თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ინფორმაციის საგულდაგულო შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მწერალ ელიზა ფრენსის ბიპორნეტს არამხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც კი არ იცნობს.

რადგან გალაკტიონი ინგლისურ ენას არ ფლობდა, „პირველი ვარდის“ წყაროს მიგნების ერთადერთი გზა რჩებოდა — უნდა მოძებნილიყო ქართულ და რუსულ ენებზე ნათარგმნ ნაწარმოებთა ჩამონათვალი იმ იმედით, რომ რომელიმეს სახელწოდებაში იქნებოდა მინიშნება ჰავაელ ემმაზე. ჩვენმა მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღო. გაირკვა, რომ 1905 წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოუციათ თ. მთავრიშვილის მიერ ნათარგმნი ელი ბერტის მოთხრობა — „ემმა — ჰავაელი პატარა ქალი“. სათაურიდანვე აშკარა იყო, რომ გალაკტიონის ლექსი ამ ნაწარმოებს უკავშირდებოდა.

ელი ბერტი ჰავაელი გოგონას — ემმას — თავგადასავალს მოგვითხრობს. უმდიდრესი გვარის წარმომადგენელთა ერთადერთი მემკვიდრე, ემმა ხუთი წლისა იყო, როდესაც მისი მშობლები მიწისძვრამ იმსხვერპლა. მეურვეებმა გოგონა პანსიონში მიაბარეს. იქ ბავშვმა დედასავით შეიყვარა თავისი აღმზრდელი – მის ლამერტი. გარკვეული დროის შემდეგ ემმას აღმზრდელი დაქორწინდა და პანსიონიდან წავიდა. გოგონამ მასთან განშორება ძალიან განიცადა. გავიდა რამდენიმე წელი. მიწისძვრამ ჰავაის ზოგიერთი ოლქი ნანგრევებად აქცია. უამრავი ადამიანი დაიღუპა. სტიქიური უბედურების დროს სხვებთან ერთად დაიკარგა ემმას აღმზრდელიც. გოგონამ მასწავლებლის მოსაძებნად წასვლა გადაწყვიტა. არაერთი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, რაც მოთხრობაში დეტალურადაა აღწერილი, ემმამ მიზანს მიაღწია — სიკვდილისაგან იხსნა აღმზრდელი და მისი ორი მცირეწლოვანი ბავშვი. „მე და ჩემი მასწავლებელი ხშირათ მოვიგონებთ ხოლმე იმ საზარელს გავლილ დროის ამბებს, რომელიც ახლანდელ ჩვენს ბედნიერებას სრულიად არა გავს“, — ემმას ამ სიტყვებით მთავრდება ელი ბერტის მოთხრობა.

გალაკტიონის „პირველი ვარდი“ იმ ადამიანისადმი მიმართვას წარმოადგენს, ვისთან ერთადაც ლირიკული გმირი ბავშვობაში ემმას თავგადასავალს კითხულობდა. აქ საინტერესო ის არის, რომ ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი, რომელიც ლირიკული გმირის სატრფოს ახასიათებს, ამავე დროს მიგვანიშნებს ჰავაელ ემმაზე:

**ბავშვობიდანვე იყავი მარტო**
**ჯვარზე გაკრული,**
**შენ სული გქონდა მეტად ფაქიზი**
**და დაჩაგრული...**

— მიმართავს ლირიკული გმირი უცნობ ქალს, თუმცა ეს სტრიქონები ემმას ბავშვობასაც გვახსენებს. ასეა სხვა შემთხვევაშიც:

**თუ წაიყვანა სიყმაწვილე**
**უცნობმა გემმა,**
**და დაიკარგა სადმე ყვავილი,**
**მიუგნებელი მხარეები თუ აიგულე...**

აქ სატრფოს ბედის გაურკვევლობით გამოწვეული წუხილია გამოხატული, მაგრამ, გარდა ამისა, ეს სიტყვები ემმას ზღვაზე მოგზაურობასა და მიუგნებელ, მიუვალ მხარეებში ხეტიალზეც მიგვანიშნებს.

როგორც ჩანს, თავდაპირველად პოეტი ემმას მთავარ პერსონაჟად მოიაზრებდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტის სათაურია არა „პირველი ვარდი“, არამედ — „ემმა“.

ელი ბერტის მოთხრობა გალაკტიონს 1911 წლამდე უნდა წაეკითხა, რადგან 1911 წელს გამოქვეყნებული პოემის — „მწყემსის“ ავტოგრაფში ემმა უკვე არის ნახსენები:

**მორევს წარსულის გადამწირველად გაჰკივლა გემმა,**
**ზღვას გავსცქეროდით, ისიც პირველად...**
**პირველად ემმა.**

ჰავაელი ემმა გალაკტიონის 1916 წლით დათარიღებული ლექსის — „მოსვლას აპირებს წვიმა“ — პერსონაჟიცაა. „პირველი ვარდისაგან“ განსხვავებით, იგი აქ ლირიკული გმირის შორეული სატრფოა, რომლის სახელის გახსენებასაც თან გარკვეული ემოცია ახლავს:

**მოსვლას აპირებს წვიმა,**
**იგრძნო ღრუბლების გემმა,**
**გაიწკრიალა სიმმა,**
**შენი სახელი — ემმა...**

ასე გადმოინაცვლა ელი ბერტის ნაწარმოების მთავარმა პერსონაჟმა – ჰავაელმა ემმამ გალაკტიონის პოეზიაში.

როსტომ ჩხეიძე

# ისევ ოთხშაბათობით

## (ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები)

### მკითხველისადმი

სხვათა გამოცდილება გამომადგებოდა.

მომხდარა, რამდენჯერ მომხდარა — შეყვებოდნენ კვლევასა თუ ძიებას, ჩაუღრმავდებოდნენ და ჩაუღრმავდებოდნენ, უწვრილმანეს დეტალებამდე ჩაჰყვებოდნენ და თავისთავად მრავალმხრივ საგულისხმო სურათებსაც აღადგენდნენ, მაგრამ ვეღარა და ვეღარ დაამთავრებდნენ მონოგრაფიას, გაუგრძელდებოდათ და გაეჭიმებოდათ... კომპოზიციის ამორფულობა კიდევ ცალკე.

მაცთურია, ძალზე მაცთურია ძიება, ახალ-ახალ მასალას რომ გთავაზობს და ახალ-ახალი შთაგონებითაც გმუხტავს, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო ამ საცთურსაც და უპირველესად კომპოზიციის შეკვრაზე იზრუნო, ის მასალები კი სხვა მონოგრაფიასა თუ ნარკვევში გამოიყენო.

თუმც... ხან ესეცაა.

მასალები კი ხელთ შეგრჩება, მაგრამ შთაგონება გადაივლის (შენზე ხომ არ არის დამოკიდებული!) და შესაძლოა კიდეც მიატოვო შესაფერისი დროის დადგომის მოლოდინში, დროისა, რომელიც სულ უფრო და უფრო განზე დაგრჩება.

და ეგებ გულიც ძალიან დაგწყდეს: ნეტა თავის დროზევე დამემუშავებინაო.

მაგრამ... მაშინ ის წიგნი რომ დაუმთავრებელი დაგრჩებოდა?

თუნდაც შეკვეცილად, თუნდაც ზედაპირულად, მაგრამ შემოგეტანა კი სამეცნიერო-ლიტერატურულ მიმოქცევაში.

მაინც იმ გამოცდილების გაზიარებას ვამჯობინებდი „აგვისტოს შვილების“ წერისას ანუ ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენისას, რომ გორი იმთავითვე გამომეტოვებინა თხრობიდან და მისი შესწავლა-გააზრება მერეღა მეცადა, ამ რომანს რომ ჩავამთავრებდი.

და უკმაყოფილო არ დავრჩებოდი „ორი მდინარის შესაყართან“ მართლაც რომ დაიწერებოდა ვარიაციებად ოთარ ჩხეიძის რომანის — „ჩემი სავანე“ — თემებზე, თორემ „აგვისტოს შვილებს“ ან დაუმთავრებლად გამიჭიანურებდა ან ძალზე შეკვეცილად და ზერელედ თუ ჩაერთვოდა სიუჟეტს და ბევრი რამ უთქმელი დამრჩებოდა.

ამ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის წერისას კი იმთავითვე გამოვტოვებდი თხრობიდან ოთარ ჩხეიძის ხანმოკლე მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — თხრობა თითქოს თავისთავად იწვევდა მისი შემოტანის აუცილებლობას, მაგრამ მაინც თავს ავარიდებდი და... ერთხანს კი ვინანებდი ამ წიგნის გამოცემის შემდგომ, ეგებ სჯობდა ეს ამბებიც იქვე ჩამერთო-მეთქი. თუნდაც მოკლედ, თუნდაც ზედაპირულად, ახლა რომ ვაითუ სულაც მიმრჩენოდა, არადა, მისი დაკარგვაც შემაწუხებდა.

ან იქნებ ცალკე არც ღირდა იმ ამბების გახსენება და ვრცელ სიუჟეტს უფრო ბუნებრივად და მოხდენილად მიბმოდა?!.

მთლად მკაფიოდ ვერც ვხედავდი ამ ახალი მონოგრაფიის მთავარ ძარღვს და შესაძლოა ძალზე ფერმკრთალიც გამომსვლოდა, როდესაც ცალკე ჩავუჯდებოდი, მაგრამ ვგრძნობდი კი, ალღოთი ვგრძნობდი, რომ აფსუსი იქნებოდა მისი შეკვეცილი და ზედაპირული წარმოსახვა.

და საბოლოოდ კი ესაა, „ისევ ოთხშაბათობით“ — მაინც იმ გადაწყვეტილების ნაყოფი, როგორც უნდა ჩაეფლო კვლევა-ძიებაში, ის იდუმალი ძახილი ყოველთვის თან უნდა გდევდეს — იცოდე, კომპოზიციური ქარგა სადღაც უნდა დასრულდეს, თორემ ვაითუ საბედისწეროდაც გაგისხლტეს ხელიდან თხრობის ძაფიო...

### თავი I

### „...ვუბრუნდეები პედაგოგიურ ასპარეზსა...“

— მგონია შევცდი, მგონია, რო აღარ უნდა დავბრუნებოდი პედაგოგიურ ასპარეზსა.

მწვავე განცდით განმსჭვალულა თუნდ ეს ერთი ფრაზაც.

გულისჭიდილით.

და ადვილად წარმოიდგენთ, რა სულიერი ჭიდილით უნდა აღვსილიყო მთელი იმდღევანდელი ჩანაწერი ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიული რომანისა „დროდადრო“:

1981 წლის 14 სექტემბრის.

მგონია შევცდიო...

მგონი აღარ უნდა დავბრუნებოდიო...

ერთი წელი გადაკეცილიყო მას შემდეგ, რაც მწარედ გულნატკენი გამოსცლოდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს, სამი ათეული წელი სადაც იდგა კათედრაზე და არამარტო დასავლური ლიტერატურის ისტორიის კურსს უკითხავდა ახალგაზრდობას, ეროვნული ენერგიის გარდუვალი ამოფრქვევის რწმენითაც მსჭვალავდა და ქალაქს კი უნარჩუნებდა იმ არტისტულ სულს, რითაც ყოველთვისაც გამოირჩეოდა ეს ქალაქი, ელიზბარ და გიორგი ერისთავებს კი ხელახლა შთაებერათ ეს სულისკვეთება, კულტურის კერად რომ დაემკვიდრებინა თავი და პროტესტანტული გზნების შემანარჩუნებლად სახელმწიფოებრიობაგამქრალ მიწა-წყალზე.

ის გამორჩეული ამაგი, რაც ოთარ ჩხეიძეს, 32-იანელთა სულიერ შთამომავალს, მიუძღოდა ამ ინსტიტუტისა და ქალაქის წინაშე, ალბათ ასეც უნდა დასრულებულიყო.

განა როდის ჰქონია დაფასება წინასწარმეტყველს თავის გარემოში.

აღარც ფიქრობდა ამ სარბიელისაკენ მიბრუნებას, ამდენი წელი რისთვისაც შეეწირა.

მაგრამ აგერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადაეწყვიტათ მხატვრულ-შემოქმედებითი განყოფილების შექმნა.

გამოიყოფოდა პირველი ჯგუფიც მეორე კურსზე.

განზრახულიყო, რომ ასევე გამოყოფილიყო ყოველწლიურად და... ესეც განყოფილება.

და, აი, შესთავაზებდნენ, გაძღოლოდა ამ პირველ ჯგუფს და შემდგომ უკვე განყოფილებასაც.

შეყოყმანდებოდა.

ეგებ სხვა ვინმე მოძებნოთო, — განზე გადგომას ამჯობინებდა.

მის დარწმუნებას შეეცდებოდნენ, რომ სწორედ მისი მისვლა იყო აუცილებელი, რადგან არავინ მოიძებნებოდა, არც უნივერსიტეტსა და არც მწერალთა წრეებში, ეს საქმე რომ მინდობოდა.

დავიჯერო, თქვენი პროფესორებიდან არავინ მოითხოვაო? — ოთარ ჩხეიძემ.

მოითხოვეს, ერთმა მაინც განსაკუთრებით, მაგრამ არ მიენდობათ, უკვე დაამტკიცეს, რომ არაფრისდიდებით არ მიენდობათო.

შესაგულიანებლად კარგია ეს სიტყვებიო, — გაიფიქრებდა, — მაგრამ ვინც მოითხოვა და არ გააკარეს, უნდა დამხვდეს გაბოროტებული და მისი და მისთანათა მოგერიება უნდა მომიხდესო.

და ღირდა განა დაბრუნება პედაგოგიურ ასპარეზზე?

ეგებ სჯობდა უარი ეთქვა, საბოლოო და გადამჭრელი.

ჯერაც არ იყო გვიანი.

იმ დღეს პირველი სემინარი დანიშნულიყო.

და დარეკავდა უნივერსიტეტში:

— ვერ მოვალ...

მაინც დაიყაბულებდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მარტოდენ სემინარს წაუძღვებოდა. ჯერჯერობით დაე ასე ყოფილიყო.

ისე მტკიცედ გადაეწყვიტათ მისი მიწვევა, ადვილად ვერ დაიხსნიდა თავს.

არადა, იქ მისვლას იმიტომაც გაურბოდა, რომ მობეზრებოდა ადამიანთა სიმდაბლე.

— იუმორი აღარა მყოფნის, — ვეღარ ვიგერიებ იუმორითა, ვეღარც თავს ვიმშვიდებ იუმორითა, ხოლო აღშფოთებად რო არა ჰღირან, ეს ჰო ვიცი დიდიხანია...

თითოს თითო პროფესორის შტატი ჰქონდა იქვე, უნივერსიტეტშივე, ნახევარ-ნახევარიც ინსტიტუტებში — შეთავსებით.

— აღარა ჰყოფნით თუ რა უბედურებაა?!.

ვთქვათ არა ყოფნიდათ — არც ეყოფოდათ, რაკიღა მოსალოდნელი გახლდათ ფასების ახალი გაზრდა — ოთარ ჩხეიძეს ხომ მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით იწვევდნენ და ის ერთი (განსაკუთრებით) თუ ისინი რას უნდა გაეგულისებინა?!.

და ანდაზა წამოუტივტივდებოდა:

— არ ვიცი, გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელიო, — ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ!..

მთავარი ისაა, ეს წამოწყება რას მოიტანდა!..

— ვნახოთ რას მოიტანს... და ასე ვუბრუნდები პედაგოგიურ ასპარეზსა...

და დანანებით დასძენდა: რა ცოტა ხანი შემრჩა, რა კარგი იყოო.

ეს იმიტომ, რომ ამ ხანში მოესწრო დაეწერა ნახევარზე მეტი „ჩემი სოფლის ეტიუდების“ მეორე წიგნისა.

წუხდა: რა კარგი იყო, იანვრამდე კიდევაც მოვრჩებოდიო.

იანვრიდან იანვრამდე და... ნოველების მეორე წიგნიც მზად იქნებოდა, ახლა კი... ახლა...

ავტობიოგრაფიულ რომანში კი არც უნივერსიტეტი და არც მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის განყოფილება აღარ მოიხსენიებოდა 1982 წლის 13 იანვრამდე, როდესაც ჩაინიშნავდა: დეკანი მატყობინებს, რომ ვეახლო და მოვახსენო თუ როგორი რა მუშაობა მიმდინარეობს ამ განყოფილებაზეო.

თურმე იმას ცენტრალური კომიტეტის მდივანთან იწვევდნენ თათბირზე და რა შეიძლება იქ ელაპარაკა.

მაინც რა იყო მთავარი ამ განყოფილებისათვის — პირადად გურამ ენუქიძისათვის უნდა აეხსნათ და დახმარებაც ეთხოვათ.

— ამ მამაცხონებულის შვილებს ხარჯი არაფრისათვის არ ემეტებათ, ყველაფერი უნდათ და ყველაფერი ისე, თავისთავადა... მე ვთქვათ, კეთილი და პატიოსანი, ვმუშაობ აგერ ასე მუქთადა და პურუჭმელადა, — მუქთი მუშა მინახავს და პურუჭმელი აღარაო, ძველი ნათქვამია, ახლა ასეა: ვმუშაობ აგერ ასე მუქთადა და პურუჭმელადა, მაგრამ მაინც რამდენს გავწვდები?..

რახან განყოფილება დაერქმიათ, მას თავისი პირობებიც უნდოდა, აუცილებელი პირობები:

— თორემ ისე, თავშეყრა და საუბარი ლიტერატურაზე, თუნდაც გაუთავებელი საუბარიც მხოლოდ ერთი მხარეა, მეორეც უნდა მტკიცე და საფუძვლიანი: ბეჭდვა, მოგზაურობა, დახმარება სხვადასხვა სახისა.

და წინასწარვე მოინიშნავდა გეგმას თავისი მომავალი საუბრისას დეკანთან, იმასაც რომ გამოდგომოდა, სადაც უნდა წარმდგარიყო.

განყოფილება ჯერჯერობით ერთ ჯგუფს წარმოადგენდა, მხატვრული პროზის ჯგუფი რომ უფრო შეეფერებოდა სახელად, რადგანაც რვა სტუდენტიდან ლექსების წერას ორიღა განაგრძობდა.

სპეცსემინარს კვირაში ორი საათი ეთმობოდა — მეტი დრო ვერ გაემეტებინათ ამ ჯგუფისათვის სპეციალობაში, და მწერალი მოადევნებდა: საერთოდ სპეციალობას ყველაზე ნაკლები დრო ეთმობა ჩვენში და მერე კი სითამამე ჰყოფნით გაწყრნენ, საიდანაა ამდენი უვარგისი სპეციალისტი, როდესაც გულმოდგინედ ვასწავლით სპეციალურ საგნებსაო.

სპეცსემინარზე რას განიხილავდა პედაგოგიურ გარემოს მიბრუნებული მწერალი?

კლასიკური ნიმუშები მხატვრული ლიტერატურისა, მათი აგების პრინციპები — კლასიკური პრინციპები; აგრეთვე — სტუდენტთა ახალი ნაწარმოებები და ყველა ის საკითხი, რასაც შენიშვნები გამოიწვევდა. ეს საკითხები ჩვეულებრივ ფართო გახლდათ, არ იფარგლებოდა არც მხოლოდ მხატვრული პროზის, არც საერთოდ მხატვრული ლიტერატურის საზღვრებით და გადაწვდებოდა ხელოვნების, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ზოგიერთ თვალსაზრისსაც, მაგრამ მაინც ცდილობდა ამჯერად მეტი ყურადღება დათმობოდა მხატვრული კომპოზიციისა და მხატვრული სტილის ძირეულ პრინციპებს — კლასიკურ პრინციპებს.

სტუდენტები რომ გულმოდგინედ ეკიდებოდნენ საქმეს, თითქმის არ აცდენდნენ მეცადინეობას და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დავალებას, ამ გარემოების აღნიშვნის შემდეგ დასძენდა: ახლა მთავარია რას მივაწვდით ჩვენ, რას მისცემს მათ ეს ახალი განყოფილებაო.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა რომ ძირითადი გახლდათ, ამას ოთარ ჩხეიძეც ადასტურებდა, მაგრამ შეახსენებდა ვისაც ჯერ არს, რომ არა კმაროდა მხატვრული დაოსტატებისათვის დღევანდელ პირობებში.

თავის მხრივ რას შესთავაზებდა აუცილებელ პირობად, თუკი განყოფილება მართლა განყოფილება იქნებოდა და არა კიდევ ერთი მოჩვენებითი ფართიფურთი?

სამ მუხლად ჩამოაყალიბებდა:

ამჯერად წელსვე, მაისში, შემდგომ კი წელიწადში ორჯერ, დეკემბერსა და მაისში, უნდა გამოიცეს 1-2 თაბახიანი მცირე კრებული, ნაბეჭდი და არა ხელნაწერიო;

მოეწყოს ცალკე კაბინეტი განყოფილებისათვის — კაბინეტს რომ ჰგავდესო;

გამოიყოს თანხა ექსკურსიებისათვის, ჩვენში და უცხოეთში სამოგზაუროდო.

ესეც ის აუცილებელი მინიმუმი, რაც მხოლოდ ზრუნვას მოითხოვდა და არა მსჯელობას, თუ მართლა ფიქრობდნენ ამ განყოფილებაზე.

— თუ გვინდა შევუქმნათ ავტორიტეტი და სასურველ შედეგსაც მივაღწიოთ.

ახალი და ახალი საჭიროებანი?

შემდგომ და შემდგომ გამოვლინდებოდა, ჯერჯერობით კი ზედმეტი გახლდათ მათზე სიტყვის ჩამოგდება.

მეტად საგულისხმოა ეს ზოგადთეზისური მონახაზი.

კიდევ გახდება საჭირო ამგვარი განყოფილების შექმნა უმაღლეს სასწავლებელში და თეორიული საფუძველი მომზადებულია გზის გასაკვლევად — სულიერი თვალსაზრისითაც და აგერ გარეგნულადაც, ზოგადთეზისური მონახაზით, საქართველოსა და უცხოეთის მოვლა ერთ-ერთ აუცილებელ პირობად რომ ჩაწერილა მხატვრული ლიტერატურის სარბიელზე შემდგარი ახალგაზრდებისათვის, თორემ კლასიკური მწერლობის შეუსწავლელად რომ ხეირიანი არაფერი შეიქმნება და არც კლასიკური კომპოზიციის შეუთვისებლად, ეს ხომ წინდაწინვე უნდა სცოდნოდათ.

*ოთარ ჩხეიძე*

მცირე კრებულთა გამოცემის გარეშეც რომ შეუძლებელია ამ ყაიდის ჯგუფის არსებობა, ეს უკვე თაოსანთ უნდა მოეხსენებოდეთ და შესაფერისი თადარიგიც დაიჭირონ, თორემ მალე მოთავდება ამგვარი მოწადინებანი ანდა სათროკიალო შეიქნება, თან რომ არსებობს და თან რომ არცა.

ასეთი ერუდიციის პატრონს, ასეთ ორატორსა და იმპროვიზაციის უნარით დაჯილდოებულ პირვონებას სადღა გამონახავენ, ოთარ ჩხეიძე რომ გახლდათ, მაგრამ ვიღაც ყოველთვის გამოჩნდება მეტ-ნაკლებად შესაფერისი ასეთ ჩანაფიქრთა აღმასრულებლად, აგერ, გზამკვლევივით რომ წაადგება ის ჩანაწერი, რომელსაც მწერალი დეკანს კი გაუზიარებდა, მაგრამ ვეღარც შეიტყობდა, იმას ვისთვის ემცნო და რას შეპირებოდნენ.

შეპირება ალბათ მხურვალეც იქნებოდა.

შედეგისა კი... რა მოგახსენოთ!..

6 მაისამდე გაელვებითაც აღარ გაიელვებს ეს განყოფილება თუ ჯგუფი ოთარ ჩხეიძის დღიურში, გიორგობამდე და ყვავილობამდე, მწერლისათვის კიდევ უფრო მშობლიური ყელქცეულის დღეობებითაც რომ გამხდარიყო.

დილიდანვე აჰყვებოდა ეს განცდა, ვიდრე ტელეფონთან იხმობდნენ.

სერგი ჭილაია აღმოჩნდებოდა, იმჟამად უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, სწორედ ის, ვინც თავის დროზე ელაპარაკა და დაიყაბულა, მხატვრული ლიტერატურის სემინარებს ჩადგომოდა სათავეში. სახელდებით აქამდე არ მოიხსენიებოდა, ამჯერად კი გვარ-სახელითაც გამოჩნდებოდა და... გაგულისებულიც: რად მიატოვეო... არ შემოიარეო... ასე როგორ იქნებაო...

პრორექტორს დაეძახა მისთვის და ესაყვედურა, სემინარები რატომ ცდებაო.

სერგის იქ ამით ემართლებინა თავი, თუ ეს თავისმართლებად გამოდგებოდა: მე არც ვიცი, რა მოხდაო, და ახლა თავის მხრივ ოთარ ჩხეიძეს სთხოვდა პასუხს: რატომ აქამდე არ შემატყობინეო.

როგორ კარგად ჰქონია მოგვარებული ამ ახალი სპეციალობის დაფუძნების საქმე რექტორატს, დეკანატსა და კათედრას!..

იანვრამდე ოთარ ჩხეიძე უძღვებოდა ამ სემინარებს, თვითონაც გახალისებულიყო (რასაც აღარ მოელოდა, თორემ ამდენს ხომ არ იყოყმანებდა, ვიდრე დათანხმდებოდა) და იმათაც აიყოლიებდა, სტუდენტებს. პირველი სემესტრი რომ დამთავრდებოდა, დეკანი დაპირდებოდა, შეგატყობინებთ მეორე სემესტრის ცხრილსო.

— აღარაფერი შემატყობინა, არაფერი, აღარაფერი, — ამისი წესი და ზრდილობა ახლა ვიღას მოეკითხება.

თავისით კი ასე გაეგო, იქ რაც მომხდარიყო.

— თურმე იმისთვის, მე რასაც ვაკეთებდი, დაურქმევიათ სემინარები პროზაში, მეორე სემესტრი პოეზიისათვის გამოუყვიათ, მიუწვევიათ პოეტები, ერთი-ორჯერ მისულან, წაუკითხიათ ლექსები, ამასთან, ერთს შეუწყნარებია ეს ყბადაღებული ვერლიბრი, მეორეს ქვა და გუნდა დაუშენია და ამითი მოუთავებიათ ყველაფერი. სემესტრი გრძელდება, სემინარები ცდება, პატრონი აღარა სჩანს... ამასობაში საქდესის ცნობებიც გამოქვეყნდა პრესაში, — „პოეტი კათედრაზე“, — სათაურითა... მე დავიწყეო, ის აგრძელებსო... ხოლო სემინარები ცდება, პატრონი აღარა სჩანს...

— არაფერს გვკითხავენ და მერე პასუხს გვთხოვენ, — აბუზღუნდებოდა სერგი.

— მე მაინც ვერ ამიხსნია რა შუაში ვარ, — თავაზიანად გაარკვევდა მომხდარში ოთარ ჩხეიძე, — მიმიწვიეთ, შეწყდა ლექციები და აღარც მივსულვარ, აღარც ვაპირებ დავბრუნდე; ეს რაა, ვინ მოიფიქრა ასე, ერთი სემესტრი პროზა, მეორე სემესტრი პოეზია, მესამე დრამატურგია, მერე რას აპირებთ, კიდევ ხუთი სემესტრი რომ რჩება?!

მოფიქრებაც ასეთი უნდა!..

სემესტრებისა და ლიტერატურული ჟანრების ამგვარი გადაჭდობა!..

ბაიბურში არ უნდა იყო მხატვრული ლიტერატურის სპეციალობის რაობისა, ასეთი რამ რომ მოგვიდეს თავში...

სერგიც კი გაოცდებოდა, ეს როგორი რა გამოსულაო.

თავისი მხრივ კი გაუმეორებდა და გაუმეორებდა: მოდი, მოვილაპარაკოთ, სექტემბრიდან ისევ შენ იქნები და შენ წაიყვან როგორც გინდაო.

არადა... გიორგობა გახლდათ, ყვავილობა, ყელქცეულის დღეობა.

და მწერალი სინანულით გაიფიქრებდა: რა მინდა, აქ რას ვუზივარო.

იქ ერჩივნა, თავის ყელქცეულში, თავის ეზო-კარში, თავის მიწაზე...

და მერე წუხილი, სასიკეთო რომ არაფერი მოჩანდა საგანმანათლებლო სფეროში.

ჰა, თითქოს რაღაც გამოჭიატდა, რაღაც განსხვავებული, ახალგაზრდების გამახალისებელი და ამყოლიებელი, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც რომ გადაიღებდნენ, თუკი მის წარმატებულ სვლას იხილავდნენ... გამოჭიატდა და... ჩაკვლა ემუქრებოდა ანდა ყოფნაც და არყოფნაც ერთდროულად...

— ისევ ისეა ყველაფერი... ვაგლახ!..

ესეც იმ დღის ჩანაწერის ტკივილიანი ფინალური აკორდი.

ორშაბათს, 10 მაისს უნივერსიტეტში მოუწევდა მისვლა, და ახლა სერგი ჭილაიას კაბინეტში რომ იჯდა, ის უხსნიდა: შენს მერე საქმე წესიერად ვერ წავიდა, ბოდიშს გიხდიანო.

მწერლის ფსიქოლოგიურ მზერას როგორ გამოეპარებოდა და დღიურში ჩაინიშნავდა მოსაუბრის იმ წამიერ შეჩქვიფებას: ამის თქმა უჭირს, არ ემეტება, ბოდიშს რომ მიხდიანო.

ის თავისას მიერეკებოდა:

— გთხოვენ, გააგრძელო, ახლა რაღა იქნება და სექტემბრიდან, მოსაზრებანიც წარმოადგინო, როგორ და რა აჯობებს...

იქვე რომელიღაც პროფესორი თუ დოცენტი ქალი რაღაცას იწერდა რომელიღაც წიგნიდან — გამალებული იწერდა...

ოთარ ჩხეიძე კი უარს მოახსენებდა კათედრის გამგეს:

— თუ მხოლოდ ერთი სემესტრი უნდა დავყო ჯგუფთან, არა მგონია, ამას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვეს და სჯობს, ბარეღამ ჩამოვეცალო.

სერგი მის დარწმუნებას შეეცდებოდა, მეტი გამოვა, თუნდაც ასეთი გეგმა რომ ავირჩიოთო:

— მეორე კურსის ორივე სემესტრი — პროზა, მესამე კურსის პირველი სემესტრი — პოეზია, მეორე სემესტრი — დრამატურგია, მეოთხე კურსის პირველი სემესტრი — კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, მეორე სემესტრი — საკურსო შრომები, მეხუთე კურსი — სადიპლომო. გარდა მეორე კურსის ორივე სემესტრისა, საკურსო და სადიპლომო პერიოდშიც შენთან იქნებიან. ეს წინასწარ, მერე ვნახოთ, წარმოადგინე მოსაზრებანი...

და სიამაყით დასძენდა, ვითომ მხოლოდ საქმიანად:

— აი, ჩვენ ახლა მეორე კურსს მოსკოვში ვგზავნით.

ამას გაეღიმებოდა:

— იანვარში ცეკაში იბარებდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და დეკანმა მთხოვა ჩამომეწერა ზოგი რამ განყოფილებისათვის საჭირო, იქ ეგეც შევიტანე.

სერგი გაიცინებდა (იხსნის საქმიან ნიღაბსაო, შენიშნულია დღიურში):

— ჰოო, იყვნენ.

ოთარ ჩხეიძე გამომშვიდობებისას შეუთანხმდებოდა, წარმოგიდგენ ანგარიშსაც და მოსაზრებებსაცო.

ის პროფესორი თუ დოცენტი ქალი ისევ ისე გამალებული იწერდა და მწერალს გუნებაში გაეცინებოდა: ალბათ წერს, ესენი ხომ ასე წერენ, იწერენ და, დავწერეთო, ირწმუნებიან, ეგებ არც ირწმუნებიან, არც ეკითხებიან და არც ირწმუნებიან, ოღონდაც გადიწერონ მაინც, გადიწერონ და... სამეცნიერო შრომებად უთვლიანო.

ერთი დინამიური გაელვებით სატირული ნესტარი მიწვდებოდა იმ დრამატულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ვითარებას, მოჩვენებითობაში რომ ჩაფლულიყო ყოველივე და... არამცთუ თავდაღწევას არა ფიქრობდნენ იქიდან, სულაც ნეტარად გაყუჩებულიყვნენ დამდორებულ ყოფას შეთვისებულნი... მაგრამ ასეთ გარემოცვაში სასიკეთო ყლორტს როგორ უნდა გაეხარა...

1984 წლის 15 იანვარს განცხადებას შეადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვაჟა ოკუჯავას სახელზე. უამისოდ არ იქნებაო, უბეჯითებდა სერგი ჭილაია, აუცილებელი ფორმალობააო. თურმე არც განცხადების დაწერას ჰქონია აზრი, ოღონდ ოთარ ჩხეიძე ამ „ფორმალობასაც“ შეასრულებდა და ამცნობდა რექტორს, რომ: ფილოლოგიის ფაკულტეტთან კრიტიკისა და მხატვრული ლიტერატურის სპეციალობის ჩამოყალიბების დღიდან თანამშრომლობდა ეგრეთწოდებული საათობრივი ანაზღაურების წესით. და სთხოვდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გამოეყოთ მისთვის ნახევარი შტატი — დატვირთვა ამის საშუალებას იძლეოდა.

და მწერლური მინაწერი, განცხადებათა ტრაფარეტული სტილისტიკისაგან ამოვარდნილი:

— ხოლო თუ ეს ძნელია, როგორც ამბობენ, ანთუ ვინ უწყის საათობრივი ანაზღაურებაც გიჭირთ, მაშინ შეიძლება განვაგრძო მუშაობა საზოგადოებრივი დატვირთვის წესითა, — ასეთი წესიც არსებობს, — ვიდრე ხალისი მეყოფა.

ხალისი ეყოფოდა, თვითონ კი ეყოფოდა ხალისი, სხვა მხრივ რომ მოწესრიგებულიყო იმ კარგი წამოწყების საქმე, ვაივაგლახით რომ ითქვამდა სულს და ბოლოს ვეღარც შენარჩუნდებოდა.

1985 წლის 27 დეკემბრის ჩანაწერი უშუალოდ ამ სპეციალობის მდგომარეობას არ ეხება, მაგრამ მაინც მისი გამოძახილია, რაკიღა ფილოლოგის დღის აღსანიშნავ საღამოს სხვაგვარად არ დაესწრებოდა, სტუდენტებს რომ არ ეთხოვათ. აღარ მოშვებოდნენ და ესეც ვეღარ ეურჩებოდა, ოღონდ იმაზე მაინც დაითანხმებდა, რომ მხოლოდ დამსწრე იქნებოდა და მონაწილეობას კი არ მიიღებდა.

ახლა ფანჯარასთან მიმდგარიყო მიხეილ ქვლივიძესთან ერთად.

საღამოს დაწყება ჭიანურდებოდა — რაღაცას თუ ვიღაცას ელოდებოდნენ.

მიხეილი შემართულიყო, ანდა რა გასაკვირია:

— უყვარს ასეთი შეხვედრანი თუ თავშეყრანი, უყვარს რო იკითხოს თავისი ლექსები დიდხანსა და დაუქანცველადა.

იმ რაღაცისა თუ ვიღაცის მოლოდინში გაიხსენებდა მიხეილ ქვლივიძე, თუ როგორ დაებარებინა ქალაქკომის (აქაურის, მოსკოვისას არ იგონებდა) მეორე მდივანს, ქალი რომ ბრძანდებოდა, და დაევალებინა: რვა მარტს უნდა გამოხვიდე ზეიმზე, ლექსი ლექსად, ოღონდ პატარა სიტყვაც წაუმძღვარეო.

დირექტივასაც მოაყოლებდა, თუ როგორ უნდა გამართულიყო ის სიტყვა: როგორ გათავისუფლდა და რა ლაღად სუნთქავს ქალი ჩვენში, როგორ დაჩაგრულიყო რევოლუციამდე და როგორ იჩაგრება დღესაც კაპიტალისტურ სამყაროში — ეს და ამისთანები.

აღარ აუხირდებოდა, წამოვიდოდა და წინა წლის „პრავდის“ მოწინავეს მოძებნიდა, სწორედ ის და ისე ეწერა, რა-

საც მისგან მოითხოვდნენ. გადაიწერდა და რვა მარტის წინადღეს ისევ რომ დაიბარებდნენ და სიტყვის წინასწარ ჩვენებას მოსთხოვდნენ, ეს იმ გადაწერილს წარუდგენდა.

ცოტა ჩაიღიმებდა მდივანი ქალი:

— საოცარია, ვისაც ვთხოვეთ სიტყვით გამოსვლა, პოეტია თუ აკადემიკოსი, მოწინავე მუშა თუ სტუდენტი, ეტყობა, ყველა ერთნაირად აზროვნებთ, სტერეოტიპულად აზროვნებთ, განსხვავება არ არის თქვენს სიტყვებში.

გამოუტყდებოდა მიხეილ ქვლივიძე:

— ეს ჩემი აზროვნების ნაყოფი არ არის, „პრავდის“ მოწინავიდან გადავიწერე და ალბათ იმათაც იქიდანვე გადაიწერეს.

ის... ვითომც ვერ გაიგონებდა, ეგაა ეტყოდა:

— იცით რა, ბატონო მიხეილ, სიტყვებს სხვებიც იტყვიან, თქვენ მხოლოდ ლექსი წაიკითხეთ.

ლექსს კი წააკითხებდნენ, ოღონდ მერე აღარსად დაუძახებდნენ.

გაიღიმებდა, გაიცინებდა და ოთარ ჩხეიძესაც აიყოლიებდა, შემართულიყო გამოსასვლელად და ხალისობდა, რატომაც არა.

და დღიურში ესეც აღნიშნულა: ვეკითხები ჩემთვისაც მოულოდნელად, სხვა დროს არა ვკითხავდი, სიტყვაც არ მოიტანდა და ისედაც დიდი რამ საკითხავი არ გახლავთო:

— ამასწინათ რო მიშველაძის ხოტბა გამოაქვეყნე, ისიც ჰო არსაიდან გადაიწერე, ვთქვათ ირაკლი აბაშიძის წერილიდან ჰო არ გადაიწერე, როგორღაც მომეჩვენა რო ერთი ხელით უნდა დაწერილიყოს.

— არ ვიცი, მე არ დამიწერია, — სიცილით მიუგებდა მიხეილ ქვლივიძე, ისევ იმ გამოყოლილი სიცილით, — მომიტანა და ხელი მომაწერინა, კაი ჯიბიდან გავარდნილი ყოფილა.

და გააგრძელებდა სიცილს, ისევ იმ გამოყოლილსა და გადაბმულს.

მოუხმობდნენ და ესენიც შევიდოდნენ.

მიხეილი ისე შემართულიყო, ოთარ ჩხეიძე იგრძნობდა, დიდხანს აღარ გაუშვებს ხელიდან მიკროფონსაო.

დღიურში ამ ზოგად განცდასაც ჩაინიშნავდა: როდესაც პოეტი მიკროფონით გამოდის სცენაზე, ასე მგონია, დასცხებს ჯაზი და ამღერდება პოეტი, ანთუ ახუნტრუცდება და ხავილს დაიწყებსო.

ოღონდ ეს მიხეილ ქვლივიძეს არ ეხებოდა: კარგი ლექსებიც მოეპოვება და კარგადაც კითხულობსო.

### თავი II

## ახალგედა კალმოსანი — გამოჩენილი მწერლის პერსონაჟად

1986 წლის 18 მარტს კი ლექციიდან გამოსულს გიზი ფაშალიშვილი შორიდანვე რომ მიიხმობდა, ლია ყატაშვილს ელაპარაკებოდა და ოთარ ჩხეიძესაც ამიტომ დაუძახებდა: ერთი ამას მოუსმინეო.

— გასულ წელს დაამთავრა ლიამა. ეს ის პირველი გამოშვებისაა, კრიტიკისა და მხატვრული ლიტერატურის სპეციალობა რო ენოდება. სამუშაო ძლივს უშოვნია. ოქტომბერსა თუ ნოემბერში შემხვდა, ახალი მოთხრობები დავწერე, უნდა მოგიტანოთო. აღარ მოუტანია. ეტყობა კიდევაც გაუმწესებიათ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. გაუმწესებიათ და აი მომხსნესო. დირექტორმა მომხსნაო. დამაშინაო. განთავისუფლებას შენ თვითონვე თუ არ ითხოვ, დაგიჭერ, დაგხვრეტო.

გიზი ფაშალიშვილს უკვე მოესმინა და თითქოს ისე აღარ განიცდიდა.

ოთარ ჩხეიძე კი იგრძნობდა, ჟრიალი როგორ მოეკიდებოდა, რადგანაც ლიას ხუმრობა არა სჩვეოდა, არც გაზვიადება, თანაც ისე გაფითრებულიყო და დალეულიყო ეს ისედაც ფერმკრთალი და გალეული გოგო, გეგონებოდა ესაა და დასახვრეტად მიჰყავთო.

თურმე მასწავლებელს გამოსარჩლებოდა პედაგოგიური საბჭოს სახდომაზე და ამას მოჰყოლოდა ყველაფერი.

ოცდაჩვიდმეტი შენისთანა ხალხისათვის იყო და მე რომ მკითხავდნენ, კიდევ დავაბრუნებო, — ამ სიტყვებში თვალნათლივ იხატებოდა სკოლა-ინტერნატის დირექტორის პორტრეტი.

მართლა ჩემისთანა ხალხისათვის ყოფილაო, — მწარე გულისტკივილით ამცნობდა მისთვის შეწუხებულ პიროვნებებს.

ესაა წამოდგა მერხიდან, ესაა გავიდა ცხოვრებაში, ესაა გამოესარჩლა ადამიანს და მაშინვე ემსხვერპლა, ჯერ თვალიც რომ ვერ მიუტარ-მოუტარებია ირგვლივო, — ოთარ ჩხეიძე გაიფიქრებდა და ფიქრი ისე გაგრძელდებოდა, შეიძლება ეს ამბავი იმ სახით ჩამოვაყალიბო, საგაზეთო წერილად რომ გამოდგეს და, ვინ უწყის, შეიძლება დაბეჭდვაც მოხერხდესო.

— ღმერთო შენ შემეწიე!..

ჩაილაპარაკებდა და... გაბო გაახსენდებოდა: თქვენნაირ ხალხს არ შეიძლება ღმერთი რომ არა სწამდესო, — და თავისი პასუხიც: რაღაც რომ არა გვწამდეს, არ შეიძლებაო.

ღმერთს რომ ახსენებდა, ეგებ ისე შესწეოდა, დაბეჭდვა რომ მოხერხებულიყო. სათქმელიც თქმულიყო, ცოტა, თუნდაც სულ ცოტა თქმულიყო და მაინც დაბეჭდილიყო.

და უეცრად ფაუსტურ-მეფისტოფელური ასოციაციები ამოესახებოდა: სულიც კი ადვილად გაიმეტება, ოღონდაც გვათქმევინონო.

თავისებურად გაეაზრებინა ფაუსტის სახება და გორის ინსტიტუტის სტუდენტებთან რომ წარმოედგინა ეს ორიგინალური კონცეფცია, ნეტა ამ ახალი სპეციალობის სტუდენტებთანაც ხომ არ მოჰყოლოდა სიტყვას დასავლური აზროვნების ეს ორი სიმბოლო თუ პარადიგმული სახე?.. ყოველ შემთხვევაში ამ პასაჟში კი იჩენდა თავს მკაცრი, დამთრგუნველი რეალობით ნაკარნახევი:

— რის ნეტარება თუნდაც წუთისაო, ოღონდ გვათქმევინონ, მეტი არაფერი...

სტატიას ბელეტრისტული იერი გადაეკვროდა, თემაც მოითხოვდა და ოთარ ჩხეიძისთვისაც ასე უფრო მარჯვე გახლდათ, თვითონ ამბავიც მოექცია მსჯელობის შუაგულში და მხოლოდ განზოგადება არ ეკმარა.

და სტატია შესავლის გარეშე დაიწყებოდა, თუ როგორ წაეყვანა მასწავლებელს მოწაფეები მცხეთას ექსკურსიაზე და სვეტიცხოველიც მოენახულებინათ. წაიყვანდა და დაბრუნებდა მშვიდობიანად და საღსალამათად. ამ მხრივ ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებდა, სხვა მხრივ კი — სვეტიცხოველს შეიცხადებდა დირექტორი, როგორ თუ იქაც შესულხართო. პედაგოგიურ საბჭოს მოიწვევდა და ისეთ ცეცხლს დაუნთებდა, გამოცდილი მასწავლებელიც ვერა-

ფერს მიუგებდა, იდგებოდა აწურული და გასუსული („ლამის რო გაჰქრესო“).

ახალბედა მასწავლებელი გამოესარჩლებოდა, ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალკურსდამთავრებული, და დირექტორს განუმარტავდა: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ ითვალისწინებს სასწავლო პროგრამა და სვეტიცხოვლის დათვალიერება აუცილებელი არისო.

განრისხდებოდა დირექტორი ამ „თავხედური“ შეპასუხებით: შენი ამბავიც დიდებულად მომეხსენება, ხატებსა და წმინდანებზე ელაპარაკები მოწაფეებსო.

— მართალს ბრძანებთო, — ამასაც განუმარტავდა ახალბედა, — ეს ერთხელ მოხდა და ისიც „განდეგილთან“ დაკავშირებით, ისე როგორც ეს ნაწარმოები მოითხოვს და ეს ხომ ილია არისო.

— ილიაოოო! — და დირექტორი იმაზე უარეს სიტყვებსაც კი მოაყოლებდა, 900-იან და 20-იან წლებში რასაც წერდნენ ილიაზე.

— რა ხნისაა თქვენი დირექტორიო? — ახალბედასათვის რომ ეკითხა მწერალს, ამასაც დასძენდა სტატიაში: რატომღაც წელთაღრიცხვა დამეკარგა და ვიფიქრე, ალბათ იმ ავადსახსენებელი ბერბიჭაშვილის ტოლია და მეგობარიო.

არადა... ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდებოდა, ვინც აიძულებდა „დამნაშავის“ გამომსარჩლებელს, რომ თავისი განცხადებით წასულიყო სკოლიდან.

თუ არაო და...

მწერალი მოერიდებოდა იმ სიტყვების განმეორებას, რადგანაც ასე არ ლაპარაკობენ წესიერი ადამიანები, მითუმეტეს — სკოლაში.

ხოლო ვინც იცის, თუ როგორ ლაპარაკობენ წესიერი და განათლებული ადამიანები, გამოისტუმრებდნენ და მძიმე განსაცდელის წინაშეც დააყენებდნენ — მორალურადაც და ისედაც, ხომ უნდა ემუშავა, რათა ეარსება — სხვა გზა კი არ გააჩნდა.

— მართალია წერს, მოთხრობებსა წერს და კარგადაცა წერს, მაგრამ ჯერ არავინ შეუწუხებია, არცერთი რედაქცია არ შეუწუხებია, და ვგონებ არც აპირებს მიმართოს ვინმესა, რადგან რო ფრთხილობს, ფრთხილობს და დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია სამწერლო მოვალეობასა. როგორც მწერლისათვის, შეიძლება ეს რო მისწრებაც იყოს, — ასეთი კონფლიქტი, ასეთი შეხლა უხეშობასა თუ გაუგებრობასთანა, მაგრამ ამჯერად მაინც უნდა იმუშაოს, — სამსახურს ვამბობ, — სხვა გზა არა აქვსმეთქი.

და ოთარ ჩხეიძეს გუნებაში ჩაეღიმებოდა: დირექტორმა ჯერაც არ იცის, თუ ვის ჩაუვარდა ხელში, ვის წინაშე გადმოჰფინა თავისი სულიერი ავლადიდება, რაკიღა გარეგნულად ეს მეტად სუსტი თუ უმწეო გოგონაა, არ იცის და ვერც გაიგებს, ჰგონია რომ მოიცილა თავიდანო.

ოღონდ დამაფიქრებელი ერთი გარემოება გახლდათ:

კარიერიზმისა და შიშის ვნება ერთდროულად თუ მოსდებია ადამიანს, სავალალოა ასეთი უფროსი, და თუ სხვის მაგივრადაც უნდა აგოს პასუხი, მაშინ სავალალოზე სავალალოცაა. და თუ გაუნათლებლობასაც დავუმატებდით?..

დიპლომს არა ვგულისხმობო, — დასძენდა, — დიპლომი ექნება და შესაძლოა ორი დიპლომიც ჰქონდეს, დიპლომი სხვაა და განათლება სხვა რამე გახლავთ და ძალიან კი მომრავლებულან გაუნათლებელი დიპლომოსანნიო.

ოღონდ გაუნათლებლობასა და კარიერიზმსაც რომ დავხსნოდით:

— შიშიცა კმარა, შიში, ლაჩრული სული, კმარა, კმარა რაღა თქმა უნდა, რო აღივსოს სისასტიკითა ყველასა და ყველაფრის მიმართა, რაც რო ეღობება პიროვნულთა მისთა ზრახვათა. და ჰგონია, რო ყველაფერი ეღობება, „განდეგილიცა“, „დიდოსტატის მარჯვენაცა“, ამ შემთხვევაში, სხვა შემთხვევაში კიდევ სხვაი და კიდევ სხვაი...

ცხოვრების სირთულეს ისიც მოეტანა, რომ ვეღარც გარკვეულიყო, დანაშაული რომელი გახლდათ და შეცდომა რომელი, რომელი რომელს მოსდევნებოდა და რა მიეტევებოდა ადამიანს.

— და მძლავრობს შიში, შიში უფროსისა, მძლავრობს, მძაფრდება და თავის გამოჩენისა თუ თვითდაზღვევის საშუალებად ისღა მიუჩნევია, დასაჯოს ყველა, ყველა, ყველა, თითქმის რო ყველა, რადგან რო ვინ უწყის ვის თუ სად თუ რა მოეწევა და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ყველასა და ყველაფერსა...

კიდევ უარესი ის გახლდათ, რომ ამოიჩემებდნენ სკოლაში სწორედ იმას, ბავშვებს ვინც უყვარდათ, არამცთუ მასწავლებელს, დამლაგებელსაც კი ამოიჩემებდნენ, როგორ თუ ბავშვების სიყვარული მოგიპოვებიაო.

ასეთი რამის თქმა ზოგადადაც შეიძლებოდა, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს სიტყვაზე კი არ მოჰყოლია „დამლაგებელი“, ასეთი დამლაგებელი მართლა ახსოვდა, ბავშვებს რომ უყვარდათ, და კიდეც შეიძულებდა დირექტორი, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ არ უნდა ჰყვარებოდათ დირექტორი და რატომ უნდა ჰყვარებოდათ იმისი ხელქვეითიც არა, ქვეითი და ქვეითი... შეიძულებდა და შურსაც იძიებდა, რაკიღა ვერ აეხსნა ეს უბრალო ფილოსოფია წუთისოფლისა:

— რომ უყვარდეთ, უნდა გიყვარდეს, უნდა თანაუგრძნობდე, მეტი არაფერი. ამას არც არისტოტელე უნდა, არც ჰეგელი და არც კირკეგორი, — უნდა გიყვარდეს, უნდა თანაუგრძნობდე, ეს დიდი ღირსებაა და შეიძლება ნიჭიცაა ადამიანისა, ნიჭი, ნიჭი, ეგება რო ყველას არც მოეპოებოდეს.

ამ ახალბედა მასწავლებელს მოსდევდა ეს ნიჭი — ზოგისათვის შესაშური.

ამიტომაც აეთვალწუნებინა დირექტორს პირველი დღიდანვე და იმ გამოსარჩლებას საბჭოს სხდომაზე საბაბად დაიხვევდა მის მოსაშორებლად, ეს რომ არა, სხვა მიზეზს უკრეფდა აუცილებლად.

ასე მოიშორებდა სხვასაც, თუ ვინმე გამოირჩეოდა და თავის დაფარვა ვერ მოუხერხდებოდა.

— რაღა იქნება მასწავლებელი, ანთუ საერთოდ ადამიანი, რაღა იქნება ადამიანი, თუ უნდა ჰფარავდეს სიყვარულსა თუ უნდა მალავდეს თანაგრძნობასა? — რაღა იქნება.

ის სხვა რამ გახლდათ: სიყვარულსა მალვა უნდაო.

და შეფარული იუმორი გამოერეოდა მსჯელობას: ვინ უწყის, არც ისე სხვა რამ იყოს, თუ ასეთი სასტიკი დირექტორი გადგას თავს, ვინ იცის, რომ თვითონ არ უყვართ მოწაფეებს, და მოითხოვს, რომ არც სხვა არავინ არ უნდა უყვარდეთ.

ბევრი რომ იწერებოდა ამ ბოლო დროს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო განახლებული სკოლა — როგორ უნდა შეხამებოდა ერთიმეორეს ზოგადი განათლება და პრაქტიკული ჩვევები, როგორ და რა დოზით უნდა ზიარებოდნენ მოსწავლეები მეცნიერების უახლეს მონაპოვართ და ტექ-

ნიკის მიღწევებს, მუსიკალური განათლება როგორ მიიღონ და თეატრიც და ხელოვნების სხვა დარგებიც როგორ არ გამორჩეთ, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი და მშობლებს როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ სკოლასთან?

ეს ყველაფერი იწერებოდა და თვალს მიადევნებდა ოთარ ჩხეიძეც ყველა ამ პუბლიკაციას, ოღონდ იმას კი არსად წაწყდომია თუ როგორი უნდა ყოფილიყო სკოლის დირექტორი:

— ეგება გამომრჩა, ეგება ისედაც ნათელია?.. რაღა თქმა უნდა ნათელია და ნათელზე ნათელი, ჩემთვის ნათელია, მაგრამ ნათელია იმისთვისაცა, ვისზედაც ვლაპარაკობ?.. არა მგონია!..

თუ არ გიყვარს ადამიანი და ვერ თანაუგრძნობ, მართლაც რა გინდა სკოლაში და მერე ისიც დირექტორად?!

საწარმოს დირექტორიც, მეურნეობის დირექტორიც არ შეიძლებოდა ამ გრძნობის გარეშე და ვერც გაიტანდა თავს ბოლომდე, მაგრამ მანამდე ხომ ბევრს გაუმწარებდა სულს?!.

ასეთ დროს ნურავინ მოინდომებდა რეჟიმის აუცილებლობის ხსენებას.

ხომ არ შეიძლებოდა რეჟიმი და სისასტიკე არეულიყო ერთიმეორეში. სკოლა ჯერ ისედაც განსხვავებული მოვლენაა საწარმოსა თუ მეურნეობისაგან, და მის ირგვლივ მსჯელობისას სულაც რეჟიმისა და სისასტიკის არევა?

— რეჟიმი წესრიგია, სისასტიკე უწესრიგობაა, თუმცა რო გარეგნულად წესრიგს მოემგვანება სისასტიკეცა და თითქოს რო უაღრეს წესრიგსაცა, ოღონდ ეს მხოლოდ გარეგნულადა, ხოლო შინაგანად დამუხტულია წინააღმდეგობის სულითა.

თვალსაჩინო მაგალითის მოხმობა იყო საჭირო?

სანიმუშოდ გაიხსენებდა ძველ სასწავლებელთა ყოფას, არსად რომ არ მძვინვარებდა ისეთი სისასტიკე, არც გიმნაზიასა და არც რეალურ სასწავლებელში, როგორიც სასულიერო სემინარიაში, და რა — იმდენი ათეისტი და მკრეხელი არ გამოსულა გიმნაზიიდან თუ რეალური სასწავლებლიდან, რამდენიც სემინარიიდან მოევლინა ქვეყანას.

მოუკლავთ გიმნაზიის დირექტორი ანდა რეალური სასწავლებლისა?

არასოდეს.

სასულიერო სემინარიის რექტორის მკვლელობის ამბავი კი ყველას მოეხსენება, რაკიღა ამ აქტს ზედ გადაეჯაჭვა დიმიტრი ყიფიანის საპროტესტო გამოსვლა ქართველი ერის დაწყევლის გამო, შემდგომ კი მისი გადასახლება და მოწამებრივი აღსასრულიც.

არადა, სწორედაც სისასტიკე იმსხვერპლებდა სემინარიის ხელმძღვანელს პავლე ჩუდეცკის, რადგანაც ოთარ ჩხეიძე საგანგებოდ შეახსენებდა მკითხველს, რომ იოსებ ლაღიაშვილს, ვისაც ეს სისხლიანი აქცია აღესრულებინა, სანდო მოგონებანი წარმოგვიდგენენ ყოვლად წესიერ, მშვიდ და მოკრძალებულ ყმაწვილად.

ეს ეპიზოდიც თვალნათლივ ადასტურებდა, რომ არაფრისდიდებით არ უნდა გადაცდენოდა რეჟიმი ფარგლებს და არ გადაზრდილიყო სისასტიკეში.

ამისათვის კი რა არის საჭირო?

— მხოლოდ უნდა გიყვარდეს ადამიანი, გიყვარდეს ბავშვი, გიყვარდეს და თანაუგრძნობდე. უამისოდ სკოლაში არ შეიძლება რო მივიდეს არც მასწავლებელი, დამლაგებელიც არა, მითუმეტეს დირექტორი, არა, არ შეიძლება.

ოთარ ჩხეიძისეულ შეფარულ იუმორს კვლავ უნდა გაეელვა, ეს იმ პასაჟში, როდესაც სიტყვას ჩამოაგდებდა, რომ დირექტორს ეშინოდა, იქ არ ჩარჩენილიყო, იმ შორეულსა და მიყრუებულ სკოლაში და არაფერს შეეშალა ხელი მისთვის, გზა რომ გაეკაფა ზევითა და ზევით.

— თუმცა ეს სიმბოლური ნათქვამია — ზევითა და ზევითაო — თორემ ისე ამ შემთხვევაში ქვევითა და ქვევითა უფრო სწორი გამოთქმა იქნება, რადგან რო წარმატებანი ქვევით-ქვევითაა ამ შემთხვევაში რაღა თქმა უნდა, ზევით მთებია, მთაგრეხილებია, ღრანტეებია, გადასაჩეხებია, იქ აღარ უნდა, იქიდან დაეშვა და სხვა ქანი აუღია, სხვა ზევითა ამოუჭრია გულში.

თუმცა და რაო, ღრანტეები იქაც ბევრიაო, — ჩაეღიმებოდა მწერალს, ბევრისმცოდნესა და ბევრისშემსწრეს, — უხილავია და უამრავია და ვერც ვერავინ ასცდენია ბედისწერასაო...

რაც უნდა ყოფილიყო, ოთარ ჩხეიძეს ლია ყატაშვილის ბედი უფრო აწუხებდა, და კიდევ მისთანათა, რომელთაც ეგონათ, რომ გარდაგებულიყო უკეთურება და გასაქანი აღარ მიეცემოდა. და როდესაც მოულოდნელად გადაეყრებოდნენ ბოროტების გამოვლინებებს, იბნეოდნენ და ადვილადაც მარცხდებოდნენ, ტოვებდნენ ასპარეზს და აღარ იცოდნენ თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

რას აპირებო? — ეკითხა თავისი ყოფილი სტუდენტისათვის.

არ ვიციო.

ახალი მოთხრობა წამაკითხეო, — შესთავაზებდა და ის კი დათანხმდებოდა: მოვიტან სემინარზეო, — მაგრამ აღარ გამოჩენილიყო და მწერალმა აღარ იცოდა, სად მოეკითხა, თანაც ვარაუდობდა, რომ ახალ მოთხრობას ჩაუჯდებოდა.

— ავი ამბავი იქნება სიუჟეტი ამ მოთხრობისა, ავი კაცი იქნება პერსონაჟი, მთავარი პერსონაჟი ამ მოთხრობისა, ავი, ავი, სიავე იქნება, ასე მგონია, ხოლო აქამდის რაც წამიკითხავს მისი, მხოლოდ სიკეთის ამბები გახლდათ, მხოლოდ კეთილი ადამიანები მოქმედებდნენ, კეთილი, სათნო, წრფელი, მიმნდობი ადამიანები. რა უცებ შეიძლება რო გარდაიქმნას ახალგაზრდა მწერალი...

ოღონდ ამასაც დასძენდა: თუმცა ჯერ ხომ არ ვიცი, ჯერ მხოლოდ მგონია... გამოჩნდება და მეცოდინებაო...

ღია ფინალით ბოლოვდებოდა სტატია.

სტატია ერქვა და ნოველას კი უფრო დამგვანებოდა, და ლია ყატაშვილი ოთარ ჩხეიძის ნოველის პერსონაჟადაც გამოიყურებოდა, ახალბედა მწერალი აღიარებული მწერლის პერსონაჟად ქცეულიყო, ისეთი თავგადასავალი ეწვნია ცხოვრებაში გამოსვლისთანავე, შემდგომ სამეცნიერო კარიერას რომ აირჩევდა და საკმაო წარმატებითაც შეუდგებოდა უმთავრესად თანადროული ლიტერატურული პროცესის კვლევას, მის ძიებათა შუაგულში კი ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მოექცეოდა და პირველი იგი აღმოჩნდებოდა მკვლევართაგან, ვინც ამ მწერალზე დაიცავდა სადისერტაციო ნაშრომს. დისერტაცია დისერტაციად და წერილების მთელს ციკლსაც მიუძღვნიდა, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურის სემინარებსაც გაიხსენებდა ლიტერატურულ პორტრეტში „პიროვნება-მწერალი“ და ბელეტრიზებული თხრობით წარმოსახავდა იმ დაუვიწყარ დღეებსაც და იმ დრამატულ ამბავსაც, ურომლისოდაც ვერც სტუდენტობისას გადარჩენილიყო... და მასთან ერთად მისი თანაჯგუფელებიც...

ოთარ ჩხეიძე კი თავის სტატიას დაჰყურებდა: ვგონებ ისეა, რომ დაიბეჭდებაო...

თუმც მართლაც რომ ვეღარაფერი გაეგო — აგერ რამდენი ხანია იდო მისი წერილი „მადლი დედობისა“ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის პორთფელში და საშველი არ ადგებოდა მის გამოქვეყნებას... თითქოს ყოველ ნომერში იბეჭდებოდა და... აღარ იბეჭდებოდა.

— და ვეღარ გამიგია ვეღარაფერი...

ეს ახალი პუბლიცისტური გამოხმაურება მეტად საჭირბოროტო თემაზე?

ამას მაინც ჯერ ვერ წარვუდგენო, — ენანებოდა, ხელთ რომ უნდა შერჩენოდა, მაგრამ გინდ შინ დადებულიყო და გინდ რედაქციის პორთფელში.

### თავი III

## ჩამოგდებული ნიღაბი

ლია ყატაშვილი-წერეთლის მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტი ოთარ ჩხეიძეზე იმ სტუდენტურ მოგონებებზე ამოიზრდებოდა, ორიგინალური წამოწყება — კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების ჯგუფი რომ ერქვა და... თურმე ძალით შეაკოწიწებდნენ.

საგანმანათლებლო ყოფა, სკოლისაც და უმაღლესი სასწავლებლისაც, საკმაოდ მრუმე ფერებით წარმოისახებოდა ამ ესეიში „პიროვნება-მწერალი“, წარმოისახებოდა შეულამაზებლად, ისეთი, როგორიც სინამდვილეში გახლდათ და უმთავრეს მიზნად ყმაწვილში ადამიანურობის ჩაკვლას რომ ისახავდა, სანაცვლოდ კი იმ კნინი ცოდნის მიცემას, რაც საყველპურად თუ გეყოფოდა, თუ თვითგანვითარებით არ შეეცდებოდი სასწავლებლებში უღმერთოდ გაცდენილი დროის ანაზღაურებას.

ჯერ სკოლა:

ბავშვურ წარმოსახვას მთელ საუკუნედ რომ ეჩვენებოდა ის ათი წელი — ხანგრძლივი, ვერდასრულებული უუფლებობა, ლაღი ბუნების დამთრგუნველი იძულება, წრფელი და ფაქიზი სამყაროს ჩახშობის მკაცრი და უგულო დიდაქტიკა.

— და მაინც იცი, რომ დასრულდება იგი, დასრულდება და როგორც განსაწმენდელი, ოცნებაში დგას უნივერსიტეტის თეთრი ტაძარი.

აგერ ოცნების კარიც.

აგერ უნივერსიტეტის თეთრი ტაძარიც.

აღთქმული სინათლის მოლოდინი და... მოლოდინი და მოლოდინი და... აცეცე თვალები დაბნეულმა.

— შენი ოცნებისა და მოლოდინის არავის გაეგება, არავის არაფერი აღუთქვამს. და უნივერსიტეტის კედლებიც ისევე ცივი და უგრძნობია, ისევ უუფლებო და დათრგუნული ზიხარ მერხთან, ისევ ჩაგძახიან და გაზუთხებენ ჩაძახილს, დარაჯად დგანან — თვალმა და გულმა არსაით გადაგძალოს...

ესეც პირველი კურსის განწყობილება — მართლაც გაცრუებული იმედებით გამძაფრებული განცდა.

1980 წელია და ავტორი, მეტი სიმკვეთრისათვის, შეეცდებოდა ორიოდ შტრიხით შემოეხაზა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო, ჯერ ბზარიც რომ არ უჩანს სკკპ ისტორიას, მეცკომისა და დიამატის, ათეიზმისა და მარქსისტული ფილოსოფიის კათედრებს, და კომკავშირის მარწუხებში საიმედოდ მომწყვდეულთა თვალწინ ძველი ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის კურსში ქრისტიანული აღმსარებლობის მოტივებს ძალზე გაბედული ლექტორი თუ შემოაპარებს.

ზაფხულშიც არ უნდა დაგასვენონ — კომკავშირულ ბრიგადებად შეგკრან და მთელი თვით ჩაის საკრეფად შორეულ პლანტაციებში წაგასხან...

რაღაცის მოლოდინი ინავლება, ინავლება და... ქრება, და... ამ სიმრუმეში რაღაც სასიკეთოს გამოჭიატებისა უკვე აღარც გჯერა?

მითუმეტეს, როდესაც მეორე კურსის სექტემბერში სპეციალობებად განაწილებისას, საითაც გული გიხმობს, იქ ვინ მიგაკარებს და... დეკანატის ბრძანებით აუდიტორიაში რომ შეგასხამენ, წარმოუდგენელ სიკეთეს კი აღგითქვამენ — მწერალთა კავშირის თაოსნობით ახალი დისციპლინის დაარსებას, მაგრამ... როგორ გინდა დაიჯერო მათი გულწრფელობა.

რაო, არა გნებავს? ისეთ მუქარას გაგაგონებენ, უნუგეშოდ დაუბრუნდები მერხს იმ ერთიბეწო იმედით, რომ ეგებ ეს განზრახვა ვერ აეწყოს, ახალი დისციპლინა სათავეშივე მოიშალოს და შენც სანუკვარ სპეციალობას მიაშურო.

ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე გააფრთხილებდნენ, ლექციის კურსის წასაკითხად მწერალია მოწვეულიო.

გვარს არ ასახელებდნენ.

ყმაწვილები ვერ იგებდნენ ასეთი გასაიდუმლოების მიზეზს, მერე კი მიხვდებოდნენ, რომ გასაიდუმლოება არაფერ შუაში იყო, ეგაა, თაოსნებმა ჯერ არ იცოდნენ, ვინმე თუ დათანხმდებოდა.

მანამდე კი მუქარა: გაცდენა არ გაბედოთ!..

და, აი, დათქმული დღეც.

არა სიხარულით, თუნდ ცნობისწადილით აღვსილი, არამედ მუქარა-ძალადობით დაღლილი, მორჩილად დადრეკილი, დაშინებული და, ამასთან, ეჭვითა და შინაგანი პროტესტით სავსე და იმ უცნობი მწერლისადმი მიუღებლობით განმსჭვალული ფეხის თრევით უნდა შეხვიდე აუდიტორიაში.

ლია ყატაშვილი არამარტო პირად განწყობილებას აღადგენს, არამედ ძალდაუტანებლად შეუძლია განაზოგადოს ეს შინაგანი ფორიაქი თანაჯგუფელებზეც.

დეკანატის წარმომადგენლები თეთრთმიან, საშუალო სიმაღლის, საოცრად მშვიდი გამომეტყველების სანდომიან მამაკაცს უნდა შემოუძღვნენ და... სტუდენტების თვალწინ საგულდაგულოდ მოატყუონ, თითქოს ეს ახალგაზრდები ოცნებობდნენ ამ სპეციალობის ჯგუფში მოხვედრაზე, რომ დიდი სურვილი აქვთ, თავიანთი „შემოქმედება“ გააცნონ პროფესიონალ მწერალს, ესწრაფიან დაოსტატებას და... ამგვარად და ამ მანერით...

— მოგვატყუეს, მოატყუეს და ერთმანეთს შეგვატოვეს.

მოხდენილი ექსპოზიციაა.

მარჯვედ მოძებნილი და აგებული კონტრასტული ფონი, რათა მოულოდნელი შემოტრიალების მოწმენი თვალდათვალ გავხდეთ და უფრო ხელშესახებად შევიგრძნოთ უჩვეულობას, რაღაც სულ სხვა სამყაროს ზიარებული ახალგაზრდების განცდები.

რას ნიშნავს ბელეტრისტული უნარი!..

ზუსტად მიგნებული შტრიხები და დეტალები გაცილებით მეტს გამცნობენ, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს... და ეს უნარი თხრობისას კიდევ უფრო მკვეთრადაც იჩენს თავს, როდესაც სახელოვანი პოეტიც უნდა გამოჩნდეს და მისი პორტრეტიც კანთიელად წარმოჩნდეს მარჯვედ შემჩნეული ნიუანსების წყალობით.

ოღონდ ჯერ ოთარ ჩხეიძის საუბრისათვის უნდა ესმინათ — დინჯი, ფიქრიანი, დარბაისლური მეტყველებისათვის, მკვეთრისა და საგრძნობლად ნელის.

ამ ნელ მეტყველებას ყველა სტუდენტი მიაქცევდა ყურადღებას, რადგანაც სხვა ლექტორები სხაპასხუპით ელაპარაკებოდნენ, გაწაფულნი აუდიტორიასთან გამოსვლებში, თუმც იმ გაწაფულობისა და სხაპასხუპის მიღმა უმეტესწილად იმალებოდა ის სიცარიელე და ძალმომრეობის ჟინი, დათრგუნულს რომ გტოვებდა და გიჩლუნგებდა (თუ მთლად არ გიკლავდა) სურვილსა და სწრაფვას ამაღლებულისაკენ.

ამჯერად რაღაც სხვას იგრძნობდნენ მეტყველების მანერითაც.

იგრძნობდნენ და... გაუკვირდებოდათ.

გაკვირვებაა პირველი განცდა, რაც ოთარ ჩხეიძესთან პირველი შეხვედრით დაეუფლებათ.

და გაკვირვება კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს, როდესაც აღმოაჩენენ, რომ... მწერალს ისინი აინტერესებს — ეს შვიდიოდე გოგონა და ორი ვაჟი. ათვალიერებთ, ეკითხებათ, უსმენთ, ხუმრობს და მათი გაცინება ახარებს.

— არა, სხვა ლექტორებს ნამდვილად არა ჰგავდა, კედლებს რომ შეჰყურებენ კათედრებიდან, ჭერს რომ ესაუბრებიან იმავეს, რასაც შენამდე ესაუბრებოდნენ, რასაც შენს მერეც შეაფრქვევენ.

დაანაწილებდა „პოეტებად“ და „პროზაიკოსებად“.

ვაჟებს აღმოაჩნდებოდათ ფუთა სასიყვარულო ლექსებისა, და კიდევ ერთი-ორ გოგონას.

— დანარჩენები დეკანატის ხათრითა და შიშით ასე უცბად ნამდვილად ვერ გავპოეტდებოდით და „პროზაიკოსებად“ შევრაცხეთ თავი — სასკოლო თემების ალიაქოთგამოვლილებმა რაღაც-რაღაცები გამოვჩხრიკეთ.

თვითეულს თავისი „შემოქმედების“ გასაცნობად დღეს დაუნიშნავდა თანმიმდევრობით.

ამ ესეის მომავალი ავტორი სულ ბოლოს მოხვდებოდა და კიდევ ერთხელ ჩაფიქრდებოდა: განა რომელი შემოქმედება უნდა გავაცნო აუდიტორიას, ის ორიოდე ჩანახატი ხომ არა, ამ ბოლო წლებში ბავშვობასთან გამოთხოვების ტკივილს რომ ვანდობდიო? ან შემიძლია მათი ხმამაღლა წაკითხვა, ამ უცნობ კაცს უნდა გავენდო თუ ამ ჯგუფში ძალად შემოკრებილ თანაკურსელებს, ყველას რომ სხვა ჯგუფში გადასვლაზე უჭირავს თვალიო?

და მტკიცედ გადაწყვეტდა, ხვალიდან ისევ ჩამოევლო დეკანატის კაბინეტები და ეთხოვა და ემუდარა ამ ჯგუფიდან გადასვლა, სულერთია სად, თუნდაც გრამატიკის განყოფილებაზე, ოღონდ აქ არა — არ შეეძლო ძალად პოეტობა თუ პროზაიკოსობა!..

მერე დეკანატის კართან ეჯახებოდნენ ერთმანეთს ამ ჯგუფის წევრები და ყველა ამას ივედრებოდა: სადაც გენებოთ, ოღონდაც აქ არაო...

იქ კვლავ დაპირებითა თუ მუქარით იგერიებდნენ: ვნახოთო, ჯერ მოითმინეთო... ოღონდ მანამდე გაცდენა არაფრისდიდებით არ უნდა გაებედათ...

ამასობაში ჩათავდებოდა ყველას „შემოქმედების“ გაცნობა, „პოეტებისა“ და „პროზაიკოსთა“ ნაწერების წაკითხვა-განხილვა.

ოთარ ჩხეიძე მშვიდად იჯდა.

ხელი ხელზე ედო მაგიდაზე.

დროდადრო წაკითხულის რიტმს ააყოლებდა.

რა მარჯვედ შემჩნეული დეტალია, ღრმა განზოგადებისთვისაც რომ იწვევს ადამიანს!..

ეს თითები თვალდათვალ შეირხეოდა ხოლმე, როდესაც უდიდესი ყურადღებით, დაძაბვით ისმენდა, სხვა ყურით, სხვა თვალით, სხვა გულითაც, და საოცრად გაიხარებდა, თითქოს ცას ეწიაო, როდესაც დაიჭერდა რაღაც მხატვრულ სახესა თუ სტრიქონს, საუბარს მასზე ააგებდა, შენით გაჰყვებოდა და... ლორდ ბაირონსაც უწევდა, ფოლკნერსაც, ჯოისსაც...

დიდი გულდასმითი მსმენელი კი ეპოვნათ, მაგრამ თავიანთ გარშემო რომ ვერ ჰპოვებდნენ ნამდვილ შემოქმედს, ვინც მართლა ოცნებობდა, თავისი ნაკალმარი მწერლისათვის გაეცნო?.. ან ეგებ ისიც სხვებს თუ ელოდა და ახლა მათი გასაჭირის შემყურეს გული წყდებოდა?..

— მაინც გვეწეოდა სადღაც, უცნობი ბილიკისაკენ დინჯად მიგვიძღოდა, ჩვენთვის მანამდე უჩვეულო, უცნობი თანაგრძნობით გვისმენდა, იდუმალი მადლით გვანათებდა.

და კიდეც შემოტრიალდებოდა განწყობილება მის მიმართაც და იმ სპეციალობის მიმართაც, აქამდე ამ ჯგუფისაგან თავდაღწევას რომ ნატრობდნენ.

— დამზრალ, გულდათუთქულ, იმედგაცრუებულ და მოტყუებულ, ბავშვობასთან ახალგაყრილ ახალგაზრდებს თითქოს ღმერთმა გადმოგვხედა — მოგვივლინა ნუგეშისმცემელი, მოგვიფრთხილდა.

ერთ თვეში ისედაც საოცარ ნდობას რომ მოიპოვებდა სტუდენტებში, თურმე ნდობას ზღვარი არა ჰქონია, რადგანაც იზრდებოდა და იზრდებოდა. უკვე ლამობდნენ, ახალგანცდილი რაც შეიძლება ჩქარა ექციათ სიტყვებად, რათა მას განდობოდნენ. იმ დიდ გულს, ასე მოულოდნელად რომ ჰპოვებდნენ, განცდებსა და ტკივილებს უზიარებდნენ, სწრაფვას, იმედგაცრუებას, სიყვარულით გულისაძგერებას — ლექსად თუ მოთხრობად.

ის არიდებდათ უამურს, უსახურსა და ცრუს.

და იმ უსათუთეს სხივს გაუღვივებდათ გულში, ჯერ რომ ვერ ჩაექროთ.

— ამ დიდ ნათელში ერთმანეთის თვალწინ ვიწმინდებოდით, ვმაღლდებოდით და რაღაც სხვა ძალით ვუახლოვდებოდით სამეგობროდ.

თითქოს რელიგიურ ემბაზშია ამოვლებული ის ურთიერთობაო.

ან რაღა თითქოს — არაამქვეყნიური შარავანდი დასთამაშებს და ყოფითი რეალობა თვითვე გამოიცქირება სულ სხვაგვარად, მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველისა“ არ იყოს, ჯადოქრის მიერ თვალახელილი ბავშვები ყოფითობის მთელს მშვენიერებას რომ წვდებიან და მის სიდიადეს შეიგრძნობენ — სინამდვილისა და ზმანების ურთიერთმონაცვლეობასა და ერთმანეთით განმსჭვალვას.

ვიღას გაახსენდებოდა დეკანატის კარი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

მურმან ჯგუბურია

# ერთი ეპითეტის თაობაზე

## ანუ
## — ეხ, ტარიელ, ტარიელ!

*...თითქოს ჩემს ნიჭიერ მამას მისი უნიჭო მამა სჯობდეს...*

**ტარიელ ჭანტურია**

*ელეგიური ვიქტორი განასახიერებდა ძველ*
*ბერძენთა იდეალს — იცხოვრე შეუმჩნევლად!*
*ლექსებში იგი თავის თავს სახლის უკან მდგარ*
*თხმელას ადარებს, რომელმაც თავი ვერ ისახელა.*
*თუ მართალია მაქსიმა: უბრალოება განუყოფელია*
*სიდიადესთან, აბსოლუტურად მართალია ბატონი*
*ვიქტორის მიმართ... ერთი ხანობა*
*ჩემი სტუდენტური გონება ახალი ევროპული*
*გვარებით განიმსჭვალა...*
*ბატონი ვიქტორის*
*პოეზია გვერდზე დამრჩა... მან ერთხელ სევდიანი*
*ღიმილით მოისმინა ჩემეული*
*აპოლოგია დასავლეთისა და თქვა:*
*— ეხ, ჩემო, რეზო!*
*მეტი შენიშვნა არ მოუცია.*
*ბევრი ტანჯვისა და დაცემის შემდეგ, დღეს*
*მის პოეზიას ვეწაფები, როგორც ანკარა წყაროს...*

**რეზო კვესელავა**

*ერთადერთი და ნამდვილი შეცდომა შეცდომის გამეორებაა.*

**კონფუცი**

ამთავითვე ვიტყვი: მე კამათის მოყვარული კაცი არ ვარ, — საკამათოდ თუ გაუხდება საქმე, კაცი თავის თავს უნდა ეკამათოს. ტარიელ ჭანტურიასთან არაფერი მაქვს გასაყოფი, — პატივს მივაგებ მას, როგორც ერთ-ერთ ნიჭიერ პოეტს, როგორც ესეისტს, როგორც რედაქტორს, როგორც უფროს კოლეგას, და გასაკვირიც ისაა, რომ სწორედ ასეთმა პიროვნებამ და პოეტმა წერილის ერთ მცირე მონაკვეთში სამგზის გაიმეორა ერთი და იგივე ეპითეტი: „უნიჭო“. ერთხელ თქვა, არ დაფიქრდა, მეორედ თქვა, არ დაფიქრდა. და მესამედაც მიაყოლა: „მისი უნიჭო მამა“.

რა დაემართა პოეტს?

თვალი აუჭრელდა?

თვალმა მოატყუა?

აი, როგორ განმარტავენ მსგავს ვითარებას რჩეული ქართველები:

„რამდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერი“... (ილია).

„ვინმე ან რაიმე ისე არ ეჩვენება, როგორც უნდა ნამდვილად ეჩვენებოდეს“ (თედო სახოკია).

მაგრამ... როგორც ვხედავთ, ეს არ არის წამიერი წამოვლის ბრალი. ტარიელს სჯერა, რასაც ამბობს, რასაც სამგზის იმეორებს და ამიტომაც არის გულმოცემული.

ვიქტორ გაბესკირია ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტია, რასაც განაპირობებს სწორედაც რომ მისი ნიჭიერება და მისი პატიოსნებაც, როგორც წერს თვითონ ტარიელი („პატიოსანი, მაგრამ უნიჭო მელექსე“).

არ გამიმართლა: არ მინახავს ცოცხალი გალაკტიონი, ლეონიძე, გაბესკირია. ბევრი რამ გამიგონია ცხონებული აკაკი გაწერელიასაგან ვიქტორის შესახებ, მსმენია ისიც, თუ როგორი ახლო მეგობრობა აკავშირებდა მას კონსტანტინე გამსახურდიასთან, პავლე ინგოროყვასთან, ლეო ქიაჩელთან, გერონტი ქიქოძესთან, პოლიკარპე კაკაბაძესთან. რამდენი კარგი რამ გამიგონია ვიქტორ გაბესკირიაზე, მაგრამ პოეტის ყოფიერების ნამდვილი სასწორი მისი შემოქმედებაა, ისაა, რაც მან დაგვიტოვა. „წიგნს გიტოვებ!“ (ს. ჩიქოვანი).

ერთხელ, ცხონებულმა მიხეილ კვესელავამ მთხოვა, ქაღალდზე ჩამომეწერა ჩვენი (XX) საუკუნის 5 პოეტი, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი, საკუთარი მსოფლმხედველობა. ავიღე და ჩამოვწერე: გალაკტიონი, გრანელი, გოგლა, სამადაშვილი, გაბესკირია.

ჩვენში, სამწუხაროდ, ერთმანეთში ერევათ ხოლმე საკუთარი ხმა და საკუთარი მსოფლმხედველობა. ერთხელ დავწერე: საკუთარი ხმით რომ საკუთარი მსოფლმხედველობა განისაზღვრებოდეს, მუხრან მაჭავარიანისხელა პოეტი დედამიწის ზურგზე არ გვეყოლებოდა. ბატონმა მიხეილმა ნაწერი გამომართვა, საქაღალდე გახსნა, გამუდმებით რომ ატარებდა და შეინახა. დრომ გაიარა. მე ჯერჯერობით ისევ იმ აზრზე ვარ, რა აზრიც მაშინ გამაჩნდა, თუმცა ვიცი, სხვამ შეიძლება სხვა ხუთეული დაასახელოს, და ეს არ იქნება გასაკვირი. გასაკვირია ის, რომ ტარიელ ჭანტურიამ ვიქტორ გაბესკირიას „უნიჭო“ უწოდა.

ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, ძნელია რაიმეს მტკიცედ დასაბუთება. უმტკიცე ახლა რუსებს, რომ მათ დაგვამარცხეს და არა აფხაზებმა (სახლიკაცებთან რა უნდა გვქონოდა გასაყოფი). და მაინც, უპრიანი იქნებოდა, ტარიელ ჭანტურიას რაიმეთი მაინც დაემტკიცებინა ვიქტორ გაბესკირიას „უნიჭობა“.

ჩემი კნინი გაგებით კი, ვიქტორ გაბესკირია რომ არა, რომ არა მისი პოეზია, ქართველი მკითხველი ვერ მიიღებდა ცხონებული თამაზ ჩხენკელის მიერ უბრწყინვალესად გადმოღებულ ძველი ჩინებული პოეტის (ბო ძიუ-ის) ლექსთა კრებულს. ეს ჩემი საკუთარი აზრია, მაგრამ აქვე იმასაც დავამატებ, რომ ვერც დათა თუთაშხიას კვალობაზე დავიჩემებ მაინცდამაინც რომ: „ასეა ეს!“

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, ნება მიბოძე, „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას მივმართო თხოვნით, გამოაქვეყნოს წასული პოეტის რამდენიმე ლექსი, რაც იქნება ჩემგან მოტანილი საბუთი იმისა, რომ ამ ლექსების ავტორი გახლავთ არათუ „უნიჭო“, არამედ, ნიჭიერი, რომ არა ვთქვათ, დიდად ნიჭიერი პოეტი.

მაგრამ მოვუსმინოთ თავად ვიქტორ გაბესკირიას, თუ რას გვეუბნება პოეტის რაობაზე:

„როგორც ნაკადულს ვერ შენიშნავ წუხილს, რატომ დიდი მდინარე არა ვარო, ასევე მცირე ძალის, მაგრამ ჭეშმარიტ პოეტს ვერ შენიშნავ წუხილს იმის გამო, რომ დიდ პოეტად არ არის მიჩნეული...“

და ერთიც: დაინტერესებულ მკითხველებს ვთხოვ, წაიკითხონ ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი გიორგი ნიშნიანიძისა და აკაკი ბაქრაძის შესანიშნავი ესეები.

### სამძიმარზე

**ისმის მათ წრეში: „ცუდი დღეა!“ „რა ამინდია!“**
**მართლა, რარიგად მოწყენილან შემოგარენი...**
**სოფლის დიდ გზაზე შეწყობილად, ერთად მიდიან**
**ქალები, შავადშემოსილნი, მგლოვიარენი.**

**დაჰბერავს ქარი გზაზე ცივად, მოურიდებლად,**
**წვიმაში ზოგჯერ გაერევა ფიფქები თოვლის;**
**დაჰბერავს ქარი — ზოგის ხელი მიაფრინდება**
**კაბას, ვით ხიდან მოწყვეტილი ხმელი ფოთოლი.**

**შავად მოჩანს ტყე, გზაზე ქარი ნავარდობს, უსტვენს,**
**ზოგჯერ ხეებსაც უძნელდებათ გრიგალთან შებმა...**
**მიდიან ქალნი, სახით ნაზნი და ტანად სუსტნი,**
**ერთი მწუხარე ოჯახისა სანუგეშებლად.**

### მაყვლის ბუჩქები

**თუნდაც ინატრონ, წალკოტში მათ არვინ არ ჩარგავს,**
**დგანან გზის პირას თუ ტყის პირას, შეუხედავნი,**
**არ ერიდება არასოდეს იმათ დაჩაგვრას**
**კაცი ქვეითად მიმავალი, გინდა მხედარი.**

**ქვეყნად არავინ არ შველის მათ, არ ეხმარება,**
**და ასე მიდის ამა სოფლად მათი დღე-ღამე,**
**მაგრამ ისინი მაინც, კაცთა გასახარებლად,**
**საოცრად ლამაზ და საკვირველ ნაყოფს ისხამენ.**

* * *

**როცა ზღვა არის ცისფერი და მშვიდი სრულებით,**
**გინახავს თეთრი იალქნები, როგორ ჩნდებიან, —**
**სხვადასხვა მხრიდან მოკრძალებით წამოსულები**
**ერთმანეთს დიდხანს უცქერენ და დაშორდებიან.**

**შენ კმაყოფილი შენი ბედით მუდამ იქნები**
**კეთილი გულით მოფუსფუსე, მზრუნველი სხვაზე,**
**მაგრამ ფიქრები ჩვენი ისე, ვით იალქნები,**
**ზოგჯერ ერთმანეთს შეხედავენ ცხოვრების გზაზე.**

ამ ლექსს, არც მეტი, არც ნაკლები, ასე მგონია, თვით პუშკინიც მოაწერდა ხელს. რუსეთუმეობაში არ ჩამითვალო, ძვირფასო მკითხველო, — აკაკი, ან ვაჟა, ან ილია იმიტომ არ მოვიშველიე, რომ თავად ამ ლექსის ფორმა (თარგი) უფრო პუშკინისეულ სიტყვათა წყობას უახლოვდება.

### ეპიტაფია

**ლხინს ვწევდი მე იმ ქალაქში, სად მტკვარი და მეტეხია,**
**ცუდ კაცთან მე არასოდეს პური არ გამიტეხია.**

**ალალი შრომაც მიყვარდა, ოფლი სად არა მდენია,**
**„იხაროს საქართველომა“, ტყეშიც კი წამომცდენია.**

**მზეში გულლაღად გასულსა უდროოდ გამავდრებია,**
**რატომ წვიმხარო, წვიმისთვის მაინც არ მიკადრებია.**

**დამილოცნია ფრინველთა გუნდები,**
**მტკვარზე — ტივები...**
**სხვა საქმე თუკი ვერ შევძელ, უფალო, მაპატიევი.**

**P.S.** ვიქტორ გაბესკირიას პოეზიის მოყვარულ მკითხველებს მინდა მოვუბოდიშო, თუკი ისეთი ლექსები ვერ შევარჩიე, რაც მათ სულსა და გულს ენათესავება, თუმცა, ამ ლექსებშიც კარგად ჩანს, ჩემი გაგებით, ქართველი პოეტის თვალსაზრისი, მისი მიმართება გარე-სამყაროსთან. ვწერ ამ ბოლოთქმას და მაგონდება სტრიქონები მისი პოეზიიდან.

„**შენი წუხილი მაფიქრებდა შენს ძირას მდგარსა**“, — ასე მიმართავს პოეტი მუხას, ავდარში, რომ თავი შეაფარა.

ამის ნათესავია:

**არვის აფიქრებს ზღვის სიმარტოვე,**
**ან ბურუსს როდის გამოეყოფა...**

სხვა ლექსში პოეტი უახლოვდება მშობლიურ ზღვას, რაც ტალღებმაც იგრძნეს და მასპინძლები სტუმართან შესახვედრად წამოიმართნენ.

**ნუ მაღლდებით, ზვირთებო, გხედავთ...**

პოეტი ისეა გათქვეფილი ბუნებაში, როგორც ბუნება — პოეტში. სხვაგან ის იგონებს მიტოვებულ ჭას, რომელიც თურმე პოეტზე ფიქრობს „შორეული ნათესავივით“. სხვაგან კიდევ იკითხავს:

**და ახლა, როცა დღე მიილია,**
**სად გადაფრინდა ეს ტყის ქათამი?!**

ეს ერთი სტროფი კი, რომ არ მოვიტანო, არ იქნება:

**შეორთქლილია ფანჯრების მინა,**
**ღამეა. არ ჩანს მდინარე, მთები,**
**თეთრ საწოლებში პატარებს სძინავთ,**
**შემოჰფანტვიათ ხუჭუჭი თმები.**

მსგავსი ხატ-სურათი რომ რომელიმე სახელგანთქმულ ფერმწერს გამოეძერწა, ალბათ, მილიონები ეღირებოდა. მაგრამ ესეც ხომ საგულისხმოა: სიტყვებით შექმნილ სურათს საღებავებით შექმნილი ტილო მარადიულ მეტოქეობას ვერ გაუწევს, თუნდაც რომ ყალამი თავად მონა ლიზას შემოქმედს ეპყრას...

*დადიანთა საზაფხულო რეზიდენცია სალხინოში*
*თამარ ყალიჩავას ფოტოეტიუდი*

ელენე ამაღლობელი

# ჩვენი ომიროსი

## (სამეცნიერო კონფერენცია — მიძღვნილი ალექსანდრე ყაზბეგისადმი)

გრიგოლ ორბელიანმა ქართველთა ჰომეროსი უწოდა და კიდეც განსაზღვრა მისი როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მის შემოქმედებაში ხელშესახებადაა გამოხატული კავკასიური ტრაგედიაცა და კავკასიური ერთიანობის იდეაც.

იგი თავისი მხატვრული მრწამსითა და სტილური ძიებებით ქართული ისტორიული რომანის სათავეში დადგა, უშუალო გავლენა იქონია ვასილ ბარნოვზე, ვინც თავის მხრივ მიმდევრების მთელი სკოლა შექმნა, რომელმაც სრულყოფას საბოლოოდ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში მიაღწია.

მეოთხე წელია **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა** და საინიციატივო ჯგუფის (**ლიზი ჩქარეული, ანა გელაშვილი, შალვა ელოშვილი**) ძალისხმევით, ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები აღინიშნება.

პირველი შეკრება სამების ტაძარში ხსოვნის საღამო გახლდათ. შემდეგ ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ყაზბეგის ნაწარმოებთა თემაზე შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა. შარშან მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სცენა ერთგვარ თეატრალიზებულ წარმოდგენას დაეთმო. ამჯერად კი ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** სალონში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

**როსტომ ჩხეიძის** თქმით, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით აქამდეც გაიმართა რამდენიმე სამეცნიერო თავყრილობა — სამი თბილისში, ერთი ქუთაისში — ალექსანდრე ორბელიანს მიეძღვნა, ორი კი ოთარ ჩხეიძეს, რომელთაგან ერთი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა, მეორე კი თელავის უნივერსიტეტში, და ეს ხაზი პირწმინდად სამეცნიერო შეკრებებისა ისევ გაგრძელდება. ამ კონფერენციის მომხსენებლები კი ბატონმა როსტომმა ასე წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას:

* * *

**ლადო მინაშვილი,** რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის XIX საუკუნის ლიტერატურისა და უშუალოდ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების კვლევაში და ყველა ჩვენგანის მასწავლებელიც არის.

**გია ალიბეგაშვილი,** ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, ვინც იმ მეცნიერებს მიეკუთვნება, რომლებიც არ არიან შემოფარგლულნი ერთი ეპოქით, და ამიტომაც არის, რომ იგი ღრმადაა ჩახედული შემდგომი ხანის ლიტერატურულ ცხოვრებაშიც. გარდა ამისა, ის სტეფანწმინდიდანაა და დილით რომ გამოდის ხოლმე აივანზე, იმავე გერგეტის სამებას შეჰყურებს, რომელსაც ოდესღაც ალექსანდრე ყაზბეგიც უმზერდა, მისი გარემოს ნაწილია და ამიტომაც ამ მწერლის სამყარო სულიერადაც მახლობელია მისთვის.

არა მხოლოდ ყაზბეგის, ჩვენს რეალობაში ვაჟას სამყაროდან გადმოსულ პერსონაჟსაც შეადარებს ბატონი როსტომი **ამირან არაბულს** მისი სულიერი ღირსებების გამო:

— ამიტომაცაა, რომ მან შიგნიდან იცის ერთის სამყაროც და მეორისაც და ბევრ ისეთ ნიუანსს აგნებს, რაც სხვისთვის დაფარული რჩება.

**ლია კუხიანიძე,** წლების განმავლობაში გადაგებული რომ იყო ბავშვების აღზრდაზე, იშვიათად ბეჭდავდა წერილებს, სიღრმითა და ექსპრესიულობით გამორჩეულს და სურვილი უჩნდებოდა მკითხველს, მეტი დაეწერა და ყველაფერი ერთად თავმოყრილიყო, რათა უკეთესად გამოკვეთილიყო მისი პროფესიონალიზმი და ცოდნა სამწერლო პროცესისა. კიდეც გამოვიდა ზედიზედ, ელგუჯა თავბერიძის თაოსნობით, მონოგრაფია ოთარ ჩხეიძეზე, წერილების კრებული, თარგმანი... და მომავალში განზრახულიც არის მისი წიგნების წარდგინება „ჩვენი მწერლობის“ სალონში.

თვითონ **ელგუჯა თავბერიძის** ესეები, დოკუმენტური ნოველები და ბიოგრაფიული რომანები კი უკვე ისევეა შესაფასებელი — ისეთივე ჩაღრმავებითა და მიუკერძოებლობით — როგორც თვითონ იკვლევს სხვათა ნაწერებს.

პოეტის, პროზაიკოსისა და ესეისტის — და ყველა ამ ჟანრში წარმატებული — **ქეთევან შენგელიას** წარდგენამდე ბატონი როსტომი ვახტანგ კოტეტიშვილის შესანიშნავ მონოგრაფიას გაიხსენებს — პოლემიკურ წიგნს, რომელიც ამასთანავე ბიოგრაფიული რომანის ნიმუშიც არის — სადაც, როგორც მოქანდაკე, ისე გამოკვეთს ალექსანდრე ყაზბეგის სახეს და იცავს მის ავტორობას:

— როცა მკვიდრდებოდა ბოლშევიკური რეჟიმი, ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც მკვეთრ მოწინააღმდეგეს რუსული აგრესიისა, სდევნიდნენ. ჩეკისტურმა კრიტიკამ ხელზე დაიხვია ის აზრი, თითქოს სინამდვილეში მას არ ეკუთვნოდა ის რომანები და მოთხრობები, იმთავითვე ძალზე პოპულარული რომ გახლდათ მკითხველებში, და ასეთ დროს ვახტანგ კოტეტიშვილის თავგამოდებას არა მხოლოდ ლიტერატურული, პირწმინდად პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

30-იან წლებში ნიკა აგიაშვილმა და კოლაუ ნადირაძემ გამოაქვეყნეს პაროდია: ეს ნაწერები, ალექსანდრე ყაზბეგის სახელით რომ იყო ცნობილი, ეკუთვნის არა დიმიტრის, არამედ კიდევ სხვა ბიძაშვილს, რომელიც პარიზში იყო გადახვეწილი და იქ წერდაო.

ზოგმა ეს პაროდია სინამდვილედ აღიქვა, მათ შორის მიხეილ ზანდუკელმაც... და ამ ყველაფერს როსტომ ჩხეიძე იმიტომ გაიხსენებს, რომ სწორედ ვახტანგ კოტეტიშვილის მონოგრაფიით დაინტერესდა **ქეთევან შენგელია,** მისი ურთიერთობით ალექსანდრე ყაზბეგის აჩრდილთან, და თავისი მოხსენებაც ამ საკითხის ქარგაზე ააგო.

ყაზბეგის სახე კი იხატება ვაჟა-ფშაველას ლექსშიც, მწერლის ხსოვნას რომ უძღვნა და თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კრებულების, არამედ ცალკეული პოეტური ნიმუშების განხილვასაც, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული სივრცის გამომხატველთა. სწორედ ამ ლექსის შესახებაა **ლია კარიჭაშვილის** მოხსენება, ვისი კვლევის სტილისტიკაც ფაქიზი ლირიზმით გამოირჩევა.

ალექსანდრე ყაზბეგის პოლიტიკური მრწამსისა და კავკასიური ერთიანობის იდეას კი — რომლის გარშემოც უნდა იყოს შენივთებული ჩვენი აზროვნება — თუ ვინმე ინარჩუნებს ჩვენს დღევანდელობაში, ერთ-ერთი უპირველესთაგანი ეთერ თათარაიძე, და ამ კონფერენციასაც გამორჩეულად დაშვენდება **მაია ჯალიაშვილის** — ჩვენი სამწერლო პროცესის ავანგარდში მყოფი კრიტიკოსის — მსჯელობა მისი ლექსების იმ ციკლზე, სადაც უშუალოდაა გამოხატული ეს იდეა.

— ნებისმიერი სამეცნიერო კონფერენცია მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ახლებური რაკურსით წარმოჩინდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაცა და ლიტერატურული ტენდენციებიც. სწორედ ასეთად უნდა ვიგულისხმოთ ეს შეკრებაც.

რაც შეეხება კონფერენციის მასალებს, ეს სრულფასოვანი მეცნიერული ნარკვევები სულ მალე ცალკე წიგნადაც მომზადდება.

* * *

— მწერლური ცდები ალექსანდრე ყაზბეგს ადრეც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ საკუთარი თავი მაშინ აღმოაჩინა, როცა დაუოკებელ წყურვილად ექცა ქართველი მკითხველისათვის სრულიად უცნობი თავისი კუთხე, ჩვენი ქვეყნის ღვიძლი ღვიძლთაგანი — ხევი — გაეცნო თავისი ტანჯვითა და სიხარულით, დარდითა და ტკივილით, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას **ლადო მინაშვილი** და ალექსანდრე ყაზბეგის პროზის ძირითად ტენდენციებზე ისაუბრებს.

*ეთერ თათარაიძე და გიორგი ალიბეგაშვილი*

მისი თქმით, ალექსანდრე ყაზბეგის სახელს ჩვენს ლიტერატურაში პირველ ყოვლისა უკავშირდება ერთი დიდი თემა — მთისა და კერძოდ კი ხევის. მან შემოიტანა პირველად ჩვენს ლიტერატურაში ეს თემა; მთას მოუპოვა მოქალაქეობრივი უფლებები. ესაა მისი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დამსახურება.

შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რამდენადაც ალექსანდრე ყაზბეგი მთას მიმართავს, მისი ინტერესები მთაზეა შეჩერებული, ამდენად მისი შემოქმედება თემატიკურად მხოლოდ მთით არის შემოსაზღვრული და ეთნოგრაფიულ მნიშვნელობას ვერ გასცილდებაო. მაგრამ ეს სრულიად არ აღმოჩნდა ასე, აღნიშნული მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ჩვეულებრივ ჭეშმარიტად დიდ მწერალთან საერთო იდეალები, მისწრაფებანი კონკრეტული მასალის ასახვაში პოულობს გამოხატულებას. ასეა ალექსანდრე ყაზბეგის შემთხვევაშიც.

მართალია, ყაზბეგი მთას განასახიერებს, მაგრამ არა ვიწრო თვალსაზრისით, იგი ახლებურად გაიაზრებს ამ მასალას და ახალ სიმაღლეზე აჰყავს, უფრო სწორად, მთა ამოსავალია, რათა მწერალმა ზოგადეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების თემები განიხილოს.

ხევი ალექსანდრე ყაზბეგთან ერთი დიდი თემაა, რომელიც შეიცავს თემებისა და მოტივების წყებას, ესენია: პატრიოტიზმი, წმინდა სოციალური, მძლეთა მძლე სიყვარული, გმირობა-ვაჟკაცობაში ჩაწნული მეგობრობა, ახალგაზრდული პატიოსნება, დათრგუნვა ზნეობრივი სიმდაბლისა და ა.შ. ეს თემები და მოტივები გადადის ერთიდან მეორე ნაწარმოებში.

შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ მოტივთა გამეორება ერთფეროვნების დაღს დაასვამდა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას. მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. ამის მიზეზი კი პირველ ყოვლისა ისაა, რომ მიუხედავად ყაზბეგის ასასახავი გარემოს გარეგნული ყოფის სიმარტივისა, უაღრესად რთული აღმოჩნდა იმ ხალხის სულიერი ცხოვრება, რომელსაც მწერალი მიმართავს, რაც ამ ხალხის სულიერი სიმდიდრის მაუწყებელია. ამიტომაცაა, რომ მკითხველს ოდნავადაც არ უჩნდება ერთფეროვნებისა და მობეზრებულობის განცდა.

ყაზბეგის თხზულებებში სინამდვილე მთლიანობაშია დანახული, დაუნაწევრებელი სახით. აქ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის გრძნობები დახატულია სხვა განცდათა გვერდით, მათთან კავშირში და გამოვლენის რთულ ფორმებში.

ალექსანდრე ყაზბეგმა გვიჩვენა, რომ ცოცხალი გრძნობები უდიდესი სირთულითა და ნაირფერობით ხასიათდება. ერთმანეთის საპირისპირო გრძნობები ერთად ცხოვრობენ ადამიანში, მათი ურთიერთჭიდილი აპირობებს ადამიანის სულიერ დრამას და ხშირად ტრაგედიასაც.

ჩვენი გრძნობების დინება გონების კარნახს არ ემორჩილება. სხვაგვარია გრძნობათა ლოგიკა. ადამიანის ცოცხალი გრძნობები ჩვენი სქემატური მსჯელობის საზღვრებში ვერ ეტევა. გრძნობათა ამ სირთულის, სიჭრელის დანახვას დიდი ტალანტი სჭირდება, და ამ ტალანტით იყო დაჯილდოებული ალექსანდრე ყაზბეგი. მას ჰქონდა უნარი გარდასახვისა, ჰქონდა ნიჭი, საკუთარი თავი ჩაეყენებინა პერსონაჟის მდგომარეობაში. როგორც ამბობენ, ეს ძალიან დიდი მადლია, ეს მადლი აძლევდა მწერალს საშუალებას, რომ სქემატური კი არა, ცოცხალი ადამიანები დაეხატა.

ალბათ ამიტომაც **გიორგი ალიბეგაშვილი** ხევისბერი გოჩასა და ონისეს ხასიათებს გამოარჩევს თავის მოხსენებაში (ბიბლიური პარადიგმები ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“) და იტყვის, რომ „ონისეს ხასიათის ძირითად ნიშნებზე საუბრისას სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სულიერი სამყაროს ხარვეზზე — ვნებისადმი მორჩილებაზეა ყურადღება გამახვილებული; თუმცა ერთი რამ ხაზგასმით უნდა შეინიშნოს: მიუხედავად ონისეს შეცოდებისა, მკითხველი მის მიმართ მაინც არ არის უარყოფითად

განწყობილი, ებრალება იგი, თანაგრძნობის ნაპერწკალი უღვივის გულში; ეს იმითაა გამოწვეული, რომ ბუნებით ონისე პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანია, მზად არის, სიცოცხლის დათმობით გამოისყიდოს დანაშაული.

გარკვეული თვალსაზრისით, თხზულებას განსაკუთრებულ დრამატიზმს მამა-შვილის ურთიერთობა ჰმატებს, თან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხევისბერის პირით ხშირად თვითონ მწერალი გვესაუბრება; ამასთანავე, გოჩა, გარკვეული აზრით, ბიბლიიდან გადმოსულ პერსონაჟს მოგვაგონებს და არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ — ხასიათითაც. ამ მიმართებით არაერთი მსგავსების შემჩნევა შეიძლება ბიბლიური დავით ფსალმუნთმგალობლის ისტორიასა და ხევისბერი გოჩას ამბავს შორის; ეს არცაა შემთხვევითი: ბიბლიურ გადმოცემებში, რომელთა შინაარსსა და სულიერებაზე ჩვენი კლასიკოსი მწერლების უმეტესობაა აღზრდილი, დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა სხვადასხვა კუთხითაა დასმული, მაგრამ დასასრული ერთია — ღვთის მცნებათა ურჩი და არმიმდევარი ისჯება. რა თქმა უნდა, ის, რაც პირველწყაროში გაშლილადაა წარმოდგენილი, მხატვრულად გადამუშავებისას შეკუმშულად, „შეფარვით“ (შოთა რუსთველი) შეიძლება იყოს შემოთავაზებული, ანდა პირიქით — რაც კომპაქტურადაა მოცემული არქეტიპში, ის მწერლის მიერ გაშლილად, სხვადასხვა ეპიზოდსა და ხასიათში შეიძლება მოიაზრებოდეს“.

**ელგუჯა თავბერიძე** ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიურ ილიადას ჩაუღრმავდება:

— ალექსანდრე ყაზბეგი მის ახლო დროებაში მომხდარი ამბების აღწერისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა კავკასიის ხალხთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. ამ ომებს როსტომ ჩხეიძე — წინამორბედთა კვალობაზე — კავკასიურ ილიადას უწოდებს და ისინი ქართველ მწერალთაგან ყველაზე პირუთვნელად სწორედ ყაზბეგის შემოქმედებაში აირეკლა. ეს ომები და კავკასიელთა თავგამეტებული წყვეტება ქვეყნის გამოსახსნელად ბევრი ისეთი ისტორიული მოვლენისა და გმირის დახატვას მოითხოვდა, რომელთა და რომლის ხსენებაც იმ დროისათვის შეუძლებელი იყო.

ალექსანდრე ყაზბეგისაგან „ელგუჯაში“ მთიულეთის აჯანყების ეპიზოდისა და „მამის მკვლელში“ შამილის რუსთა წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულებული ერთ-ერთი ბრძოლის პასაჟის ჩართვა არ ყოფილა უბრალო რამ. თუმც ამ შემთხვევაში ჩვენ ის გვაინტერესებს, როგორ შეხვდა ამ თხზულებებს ის ადამიანი, ვინც ქართველთაგან ყველაზე მეტად იყო ჩართული ამ ამბებში და მოსვენებას არ აძლევდა ჩეჩენთა იმამს.

ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანმა უწოდა ალექსანდრე ყაზბეგს ქართველთა ჰომეროსი („ქართველთა ომიროს არის, შაბაშ!!!“), თუმცა მანამდე „ელგუჯას“ მოწონებით აღტაცებასაც ვერ მალავდა („ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ჯერ ქართულს ენაზედ მზგავსი არა დაწერილა რა“). არა გვგონია, გრიგოლ ორბელიანის მახვილ თვალს გამოპარვოდა „ელგუჯასა“ და „მამის მკვლელში“ გამხელილი მწერლის პოზიცია — პირველში მთიულეთის აჯანყებით და მეორეში შამილის გამარჯვებით დასრულებული ერთ-ერთი ბრძოლით აღფრთოვანება. ისიც ძნელად საფიქრალია, რომ მარტო პერსონაჟთა სწორუპოვარი დახატვით ყოფილიყო პოეტი-გენერალი ზომაზე მეტად მოხიბლული. უფრო ის უნდა ვიგუმანოთ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში გრიგოლ ორბელიანმა მართლად გაიაზრა და გადააფასა ის, რაც რუსთა მსახურებისათვის გაეკეთებინა. ამის დასტურად გამოდგება მისი ბოლო ლექსიც:

**დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,**
**დაემხო ჩემი სამშობლო,**
**გულს მიკლავს უიმედობა,**
**საფლავს ჩავდივარ სიმწარით.**

ესეც ხომ სხვა არაფერია, თუ არა ყველაფერი იმისთვის ზურგის შექცევა და უკუგდება, რაც 1832 წლის შეთქმულების მერე უკეთებია. მოკლედ, უნდა ვიფიქროთ, გრიგოლ ორბელიანმა სიცოცხლის ბოლო წლებში ჭეშმარიტად შეაფასა თავისი განვლილი ცხოვრება, თვითონვე გამოუტანა თავის თავს მსჯავრი. ყოველივე ამაში კი, უეჭველია, ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“ და „მამის მკვლელიც“ დაეხმარებოდა.

რა გასაკვირია, ასეთი მწერლის ბედისწერა — ყველა სხვა ტკივილთან ერთად, უამრავი ცილისწამებაც მის მიმართ — ხელზე დაეხვია ჩეკისტურ კრიტიკას. ეს თემა კვლავაც აქტუალური რჩება მკვლევართათვის. სწორედ ამიტომ **ქეთევან შენგელიას** მოხსენებაში წარმოდგენილია ქართული ლიტერატურის ისტორიაში ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხთან დაკავშირებული ცნობილი ცილისწამება და ამ ბრალდების საწინააღმდეგოდ ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ მოკვლეული მასალები, არგუმენტები და ფაქტები:

— ალექსანდრე ყაზბეგის დიდი და მნიშვნელოვანი შემოქმედება მეტად დაფასებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ სულ რამდენიმე მკვლევარმა გაიღო ღვაწლი იმისთვის, რათა მის სახელს კუთვნილი ადგილი მისჩენოდა; დიდ პიროვნებათა ცხოვრება ისე მიემართება, რომ ხშირად მათ შესახებ ათასნაირი მითქმა-მოთქმა გაისმის. არც ალექსანდრე ყაზბეგს დააკლდა ამგვარი ტრაგიზმი(სხვა დანარჩენთან ერთად) და ქართულ ლიტერატურაში წამოიჭრა ნაძალადევი აზრი, რომ მისი შემოქმედებიდან საუკეთესო ნაწარმოებები თითქოს დიმიტრი ყაზბეგის მიერ იყო დაწერილი, ხოლო დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ კი ალექსანდრე ყაზბეგს მიეთვისებინა. ამ მოსაზრების გამყარებას ცდილობს მიხ ზანდუკელი წიგნში „ალ. ყაზბეგის (ა. მოჩხუბარიძის) ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი“, რომელიც 1924 წელს არის გამოცემული.

მოხსენებაში წარმოდგენილია ის ძირითადი „ფაქტები,“ რაც მიხეილ ზანდუკელს დიმიტრი ყაზბეგის მოურავის ალიოშკა შადურისა და ელისაბედ ყაზბეგის მონათხრობებიდან დაუჯერებია. განხილულია აგრეთვე მიხ. ზანდუკელის მიერ ორ ჯგუფად დაყოფილ ნაწარმოებთა ნუსხა და მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევს შედარებით სუსტ ნაწარმოებებს და კორესპონდენციებს მკვლევარი ალექსანდრე ყაზბეგის ქმნილებებად და „ციცკა“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ციკო“, „ელისო“, „ციცია“, „ნინო“, „ბერდია“, „ელბერდ“, „ხევის ბერი გო-

ჩა“, „ნამწყემსარის მოგონებანი“, „განკიცხულნი“, „მოძღვარი“, პუბლიცისტური წერილები: „მოხევეები და მათი ცხოვრება“ და „გადაკარგული მხარე“ რატომ მიუწერია დიმიტრი ყაზბეგისათვის.

ნაშრომში გადმოცემულია მსჯელობა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გაწეული ღვაწლის შესახებ, რომელიც მიეძღვნა ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხს და გააბათილა ყველა ის ბრალდება, რაც მწერლის წინააღმდეგ იყო გამოთქმული. აქ განხილულია ვახტანგ კოტეტიშვილის ნაშრომი: „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“, რომელიც 1925 წელს გამოიცა. წიგნში მკვლევარს მოხმობილი აქვს ის ნაირნაირი ვერსიები, რომელთა მიხედვითაც თითქოს ალექსანდრე ყაზბეგმა დიმიტრი ყაზბეგის სკივრი ჩაიგდო ხელში. ამ მონათხრობთა ნაირგვარობაც და ამ გადმოცემათა საწინააღმდეგო ვერსიებიც იმის დასტურად მიაჩნია მკვლევარს, რომ მიხ. ზანდუკელის მიერ ორ ჯგუფად დაყოფილ ნაწარმოებს ერთი ავტორი ჰყავს და იგი მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგია. ვახტანგ კოტეტიშვილი ამ ორ ჯგუფად დაყოფილი ტექსტების შედარებასაც ახდენს და ამ შედარებათა მაგალითზე კარგად ხსნის ალექსანდრე ყაზბეგის სამწერლო ენის თავისებურებას, მისი სამწერლო ტექნიკისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ამ მხრივაც ასაბუთებს, რომ ორ ჯგუფად(სუსტი და ძლიერი ნაწარმოებები) დაყოფილ ნაწარმოებთა ავტორი ალექსანდრე ყაზბეგია. ნაშრომში წარმოდგენილია ნიკო ნიკოლაძის, პეტრე უმიკაშვილის, პავლე ინგოროყვას განსხვავებული მოსაზრებანი, აგრეთვე სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, პოლიევქტოს კარბელაშვილის, ვალერიან გუნიას, ნიკო ლომოურის მოგონებანი იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა მათ თვალწინ ალექსანდრე ყაზბეგის შედევრები.

*ელგუჯა თავბერიძე და გიორგი გოგოლაშვილი*

ნარკვევში მოხმობილია ოთარ ჩხეიძის მსჯელობა ყაზბეგის სამწერლო ფუნქციის შესახებ და ხევის საგაში „სრული პირუთვნელობით“ წარმოსახული „საქართველოსა და მთელი კავკასიის ტრაგიკული ბედისწერა რუსთა მფლობელობის ხანაში“...

მოხსენებაში გამორჩეული ყურადღება ეთმობა ამ ბოლო დროს შექმნილ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „ყაზბეგიანა“. ავტორის აზრით, ამ შესანიშნავ წიგნში მხატვრულად და ფაქიზად არის გაცოცხლებული დიდი მწერლის პიროვნება და, ამავდროულად, ყველა ის პრობლემაც, რომელიც მის უცნაურ ცხოვრებას ახლდა თან. მოხსენებაში ნათქვამია, რომ აუხსნელ მიზეზთა გამო ალექსანდრე ყაზბეგი დღესაც კი არ გვყავს სათანადოდ დაფასებული, ამიტომ ყველა მკვლევარი და მწერალი, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს კუთვნილ ადგილს მიუჩენს ლიტერატურის ისტორიაში, დიდ მადლიერებას იმსახურებს.

**ამირან არაბული** ისეთ საინტერესო საკითხს შეეხება, როგორიცაა მეფე, დროშა, თემი („ელგუჯას“ მიხედვით):

— მეფისა და მისი უსაზღვრო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის ხალხურ და ლიტერატურულ ტრადიციას საინტერესო პარალელი ეძებნება ალექსანდრე ყაზბეგის რომანში „ელგუჯა“. სვიმონ ჩოფიკაშვილი მოციქულის პირით შეახსენებს ალექსანდრე ბატონიშვილს: „...მეფე ღვთისაგან არის დანიშნული...“ სწორედ ამ ასპექტითაა საგულისხმო ბაგრატიონთა ხანგრძლივი სამეფო დინასტიის ღვთისნებითობისა და ლეგიტიმურობის საკითხი, რასაც საგანგებო ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა.

„ელგუჯაში“ ძალზე მწვავედ დგას და სამომავლო პერსპექტივის უმთავრეს ფაქტორად გაიაზრება ქვეყნის მეფობა-უმეფობის პრობლემა. „მეფე მაინც ჩვენი უნდა გვყოლოდა...“ „რაი-ღა ვიქნებით, თუკი ჩვენი მეფე აღარ გვეყოლება...“ ეს და სხვა ამდაგვარი ფრაზები რეფრენივით გასდევს თხზულებას. ელგუჯას და აბდია ჯალაბაურის მიერ გამხელილი საწუხარი და გულისტკივილი მთელი ერის განწყობისა და თვალსაზრისის გამომხატველია...

თემისა და, საერთოდ, ერის ერთობის ინსიგნიასა თუ საგნობრივ სიმბოლოს განასახიერებს დროშა, რომელიც წმინდა საგნად ითვლება და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში. ტრადიციული საზოგადოების დამოკიდებულება დროშისა და იმ ადგილისადმი, სადაც მისი „დაბრძანება“ ხდება, ძალზე შთამბეჭდავად არის გადმოცემული ნაწარმოების იმ ეპიზოდში, სადაც აბდია ჯალაბაურის კარზე მთიელ დეკანოზთა მისვლის ამბავია მოთხრობილი. და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვესახება ე.წ. სივრცული ორიენტაციის მხატვრული „ინტერპრეტაცია“ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში.

„ელგუჯაში“, სხვასთან ერთად, საგანგებო ყურადღების ორბიტაშია მოქცეული ის სავალალო, შეუქცევადი პროცესი, რასაც თემობის საუკუნოვანი ინსტიტუტის თანდათანობითი მოშლა და ადათების რღვევა ჰქვია...

თემობის გაუქმება, შეიძლება ითქვას, მეფის სიკვდილის ბადალი მოვლენაა, რაც ერთობ მტკივნეულად აისახება ერის ცხოვრებაზე.

**ლია კარიჭაშვილი** შეკრებილ საზოგადოებას იმ ლექსს შეახსენებს — „ალექსანდრე ყაზბეგს“ — ვაჟამ 1893 წელს რომ დაწერა მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

— ვაჟა სიღრმისეულად იცნობდა ყაზბეგის პიროვნებას, შემოქმედებას, მისი ცხოვრების საზრისსა და ტრაგიზმს და სწორედ ამან მისცა საშუალება, შეექმნა მისი სულიერი პორტრეტი, გამოეკვეთა ამ პორტრეტის ყველაზე არსებითი შტრიხები: ტანჯვა, მებრძოლი სული, უაღრესად მგრძნობიარე ბუნება, სამშობლოს სიყვარული და იმედი მისი აღორძინებისა.

ვაჟა ხედავდა მსგავსებას ალექსანდრე ყაზბეგის პირად ხვედრსა და ქვეყნის მდგომარეობას შორის — ორივე ხომ ტანჯვითაა აღბეჭდილი. მწერლის გმირულ სულსა და ბრძოლისთვის მუდმივ მზადყოფნას მიანიშნებს შემართული ხანჯლის სიმბოლიკა: „მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა“.

ყაზბეგი იმქვეყნად უერთდება მამულისათვის თავდადებულ გმირებს. ვაჟა მათ გვერდით იგულვებს მის საუკუნო განსასვენებელს. სწორედ სამშობლოსა და სამართლიანობისთვის ბრძოლაა ვაჟას „კაი ყმის“ პირველი ნიშანი. ყაზბეგის მთავარი იარაღი კი კალამი იყო, „ნაწები სისხლის გუბეში“.

ალექსანდრე ყაზბეგს ფსევდონიმიც შესაფერისი ჰქონდა „მოჩხუბარიძე“. ამასთან დაკავშირებით ბიოგრაფიულ რომანში „ყაზბეგიანა“ (2005) როსტომ ჩხეიძე წერს: „არ ყოფილა ეს ფსევდონიმი მწერლის ჯინიანი თუ ფიცხი ხასიათის გამომხატველი, მისი კონფლიქტური ბუნების მიმანიშნებელი. „მოჩხუბარიძე“... გულისხმობდა შეჯახებას რუსულ ექსპანსიასთან, თავგანწირვას უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ გაღვივებას მიმქრალი იმედის და ჰეროიკული სულისა... ამისი ამხსნელი ვაჟა-ფშაველა თუ იქნებოდა... აქა ძევს ალექსანდე ყაზბეგის თხზულებათა ციკლის დედააზრიც, მრწამსიც, იდეალიც და ფსევდონიმის წარმომავლობის სათავეც“.

ყაზბეგის შემოქმედების ხასიათი კარგად წარმოაჩენს მისი პიროვნების ერთ-ერთ მთავარ ნიშანს თავდაუზოგაობას. ის იხარჯება ბოლომდე, მაქსიმალურად, როგორი მაქსიმალიზმითაც მის გმირებს უყვართ სამშობლო, ღმერთი და სატრფო. ტანჯვა მისთვის თითქოს ბუნებრივი მდგომარეობაა: „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“. მთავარია, ყველაზე ძვირფასს და წმინდას არ უღალატო — უფალს, ერსა და პიროვნულ ღირსებას.

ვაჟამ ალექსანდრე ყაზბეგი ეკლის გვირგვინით წარმოსახა. ცხადია, ეკლის გვირგვინი მაცხოვრის სახეს უკავშირდება. ეკლის გვირგვინით შეიმკობა ის, ვინც ეწირება სიმართლეს, სიწმინდეს, მაღალ იდეალებს, ვისთვისაც წუთისოფელი მამინაცვალია, ვის წინაშეც ოდნავ მოგვიანებით მოიყრიან მუხლს და თაყვანს სცემენ ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მის ტანჯვას უყურებდნენ, როგორც რიგით სანახაობას.

ვაჟას ლექსის პათოსი ამჟღავნებს ალექსანდრე ყაზბეგის ღრმა პატივისცემას, დაფასებასა და თანაგრძნობას მძიმე ხვედრის გამო და, გარკვეულწილად, ეს საკუთარი თავის თანაგრძნობაცაა, რადგან ისინი სულიერ ნათესავებად წარმოჩნდებიან ქართულ მწერლობაში.

სულიერი ნათესაობა ვაჟასა და ყაზბეგთან კი ახალ ათასწლეულშიც გრძელდება და სწორედ ასეთ კავშირზე ისაუბრებს **მაია ჯალიაშვილი:**

— მათ შორის, ვისაც შეუძლია გალაკტიონივით მოუსმინოს ყაზბეგს, როგორც „ხევის ბეთჰოვენს“ — არამიწიერ ღვთაებრივ ჰანგებთან დააკავშიროს დარიალის ხეობის მჩქეფარე, დაუდგრომელი მდინარეები, დევებივით აღმართული მთები და სიკვდილის შიშის დამმარცხებელი ადამიანები, რომლებიც კავკასიონის სივრცეებს ისუნთქავენ და ბედს დაუმორჩილებლად ეჭიდებიან, ჩვენი დროის პოეტი ეთერ თათარაიძეა. მისი ლექსების დაუსაზღვრავ პოეტურ დრო-სივრცეში მკითხველმა შეიძლება დაინახოს მარადისობასთან წილნაყარი „სადარივლო არის“ ამამაღლებელ-განმწმენდი მშვენიერება.

თავისუფლების სულისკვეთება სისხლში აქვს ეთერ თათარაიძეს, ამიტომაც ქმნის ისეთი ენერგიით დამუხტულ ციკლებს, როგორიცაა დაღესტნური, ჩეჩნურ-ინგუშური რვეულები. ასე ეხმიანება ის ყაზბეგის შემოქმედებას.

მისი „დარიალის ხეობის“ ციკლის ლექსებში თუშური კილოს განუმეორებელი ფერადოვნებით, ხმოვანებითა და სურნელით იხატება შთამბეჭდავი სანახები. ამ არემარეში ჯერ კიდევ შეიგრძნობა კავშირი უზენაესთან, არ გაუდაბურებულა იმ ადგილებივით, სადაც ცივილიზაციამ ტექნიკის ახალი კერპები შეუქმნა ადამიანებს სათაყვანებლად.

ამ ლექსებით პოეტი თანამედროვე მკითხველს, დროის უკმარისობით შეჭირვებულს, თითქოს ახალ პოეტურ დროს აღმოუჩენს. ამ ლექსებში ისევ ხელუხლებელია ცა და მიწა, აქ ისევ შეიძლება შეხვდე ყაზბეგის გმირებს და მათთან ერთად დატკბე სიცოცხლით.

ეთერ თათრაიძისთვისაც კავკასიონის სხვადასხვა ტომისა და რწმენის ადამიანები მისი „ლამაზი და-ძმანი“ არიან, ამიტომაც ლექსებში შემოჰყავს ისინი, როგორც „მსგავსებანი და ხატებანი ღვთისა“ თავიანთი სიყვარულით, ერთგულებით, ვაჟკაცობით.

**ლია კუხიანიძე** კი აღნიშნავს, რომ მთელი ქართული ლიტერატურა შეიძლება ერთ მთლიან საგად მოვიაზროთ, რომელშიც მხატვრულადაა გადმოცემული ერის ისტორია, მრავალფეროვანი საბედისწერო თავგადასავლებით, კეთილი და ბოროტი გმირებით, ცოტა სიხარულით, ბევრი მწუხარებითა და მარადიული იმედით, რომ კლდეზე მიჯაჭვული ამირანი ერთ დღესაც თავს აიშვებს:

— რეალურ ცხოვრებაში საგებს გმირები ჰქმნიან, ლიტერატურაში — გამორჩეული მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ქვეყნის ჭირისუფალნი, რომელთაც, მიუხედავად სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრებისა, მრავალი რამ აქვთ საერთო და ქართულ სინამდვილეში სწორედ მათი ცხოვრება და შემოქმედებაა უკეთესი დასტური მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებისა, „ქართული კალამი გოლგოთის ჯვარს მაგონებს.“

პირველი ქართული საგის შემქმნელი ალექსანდრე ყაზბეგია, რომლის რომანებმა და მოთხრობებმა ერთი სრული სურათი წარმოსახეს დაპყრობილი, დამცირებული, შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც გაუტეხელი ქვეყნისა. მისი შემოქმედების აზრს ვახტანგ კოტეტიშვილის შემდეგ ყველაზე უკეთ ოთარ ჩხეიძე ჩასწვდა (რომელიც თვითვე გახლდათ ყაზბეგის სულიერი მემკვიდრე და ახალი ქართული საგის „მატიანე ქართლისას“ შემქმნელი), საფუძველს და მიზეზს მისი ნაღვაწის საგად აღქმისა:

„ისტორიულ თავისებურებებს ხასიათებიც თავისებური ჩამოეყალიბებინა, თავისუფლებისათვის ბრძოლა ხა-

სიათად ექცია, თვისებად ექცია, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს თვისება, გადაეცემოდა და ახალ-ახალი ძალით ვლინდებოდა. ამ თვისებას მიაგნო ყაზბეგმა. ისტორიაც ეს გახლდათ, თანამედროვეობაც, რომანტიკაც, რეალიზმიც, ყველაფერი, ეს იყო სული ქართული და იმედი ქართლისა."

ალექსანდრე ყაზბეგის „საქმე" არაჩვეულებრივად გააგრძელა ვასილ ბარნოვმა ისეთი ეპოპეით, წარმართობიდან რომ იწყებოდა, XX საუკუნის 20-იან წლებამდე მოდიოდა და სავსე იყო ძველს დამატებული ახალი ტკივილებით. ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებლად კი ისიც გამოდგებოდა, „უნდობარ ხანს" ბარნოვის მემკვიდრე მიხეილ ჯავახიშვილი რომ ჩაეტანა და მის მიერ დაგეგმილი და შესაქმნელი საგაც თან ჩაეყოლებინა.

ოთარ ჩხეიძესაც „თავისუფლებისათვის ბრძოლა ხასიათად ექცია, თვისებად ექცია, თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა და ახალ-ახალი ძალით ვლინდებოდა", და ამ ჭეშმარიტების განსხეულება სწორედ მისი შემოქმედებაა, 24 რომანს რომ მოიცავს, იქიდან გაგრძელებულს, სადაც ბარნოვი შეჩერდა და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულამდე ქვეყნის მღელვარე ისტორიას გადმოგვცემს. მღელვარეს, მღვრიეს, მწარესა და გულსატკენს, რადგანაც საგის გმირები ჩვენა ვართ, შთამომავალნი იმ ქართველებისა, „ვინც ანგრევდა და ვინც აშენებდა, ვინც ქვეყანას ჰყიდდა და ვინც იცავდა თავგადადებული," მათი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება კი ქმნიდა ისტორიას ქვეყნისას, რომლის თავგადასავლის (ალექსანდრე ყაზბეგის საგადან ოთარ ჩხეიძის საგამდე) ცოდნა და გაანალიზება ერთადერთი გასაღებია იმ დახშული კარებისა, რომლის გაღება ამირანის აშვების ტოლფასია.

საქართველო არსებობს, იბრძვის უკეთესი მომავლისათვის, ე.ი. გრძელდება ლიტერატურული საგაც, ახალი ეპოქის საგა, რომლის კონტურები უკვე მკაფიოდ გამოისახა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ-ფსიქოლოგიური რომანების ციკლით.

* * *

— ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ავტორები კარგი მოპასუხენიც იყვნენ კრიტიკისა და ასეთი წერილები ლიტერატურული პოლემიკის შესანიშნავ ნიმუშებად შემორჩა ჩვენი მწერლობის ისტორიას. თუ არსებობს ალექსანდრე ყაზბეგის მსგავსი პუბლიკაციები, თავისი რომელიმე ნაწარმოების კრიტიკის პასუხად დაწერილი? — ამას შეხვედრაზე **ლევან ქურციკაშვილი** იკითხავს, პროფესიით ექიმი და ლიტერატურაზე შეყვარებული კაცი, ვისი კოლორიტული გამოსვლებიც კარგად ახსოვთ „ჩვენი მწერლობის" სალონის სტუმრებს.

ყაზბეგის ასეთი წერილი კი, როგორც ბატონი როსტომი აღნიშნავს, არსებობს — იონა მეუნარგიას კრიტიკული სტატიის საპასუხოდ დაიწერა და მწერლის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას ჟურნალ „კავკასიონში". ის თავისებური აღსარებაცაა, მხატვრული ლაბორატორიაც იხსნება მასში და კიდევ რომ გვქონდეს ასეთი წერილები, არაერთ საინტერესო რამეს გავიგებდით ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ.

ენათმეცნიერი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი** კი მიიჩნევს, რომ ამ მწერლის წარმატება ბევრწილად განსაზღვრა მისმა ენობრივმა სტილმა და კარგი იქნება, თუ ამ საკითხზეც გამახვილდება ყურადღება სამეცნიერო შეკრებებზე.

— ვისაც გაუვლია ქართული ენის საუნივერსიტეტო კურსი, იცის, რომ სინტაქსის ნაწილში, ჩვეულებრივ, გვასწავლიდნენ — და მერე ჩვენც ვასწავლიდით — ალექსანდრე ყაზბეგის წინადადებებით. გარდა იმისა, რომ მას საკმაოდ რთული კონსტრუქციები აქვს, ძალზე ზუსტად დალაგებული, ასევე, კარგად იცნობს ქართული ენის ბუნებას და ახასიათებს კლასიკოსისთვის ნიშანდობლივი ზომიერება დიალექტური ფორმებისა. ამიტომაც მისი ენობრივი სტილი სინტაქსის კანონზომიერებათა შესანიშნავი ნიმუშია და ამ კუთხით კვლევა გაღრმავებას საჭიროებს. ქართულ პროზას რომ გადავხედე, ორადორი მწერალი შემიძლია გამოვარჩიო, ვის შემოქმედებაშიც ყველა დიალექტურ ფორმას თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს — დავით კლდიაშვილი და ალექსანდრე ყაზბეგი.

ხშირად მიფიქრია, რატომ გამოიწვია ვაჟას დიალექტიზმებმა ამხელა ხმაური, ყაზბეგისა კი ჩვეულებრივ აღიქმება. ესეც საინტერესო საკითხია კვლევისათვის.

ბატონი გიორგი საუბრისას ეროვნული გამოცდების თემასაც შეეხო, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის პროგრამას, რაც, მისი აზრით, საკამათო და გადასაფასებელია.

**ეთერ თათარაიძე** კი მადლობას რომ გადაუხდის კონფერენციის მონაწილეებს, განსაკუთრებით მაია ჯალიაშვილს მისი შემოქმედების ერთი ციკლის ასეთი პროფესიული მიმოხილვისათვის, შეკრებილ საზოგადოებას ამასაც ამცნობს:

— ვახტანგ კოტეტიშვილის დღეებთან დაკავშირებით, მე და ამირან არაბულს არაერთ არქივთან მოგვიწია შეხება, მათ შორის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის უძველეს წყაროებთანაც, სადაც დაცულია ვახტანგ კოტეტიშვილის შეკრებილი მასალა და შემოწირული კოლექციები. სწორედ აქ აღმოჩნდა მოხეური ფოლკლორის სრულიად უნიკალური მასალა და, რაც ყველაზე მთავარია, ლექსები, რომლებიც სავარაუდოდ ალექსანდრე ყაზბეგისა უნდა იყოს, მაგრამ ისეა გახალხურებული, რომ ფოლკლორის ნაწილად იქცა და დღემდე ასეა შემორჩენილი.

რატომღაც ასეთი ბედის მწერალი იყო — უჭირდათ მისი ნიჭიერების დაჯერება. ხევს სჩვევია ასე — მაღალ მწვერვალს იქ სულ ნისლი ახვევია... და აი, გადავწყვიტეთ, დავიწყოთ მუშაობა ამ სრულიად უცნობ მოხეურ ფოლკლორზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებზე, რომელთა შორისაც შევეცდებით, გამოვარჩიოთ ალექსანდრე ყაზბეგის ლექსები.

* * *

შეხვედრის ბოლოს როსტომ ჩხეიძე იმასაც დასძენს, რომ ასეთი სამეცნიერო კონფერენციები, მათ შორის კვლავ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შესახებ კვლავაც იგეგმება — ზოგი თბილისში, ზოგი დედაქალაქსგარეთაც და საკითხები, რომლებიც ამ შეკრებაზე წამოიწია, გარკვეულწილად განსაზღვრავს მომავალ შეხვედ-

**გივი ალხაზიშვილი**

# დღიური

(2008, აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერი)

*რომელი მეფეა, მეორე მეფის წინააღმდეგ ომს მართავდეს და უწინ არ დაჯდეს და არ მოითათბიროს, შეუძლია თუ არა ათი ათასით დახვდეს მის წინააღმდეგ ოცი ათასით წამოსულს?*

**ლუკა 14, 31.**

***19 აგვისტო, დილის 11 საათი***

აქამდე ვერ შევძელი დღიურის წერა. დაძაბულობა ხელს მიშლიდა მეაზროვნა და თან ყოველდღიურად მეიმედებოდა, რომ დაგვეხმარებოდა მსოფლიო თანამეგობრობა, რუსი ყურადიღებდა მრავალგზის გაფრთხილებას და გაიყვანდა ჯარს საქართველოდან, შეწყდებოდა მათი თარეში, მშვიდობა დაისადგურებდა ქვეყანაში და ყველაფერს თავიდან დავიწყებდით. დღეს მივხვდი, არსად რომ არ აპირებენ წასვლას. საქართველო იქცა პოლიგონად, სადაც რუსეთი ამერიკას და დანარჩენ მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ფეხზე ჰკიდია ნატო და ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ეუთო და, საერთოდ, რასაც უნდა იმას გააკეთებს. სკინხედების ლიდერი პუტინი, ფორმალურად რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სინამდვილეში კი რუსეთის პრეზიდენტის შეფი და რუსული ფაშიზმის შეფარული იდეოლოგი, თავის დანაპირებს ასრულებს და მიზანმიმართულად ანადგურებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ეკონომიკას, აბუჩად იგდებს ყველას და ყოველივეს.

რა მივიღეთ იმ ომით, რომელიც წამოვიწყეთ და დღემდე თავს ვიმართლებთ — რუსები ომისთვის ემზადებოდნენ და ჩვენ თავს ვიცავდით, იძულებული ვიყავით გვეპასუხაო. ხაფანგში გააბა სააკაშვილმა საქართველო, პროვოკაციას წამოეგო და ახლა გამოსავალს ეძებს, ირგებს, გზადაგზა თხზავს, თავს ირწმუნებს და ცდილობს ხალხსაც თავს მოახვიოს სახელდახელოდ გამოგონილი "ამბები".

შეუძლებელია უამრავი ფიქციის შემდეგ, ისევ ტყუილებით ვისაზრდოოთ და ეს ჭირიც სათავისოდ გამოიყენონ ვიღაცებმა. ჯერ დატირებული არ იყვნენ დაღუპული ჯარისკაცები, ჯერ შოკიდან არ გამოსულიყო ქვეყანა და პარლამენტის წინ გამართულ კონცერტზე, ახალ, გუშინდელ ომში "გამარჯვებას" რომ მიეძღვნა, ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერლები, პატრიოტი მესიტყვეები, ლადო ასათიანის ლექსებით აღჭურვილი მსახიობები. სეფაშვილმა ზუსტად იმ დროს შემოსძახა სიმღერა, როცა ქაშვეთიდან გამოასვენეს ვახუშტი კოტეტიშვილი... იმდენად სინქრონული იყო ცხონებული ვახუშტის ქაშუეთიდან გამოსვენება და "გამარჯვებისადმი" მიძღვნილი კონცერტის დაწყება, რომ ბუნებრივად გაფორმდა ფიქციის ტრაგი-კომიკურობა. საშინელი განცდა დამეუფლა ამის შემხედვარეს და დავეშვი ალექსანდრეს ბაღისკენ, რათა ზურგი მექცია ამ სიგიჟისთვის და გავშორებოდი. გულგატეხილი ვიყავი და სხვაგვარად არ შემეძლო.

ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემს მეგობრებს: მაშინებს დასავლეთის შემგუებლური პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ბუქარესტში გაჟღერებული უარის ავტორები/მაპს ვგულისხმობ/ ახლაც ეკეკლუცებიან რუსეთს და არ გამოვრიცხავ, ამ უბედურებაში რუსეთს შეგვატოვონ.



რუსი ხელის აქნევას ელოდა, რომ აფრენილიყო, სააკაშვილმა ხელი აუქნია, თან მძლავრად და გამოიხმო ძალა, რომელსაც ხელი ჰქონდა გახსნილი და ჩვენ გვაბრალებდა რუსეთის მოქალაქეების გაჟლეტვას. სადღა იყვნენ იქ რუსეთის მოქალაქენი, ადრევე გაეხიზნათ. პუტინი საკუთარი მოქალაქეების მჟლეტელი /ჩეჩნეთი/ მშვიდობისმყოფელის ფუნქციის შენარჩუნებას ცდილობს ძალადობით. მსოფლიო თანამეგობრობის წაყრუების ბრალია, რომ ამათ ჩეჩნეთი ეპატია. როგორც ჩანს საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველ ცივილიზებულ მსოფლიოს ფორმალურად აღელვებს ეს საკითხი და არ გამოვრიცხავ უკვე მერამდენედ რუსეთს შეგვატოვოს, მეტადრე მაშინ, როცა ხალხში იგრძნობა შიში, არცთუ უსაფუძვლო, როცა დაუფარავად აცხადებენ ადამიანები, რომ მათ მშვიდობა უნდათ და არ შეეწირებიან დასავლურ ღირებულებებს, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ისინი მხოლოდ განცხადებებით გვიჭერენ მხარს. დღეს, თითქოს ერთ კონტექსტში განსახილველი არ არის ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელი ნაბიჯები რუსეთის აგრესიის ფონზე, მაგრამ დადგება დრო, როცა ხმამაღლა განიხილავენ ამ საკითხებს და ისევ მოგვიწევს ქვეყანაში არჩევნების ჩატარება, ეს უკვე ცხადია, მაგრამ სამწუხაროდ იმ ქვეყანაში, როგორიც და რა ტერიტორიებითაც შეგვრჩება.

გასაანალიზებელია უახლესი ისტორიის უმძიმესი შედეგები, დასათვლელია, რომელი პრეზიდენტის დროს რა დავკარგეთ, რა წაგვართვეს, რა გავაჩუქეთ და რა დაგვრჩა საბოლოოდ. ჩვენ გვყავს მეზობელი, რომელიც დაუფარავად ცდილობს დაიბრუნოს მსოფლიო ჟანდარმის ფუნქცია და როცა მიუკაკუნებს დასავლეთს, მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ვის შეგვატოვეს.

**პ.ს.** სააკაშვილი ცდილობდა მსოფლიო პოლიტიკაში აქტიური როლი შეესრულებინა. მისი საყრდენი ამ თამაშში იყო დასავლეთი, კერძოდ აშშ და მიშა მგზნებარედ აგრძელებდა დემოკრატიის ბაირახტარის როლის თამაშს თავის არაადეკვატური რიტორიკით. სააკაშვილმა შეიძინა რუსეთის გამკითხველისა და მისი დამრიგებლის ფუნქცია და ერთხანს იტივტივა კიდეც ზედაპირზე. მაფიქრებს მისი ბოლო ნაბიჯები.

ველოდები რას მოიტანს ნატოს რიგგარეშე მინისტერიალი. დიდი იმედი არ მაქვს რაიმე შეიცვალოს, მოჩვენებითად მკაცრ განცხადებებს რუსეთი არაფრად ჩააგდებს და მოწმენი გავხდებით ახალი რუსეთის დაბადების.

***სამის ნახევარი:***

ყველანი დანევროზებულები ვართ. ერთმანეთთან ვკამათობთ უმიზეზოდ. ჩანს მძიმედ იმოქმედა ჩვენზე გაბმუ-

ლმა დაბომბვამ, ოკუპანტების ცინიზმმა, საქართველოს შუაზე გახლეჩამ, ჩვენი პრეზიდენტის უაზრო რიტორიკამ, უძლურების შეგრძნებამ.

იგოეთიდან ხაშურამდე რუსები აკონტროლებენ ტრასას. დასავლეთ საქართველოში აიკლეს სენაკი, ფოთი, ზუგდიდი და ა.შ.

ახლა არ არის დამნაშავის ძებნისა და საქმის გარჩევის დრო, ყველა ერთად უნდა ვიყოთ. რუსები რომ გავლენ უნდა გავარკვიოთ ვითარება და ახალი არჩევნები დავნიშნოთ.

*4 საათი*

ვშიშობ, რომ ნატოს მინისტერიალი
იქნება მხოლოდ ენისტრიალი.

*7 საათი*

... რა დროს გასვლაა, ძლივს შემოვედით და დავიწყეთ სახელმწიფოს მოწესრიგება. რომ გავიდეთ, ვინ გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელ საქმეს?... კითხულობს გენერალი ნოგოვიცინი, რუსეთის გენშტაბის მაღალჩინოსანი.

რუსულ ცინიზმს საზღვარი არ აქვს. ნგრევას, რბევას, ძარცვას, ხოცვა-ჟლეტას, განადგურებას ფოთში, გორში, გორის რაიონის სოფლებში, სენაკში, ათასობით ჩამოყრილ ბომბს, ბორჯომ-ხარაგოულის ტყე-პარკში სითბური რაკეტებით გაჩენილ ხანძრებს, იგოეთიდან ხაშურამდე განლაგებულ ოკუპაციურ საგუშაგოებს უწოდებს ნოგოვიცინი ქვეყნის, სახელმწიფოს მოწესრიგებას და ამ "მოწესრიგების" გაგრძელებას აპირებს, ცხადია, პუტინის დავალებით.

*10 საათი*

ზოგიერთები პუტინის ბავშვობისდროინდელ რესენტიმენტებს აბრალებენ მის განსაკუთრებულ სიძულვილს ქართველების მიმართ, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ხრუშჩოვს საერთოდ ქართველების გასახლება უნდოდა საქართველოდან, კანდიდ ჩარკვიანიც იხსენებს თავის მემუარებში, რომელიც მისმა შვილმა გელა ჩარკვიანმა გამოსცა. ბოროტებანი, რაც რუსეთის სხვადასხვა დროის ხელისუფალთ ჩაუდენიათ, ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. რუსს სძულს ყველა, ვინც არ ემორჩილება, არ ემონება. ჩვენც არ დავემონეთ და ამიტომაც მტრად მოგვეკიდნენ. ხრუშჩოვს ჰქონდა პიროვნული ზიზღი და შურისძიებაც სურდა ქართველებზე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას სტალინი ამცირებდა, აბუჩად იგდებდა, არამედ იმიტომ რომ 1956 წელს ვერ ივიწყებდა და არ პატიობდა ქართველ ხალხს იმ ამბოხებას, თვითონვე რომ სისხლში ჩაახშო.

პუტინის გამრუდებული ფსიქიკა ჩემი საკვლევი არ არის, მაგრამ ნეკრასოვის დოკუმენტური ფილმი, ლიტვინენკოს დოკუმენტური მასალები წიგნად აკინძული და 200.000 ჩეჩნის განადგურება, რომელსაც მანამდე წინ უძღოდა ფეესბეს განხორციელებული ტერაქტები საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, ჩეჩნებს რომ გადააბრალეს, რათა შემდეგ ჩეჩენი ხალხი გაეჟლიტათ დედაბუდიანად, უკვე საყოველთაოდ ცნობილია.

აი, ვინ დაგვიპირისპირდა ჩვენ და ვინ გვიპირებს შთანთქმას.

წინასწარ ძნელია თქმა, რას მოიმოქმედებს პუტინი. ინტერნეტით ავრცელებს რუსული სპეცსამსახურის შეფი, რომ ჩვენ, ქართველები ვგეგმავთ ტერაქტებს რუსეთის სამხრეთში ანუ ჩრდილო-კავკასიაში. ეს უნიჭო გამონაგონები რისთვის ჭირდებათ არავინ იცის ან ვის ავადმყოფ გონებაში მომწიფდა ასეთი სწორხაზოვანი სიბრიყვე. თქვეს! რეაგირება როდის და როგორი იქნება ვერავინ იტყვის. "უმომ რასიუ ნე პონიატ" – მოკლედ არავინ იცის რას ჩაიდენს მიზნის მისაღწევად. "მტერიც არ მამცა მტრისფერი." თუმცა, სამწუხარო რეალობა სახეზეა, დავუპირისპირდით ქვეყანას, რომლის ძლევის არანაირი შანსი არ გვაქვს და ახლა გულს ვასკდებით. აქ შიშველი გმირობით ვერაფერს გავხდებით, რაც თავიდანვე აშკარა იყო. როდემდე უნდა ვისაზრდოოთ ურა-პატრიოტული სალაფავით?!

*20 აგვისტო*

დღეს ჩემი ქალიშვილის დაბადების დღეა. დილაადრიანად გამეღვიძა და როგორც კი შევნიშნე რომ აღარ ეძინა, მივულოცე.. ჯერ ძილ-ბურანში მყოფმა მკითხა:

— გავიდა რუსის ჯარი?

— არა, ჯერ არ გასულა.

— აბა, რას მილოცავ?

— დაბადების დღეს.

გაგვეცინა ან რა იყო სასაცილო. რა დღეში ჩავცვივდით?

*4 საათი*

**ბედნიერი ვარ მწუხარების არგანელებით,**
**დღე-ღამეების აწყვეტილი საქანელები**
**კონწიალობენ, მკითხაობენ: წავლენ? რომ წავლენ,**
**ისევ თავიდან შევუდგებით ქვეყნის შენებას,**
**ხოლო ესენი არ მიდიან, ისე მომწამლეს,**
**რომ აღარ ვიცი, თუ წავიდნენ რა მეშველება?!**

არსადაც არ მიდიან. რუსი ვაჭრობს, რუსი იმუქრება.

ამერიკელი ჟურნალისტი დააპატიმრეს, მათიას იორში გორში არ შეუშვეს თუ ძლივს შეუშვეს. საჩხერეში **სო**-ს მოსაზღვრე სოფელი დაიკავეს, ჩხოროწყუშიც - ასეთივე სახელის სოფელი. სენაკში ჩასახლდნენ. დასავლეთში საქართველოში ნაძარცვი აფხაზეთში მიაქვთ მანქანებით. ამერიკელები თავიანთ ჰამერებს თხოულობენ, ფოთის პორტში რომ მოიპარეს რუსებმა.

ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ფეხზე ჰკიდიათ მთელი მსოფლიო.

ეს კრემლის სახეა. ეს კი, ჩვენი, აქედან უყეფს და გულს იფხანს: მხოლოდ ხესბოლამ დაუჭირა მხარი. ჰო, მხოლოდ ხესბოლამ და ვენესუელამ დაუჭირა მხარი და სხვამ არავინ. ჩვენთვის რა შეღავათია, ამათ არ ესმით დანარჩენი სამყაროსი. სძულთ დანარჩენი კაცობრიობა. ის მხოლოდ მაშინ დაწყნარდება, როცა საკუთარ თავს ამოიჭამს. ეს პროცესი დაიწყება აფხაზეთის და სო-ს აღიარებით.

## უხმო ნატირალი

**მე არ ვარ მიწა**
**და მიწადაც ვეღარ ვიქცევი,**
**ვარ ფეხადგმული ტერიტორია,**
**იძულებით ადგილნაცვალი –**

**ჩემი სხეულით, ჩემი გულით, ჩემი ფიქრებით**
**თანდათანობით გარდავისახე იმ მინდვრებად,**
**რომ გადაბუგეს**
**და საფლავებად**
**ბნელ სარდაფებში და ძველ ბაღებში რომ გადამალეს, —**
**ბორცვებად ქცევას რომ ვერ ბედავენ**
**საგულდაგულოდ დატკეპნილები.**

**ვიქეც უძრავ ტერიტორიად,**
**მხოლოდ ბუფერად –**
**ისევ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის,**
**რომელსაც უკვე მოძალადე ვეღარ დაიპყრობს,**
**როცა მკვდრები თავის მიწას დაიბრუნებენ.**

*19. 10. 2008 წ.*

დღეს გამოქვეყნდა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ბოსფორის სრუტიდან დაიძრა სამი ამერიკული გემი, ადრე რომ არ ატარებდნენ თურქები. გამოვიდა ბუში და ღიად განაცხადა, რომ ახალგაზრდა დემოკრატიას მხარს დაუჭერს საქართველოში.

არავინ იცის რა რეაქცია ექნებათ რუსებს ამერიკულ გემებზე. ისინი ჩასხდნენ ფოთის სიახლოვეს და სანგრებს თხრიან. მათ ახალ გეგმაში ნახევარი საქართველო ბუფერულ ზონად არის გამოცხადებული, მეორე ნახევარი სეპარატისტულია. ჰიპოთეტურადაც არ მჯერა, რომ რუსები აქ დარჩებიან არსებულ პოზიციებზე. საყოველთაოდ მოიჭრეს თავი და ახლა როგორ მოიქცნენ აღარ იციან. როგორც ჩანს იმპერიული ზრახვებისგან გონდაკარგული რუსეთი არაადეკვატურია და შეშლილივით იქცევა.

ისიც მაფიქრებს ომი არ გაჩაღდეს ჩვენს ტერიტორიაზე ორ ზესახელმწიფოს შორის, თუმცა ეს ნაკლებმოსალოდნელია და ალბათ მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუსხდებიან.

ასეთი უბედურება საქართველოს არ ახსოვს. თბილისი დევნილების ქალაქია, გაპარტახებული, გადაბუგული და გაუკაცურებულია შუაგული ქართლი. რუსები პუტინის კაპრიზს ასრულებენ და ცდილობენ ქართული სახელმწიფოებრიობა დაასამარონ.

რუსული თანადგომით წახალისებულმა ხიზნებმა გადაინაწილეს საქართველო და მკვიდრ მოსახლეობას ომი გამოუცხადეს.

*21 აგვისტო*

**სად არიან ეს მითიური ამერიკული ხომალდები?**

შიდა ქართლში ჰუმანიტარული კატასტროფა მძვინვარებს. გადამწვარი და განადგურებულია ძირძველი სოფლები, გაუკაცურებულია იქაურობა, დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სიარული არ შეეძლო, ვინც კარს მომდგარ სიკვდილს არ შეუშინდა, რადგან ჩათვალა, რომ მაინც დათვლილია მისი დღეები.

ფოთიდან ჰუმანიტარულ ტვირთებს არ უშვებენ, სამეგრელოს რეგიონის ირგვლივ საგუშაგოები განალაგეს. ძველი ჩანაფიქრის განხორციელება უნდათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ სამეგრელოს ხალხი ამ პროვოკაციას არ აჰყვება. სალდაფონური პრიმიტივიზმი და ქართული რეალობის სრული უვიცობა იკვეთება. მიგრანიანის გეგმა, საინტერესოა ახალქალაქის სტატუსსაც ხომ არ ითვალისწინებს?

აშკარად ჩანს, რომ ჰუმანიტარული კრიზისის ფონზე ხელისუფლების შეცვლა უნდათ. ჩვენ უნდა გავუძლოთ და არ დავუშვათ ლეგიტიმური ხელისუფლების ხელყოფა. მომავალში თვითონ გავარკვევთ როგორი ხელისუფლება ავირჩიოთ, ურუსოდ, უოკუპანტოდ.

სად არიან ამერიკული მითიური ხომალდები? ჩვენ ძალა არ შეგვწევს შევეწინააღმდეგოთ ოკუპანტს, რომელიც გამოვიხმეთ. გარედან ველოდებით დახმარებას. რუმინეთის პრეზიდენტი გვირჩევს რუსეთთან მოლაპარაკებას. საინტერესო ვითარებაა. მთელი სამეგრელო, ფოთი, შიდა ქართლი და მთავარი საგზაო არტერიები ხელში ჩაიგდო ოკუპანტმა და ეს კიდე მოლაპარაკებას გვირჩევს. ჩვენ აღარ ვთამაშობთ, ჩვენ მხოლოდ არენა ვართ, რადგამ მხარი დასავლურ ორიენტაციას და ღირებულებებს დავუჭირეთ, ამიტომაც არ გვეთამაშებიან რუსები, არც გველაპარაკებიან, ნახევარი საქართველო ბუფერულ ზონად აქციეს, რათა უკეთ დაიცვან სეპარატისტული რეგიონები ჩვენგან. ვისაც დახმარება შეუძლია ჩამოდის და ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო აღჭურვაში დახმარებას და ჯარის ხელახლა გაწვრთნას გვპირდება, მაგრამ მგონი ავიწყდებათ, რომ საქართველო ოკუპირებულია ან დანამდვილებით იციან რომ რუსები გავლენ. ჩვენზე მეტი იციან, ალბათ ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებას.

გაურკვევლობას სიკვდილი მიჯობს.

დღეს როსტომს ვესტუმრე რედაქციაში და დიდხანს ვისაუბრეთ საერთო სატკივარზე.

როსტომმა ვინმე მაჩაბელი გაიხსენა. 1801 წლის ტრაქტადის მერე, ყოველ დილას იწყებდა ფანჯრის გაღებით და იმის გამოძიებით წავიდნენ თუ არა რუსები საქართველოდან.

— რა, არ წასულან? მომდევნო დღესაც იგივე გამეორდებოდა:

— წავიდნენ რუსები?

— არა.

— წავიდნენ?

— არა. და ასე მანამ, ვიდრე არ გარდაიცვალა.

მეოცე საუკუნეში, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ისევ მოგვეცა შანსი და დამოუკიდებლობა გვებოძა.

მაშინაც მარქსისტული ხელისუფლების უნიათობით, ასევე ერთა ლიგის გულგრილობით და ღალატით აღმოვჩნდით ბოლშევიკური რუსეთის შემადგენლობაში.

— ეს ოკუპაცია 1990 წლამდე გაგრძელდა. დამოუკიდებლობის მეჩვიდმეტე წელს ისევ რუსი ოკუპანტები. ვშიშობ დასავლეთი ახლაც ერთა ლიგასავით არ მოიქცეს. ღმერთმა დაგვიფაროს.

თითქმის ყოველდღიურად ვხვდები გორიდან და გორის რაიონიდან დევნილ ადამიანებს.

მიმძიმს ტელეკადრების ყურება, როგორი გაპარტახებული, გადამწვარი, გაძარცული და გაუკაცრიელებულია უძველესი ქართული სოფლები, ენის და ყოფის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და ტრადიციების შემნახველები.

დღეს საფრანგეთის ელჩიც დაიკავეს. გაგიჟდნენ, აღარ იციან რას სჩადიან. საგუშაგოებით გამოყვეს სამეგრელო, ძველი გეგმა ამოიღეს, მიგრანიანის ან ვიღაც სხვა მამაძაღლის დაწერილ-შედგენილი.

*22 აგვისტო*

რა საჭიროა ველოდო ამათ გასვლას ჩვენი ქვეყნიდან. ერთ მშვენიერ დღეს გაეთრევიან სამუდამოდ. არა მგონია წინარე ისტორიები განმეორდეს.

ხალხს მშვიდობა უნდა და არ დაგიდევს ვინაა ოკუპანტი, ცხოვრება უნდა და ყველაფერს ეგუება. საშიშია, დროთაგანმავლობაში არ შეეგუოს მოსახლეობა არსებულ რეალობას და არ გაუშინაურდეს დამპყრობელს.

ამერიკული ხომალდები, ალბათ, მანამდე არ შემოვლენ, ვიდრე რუსები დგანან ფოთის პორტთან და ჯერ არ დაუტოვებიათ იქაურობა.

დღეს ლავროვმა განაწყენებული ტონით მიმართა ნატოს წევრ ქვეყნებს, ...რადგან რუსეთთან ურთიერთობას გირჩევნიათ ევრო-ატლანტიკური ალიანსის ინტერესები და სააკაშვილის გაბანკროტებული ხელისუფლება, ეგ თქვენი არჩევანია და არა ჩვენი...

მიუხედავად იმისა რომ ქვეყანა შუაზე გაწყვიტეს, ფოთის პორტი ჩაკეტეს და ა.შ. თბილისში ხალხი მაინც არ გამოვიდა ქუჩაში, არ აუჯანყდა ხელისუფლებას, პირიქით, ხალხი ერთ მუშტად შეიკრა და ოკუპანტებს დაუპირისპირდა. რუსმა დასაყრდენი ვერ იპოვა, ვერც დასავლეთ საქართველოში, ვერც აღმოსავლეთში. ასე, რომ ლავროვის განცხადებაში ისმოდა განაწყენება დასავლეთზე და ქართველ ხალხზეც და იმ პოლიტტექნოლოგებზე, რომლებიც ათასგვარ სისულელეს ურჩევდნენ პუტინს და მის ხელისუფლებას საქართველოსთან დაკავშირებით. ეს დამშვიდობების სიტყვა იყო. ბლოკ-საგუშაგოები შუა საქართველოში, თან სამშვიდობო მისიონერობა, როცა მთელი მსოფლიო ოკუპანტებს ეძახის, სრული სიგიჟეა.

კგბ-ეს უფროსი ოპერ-მუშაკი, სხვა რა სიკეთეს გაუკეთებს რუსეთს ან მის მეზობლებს, მათ შორის საქართველოს?! ის არ არის პოლიტიკოსი და ვერ იყენებს რუსეთის შესაძლებლობებს. ჰგონია რომ რუსეთის ერთადერთი შესაძლებლობა მუქარა, შანტაჟი და აგრესიაა. სხვაგვარად ვერც იაზროვნებს ის, ვისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლა უდიდესი გეო-პოლიტიკური კატასტროფა და პირადი ტრაგედიაა.

დღეს დაიწყეს გათრევა. იგოეთიდან ხაშურამდე ტრასა გაიხსნა. სამეგრელოდან ფეხისმოცვლას არ აპირებენ. იქიდანაც გაბუნძულდებიან. გინახავთ სადმე მოძალადე მშვიდობისმყოფელი? მიდით ფოთსა და სენაკში და ნახავთ. სამშვიდობო ჯარის სტატუსის გაუქმება გაეროში ვერ მოხერხდება. გაერო ვერც სამშვიდობოს ინტერნაციონალიზაციას შეძლებს. არ ვიცი, შეიძლება თუ არა ეუთოს ეგიდით ამის მოგვარება. გაერო მკვდარი ორგანიზაციაა, აბსურდული. ოკუპანტი და მშვიდობისმყოფელი თურმე შესაძლოა იყოს ერთიდაიგივე ქვეყანა, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს. გაერო აბსურდის თეატრია და ძალიან უყვარს რუსეთს საკუთარი ვეტოს გამო. ახლა ყირიმში დაუწყიათ რუსული პასპორტების დარიგება. რა მშვენივრად აითვისეს გერმანელი ფაშისტების მეთოდები მეზობელი ქვეყნის დასაპყრობად?! ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაკერი, მაგრამ არ რცხვენია, ფეხზე ჰკიდია, ძალაზეა.

რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილე ნოგოვიცინმა შეთხზა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ბუფერული ზონა, როგორც გენერლის სიზმარი, რადგან მსგავს ბუფერულ ზონას არ ითვალისწინებს არცერთი დოკუმენტი, გარდა ოკუპანტური მადისა და უსინდისო გაუმაძღრობისა.

არ გამიკვირდება ამ სიზმრის განხორციელებაც სცადონ, თუმცა დარწმუნებული ვარ აქედანაც გააბრძანებენ, რადგან არცერთ შეთანხმებაში ასეთ საგუშაგოებზე საუბარიც არ ყოფილა. მიუხედავად ამისა ფოთის შესასვლელთან მაინც მოკალათდნენ. ვაცადოთ, იქნებ სხვაგანაც მოისურვონ და დარჩნენ მშვიდობისმყოფელი ოკუპანტები. ერთდროულად ამ ორი ფუნქციის შეთავსება რუსს არ უჭირს, არც ფიზიკურად და არც ზნეობრივად.

*23 აგვისტო*

დღეს მეორე მიკრო-რაიონში გავისეირნე/დიდი დიღომი/. აქეთ სეირნობას ვეტანები, ზოგჯერ ვიგონებ კიდეც საქმეს ხეივნებს რომ ჩავუარო და სიმარტოვეში ვიფიქრო.

ბაღებს და სპორტულ მოედანს რომ გავცდი და პეტრიწის ქუჩაზე გავედი, შევნიშნე ვიღაც, ალბათ ქალაქის გამწვანების მუშა, მარადმწვანე ბუჩქებს კრეჭდა სპეციალური მაკრატლით /სეკატორით/, ცდილობდა გაბარჯღული ბუჩქისთვის სფეროს ფორმა მიეცა. ერთხანს ვიდექი და ვუყურებდი საშუალო ხნის კაცი როგორ ირჯებოდა და საკუთარი თავი გამოვიჭირე, რომ ეს საქმიანობა მეტად უჩვეულო იყო, არცთუ ისე დიდიხნის წინათ ჩამოცვენილი ბომბების ფონზე, გადატანილი საყოველთაო პანიკის შემდეგ, ასე უცნაურად რომ მამშვიდებდა და ვიგრძენი მშვიდობის ფასი, რომლის გამოხატვა და დაკონკრეტება შეუძლებელია, რადგან მშვიდობის სიტყვიერი მნიშვნელობის განსაზღვრება არაფერია, იმ პირველ საათებთან შედარებით, როცა ომის შემდეგ აღმოაჩენ, რომ არსებობს ომისა და ნგრევის საპირისპირო სამყარო, რომლის ხელახლა აღმოჩენა განუსაზღვრელ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს.

გავრცელდა რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილის ულტიმატუმი, რომ ისინი არ გაიყვანენ ფოთიდან სამშვიდობოებს!

აქ ნატოს ხომალდების შემოსვლას არ დავუშვებთ, არც ამერიკულ გემებს. ტვირთი უნდა ვაკონტროლოთ. თუ კიდევ დააპირებს ამერიკა და ნატო საქართველოს ჯარის აღჭურვას, მაშინ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს, ვითარების შესაბამისად გავზარდოთ ცოცხალი ძალის და შეიარაღების ოდენობა.

**პ.ს.** აი, ამას ჰქვია შავი ჭირი, უპრეცედენტო ამბავი ოცდამეერთე საუკუნეში. რუსეთი მსოფლიოს მიათრევს შუასაუკუნეებისკენ.

დაუფარავად ამბობენ რომ ქართულმა სახელმწიფომ არ უნდა იარსებოს და ჩვენი თავისუფლების აღკვეთის ხარჯზე უნდა იზეიმოს სეპარატიზმმა. სხვა სახელმწიფოები უნდა იყვნენ აღჭურვილი, ჩვენ კი არა.

ეს უკვე მსოფლიო ცივილიზაციის გამოწვევაა. აი, რა შეუძლია კგბ-ეს "სტარში ოპერის" საბჭოურ ნოსტალგიას, როცა უსაზღვრო ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში.

ვხვდები, რომ მართლაც ფოთთან/საქართველოში/ წყდება ცივილიზებული სამყაროს ბედი.

მე კიდევ სამშვიდობოების ინტერნაციონალიზაციაზე ვფიქრობდი. რუსმა თამაში უნდა წააგოს, როგორც აგრესორმა და მოძალადემ. კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ რუსეთი აშშ-ს და ნატოს დაუპირისპირდა და შესაბამისად ჩვენ გვსჯის არჩევანის გამო. ჩვენ რა შეგვიძლია ამ თამაშში?!

ან დასავლურ ღირებულებებზე უარის თქმა და რუსულ შუასაუკუნეებში დაჩოქილი შებრუნება, ან სიმტკიცის შენარჩუნება. ვიყოთ მტკიცედ.

ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მაფიქრებს, ეს პუტინის არასრულფასოვნების აშკარა კომპლექსია და მის ხელში ამხელა ძალაუფლება სახიფათოა. რა ჩემი საფიქრალია რუსეთის ახალი იმპერატორის ფსიქოლოგიური პორტრეტი? თავი დაგვანებოს და იყოს თავის იმპერიაში! ის ახლა გმირს თამაშობს, საბჭოთა იმპერიის რესტავრაციის ნოსტალგიით შეპყრობილი - რუსი ხალხის დაკვეთას ასრულებს. თუ მაგრად მიაწვა ნატო და აშშ, მაშინ უკან დაიხევს.

რუსეთი ასე ერთბაშად დაუპირისპირდა მთელ მსოფლიოს. აქ თუ გაუვიდა, მერე ნახონ რუსული ფაშიზმის აღზევება მთელს ევროპაში.

თუ გონიერია ეს სამყარო და ზესახელმწიფოთა ლიდერები, მაშინ საქმე მოლაპარაკებით გადაწყდება. რუსული თავხედობა არის სავაჭრო უვერტიურა. რას თხოულობენ რუსები საქართველოში ნატოს დამკვიდრების სანაცვლოდ? ცხადია ქართულ სეპარატისტულ რეგიონებს. შემოვარდა საქართველოში და ფოთის პორტთან გახსნა ორი ბლოკ-საგუშაგო.

თუ მოისურვებს იგივეს გააკეთებენ საქართველოს ნებისმიერ გეოგრაფიულ წერტილში. ამ ქმედებით იგი დანარჩენ მსოფლიოს აჩვენებს რომ ფეხზე ჰკიდია მეორე ქვეყნის სუვერენიტეტი და მეტადრე ტერიტორიული მთლიანობა და მისი დამცველები აშშ და ნატო. ვნახოთ, რამდენად გულწრფელია რუსეთი თავის ქმედებებში თუ ისევ სტრატეგიულ გამორჩენას ელოდება?!

***24 აგვისტო***

რუსეთი დიდხანს იქნება დანარჩენი მსოფლიოს პრობლემა. ვერ წარმოვიდგენდი რუსეთს მშიერი ჯარი რომ ეყოლებოდა. დარწმუნებული ვარ ფოთთან უკანონოდ განთავსებულ საგუშაგოებზე მყოფ რუსის ჯარისკაცებს ისევ ქართველები კვებავენ. ასეთი ფაქტები შენიშნეს ოკუპირებული ტერიტორიის არაერთ ადგილას, განსაკუთრებით სოფლებში.

რუსის ჯარისკაცები სალიარს არაყში ცვლიდნენ სამეგრელოში. ქართლში, ერთ სოფელში მოხუცებულ ქალბატონს შეებრალა რუსის ჯარისკაცები და საზამთროთი და ზოგი სხვა რამით გაუმასპინძლდა. როგორც ის დედაკაცი ყვებოდა, მისგან გამასპინძლებული რუსის ჯარისკაცები, ორი დღე-ღამე იცავდნენ მის საცხოვრებელ სახლს მოთარეშე ბანდ-ფორმირებებისა და რეგულარული ჯარისგან. ასე გადაურჩა ის ქალი მაროდიორებისა და ფორმიანი ბანდიტების თავდასხმებს.

მგონია, რომ ეს ჩვენი სიძლიერეა და არა სისუსტე. მაგონდება მამაჩემის ნაამბობი, როგორ მიჰქონდათ საჭმელი და თამბაქო გერმანელ ტყვეებთან ქუთაისში და თბილისში და ეს მაშინ, როცა თითქმის ყოველი ოჯახიდან ერთი ჯარისკაცი მაინც არ დაბრუნებულა ფრონტიდან და ჭრილობებმოუშუშებელ დედებს მტრის შვილები ებრალებოდათ. ალბათ ჩვენში უნდა ეთქვათ:

**იქნება ვეფხვის დედაი**
**ჩემზე მწარედა სტირისა,**
**წავიდე, მეც იქ მივიდე,**
**სამძიმარ უთხრა ჭირისა.**

მტრის ჯარისკაცის სიბრალულის ცალკეული ფაქტები მაფიქრებინებს, რომ ჩვენში მინავლულია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს "ტრადიციული სიკეთე," ქრისტიანული "გადმონაშთი" და იგი შესაძლებელია თანდათან შეიწიროს ლიბერალურმა ღირებულებებმა და ცხოვრების უახლესმა წესებმა.

დღეს შემოვა ბათუმში პირველი ამერიკული სამხედრო ხომალდი. როგორც ჩანს ფოთში შემოსვლას ერიდებიან, არ ამწვავებენ ვითარებას. რუსეთის გენერალიტეტს კი რა, ჭკუა დაუშლის, ბათუმში რომ არ გადავიდნენ და ახლა იქ არ დაიწყონ სანგრების თხრა?!

* * *

შენ რომ გქონდა თვალები, მშვიდი თვალები
და თვალებში სიტყვები ღვთისთვის შენეთვალები...

***

დღეს შემოვიდა ბათუმის პორტში უზარმაზარი სამხედრო ხომალდი. ხალხს იმედი მიეცა. ზოგი შიშით შეჰყურებდა გემს და რუსების გაღიზიანების ეშინოდა. საბჭოეთგამოვლილი თაობების ნაწილი შიშგამოვლილი და დაჩმორებულია. ისეთი შიშით არიან შეპყრობილნი, რომ მზად არიან რუსებს მონებად დაუდგნენ თუ დღიურ ფულს გადაუხდიან და სალაფავს მიუგდებენ. ზოგს საბჭოეთის ნოსტალგია სტანჯავს და ოცნებობს რუსის ქალებთან გართობაზე, სამშენებლო მასალების ქურდობაზე, საწყობის ვირთხობაზე და ნაირგვარ "პრივილეგიებზე". ისინი, თან საბრალო და თანაც საშიში ადამიანები არიან.

სააკაშვილი გამოვიდა ტელევიზიით, საპარლამენტო ბიუროს და ტელემაყურებელს მოუთხრობდა ომის წინარე და საომარი მოქმედებისდროინდელ მოვლენებზე. თავის მართლებას თუ შექმნილი ვითარებიდან თავის დაძვრენას უფრო ჰგავდა მისი საუბარი.

მიუხედავად ამგვარი პრევენციისა და რეალობის საკუთარი ვერსიის წარდგინებისა, ვფიქრობ, მაინც დაუსვამენ სააკაშვილს შეკითხვებს. ჩემი აზრით, ამ ომს წამოვიწყებდით თუ არა, მაინც თავს მოგვახვევდნენ. და აი, შეძლეს კიდეც, სააკაშვილი წამოაგეს პროვოკაციას და მყისვე შემოიჭრნენ საქართველოში.

***25 აგვისტო***

გორელების უმრავლესობა დაბრუნდა თავის ქალაქში და იმ სოფლებში, ბუფერს რომ არ განეკუთნება. უამრავი ნაღმი და აუფეთქებელი ბომბი დატოვეს ბარბაროსებმა. ჩასვლისთანავე შეეწირა ნაღმს ერთი ქალბატონი, დაიჭრა ერთი კაცი. მეჯვრისხევში ოსებმა გადაწვეს მეფრინველეობის ფაბრიკა. ნაღმზე აფეთქდა სატვირთო მატარებელი, რომელსაც აზერბაიჯანული ნავთობი გადაჰქონდა.

ასეთ ფონზე რუსები დიდი რიხით აცხადებენ, რომ დუმამ შეწყვიტა შვებულება და მალე გადაწყდება საკითხი, როდის აღიარებენ აფხაზეთისა და სო-ს დამოუკიდებლობას. დაჩქარებული წესით აპირებენ აფხაზეთისა და სო-ს აღიარებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ რუსეთი ისევ უმცირესობაში დარჩება, დანარჩენი მსოფლიო არ დაუჭერს მხარს.

საოცარია, როგორ არის მოწყობილი მსოფლიო, როგორ ინარჩუნებს მშვიდობისმყოფელის მანდატს და თავის ჭკუა-

ზე ქმნის ბუფერულ ზონებს ქვეყანა, რომელიც თხუთმეტი წელია გვანგრევს, ყოველნაირად გვანადგურებს.

ვხვდები, რომ კარგახნით დავკარგეთ აფხაზეთი და ს-ო. ადრეც დაკარგული იყო, მაგრამ ომის შემდგომი ფაზა რუსებს საშუალებას აძლევს მეტი იყვირონ და ჩვენ აგრესორები გვეძახონ. შიდა ქართლის უდიდესი ნაწილი ფაქტობრივად აღარ არსებობს. ვინ როგორ იტყვის არ ვიცი, მაგრამ მე რუსეთის ვასალობას ყველაფერი მირჩევნია. დუმაში ღიად იმუქრებიან: ენერგომატარებლების ორმოცი პროცენტი ჩვენია და რას ველოლიავებით ევროპას და ამერიკას?! ჩვენ თვალწინ იწყებს დამკვიდრებას, ლეგალიზაციას რუსული ფაშიზმი, რომელსაც ერთი პრეზიდენტი და პრეზიდენტის ერთი დირექტორი /პუტინი/ ჰყავს და საზოგადოებრივი დაკვეთაც სსრკ-ას რესტავრირებაა. სასწრაფოდ დაიბარა მედვედევმა მოლდავეთის პრეზიდენტი მოსკოვში და დაემუქრა: საქართველოს მოვლენები ყველასთვის მაგალითი უნდა იყოს! ვორონინმა პირობა დადო, რომ ჭკვიანად მოიქცევა. მედვედევი დაპირდა ვორონინს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.

ახლა იმაზე ვფიქრობ რომ ფოთიდან გავიდნენ. აქედანაც გაეთრევიან. ამათთვის არ არსებობს საერთაშორისო თამაშის წესები. ისე იქცევიან, როგორც ჯარში იქცეოდნენ. იმ სამ წელიწადში მშვენივრად გავიგე რუსის ფსიქოლოგიურ-მენტალური მოდელი. ყველაზე დიდი საშინელება ის არის რომ ყველა სძულთ, ვინც მათ მხარს არ უჭერს. არ შეუძლიათ საკუთარი სიძლიერის რაციონალურად გამოყენება. რესურსები, რაც მათ გააჩნიათ, განსაკუთრებით კი ენერგეტიკული, სხვებზე ზეწოლისთვის სჭირდებათ.

დერჟავნიკული იდეა შეიწირავს რუსეთს. არ ვიცი მე მოვესწრები თუ არა, მაგრამ ეს რომ ასე იქნება ეჭვი არ მეპარება. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ აფხაზური და ოსური ენა და ეთნოსები გადარჩებიან, თან ისე რომ საკუთარი ენები, სამწუხაროდ, შეიძლება საოჯახო მოხმარების ფარგლებსაც ვერ გაცდეს.

***

დღეს ვიგრძენი, რომ თვალს დამაკლდა. წავედი ოკულისტთან. არ იყო პოლიკლინიკაში, სექტემბრამდე არ იქნებაო. როგორც კი ფული მექნება სხვა კლინიკაში წავალ.

სახლში დაბრუნებისას ერთი ძველი ლექსი გამახსენდა:

**გადასხვაფერდნენ ძვირფასი ძმები,**
**რა უნდა ვუთხრა მოკეთეს ცბიერს,**
**ნატრობენ ჩემი დაღლილი ძვლები –**
**მიწის სიგრილეს ნატრობენ ძლიერ.**

მერეღა აღვიდგინე, წიგნში რომ მოვიძიე ეს ლექსი, რომ მანამდე, ლიტ. გაზეთში როცა დაიბეჭდა, რატომღაც ძალიან მოეწონა გივი გეგეჭკორს და ჩამეძია: ვის გულისხმობო?!

არ მიპასუხია. ახლა შემიძლია ჩემთვის მაინც დავაზუსტო ერთ-ერთი მათგანი, ოღონდ სიტყვა ცბიერი არ ვარგა ამ ლექსში, რადგან იგი უცბიერესი გამოდგა. უცნაურია, მაგრამ მაშინ, გივი გეგეჭკორმა რომ მკითხა, ვის გულისხმობო, თვითონ იმავე კაცს გულისხმობდა, ვისაც მე ამ ლექსში. ასე მოხდა უცბიერესი სუბიექტის იდენტიფიკაცია დიდიხნის შემდეგ.

***

რადგან ცხოვრება მხოლოდ ომი და მშვიდობა არ არის, სხვა ხასიათის ჩანაწერებსაც წაგაკითხებთ, ომსა და მშვიდობას შორის არსებულ ადამიანურ ნიუანსებზე.

ერთი რამ აღმოვაჩინე: თუ ცხოვრებას არ დავუბრუნდი და არ შევეშვი დამთრგუნველი ინფორმაციის ყურებას, სმენას და კითხვას, შეიძლება შევიშალო ან გული გამისკდეს. ფსიქოლოგიურ თვითრეაბილიტაციას უნდა შევუდგე.

ეს გზა მშველის. არცთუ ისე დიდი დისტანციაა, მაგრამ ჩემთვის საკმარისია. მეოცე საუკუნიდან შემორჩენილი ხეები დგანან. 80-იანი წლების მიწურულს, როგორც ჩანს აქ, ქარსაცავი ზოლი იყო. რაღაც ნაწილი ხეებისა, დიდი დიღმის მასივის მშენებლობა რომ არ შეეხო, გადარჩენილა და მათ შედარებით ახალი ხეებიც დაწევიან სიმაღლეში. ორი წელია შევნიშნე რომ შაშვიც გაჩნდა ჩვენს დასახლებაში და ეს რომ აღმოვაჩინე, ისე გამიხარდა თითქოს უძველესი მეგობარი მესტუმრა და ისედაც შინაურული გარემო უფრო გამიმშობლიურდა. შაშვის რეპერტუარი აქაც ისეთივეა, როგორიც ბავშვობისას გამიგონია. მაშინაც ყურადღებით ვუსმენდი, მაგრამ ახლანდელი გალობა ძველის გამეორებაა და იმ დროის გაგრძელებასავით ისმის, რომელიც იყო, არის და მაშინაც იქნება, როცა ისინი გაიგონებენ, ჯერ რომ არ დაბადებულან. ამ უბრალო ამბავს, ასე უყურადღებოდ რომ ჩაუვლიან ზოგიერთები და არაფრად დაგიდევენ, თავის მნიშვნელობა აქვს და თანაც უწყვეტელი მეხსიერების ნაწილია, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და ადამიანური ბუნება ინახავს, ადამიანური ბუნება კი ზენაარმა გვიბოძა და ყოველდღიურად გვაზიარებს დღიდან დღეში გადამდინარი დროის წარმავლობას და მარადიულობას.

***26 აგვისტო***

*არავინ გაცდუნოთ არასგ ზით, ვინაიდან /იგი დღე არ მოვა/, სანამ უწინ არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება უსჯულოების კაცი, დაღუპვის ძე, მოწინააღმდეგე და აღ ზევებული ყოველივე ზე მაღლა...*

**2 თეს. 2. 3,4;**

ბუფერულ ზონებში გრძელდება მარადიორობა და მოსახლეობის ძარცვა. ვიფიქრებ ხოლმე: არის კი სახელმწიფო საქართველო, გვყავს კი პოლიცია? მალევე ვპოულობ პასუხს. ესენი ხომ პროვოკაციაზე მოდიან, როცა ზუგდიდში აფხაზებს ათარეშებენ, შიდა ქართლში კი ოსებს. მიზნობრივად გვაფურთხებენ სულში, გვამცირებენ, რომ ვუპასუხოთ და მერე რუსის ჯარი ხელახლა შემოშლიგინდეს და მოედოს მთელ საქართველოს. ესეც რუსული ბუფერი ანუ განუკითხაობის ზონა, არსებობა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ექსტრემალურ ვითარებაში, როცა მოსახლეობას არაფრის უფლება აქვს, რუსის ჯარს კი ყველაფრის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ეს ტანჯვა-ვაება.

რას მოითხოვენ ჩვენგან?!

1. უარი ვთქვათ ავტონომიებზე და სანაცვლოდ სიმშვიდეს მივიღებთ.

2. საერთოდ უარი ვთქვათ დასავლურ ღირებულებებზე, ნატოსკენ სწრაფვაზე და ამის შემდეგ მოიღებენ წყალობას, დაგვისვამენ ვინმეს, ისეთს რუსული გული და ორიენტაცია რომ აქვს და ვიცხოვროთ მონურად.

არ ვიცი რამდენ ხანს მოგვიწევს დათმენა, როდემდე გავუძლებთ ამ განუკითხაობას...

გონებადაბინდულები რას მოიმოქმედებენ არავინ იცის. ერთადერთი გამოსავალი საქართველოს და უკრაინის ნატოში სწრაფი გაწევრიაანებაა. არც ის იქნება გასაკვირი, ამანაც რომ ვერ გვიშველოს..

მაღიზიანებს დუმაში გამოსული დეპუტატების გამოსვლები, როლებიც ახმოვანებენ რუსეთის პრეზიდენტებს – რეალურს და მოჩვენებითს. მუქარა, რომ სასმელი წყლის, ხე-ტყის და ენერგო-რესურსების უდიდესი მარაგი აქვს რუსეთს და რომ ამ რესურსს გამოიყენებს დაუმორჩილებელ ქვეყნებზე ზეწოლისთვის, რათა დაიმორჩილოს, ეს უკვე მამალი ფაშიზმია და ვფიქრობ, ევროპამ და ამერიკამ უნდა გამოიღვიძოს.

საქართველო მიზეზია საიმისოდ, რასაც რუსეთი თავისთვის იყენებს. რუსეთი ცდილობს ახლა თვითონ ჩაანაცვლოს ღმერთი და ახლა თვითონ გახდეს პირველი.

...

აი, აფხაზურ-ოსურ ფსევდოდამოუკიდებლობასაც მოვესწარი. სითავხედიდან სიბრიყვემდე ერთი ნაბიჯია, ანდა არც არის ნაბიჯი და განუკითხაობაში გადაზრდილი სითავხედე არარაციონალურ ქმედებათა ჯამია და დასამარცხებლად განწირულია.

უკვირთ რუსებს, ამდენ სამხედრო გემს რა უნდა შავ ზღვაშიო. სულ ცხრა ხომალდია, კიდევ ცხრა შემოვაო. არ გაგვწირეს და მხარში ამოგვიდგნენ, მაგრამ როდისღა, რის ხარჯზე?! მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოო განადგურებას აღარაფერი გვაკლდა.

რუსეთი არანაირ საერთაშორისო ხელშეკრულებას და ნორმას არ იცავს, აღიარებს მხოლოდ ძალის "კანონმდებლობას", ახლა კი, საპასუხო ძალა რომ დაინახეს, სევასტოპოლიდან დაძრეს თავის გემები სოხუმისკენ. არ ვიცი, რა იქნება ფოთში; თუ ინტერნეტს ვენდობი, ბათუმიდან ფოთის მიმართულებით დაძრულა ამერიკული სამხედრო ხომალდი, იქ კი რუსებს ჯავშანტექნიკა და სალდათები მიმატებია. ჩვენ პორტში რა უნდა ოკუპანტის გემებს, მას მერე რაც სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა ცნეს, თვითონ კი ყოველგვარ სამშვიდობო მანდატს გამოემშვიდობნენ ფორმალურადაც კი, თითქოს აქამდე მშვიდობისმყოფელები იყვნენ.

შიშის შეგრძნება ამჯერად ჩემთვის უცხოა. იმედიანად ვარ, იმიტომ რომ ჩვენ მართლები ვართ. როგორც იქნა თავისი სახელი ერქმევა ყველაფერს, გამუდმებულ ჭკუის დარიგებას, რომ რუსებს მოველაპარაკოთ და მშვიდობიანად გადავწყვიტოთ აფხაზეთის და სო-ს ბედი, მოლაპარაკებების მეშვეობით. რუსთთან მოლაპარაკება რომ შეუძლებელია საფრანგეთიც მიხვდა, თავის ექვსპუნქტიანი დოკუმენტის შეუსრულებლობით და გერმანიაც, რადგან რუსეთმა ყური არ ათხოვა მათ მოწოდებას, რათა ხელშეკრულების მთავარი პუნქტები შესრულებინათ.

გერმანიას და საფრანგეთს რომ მხარი დაეჭირათ ჩვენთვის ბუქარესტში ნატოს სამმიტზე, არ იქნებოდა ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, ვინ იცის?

მათი უარი და სააკაშვილის დანაშაული მწვანე შუქის ანთება გამოდგა რუსეთისთვის და ის განახორციელა, რასაც იმუქრებოდა. აბა, რა ხეირი ჩვენ? მომატებული დაკარგული ტერიტორიები, გამრავლებული დევნილები და დახოცილი ხალხი, გაპარტახებული ქვეყანა.

*27 აგვისტო*

რასაც რუსი მიზნად ისახავდა შეასრულა კიდეც და საწადელსაც მიაღწია. აშშ-ს და ევროპის ქვეყნებს დაუპირისპირდა და აგრძნობინა, რომ თვითნებურად შეუძლია რუსეთის სასარგებლოდ დაარღვიოს საერთაშორისო სამართალი და მხოლოდ თავის იმპერიული სურვილების დაკმაყოფილებაზე იზრუნოს. იზოლაცია, რუსეთს რომ მოელის და ეკონომიკური უკუსვლა, არ აფიქრებს. იგი თავის ამბიციის აღსრულებისთვის მზად არის უფრო მეტი გაიღოს. რუსეთის საქციელი იმპერიული კომპლექსის დაკმაყოფილებაა, ერთგვარი პათოლოგიაა, რომლისგანაც განკურნება რუსეთს არ შეუძლია. ამ კომპლექსის ნაწილია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ არაფრისდიდებით არ სურს ყოფილი კოლონიის, მოკავშირე რესპუბლიკის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღიარება და თავს უფლებას აძლევს მიიტაცოს ძირძველი ქართული ტერიტორიები, მას შემდეგ, რაც იქიდან გამოდევნა ქართული მოსახლეობა. ეთნოწმენდა მიმდინარეობს შიდა ქართლშიც, სადაც ტრაქტორებით ასწორებენ ქართველთა სახლებს და ციხეში ყრიან მშვიდობიან მოსახლეობას. რუსებისგან წაქეზებული ოსი ბანდიტები დათარეშობენ ე.წ. ბუფერულ ზონაში და ქართულ მოსახლეობას აწიოკებენ. ასეთია კრემლის შურისძიება, საქართველოდან ქართველების განდევნა. პუტინმა თავის ავადმყოფური ოცნება ბოლომდი ვერ შეისრულა. ეგონა ხალხი გამოვიდოდა და საპროტესტო მიტინგები გაიმართებოდა, ასე არ მოხდა საბედნიეროდ. მერე სამეგრელოში იწრიალეს, დასაყრდენს იქ ეძებდნენ, საპასუხოდ კი მიტინგები გაიმართა სენაკში, ფოთში, ზუგდიდში. 21 წლის გამეორება ვერ შედგა.

ძალიან განვიცდი შიდა ქართლის და აფხაზეთის ბედს. მიჭირს ცხოვრება, ყოველდღიური არსებობა. ერთადერთი იმედი გრძელვადიანი პროცესია, მაგრამ დამბრუნებელი დარჩება კი ვინმე? თან ეს უმშვენიერესი მხარეები აფხაზეთი და ს.ოც ძირძველი შიდა ქართლი, ნიქოზის ეპარქია სინამდვილეში რუსეთის სამხედრო ბაზებად იქცევა, როგორც საპირწონე იმ საქართველოსი, აუცილებლად რომ შევა ნატოში. სამ ათეულ კილომეტრზე, ახალგორს ვგულისხმობ, მარადი მტერი იქნება ჩასაფრებული, რუსეთზე როკის გვირაბით მიბმული.

სიძულვილი, არც შურისძიება არ არის გამოსავალი, უფრო კი ჩიხი და თანდათანობითი თვითმკვლელობაა. როგორმე უნდა შევძლო მაღლა დავდგე მონურ შეგრძნებებზე და კიდევ ერთხელ გავიხსენე, რომ სახელმწიფო არის დროებითი რეალობის ავტონომია. არ შევუდგები იმის ახსნა-განმარტებას, რატომ გაუცხოვდა ჩემთვის ყველაფერი, რაც ურა-პატრიოტულია. ომის დროს ამოქექეს ქართული საგმირო ფილმები და პატრიოტული ლირიკაც გაიხსენეს ტელეარხებმა, სულ ახლახან ჯეო-ბარებით და მასკულტურული ნაგვით რომ ინტერესდებოდნენ. კოსოვოს სანაცვლოდ რუსებმა „ერთმორწმუნე" საქართველო გაწირეს. სულხან-საბა სწორი იყო. სხვა არგუმენტები არის კიდევ საჭირო?!

***

ჩვენი მხადაჭერისა და თანადგომის წერილები გავრცელდა ინტერნეტ სივრცესა და ბეჭდურ მედიაში. რუსი ემიგრანტი მწერლები, პეტერბურგელი მწერლები გმობენ რუსეთის აგრესიას და მხარს გვიჭერენ ჩვენ ამ მძიმე დღეებში. ყველაზე ადრე ასეთივე შინაარსის წერილი გაავრცელა საზოგადოებამ " მემორიალი".

პირადად ჩემთვის ბევრს ნიშნავდა მათი შეხმიანება, რადგან დღემდე მწამს, იმ ხალხის, ცალკეული ადამიანის გულწრფელობის. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ, უმრავლესობა კი ჩემთვის უცნობია. მაგრამ ასეთ ვითარებაში მხარში დგომა მეგობრობის ტოლფასია და ძალიან ვაფასებ.

თანადგომის სიტყვები ვერ გავიგონეთ დიდი თეატრის ქართველი ვოკალისტებისგან/ქასრაშვილი, სოტკილავა/, თუმცა, არ მიკვირს რომ ისინი მოერიდნენ საჯაროდ აზრის გამოთქმას, იმ მიზეზით რომ მათი პოზიცია პირდაპირ აისახებოდა მათ საზოგადოებრივ და თანამდებობრივ მდგომარეობაზე. იოლი მისახვედრია, რატომ გაუჭირდათ საქვეყნოდ არჩევანის გაკეთება და რატომ უჭერენ მალულად მხარს საქართველოს, რაშიც ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მაინც მიკვირს მათი დუმილი.

***

ვიდრე რუსული პოსტები და ე.წ. ბუფერული ზონები არ გაქრება საქართველოში და იქიდანაც არ გავლენ რუსის სადამსჯელო ჯარისკაცები თავის ტექნიკიანად, ჩათვალეთ რომ ჩვენ ისევ დაპყრობილები ვართ. ფეხს ითრევენ, ვითომ ვერ იგებენ სარკოზის ექვსაპუნქტიან შეთანხმებას, რომელიც თვითონ სარკოზიმ, მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და პრეს მდივანმაც განუმარტა რუსებს, თვით მედვედევსაც. თავი დაიყრუა, მოიგიჟიანა, თითქოს არ ესმის, არ უნდა გაიგოს, ცინიკურად პასუხობს დანარჩენ მსოფლიოს ან არც პასუხობს. აი, საბჭოთა კგბ-ეს მეთოდიკა და ორთავიანი პრეზიდენტი, ვითომ იანუსია? არ მგონია. ორსახოვნებას ნიჭი, უნარი მაინც სჭირდება, ესენი კი მოძრაობაშიც ერთსახოვნები და სწორხაზოვნები და დაშტამპულები არიან. მედვედევი ციტირებს პუტინის გამონათქვამებს, რადგან პუტინი, როგორც აღნიშნა ერთმა დეპუტატმა ქალბატონმა, ეროვნული ლიდერი და გმირია. ეროვნული ლიდერი პრეზიდენტ მედვედევის ლიდერიცაა ან უბრალოდ დირექტორია. რუსეთის ეს დაპირისპირება ცივილიზებულ სამყაროსთან ამით და ასე სწრაფად არ დასრულდება. ისინი აპირებენ დნესტრისპირეთის გადაყლაპვას და უკრაინისთვის ყირიმის და სევასტოპოლის წართმევას. ამის შემდეგ აზერბაიჯანისა და ბალტიისპირეთის ჯერი დადგება. ვიდრე დასავლეთი რუსეთს დაშლას უწინასწარმეტყველებს, მანამდე პუტინს გათვლილი აქვს თავის გეგმა, რა და როდის მიიტაცოს და მისი აგრესია მშვიდობისმყოფელების საქველმოქმედო გასეირნებად როგორ მონათლოს. ცინიკური ოკუპაციები გაგრძელდება, იმის იმედით რომ დასავლეთი არ დაუშვებს ბირთვულ ომს, პუტინი კი თავს მოიშლეგიანებს და ზღვარზე ივლის თუ დროზე არ ჩააცვეს გიჟის ხალათი ყოფილ კგბეჩნიკს, აწ კი ეროვნულ ლიდერს. ნუთუ მართლა ეს არის "უსჯულოების კაცი, დაღუპვის ძე.."?

რუსეთი ჯერჯერობით არავის უსმენს, არც ნატოს, არც ცალკე აღებულს შტატებს, არც დიდ შვიდეულს, სადაც თვითონ მერვედ იგულისხმება, დარწმუნებული ვარ ევროკავშირსაც არ დაუგდებს ყურს. ცალკ-ცალკე თუ არ მოუსმინა, რა, ერთად რომ არ მოუსმინოს და არ გაიგონოს, ვერ იკადრებს?! ეს ყველაფერი გაეროსკენ მიდის, მაგრამ იქაც ჩიხია.

დიდმა შვიდეულმა მოუწოდა დიდ მერვეს ანუ რუსეთს, შეასრულოს ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება და სასწრაფოდ გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, გააუქმოს თვითნებურად შექმნილი ბუფერული ზონები და ბლოკ-საგუშაგოები. შეისმენს?! ვნახოთ.

***28 აგვისტო***

*რუსეთმა თვითონ არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება რუსეთი.*

**ვაცლავ ჰაველი**

*პუტინს სურს მართოს რუსეთი, როგორც სტალინმა და იცხოვროს, როგორც აბრამოვიჩმა.*

**დასავლური პრესიდან**

მისმა პრესცენტრმა გაავრცელა ასეთი მოსაზრება: რუსეთს არ უნდა დასავლეთთან ურთიერთობის გაუარესება. არ ვიცი, ეს მხოლოდ რიტორიკაა თუ რაციონალური განსჯის შედეგი ან იქნებ მორიგი ბლეფი. ამ განცხადებამ გამახსენა მედვედევის მრჩევლის გამონათქვამი: ...არ ღირს რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის გაფუჭება ერთი კაცის გამო... ერთ კაცში ამხანაგი მრჩეველი სააკაშვილს გულისხმობდა. შეერთებულ შტატებში, დემოკრატიული პარტიის ფორუმზე, სადაც ეს მოსაზრება გაისმა, მკაცრად უპასუხეს ამერიკელმა დემოკრატებმა, რომ რუსეთმა სასწრაფოდ უნდა გაიყვანონ ჯარის ნარჩენები საქართველოდან, გააუქმოს უკანონო ბუფერული ზონები და ბლოკ-საგუშაგოები. სამწუხაროდ მრჩევლის გვარი დამავიწყდა, მაგრამ მისმა განცხადებამ გამაღიზიანა. ვითომ არ იცის მედვედევის მრჩეველმა, რა ჩაიდინა რუსეთმა საქართველოში, ვითომ არ იცის მრჩეველმა, რომ საქართველოს ჰაველის ტიპის პრეზიდენტიც რომ ჰყავდეს იგივე იდეოლოგიითა და ღირებულებებით, მასაც ვერ აიტანდა და შეიძულებდა. რუსეთს საქართველოს ხელისუფლად რუსეთუმე უნდა და რა ქნას?! არაფერი გამოსდის და ნებისმიერი საბაბით ცდილობს მთელი ერის დასჯას. დაიღალა ლამის თხუთმეტწლიანი "მშვიდობისმყოფელობით", რადგან საწადელს ვერ მიაღწია და სასწრაფოდ შემოიჭრა სამხრეთ ოსეთში თავის მოქალაქეების და "სამშვიდობოების დასაცავად" /მას შემდეგ, რაც პროვოკაციას წამოეგო სააკაშვილი /, დაიპყრო ტერიტორიები და დაბომბა მთელი საქართველო, გააჩანაგა ინფრასტრუქტურა, გადაკეტა რკინიგზა და სამანქანო გზები, გააჩაღა ეთნონმენდა, ჩატოვა შუაგულ საქართველოში ბუფერული ზონები და დღესაც პატრულირებენ ე.წ. ს.ო.-დან მრავალი კილომეტრის მოშორებით, მაგალითად ფოთთან. არც აპირებენ სადმე წასვლას და თან გაკვირვებულები არიან, რატომ უნდა დაადოს სანქციები ევროკავშირმა რუსეთს?! ყველაფერი დაუსჯელად შერჩენოდათ, მათთვის აჯობებდა. ღირდა კი საქართველოსთვის ამდენი ვაი-ვიშის ატეხვა?! ევროპაში რომ არ აღიარებდნენ საერთაშორისო კანონმდებლობას და სხვათა სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ დიდიხნის შესანსლული უნდა ჰყავდეთ ანდორა, სან-მარინო, ლიხტენშტეინი, მონაკო, ლუქსემბურგი. ამიტომაც ვერ ნახავთ რუსეთის სიახლოვეს მსგავს პრეცედენტებს, თუმცა იგი ისევ რჩება "ხალხთა საპყრობილედ" და ამ სიტყვების ავტორსაც დაუმარხავად ინახავს მავზოლეუმში. უარი ვერ თქვა საბჭოთა ჰიმნზე და ტექსტზე: "სპლატილა ველიკაია რუს".. სამაგიეროდ უარი თქვა რომანოვების დახვრეტილი ოჯახის რეაბილიტაციაზე. ისევ საბჭოურ ღირებულებებს უერთგულებს და თან ვერ დაივიწყა თავის მესიანისტური მისია და შეუდგა კაცობრიობის გადარჩენას, რატომღაც სამხრეთ ოსეთიდან დაიწყო და არა ჩეჩნეთიდან.

***

დღე მძიმე იყო. მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს 26 ქართველი ჯარისკაცი.

ამოცნობა შეუძლებელი იყო და ჯარის სარდლობამ იზრუნა დნმ-ი აეღოთ, რათა მომავალში მიეკვლიათ მშობლების ან დედმამისშვილებისთვის. იყვნენ სავარაუდო ჭირისუფლები, ცხარე ცრემლით ტიროდნენ. ამ ბიჭების ჭირისუფალი მთელი საქართველო უნდა იყოს. ეს ამბავი ტრაგიკულიც არის და საგმიროც ერთდროულად. საპატრიარქო თავდადებულად გაისარჯა. გორიდან, ცხინვალის რეგიონიდან გამოჰყავდათ დევნილები და დახოცილები, ჯერ კიდევ ცოცხალი, ნაწვალევი და ნაცემი მოხუცები და ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცები. ამ ომის ჭრილობები კარგახანს ვერ მოშუშდება. ერთ მაღალჩინოსანს დავურეკე და ვურჩიე, გორში დატოვონ თუნდაც ერთი შენობა – დაბომბილი და ნახევრადდანგრეული და არ აღადგინონ. ამ შენობას გაუკეთონ ქვის ფირფიტა და მიაწერონ: რუსული აგრესიის უკანასკნელი ნაშთი — პუტინოვო!

***

უცნაურია ამ გენერლის ბედი, სამუდამო პატიმრობიდან იხსნა "გრუ"-მ. ასლანის უერთგულესი რუსი გენერალი რომან დუმბაძე თორმეტ ტყვე ჯარისკაცში გაცვალეს. ველოდები, როდის მოითხოვენ გიორგაძის მომხრეების განთავისუფლებას და სანაცვლოდ რას შემოგვთავაზებენ.

***

დღეს პარლამენტმა კანონგარეშედ გამოაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული არაქართული ჯარი, რუსი ე. წ. სამშვიდობოები.

ესენი ფეხს ითრევენ, ბლინდაჟებს და სანგრებს თხრიან. ფოთთან მიუყვანიათ ექსკავატორები და შეუსვენებლად თხრიან. რატომ თხრიან, რას ეძებენ მიწაში, გაუგებარია.

ახალი თაობები, მომავალში ვერც კი წარმოიდგენენ, რას აკეთებდნენ რუსი ოკუპანტები კონფლიქტის ზონიდან ათეული კილომეტრების დაშორებით, როცა ექსკავატორებით გამალებით თხრიდნენ მიწას და მიწაში მალავდნენ რამდენიმე ჯავშნოსან მანქანას და ჩაჯავშნულ თავებს. რუსის ჯარი დამშეული და ცუდად აღჭურვილი აღმოჩნდა, არც ნარკომანები აკლდა მათ რიგებს, ისე, როგორც "ცივილიზებული" მსოფლიოს ნაწილს.

***

დღესვე გამოქვეყნდა პრემიერ პუტინის "საინტერესო" ტელეინტერვიუ /სიენნზე/, მან თქვა: რომ სწრაფი და ელვისებური წარმატება მცირე ომში ამერიკას ხელს აძლევდა და რომ იგი ეხმარებოდა საქართველოს ამ შეტაკებაში. იქვე ჩამოთვლის მიზეზებს, რომ ამერიკას უჭირს ერაყში, ავღანეთში და საკუთარ ეკონომიკას ვერ უმკლავდება და ა.შ. მერე სად არის უეცარი წარმატება, ამხანაგო პუტინ? რა ქნას, ეს მეტად ვერ გაიზრდება, ვერც პირდაპირი და ვერც გადატანითი მნიშვნელობით. ვერ შედგა პუტინისგან ნაპოლეონი და ვერც გონიერი მზვერავი. დარჩა სტარში ოპერის შესაძლებლობებში, ხლართავს კგბეში ნასწავლ ვერსიებს. დარჩა იმ შურისმაძიებელ, დამსმენ და ბოროტ ბიჭად, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობს.. ყველა სისულელე, რაც აქამდე პუტინმა ჩაიდინა, ჯერჯერობით დააგვირგვინა იმით, რომ აკრძალა ამერიკული ქათმის ხორცის რუსეთში შეტანა. ასე აპირებს პუტინი ამერიკის ეკონომიკის დანგრევას. საცოდავი და თან საშიში ხალხია კომუნისტური მენტალიტეტის მდიდარი ნაციონალისტები. ისინი ცდილობენ შეათავსონ შეუთავსებელი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ანტიკური მითის ახლებური გააზრება

## (მთარგმნელთა ტანდემის შესაგულიანებლად)

**„ქართული მწერლობის"** ამა წლის მე-3 ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის **ქამალ აბდულას** რომანიდან **„..არავინაა ისეთი, რომ დაივიწყო"**. ნაწყვეტს ჰქვია **„პარისის არჩევანი"**. პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, იყო შესანიშნავი თარგმანი (მთარგმნელები: **აზერ მუსტაფაზადე** და **გაგა ლომიძე**). ტექსტი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ მასში საკმაოდ ბევრი რთული პასაჟი და უცნაური შედარება თუ მეტაფორაა.

მთავარი კი მაინც ის მოულოდნელი გადაწყვეტაა, რასაც ავტორი ამ ტექსტში გვთავაზობს. საქმე ეხება პა-

*პიტერ პოლ რუბენსი* *განხეთქილების ვაშლი*

რისის არჩევანს. როგორც ცნობილია, ე.წ. „განხეთქილების ვაშლი" უნდა რგებოდა ყველაზე მშვენიერ ქალს. მის გამო ერთმანეთს წაეკიდა სამი ქალღმერთი: ჰერა, ათენა და აფროდიტე. არჩევანი ზევსმა პარისს მიანდო. აი, აქ სრულიად მოულოდნელი რამ ხდება. მითის მიხედვით ვიცით, რომ პარისმა აფროდიტე აირჩია, რომელიც მას სანაცვლოდ მშვენიერ ელენეს, მენელაოსის ცოლს დაჰპირდა და ამ გადაწყვეტილებამ ტროას ომი გამოიწვია.

ქამალ აბდულას პარისმა კი არჩევანი ჰერაზე შეაჩერა, რომელმაც მას მთელი აზიის მბრძანებლად ქცევა აღუთქვა. როგორც ამ რომანის ანოტაციიდან შევიტყვე, მასში მოქმედება თანამედროვე პერიოდში ხდება. საინტერესოა, როგორ გადაიაზრებს მწერალი მითოლოგიურ არქეტიპებსა და მოტივებს და როგორ აკავშირებს მათ თანამედროვეობასთან, აზერბაიჯანულ ეროვნულ იდეასთან.

საერთოდაც, ქამალ აბდულა ძალიან საინტერესო მწერალი ჩანს, ხშირად თარგმნიან მის ნაწარმოებებს, გამორჩეული სტილისა და ხედვის შემოქმედად მიიჩნევენ. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი მთარგმნელთა ეს ტანდემი გააგრძელებს მუშაობას და ამ ნაწარმოების მთლიანად გაცნობის საშუალებას მოგვცემს.

**შორენა შამანაძე**

**1991 წლის 28 აგვისტო ტარიელ ჭულუხაძისთვის საზეიმო დღე იყო. მარიამობის დღესასწაულზე ნანატრი შვილიშვილი-ვაჟი შეეძინა — 4 კილო და 700 გრამი, 57 სანტიმეტრი. იმ დღეს, გახარებულმა ბაბუამ ბევრი მოილხინა და ბედნიერი გზა დაულოცა ახალშობილს.**

**ბედნიერება, მოგეხსენებათ, ცოტა რთული რამ გახლავთ. თუმცა შვილიშვილი თავს უბედურად არ მიიჩნევს. სიკვდილს 3-ჯერ გადაურჩა: ერთი წლისა აფხაზეთში, როცა ზღვაზე პირველი სტუმრობა აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაუშხამეს (ან კი რა ახსოვს); მეორეჯერ 3 წლისა, როდესაც თვალის დაავადებისგან სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა; და მესამედ 2008 წლის მერვე თვის მერვე დღეს. მაშინ ბორჯომის მისადგომებთან მავანმა რუსმა პილოტმა ასევე მავანი რუსული ჭურვი ჩამოაგდო — იმ დღეს ფორტუნამ შვილიშვილის სიცოცხლეს გაუღიმა...**

**უნივერსიტეტში ჩაბარებისას ბაბუა ცოცხალი აღარ იყო. შვილიშვილმა ფაკულტეტად ზუსტ და საბუნებისმეტყველო აირჩია, უფრო სწორად კი მამის „გონივრულ“ რჩევას დაუჯერა. „კომპიუტერულ მეცნიერებათა ბაკალავრი“ — ხშირად ირონიით იხსენიებს საკუთარ სტატუსს, რომელიც 8-9 თვეში, ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერის შემდეგ, შევა ძალაში.**

**კეთილადხსენებულ ფაკულტეტზე კარგად სწავლის მიუხედავად, იგი მომავალს არ უკავშირებს კომპიუტერს — არ სურს მესამე „ენთერის“ ღილაკად შეეზარდოს კლავიატურას და ცხოვრებას „ასამბლერის“, „დაგუგვლისა“ თუ „დაშეარების“ კატეგორიებით უცქიროს.**

**ნათქვამია, „Нет худа без добра“. ნაკლებად სასურველ ფაკულტეტზე სწავლისას სხვადასხვა ინტერესი გაუღვივდა — მაგ., ფილოსოფია. მეორად სპეციალობად სწორედ ფილოსოფია აქვს არჩეული და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ვინაობაზე იმტვრევს თავს. ზოგადად კი მისი ინტერესის სფეროებია: მწერლობა, ფილოსოფია, პოლიტიკა და სპორტი.**

**ზურგს უმაგრებს რამდენიმე ათეული სტატია გაზეთ „ლელოში“ და, რაც მისთვის განსაკუთრებით საპატიოა, ჟურნალ „ათიანში“, სადაც აგერ უკვე ორი წელია მუშაობს რეპორტიორად („სიუჟეტმახერად“) და ინტერვიუერად. ქართველი მწერლებიდან გამორჩეულად მოსწონს მიხეილ ჯავახიშვილი და ოთარ ჭილაძე, უცხოელებიდან ბალზაკი და გოეთე. ბალზაკი როგორც რეალისტი და დიდი სისტემატიზატორი, ხოლო გოეთე კი... სხვათა გარდა ამის მიზეზზე ბიოგრაფიის მთავარი გმირის დაბადების თარიღიც მიგითითებთ.**

**მოთხრობებს ადრეც წერდა, თუმცა ინფანტილური ხასიათის გამო მათი გამომზეურება არც კი უცდია. წინამდებარე მოთხრობას კი ღირსად მიიჩნევს, რათა გამოქვეყნდეს ისეთი გემოვნებიანი ჟურნალის ფურცლებზე, როგორიც არის „ჩვენი მწერლობა“.**

**ტარიელ ჭულუხაძის შვილიშვილი**

**ოთარ ჭულუხაძე**

# საშაქრე

გზა მტკივნეული იყო. თითქოს არაფერი, რამდენიმე მეტრი, რამდენიმე ნაბიჯი — ბევრჯერ და ბევრის გავლილი გზა. ბოლო იმედი, გაჭირვების ტალკვესი — ეს იყო მოკლე გზა წერეთლის მეტროდან „დიდ სახლამდე“. რამდენიმე შენობა, მაგრამ მწარე, დამრთგუნველი ფიქრები ნიკოსთვის.

მიდის ნიკო. მხარზე ძველი, უშველებელი ნაჭრის ჩემოდანი მოუკიდებია. ჩემოდანი მძიმეა, ამიტომ ორივე ხელით ძირს უმაგრებს. არ უნდა დაკარგოს თავისი ავლადიდება, თავისი იმედი, იმედი წყვდიადისა და დამცირებიდან გამოსვლისა. „200? არა, ცოტაა.“ — დედამ სამასი უთხრა და ეგეც ნაჩუქარიაო ზედ დააყოლა. მაგრამ დედას რა ესმის?! აი, ნიკო კი გამოცდილია ამ საქმეში. იცის იმათი ხრიკები, მაგრამ... „მოკლედ, 250-ს ვეტყვი და ბოლო ფასი ორასი იქნება“ — თავს იგულიანებს ნიკო და ცდილობს რიცხვებში ჩაჰკლას ის მწარე, დამამცირებელი ფიქრები, რასაც ვიღაცა თუ რაღაცა მთელი გზაა ჩასძახის; ცდილობს დაივიწყოს ის სიმძიმე, რომელსაც მისი ახალგაზრდა ფეხები გრძნობენ. ებღაუჭება იმედს და თავს ვაჭრად წარმოიდგენს: გამოუვა, ახლა ნამდვილად გამოუვა. მთავარია დაიჯეროს, რომ შეუძლია და მერე ტექნიკის ამბავია. თანდათან იმედიც უღვივდება — ადამიანური, სამყაროსავით არაფრისგან ნაშობი იმედი. გამომეტყველებაც ისეთს იღებს, თითქოს სხვის დასახმარებლად მიდიოდეს და სხვას უნდა დაამადლოს თავისი სიკეთე...

აი, „დიდი სახლის“ კიბეებიც... როგორ ეზიზღება, სძაგს ნიკოს ეს კიბეები, — მისი იმედების მარადიული სასაფლაო. ფეხები კანკალს იწყებენ და არარასგან ნაშობი იმედიც ქრება. არა, კი არ ქრება, იფშვნევა, როგორც ხელიდან შემთხვევით გავარდნილი ვაზა ან როგორც ქვა ნაცარქექიას ხელში. ვაი, რომ ნაცარქექიას ქვასავით ყალბია ნიკოს იმედიც: მოკალი და არ შეუძლია, არ აქვს სისხლში, გენში. მაგრამ რას იზამს, ცხოვრებამ სხვა გზა არ დაუტოვა, ქვრივი დედის აქ გამოჩენას კი სიკვდილი ურჩევნია. „რაც არის არის. მგონი ორმოცდამეჩვიდმეტე იყო... კი, კი ეგა.“ — თავის თავს ატყუებს ნიკო. თითქოს აქ პირველად მოდიოდეს, თითქოს პირველად გამოევლოს მისი, საკუთარი ვია-დოლოროსა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ლაურა! დღეს დილით დაგირეკეთ პოლონურ სერვისზე. კაი სერვისია. — დაბნეულობისგან სიტყვებს ძლივს აბამს ერთმანეთზე ნიკო, თითქოს რიგით ვაჭარ ქალს კი არა, მთავარანგელოზს მიქაელს ელაპარაკებოდეს.

— მოდი, შვილი! აბა აგერ დაალაგე! — ქალბატონი ლაურა მაგიდაზე უთითებს და სკამიანად უკან იჩოჩებს, რათა თავისი სავსე მკერდით ხელი არ შეუშალოს ჭურჭლის გადმოლაგებაში. ქალბატონი ლაურა ორცხობილის ფინჩხებს მაგიდიდან ყრის და უმეორებს — აქ დააწყვე.

ნიკოც თანდათან, მშობლისეული რუდუნებით მაგიდაზე აწყობს ძველ გაზეთში გახვეულ თეფშებს. ნიკოს ფიქრები ისევ რიცხვებს უტრიალებენ. „დღეს რაღაც ცუდ ხასიათზე ჩანს და ჯობია ნაკლები ვუთხრა. 250 ბევრია. მოდი 180-ს ვეტყვი და 150-ად მივცემ.“ — ამის გაფიქრებისას ლოყებზე სიწითლე ეკიდება, რცხვენია საკუთარი თავის და უფრო მეტად იმედის იმ ნამსხვრევების

გამო, რომლებიც გარეთ, „დიდი სახლის“ კიბეებთან ყრია. უკვე მერამდენედ რწმუნდება ნიკო, რომ არ არის ვაჭარი, არ შეუძლია, რცხვენია, ერიდება, ეხამუშება!

სანამ ნიკო ამ ფიქრებშია, ქალბატონი ლაურა სერვისის თეფშებს ჩინურ საჭმლის ჩხირს უკაკუნებს: თუ თეფში წკრიალა ხმას გამოსცემს, ვარგა, თუ არადა სადღაც ბზარი აქვს.

რამდენიმე წუთი გრძელდება ეს დამღლელი და ერთფეროვანი პროცედურა. უცბად ნიკო ითიშება — საშაქრე გატეხილია, შუაშია გადახსნილი, როგორც სახლეჩი ატამი ან ბროწეული. ნიკო გაქვავებული თვალებით უყურებს გატეხილ საშაქრეს. სახეზე ცინიკური ღიმილი დასთამაშებს. არ იცის, რა ქნას, როგორ აუხსნას ქალბატონ ლაურას, თითქოს ეს თავისი კი არა ქალბატონი ლაურას საშაქრე ყოფილიყოს. თუმცა გულის სიღრმეში უხარია კიდეც, რადგან ნაკლებს ეტყვის და ეგებ უფრო იოლად დასთანხმდეს ქალბატონი ლაურა. „ახლა განგაშის დრო არ არის. ეგებ ნაკლული აიღოს“ — ამხნევებს საკუთარ თავს, ცდილობს თავის ხელში აყვანას და ბოხი ხმით ეუბნება ქალბატონ ლაურას:

*მხატვარი დეა სოსელია*

— საშაქრე გატეხილია!

— ვაიმე დედი! — გულწრფელად წუხს ქალბატონი ლაურა. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ სრულ სერვისს უფრო ძვირად გაყიდდა და მეორეც ებრალება ახალგაზრდა, იმიტომ რომ ლაურაც ადამიანია; მისი ფუმფულა მკერდის ქვეშ ადამიანური გული იმალება. თუმცა მალევე, წრფელი სინანული საქმითა და პროფესიონალიზმით იცვლება. — რა ვქნა დედი, თორმეტ-თორმეტს ვეღარ ავიღებ. თორმეტიან სერვისს ორი საშაქრე უნდა ჰქონდეს, თან აგერ ღრმა თეფშსაც ბზარი აქვს.

ნიკოს გამომეტყველება არ იცვლება. გულში ქვრივ დედას საყვედურობს: „წესიერად ვერ შეფუთა; ერთი ნორმალური სერვისიც არ აქვს სახლში, წესიერად რომ გაიყიდოს; ჩემთან კი კარგად ბაქი-ბუქობს — სამასადაც ნაჩუქარიაო.“ — შერცხვა საკუთარი ფიქრების და ისევ ქალბატონ ლაურას შეპუდრულ სახეს მიაპყრო თვალი.

ქალბატონი ლაურა ახლა უკვე საპურეს სინჯავს.

— თავსახურები მანახე, შვილი.

— რა თავსახურები?

— „სუპოვნიკის“ თავსახურები.

— მაგას არა აქვს თავსახურები.

— არ შეიძლება რომ არ ჰქონდეს. აგერ, შეხედე — და ნაირგვარი სერვისით გაწყობილ თაროებზე მიუთითა, — ყველა „ყურიან სუპოვნიკს“ აქვს თავსახური.

— რა ვიცი, ეს შეიძლება ისეთებია, რომლებსაც არ აქვთ.

— არ შეიძლება, დედი.

— აბა მარტო თავსახურებს ხო არ გადააგდებდნენ ჩემები! — ისე ეუბნება ნიკო, თითქოს ქალბატონმა ლაურამ იცოდეს ვინ არიან მისიანები და გადააგდებდნენ თუ არა ისინი „სუპოვნიკის“ თავსახურებს.

— არა ამას არავინ აიღებს ჩემო შვილო! თანაც სუპოვნიკებს ძირზე ბზარი აქვს.

ესღა აკლდა ნიკოს. ახლა აიღებს ამ „სუპოვნიკს“ და მიუგდებს ამ ვაჭარს, ამ მეწვრილმანეს. ნიკომ ანტიკვარული ჭურჭელი მიუტანა, დააფასა, ეს კიდევ რაღაც თავსახურებზე და ბზარებზე ელაპარაკება.

— თუ გინდა, ექვს-ექვსი თეფში დატოვე, ეგებ გაიყიდოს.

— და რამდენს მომცემთ?

— რა ვქნა, დედი? მარტო თეფშებში 50 ლარზე მეტს ვერ მოგცემ. თუ გინდა, სხვა მაღაზიებში გაიკითხე და თუ ვინმემ მეტი მოგცა, მითხარი...

გაიკითხავს, აუცილებლად გაიკითხავს და მეტსაც აიღებს, იმ დაზიანებულ „სუპოვნიკსაც“ გაასაღებს.

— კარგით გავიკითხავ მაშინ. — შინაგანი მდგომარეობის შეუფერებლად მშვიდად პასუხობს ნიკო და დაჭმუჭნულ გაზეთებს შლის, რათა გაახვიოს დაწუნებული საქონელი.

— მე გავახვევ, დედი! — პასუხობს ოდნავ ნაწყენი, მაგრამ ნიკოს მიმართ მაინც კეთილგანწყობილი ქალბატონი და თავისი ბოტოტა თითებით იწყებს პოლონური სერვისის შეხვევას...

... ნიკოს „დიდი სახლის“ რიგები ლაბირინთად ეჩვენება. ერთი, მეორე, მესამე მაღაზია. მისი ტოლა გოგოები და ბიჭები აქ საყიდლად, გასაპრანჭად დადიან, ეს კი... ეს კი სამათხოვროდაა მოსული — სხვა ჯინსს იზომავს, ეს კიდევ ლაურას ეხვეწება...

... ყველა იწუნებს მის პოლონურ შედევრს — ესმა, ციალა, მზია. სხვები ლაურაზე ხელმომჭირნეები არიან. ოცდაათ ლარზე მეტს არავინ ეუბნება. ნიკოც ყველას თავაზიანად უღიმის და აგრძელებს „დიდ სახლში“ უთავბოლო სიარულს. მზიები, ციალები, ესმები ოცდაათი ლარის ფარგლებში ტრიალებენ. ნიკოც სიამაყის შენარჩუნებას ცდილობს და ყველას უარს ეუბნება. ჯობია შინ სერვისს მაინც მიიტანს. მართალია დაკისრებული მისია შეასრულა, ღირსება მაინც ხომ შეინარჩუნა, ხომ არ გაყიდა მათხოვრულ ფასად! მაგრამ უნდა კი ასეთი ღირსება — უშუქო, ბნელი და გაუნათებელი?

... ბრუნდება უკან. იგივე გზა, იგივე შენობები, ოღონდაც ახლა უფრო მსუბუქად გრძნობს თავს, თითქოს სახადი მოეხადოს, თითქოს მთავარი ვაჭრობაში მონაწილეობა ყოფილიყოს და არა ჭურჭლის გაყიდვა, თითქოს ოლიმპიადაზე ყოფილიყო და არა სავაჭრო ცენტრში. მიდის ნიკო და თანდათან ნაცნობი ხმა ბრუნდება; რაღაც ყელში აწვება, ხმა კი ჩასძახის: „იტირე, დაჩაგრული ხარ, დამარცხებული, ცოდო ხარ! არ გაგიმართლა, უიღბლო ხარ, არ ემეტება ბედს შენთვის თავისი მადლიანი კალთა!“ — თითქოს სიამოვნებს კიდეც ეს ხმა! ვიღაცას ხომ მაინც ებრალება, ვიღაც ხომ მაინც შედის მის მდგომარეობაში!..

... მაგრამ არა! არ უნდა დანებდეს, მარტო თავისი დედის გამო. მხოლოდ დედა გაუგებს და გაამხნევებს! ამიტომაც აჩუმებს, კლავს ბოროტ ხმას, — ამ მწველ ფიქრებს. თვალზე მომდგარ ცრემლს უკან იბრუნებს, იპურჭყება და მეტროში ეშვება...

... აი, ნაცნობი სახლიც, ნაცნობი სადარბაზო! ჩვეულებრივ სახლში ლიფტით არ ადის, მაგრამ ახლა ავა! იმიტომ რომ, მისთვის ლიფტი იმის სიმბოლოა, რაც მას არ აქვს, აკლია, — სინათლის, განათების, ელექტროობის!

კარზე აკაკუნებს. ჭაღარაშეპარული დედა აღებს. ნიკო თვალს არიდებს და სავსე ჩემოდანს იქვე აგდებს! დედა ხვდება, რომ ვერ გაყიდა ნიკომ! გული ეფუფქება იმედგაცრუებული, გამწარებული შვილის დანახვაზე. მაგრამ მაინც ამაყია, რადგან შვილის თვალებში ხედავს, რომ ის არ დანებდება და გააგრძელებს ბრძოლას სინათლისთვის. დედობრივი ინსტინქტით გრძნობს, ახლა შვილს წარუმატებლობაზე არ უნდა ესაუბროს!

— შვილო, დღეს მაღაზიაში ვიყავი. პური, ჩაი, სანთელი და ერთი კილო ლობიო გამომატანეს „ნისიად“. ჩაის დაგიდგავ!

— მადლობ დე! — რა მზრუნველია დედა. ნიკოს ის წამი ახსენდება, როცა გულში დედას საყვედურობდა საშაქრის ცუდად შეფუთვისთვის. რცხვენია, დღეს უკვე მერამდენედ რცხვენია ნიკოს...

... დედა-შვილი „ნისიად“ ამოტანილი სანთლით ინათებენ ღარიბულ ვახშამს — ლობიოს და პურს. ესეც მადლია. ნიკოც მშვიდდება და უყვება თავის დღევანდელ თავგადასავალს.

ამასობაში წყალიც ადუღდა!

— აი, ამაში დამისხი, — ნიკო ჩემოდნიდან საშაქრის გატეხილ ნაწილს იღებს.

დედა უსიტყვოდ უსხამს ჩაის.

ნიკო გატეხილ საშაქრეს ფიალასავით შემართავს და ამბობს:

— სინათლეს გაუმარჯოს, დე!

# პირველი პრეზიდენტის ხსოვნას მიეძღვნა

31 მარტს სოფიკო ჭიაურელის სახელობის ბაღში გაიმართა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, **ზვიად გამსახურდიას** დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ინიციატორები სემინარიის სტუდენტები იყვნენ — **სოსო ასიტაშვილის** თაოსნობით. საღამოს ორგანიზებაში მას დაეხმარნენ ქართული მწერლობის ერთ-ერთი ფრთის წარმომადგენლები: **ოთარ ფალიანი, გიორგი მოსიაშვილი, იკა ქადაგიძე, გაიოზ (გია) მამალაძე.** პოეტები და მუსიკოსები: **კახა ბაციკაძე** და **სერგი ლომაძე.**

საღამოს ორგანიზების შესახებ **სოსო ასიტაშვილი** მოგვიყვა:

— იდეა ყოველთვის გვქონდა, უბრალოდ ორგანიზებას ვერ ვახერხებდით. გვინდა, რომ დღეს ჩაეყაროს საფუძველი „ზვიადობის“ დღესასწაულს და აღვნიშნოთ რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღით. ჩვენ სამაგალითოდ დავისახეთ სხვა დღესასწაულები, როგორებიცაა „ლაშაობა“, „ილიაობა“ და „მიხაობა“. დღევანდელი დღე, ცოტა მოკრძალებული გამოვიდა. მერე და მერე უფრო შთამბეჭდავ სახეს მივცემთ, როგორც სახალხო დღესასწაულს შეეფერება და პოეზიის საღამოებით დავაგვირგვინებთ.

ღონისძიებას უძღვებოდა პოეტი **იკა ქადაგიძე:**

— როცა წამყვანობა მომანდეს, ძალიან გამეხარდა. რაც თავი მახსოვს, სულ ასეთ საღამოებში ვმონაწილეობ. გადავწყვიტეთ, რომ ბაღში გაგვემართა ეს ღონისძიება და არა დარბაზში.

საღამოს ძირითადი ნაწილი საქართველოს პირველ პრეზიდენტზე მოგონებებს დაეთმო. სიტყვით გამოსულნი პატივისცემით იგონებდნენ ზვიად გამსახურდიას და სამშობლოს თემატიკაზე დაწერილ ლექსებს კითხულობდნენ. ორატორთა შორის ყველაზე უმცროსი 12 წლის **ნოკა მამალაძე** იყო.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პოეტები, პროზაიკოსები, მუსიკოსები, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები და სემინარიის სტუდენტები: **მარინა თექთუმანიძე, სევარიონ ნადირაძე, გურამ პეტრიაშვილი, ჯემალ ჯიქია, კახა ბაციკაძე, ბელა შალვაშვილი, ოთარ ფალიანი, რუსუდან ჭანტურიშვილი, გივი ნემსაძე, სერგი ლომაძე, გელა სალუაშვილი, ვახტანგ ბახტაძე, თამაზ მამადეიშვილი, გიორგი სილაგავა, თემურ მდინარაძე** და **ციური ხეთერელი.**

31 მარტი არა მხოლოდ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ბაღში აღინიშნა, არამედ **მთაწმინდის პანთეონშიც**. საზოგადოების ნაწილი მთაწმინდაზე შეიკრიბა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინეს.

ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ღონისძიება **საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრშიც** გაიმართა. საღამო მის შემოქმედებას დაუთმეს და პატივი მიაგეს ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას.

**ნინო სულუხია**

## რუსულიდან თარგმნა ელგუჯა მარღიამ

* * *

ჩემთვის გაზაფხულს არაფერი უთქვამს საერთოდ,
იქნებ ვერ შეძლო; იქნებ არც რა ჰქონდა სათქმელი.
მხოლოდ რკინიგზის მკრთალ სადგურში ჭაღი აენთო
და წამიერად ყველაფერი გახდა ნათელი.

მხოლოდ ვიღაცამ ღამეული ლურჯი ბაქნიდან
ვიღაცას თავი დაუხარა... ბედსაც ემდურის
ვიღაცა... მხოლოდ ჩემს უიღბლო თავზე გაბრწყინდა
ოდნავ გვირგვინი... მაგრამ მაინც ვარ უბედური.

* * *

მეორდება წვიმაცა და თოვლიც,
მეორდება სინაზეც და დარდიც...
ის, რაც იცის ყველამ, სხვათა შორის,
რაც შენთვისაც არის ასე ცხადი.

და რუსული არყის ხეთა მიღმა,
ეს სიმშვიდე, ნათელიც რომ თანდევს;
იმეორებს ისევ ნაცნობ კითხვას:
„როგორ მოხველ ასეთ ცხოვრებამდე?“

* * *

იყო ქვეყნად ყველაფერი ციხეც, ფულიც.
მქონდა ტვინი და ვიყავი ჭკუასრული.
მქონდა ნიჭი და ტალანტი მეტისმეტი,
ემიგრანტის დაწყევლილი ახლა ბედით
ვკვდები...

* * *

საწყენი არის, უფალმა
გიბოძოს ოქროს ძღვენი;
და შენ კი ტყუილ-უბრალოდ
დახარჯო ყველაფერი.

ზედ დაამატო ცხოვრებაც,
უაზროდ მკვდარი, შენი...
თუმც ყრი მარგალიტს, ღორები
ვინ ნახა მადლიერი.

* * *

გულმავიწყობა, სიცარიელე.
მე ვცხოვრობ... როგორ?!... მელანქოლია...
მოხერხებულად და წამიერად,
ტალღიდან ნაგავს იჭერს თოლია.

იჭერს და ყლაპავს... აღარ ისვენებს
ცაში აჭრილი, წყალში მყვინთავი...
ნაკლებ მამშვიდებს, მაგრამ ასეა,
მე ვცოცხლობ! ეჭვი არავითარი.

* * *

მთვარეული უმზერს სიცარიელეს,
ეს ნათება მართავს და აძლიერებს,
და დაღუპვა, შავად რომ ჩანს, არ იცის...
გამოცნობაც არის შეუძლებელი,
საით მიდის, ასე მშვიდი ელფერით,
მთვარის შუქზე განათებულ კარნიზით...

ჯალათები ხვრეტენ დაუნანებლად
ალალმართლებს, როცა მშვიდი ღამეა;
იყავ შენთვის და შორს აყალმაყალი!
და იყურე ცივი არაფრისაკენ,
ნათებაში მიზნად ის დაისახე,
რაც კი არის შეცნობადზე მაღალი...

* * *

გადახსნილ ვენებს შავი სისხლი ეცლება შვებით
და ანგელოზმაც სამუდამოდ დაკეცა ფრთები...

ეს იყო ჩვენი შეყრის ჟამი, ლამაზი წუთი,
ცხრაას ოცი წლის გაზაფხული, ყინული სუსტი...

ისე ვსრიალებ ამ ყინულზე, გავლაა ძნელი,
რომ არ დავეცე, მომეშველე, მომეცი ხელი.

გაშლილ ნევაზე იწვოდა და დუღდა დაისი,
გაქვავებული ჩანდნენ სრები, შავად ხიდები...

ეს იყო მართლაც დიდი ხნის წინ, ალბათ ათასი
გვაშორებს წელი... ვერ იხსენებ ვერასდიდებით.

* * *

*ი. ოდოევცოვას*

მილიონ წვრილ ერთეულად დაშლილი თუ დახერხილი,
გაყინულ და უჰაერო ეთერში ვარ გამუდმებით;
სად არ არის მზე, ჩიტები, ვარსკვლავები და ხეები,
მე, დაკარგულ სამყაროში, ანარეკლად დავბრუნდები.

მერე ისევ პეტერბურგი, მშვიდი ბაღი და ზაფხული,
მაისის ცა, თეთრი ღამე, მე დაღლილი უშენობით...
ვივლით ჩუმად, უდაბური ხეივნებით დაზაფრული,
და ხელს მოგხვევ სათნო მხრებზე,
სამუდამოდ მოგეყრდნობი.

## გიორგი ივანოვი (1894-1958)

* * *

ირწევა ფიჭვი, სივრცეს გავცქერი,
მტოვებს სიმშვიდე სახტად;
ეს გაზაფხული უკანასკნელი,
პირველ ბუსუსებს ფანტავს.

ვცხოვრობდი... უცებ სევდამ დამძლია,
რატომ, არ ვიცი ჯერაც;
მე სიჩუმეში მაფრთხობს ძალიან,
ჩემივე გულის ძგერა.

* * *

დაივიწყებენ სინაზეს და სასოწარკვეთას,
დაივიწყებენ ნეტარებას, ღალატს, გაცემას...
და ამ ყველაფერს რომ დაფარავს, ვიცი, აქედან
სულ სხვა თაობის გულგრილობა და აღტაცება.

ნედლი ჟასმინი. უპატრონო ერთი საფლავი...
ხმელი გვირგვინის ქართან შეხლა, სადღაც გოდება;
ზეცის ციალი. მახსოვს, იყო ეს ყველაფერი,
მაგრამ აწ უკვე არასოდეს განმეორდება.

*წიგნიდან „დეკნილები“*

გივი გამრეკელი

# მაგნუს კარლსენი — აფერუმ!

1886 წლიდან მოყოლებული, როდესაც მსოფლიოში უმაღლესი საჭადრაკო წოდების მოპოვებისათვის სტეინიცსა და ცუკერტორტს შორის პირველი მატჩი გაიმართა, ამ უმაღლეს ტიტულს სულ 15 დიდოსტატი ფლობდა. ვფიქრობთ, უაზროა იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ იყო მათ შორის უძლიერესი. აქ სულ სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებდნენ და საერთო აზრამდე მისვლა მეტისმეტად ძნელია. აი პოპულარობის კუთხით მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ, პოპულარობა მეტ-ნაკლებად დროებითი ამბავია, მაგრამ მასზე სჯობს მოგვიანებით ვიმსჯელოთ.

ყველა გულშემატკივარს კარგად ახსოვს, რომ ბოლო ორთაბრძოლა ამ წოდების მფლობელ ვიშვანათან ანანდსა და პრეტენდენტ ბორის გელფანდს შორის შარშან გაიმართა. ანანდმა დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა და სახელიც ერთგვარად გაუტყდა (რეიტინგის მნიშვნელოვან დაქვეითებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ებრაელმა მოჭადრაკემ კი თავის ქვეყანაში არნახული პოპულარობა მოიპოვა. მატჩი კი წააგო, მაგრამ გელფანდს ერთი რამ მაინც დარჩა, პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში პირდაპირ გამოსვლის უფლება, ყოველგვარ შესარჩევ შეჯიბრებებში უთამაშებლად, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია, რადგანაც ბრძოლა ახალ-ახალ ვარსკვლავებთან სულ უფრო ძნელი ხდება.

რაც იყო, იყო! ახლა საჭადრაკო სამყაროს ანანდის ახალი მეტოქის გამოვლენისადმი უნდა ეზრუნა. და აი, სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინებით შეირჩა ის რვა პრეტენდენტი, რომლებსაც ინდოელ ჩემპიონთან (იგი უკვე 45 წლისაა. ცოტა კრიტიკული ასაკი ხომ არ გახლავს?!) თამაშის პრეტენზია ჰქონდათ. ჩამოვთვალოთ მათი სახელებიც: ნორვეგიელი ვუნდერკინდი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია ყველაზე მეტად ცნობილი იყო თავისი მწერლებით, ახლა კი დიდი მოჭადრაკეც დაემატათ!), ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, თავის დროზე კასპაროვის ბრწყინვალედ მძლეველი, ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), მისივე თანამემამულენი — პეტრ სვიდლერი და ალექსანდრ გრიშჩუკი, უკრაინელი ვასილი ივანჩუკი, თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი); ბოლო წლებში მეტად დაწინაურებული ლევონ არონიანი და იგივე ბორის გელფანდი. ბევრ სპეციალისტს ძალიან ეწყინა, რომ ამ სიაში ვერ მოხვდნენ ისეთი განთქმული დიდოსტატები, როგორნიც არიან: ვესელინ ტოპალოვი, გატა კამსკი, ან თუნდაც სულ ბოლო წლებში დაწინაურებული სერგეი კარიაკინი (რომელმაც დატოვა უკრაინა და რუსეთის ნაკრებში ჩაირიცხა) და შარშანდელი აღმოჩენა — იტალიელი ფაბიანო კარუანა.

ასე იყო თუ ისე, პრეტენდენტთა ახლანდელმა ორწლიანმა ტურნირმა მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ცნობებმა მისი მსვლელობის შესახებ გაზეთების პირველ სვეტზე გადაინაცვლა, თუმცა გაზეთებს ვინ უცდიდა — მილიონობით გულშემატკივარი პარტიათა მსვლელობას ინტერნეტით უშუალოდ თამაშისას ადევნებდა თვალს. ეს დაახლოებით 30 წლის წინათ პირდაპირ წარმოუდგენელი იყო, დღეს კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ პარტიების კომენტატორებად ლონდონის ტურნირის ორგანიზატორებმა ცნობილი დიდოსტატები მიიწვიეს, მათ შორის იყო ჩვენი შესანიშნავი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავაც.

ვიდრე ლონდონის პრეტენდენტების ტურნირი დაიწყებოდა, ექსპერტები დაწვრილებით აფასებდნენ მონაწილეთა მეტ-ნაკლებ შესაძლებლობებს და რვა მონაწილედან მაინც გამოჰყოფდნენ სამს: კარლსენს, მისი ბევრი შესანიშნავი გამარჯვებისა და მსოფლიოში უმაღლესი რეიტინგის (2872, მან შორს ჩამოიტოვა თვით კასპაროვიც კი) გამო, არონიანს (მას მეორე რეიტინგი აქვს — 2809) და კრამნიკს, რომელიც მართალია ბოლო წლებში არათანაბრად თამაშობდა, მაგრამ ახლა გაიხსენა ახალგაზრდობა (მესამე რეიტინგი აქვს — 2800).

კარლსენისა და არონიანისათვის ლონდონში გამოსვლიდან უკანასკნელ „მოსასინჯად“ ჩაითვალა ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) ტრადიციული ტურნირი, რომელშიც დიდი შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი ანანდიც თამაშობდა. აქ ნაწილობრივ მაინც უნდა გამომჟღავნებულიყო, თუ დღეისათვის ძალთა როგორი შეფარდებაა კარლსენსა და არონიანს შორის, რომელიც ნორვეგიელის ერთ-ერთ ძირითად მეტოქედ ითვლება. კარლსენმა ბრწყინვალე შედეგი — 10 ქულა 13-დან — დაუმარცხებლად დაიკავა პირველი ადგილი, არონიანი 8,5 ქულით მეორე იყო. ანანდი კი — მესამე, თუმცა ბრწყინვალე სტილით დაამარცხა არონიანი და თავის მეტოქეებს გაახსენა, რომ მისი ჩამოწერა ცოტათი ნაადრევია.

ვიდრე პრეტენდენტები ლონდონში თამაშს დაიწყებდნენ, ყურადღება მიიპყრო მონაწილეთა რამდენიმე ინტერვიუმ. კრამნიკმა გულშემატკივრებს გაახსენა, რომ მას მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში დიდი გამოცდილება აქვს (შეხვედრია კასპაროვს, ლეკოს, გნებავთ ტოპალოვსა და ანანდს), ამ მხრივ მისი შედარება, ცხადია, კარლსენსა და არონიანთან არ შეიძლება. შესაძლოა ახლა რამდენადმე კარლსენზე უარესად თამაშობს (ცოტათი, რა თქმა უნდა), მაგრამ პრეტენდენტთა ტურნირში მასზე ნაკლები შანსები არა აქვს („ეტყობა პირველ-მეორე ადგილებს გავინაწილებთო“). დიდი ყურადღება მიიპყრო გელფანდის ვრცელმა ინტერვიუმ. იგი არ დაეთანხმა იმ ექსპერტებს, რომლებიც უაპელაციოდ მიიჩნევენ, რომ ნორვეგიელს მსოფლიო ჩემპიონობა „ჯიბეში აქვს“. გელფანდმა განმარტა, რომ კარლსენს ზოგიერთი განსაკუთრებული ღირსება მოეპოვება, რაც მისმა დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა განაპირობა. ეს არის ფიგურების უიშვიათესი გრძნობა, რომელსაც აბსოლუტური მოტივირება და კონცენტრაციის უნარი ემატება. მას შემდეგ, რაც მან მოისურვა კასპაროვის რეიტინგის „მოხსნა“, ყოველ პარტიას მაქსიმალურ დაძაბულობით თამაშობს.

ახლა მკითხველი თვითონ ნახავს, რამდენად ეთანხმება გელფანდის ასეთ შეფასებას არონიანის თამაშის დახასიათება: „პირდაპირ ვთქვათ, ეს არის თანამედროვეობის ყველაზე ნიჭიერი მოჭადრაკე როგორც დებიუტების შეფასების გათვალისწინებით, ისე პარტიის მსვლელობისას ორიგინალურ გადაწყვეტილებათა მიღებით. ეს არის თანამედროვეობის ნომერი პირველი მოჭადრაკე. მითუმეტეს, მიკვირს, რომ მთელი პრესა კარლსენის და არა არონიანის ფან-კლუბს წარმოადგენს!

გაიგეთ, როგორც გნებავთ, მაგრამ ერთ რამეში ეჭვი არავის ეპარებოდა: ძირითადი ბრძოლა პირველი ადგილისათვის კარლსენსა და არონიანს შორის უნდა გამართულიყო.

ძალიან დიდი შესავალი ხომ არ გამოგვივიდა? თუ პრეტენდენტთა ტურნირის უდიდეს დაძაბულობას გავითვალისწინებთ, ეტყობა არა!

მაშ ასე, 8 მონაწილე ორ წრედ: სულ 14 პარტია. ეს არც ისე ბევრია, მაგრამ ყველამ თავისთვის შესაფერისი ტაქტიკა უნდა გამოიმუშაოს. კარლსენმა და არონიანმა, როგორც ჩანს, თავიდანვე შემტევი ყაიდით დაიწყეს თამაში, რისკს არავითარ შემთხვევაში არ ერიდებოდნენ, აქ ბევრ რამეს ის გადაწყვეტდა, როდემდე ეყოფოდათ ძალა. ბევრად უფრო ასაკოვანმა კრამნიკმა, გადაწყვიტა სულ სხვანაირად ეთამაშა. ავგუსტუს ოქტავიანეს კარგად ცნობილი ტაქტიკით „ნელა იჩქარე“, რომელსაც მისთვის არაერთხელ მოუტანია წარმატება. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ დიდხანს სწორედ ეს სამი მონაწილე დარჩა დაუმარცხებელი, მაშინ, როდესაც სხვები თავიდანვე ძალიან დაზარალდნენ. ივანჩუკი და გელფანდი აუტსაიდერებად იქცნენ, თუმცა ჯერ სად იყო!..

კარლსენი დიდხანს თითქმის ისეთივე დამაჯერებლად თამაშობდა, როგორც იანვარში ვეიკ-ან-ზეეში. ზოგჯერ თანაბარ ენდშპილში მოგების მინიმალურ შესაძლებლობებს ეძებდი, ზოგჯერ წინასწარ მომზადებულ სადებიუტო სიახლეებს იყენებდა. ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, მაგრამ როცა ნორვეგიელი იგებდა, იმარჯვებდა არონიანიც. ასე რომ, მეტოქის ჩამოცილება მაგნუსმა დიდხანს ვერ შეძლო. კრამნიკი ამ ხნის განმავლობაში ძალიან აუღელვებლად მოქმედებდა. ერთი მარცხიც არ განუცდია, ისევე, როგორც მის ახალგაზრდა მეტოქეებს, ისე კი 9 პარტიის შემდეგ რვა ყაიმი ჰქონდა. ასეთნაირად როგორ მოახერხებდა პირველი ადგილისათვის თამაშს?!

და აი დადგა ფინიში (სულ 3 ტური რჩებოდა!), რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 11 ტურის შემდეგ კარლსენი ნახევარი ქულით უსწრებდა არონიანს, დანარჩენებს უფრო მეტით. ისე კი არცერთი მონაწილე ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. ზოგი ვერც იფიქრებდა, რომ ივანჩუკი (ბევრი მიმომხილველი მას „ნამდვილ გენიოსად “ მიიჩნევს, რომელიც ამავე დროს განწყობილების მოთამაშეა), მტკიცედ რომ „დამკვიდრდა“ ბოლო, მერვე ადგილზე, კუდს მოიქნევდა და თანაც როგორ, დაამარცხებდა კარლსენს. ამასობაში წააგო არონიანმაც და დამთავრებამდე ორი ტურით ადრე პირველ ადგილზე აღმოჩნდა კრამნიკი. ბოლო, მეთოთხმეტე ტურში პირველი დამარცხება იგემა კრამნიკმა, რომელსაც მიუგო ივანჩუკმა, მეორე პარტია წააგო კარლსენმა სვიდლერთან, კვლავ დამარცხდა არონიანი, რომელიც სამეულს მიღმა დარჩა.

საბოლოოდ 14 შესაძლებლობიდან 8,5-8,5 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს კარლსენმა და კრამნიკმა. ასეთ პირობებში ძალაში შევიდა ჯერ კიდევ თავიდანვე გათვალისწინებული დებულება დამატებით მონაცემთა შესახებ, რაც კარლსენს უკეთესი აღმოაჩნდა. ეს კი ნიშნავდა, რომ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება, სწორედ ნორვეგიელმა მიიღო, რომელსაც ნოემბერში 23(!) წელი შეუსრულდება.

აფერუმ! მაგრამ ბედი ხომ სწორედ ყველაზე ღირსეულს სწყალობს. ორი წლის წინათ კარლსენი მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდობის გამო მისთვის ძალიან ადრე იყო მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლა. 2011 წელს უარიც კი თქვა პრეტენდენტთა ტურნირში თამაშზე, თუმცა კასპაროვი სხვა რამეს ურჩევდა („არასოდეს თქვა „არასოდეს“).

ერთი სიტყვით, კარლსენი (ზოგი მას „ახალ კაპაბლანკასაც“ უწოდებს), პრეტენდენტთა ამ ასპარეზობის ფავორიტი, ახლა ასეთივე ფავორიტადაა აღიარებული მსოფლიო ჩემპიონ ანანდთან მატჩში.

თუმცა, ვინ იცის!

**ფრანსუაზ ჟირუ (ლეა ფრანს გურჯი, 1916-2003) გასული საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფრანგი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწეა. უზარმაზარ ჟურნალისტურ მემკვიდრეობასთან ერთად მის კალამს ეკუთვნის მშვენიერი რომანები, ნარკვევები და ნოველები, რომელთაგან რამდენიმეს ადრე გაეცნო „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი. ამ ნოველაში „სხვისი მეხსიერება“, რომელიც დაწერილია 80-იან წლებში, ავტორი — უმაღლესი დონის პროფესიონალის მახვილი თვალითა და გამჭრიახი გონებით — გვთავაზობს არცთუ ისე შორეული მომავლის მისეულ ხედვას, როგორი მოულოდნელი და შემაშფოთებელიც უნდა იყოს ის.**

**ფრანსუაზ ჟირუ**

# სხვისი მეხსიერება

ოპერაცია პარასკევს გამიკეთეს. იმ დღეს ოცდაათი წლის გავხდი. 2235 წელი იყო. ქირურგი ბევრს ყოყმანობდა, ისევე როგორც მე. პირველად აკეთებდა ასეთ ოპერაციას და დარწმუნებული არ იყო წარმატებაში. საქმე ეხებოდა იმას, რომ ჩემი მეხსიერება უნდა ჩაენაცვლებინათ ახალგარდაცვლილის მეხსიერებით. პირველად ეს შეერთებულ შტატებში სცადეს. იმდენად მოვიხიბლე, რომ მეც მომინდა.

აღარ მახსოვს ის, რისი დავიწყებაც მსურდა და რაც, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ჩავიწერე, ვიდრე ქირურგის დანას დამადებდნენ, რომ სადღაც რაღაც კვალი დარჩენილიყო. ტექსტი რომ გადავიკითხე, განცდა არაფრის მქონია, რადგან ეს უკვე სხვას ეხებოდა და არა მე. მე კი წარსული აღარ მქონდა, უფრო სწორად, სრულიად სხვა წარსულის მქონეს უნდა დამეწყო ახალი ცხოვრება.

გამიჭირდა ჩემთვის მოსაწონი მეხსიერების შერჩევა. ქირურგის მოსაზრება არ გავიზიარე და შევჩერდი ჩემი ხნის მამაკაცზე. სათქმელად ადვილია!

ჩემი პირველადი მეხსიერება სავსე იყო ცრემლებით და ტანჯვა-ვაებით, დარდით და სასოწარკვეთით, რასაც ჩემი ზემოხსენებული ჩანაწერი ადასტურებს. თუ მომავალში მეცნიერები ჩემით დაინტერესდებიან და წაიკითხავენ მას, გაიგებენ, რომ მოვესწარი ელვისებურ ომს

ჩინეთსა და რუსეთს შორის, როცა ბალისტიკურმა რაკეტებმა სრულად აღგავა პირისაგან მიწისა მოსკოვი და პეკინი. ყველგან ატომური საფრთხის ქვეშ ძრწოდნენ... იმხანად მე, უახლესი ტექნოლოგიების მაღალკვალიფიციური ინჟინერი, ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი. პირველსავე რაკეტას გავყევი გაჩანაგებული მოსახლეობის დასახმარებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

ვკითხულობ ჩემს ჩანაწერებში:

*„საზარელი, ენით აუწერელი ექსპერიმენტი, ბევრად უარესი, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. რაც იქ ვნახე, სამუდამოდ მინდა ამოვშალო მეხსიერებიდან მისი შეცვლის გზით“.*

ჩამინიშნავს სხვა, ნაკლებ გულსატკენი მოგონებებიც, თუმცა მათ საკმაოდ მძიმე ტანჯვა განმაცდევინეს; ისინი ძირითადად ჩემს, როგორც ქალის მდგომარეობას უკავშირდება, და ამიტომაც ვვარაუდობდი, რომ მამაკაცის მეხსიერება არ იქნებოდა, ან ნაკლებ იქნებოდა დამძიმებული მსგავსი მოგონებებით. უსაზღვრო ცნობისწადილით შევუდექი მათ ათვისებას. ვინ ვარ ახლა მე? კაცი, რომლის მეხსიერებაც გადმოვინერგე, ავარიაში დაიღუპა თავის BMW-ში.

*მხატვარი ბერდია არაბული*

ფული დიდად არასდროს მაინტერესებდა. თანხა, რომელიც ჩემმა ყოფილმა ქმარმა დამიტოვა, ოპერაციის წინ დავაბანდე და ამის შესახებ კიდეც ჩავინიშნე სათანადოდ, რადგან ვიცოდი, აღარ მეხსომებოდა, სად და როგორ გავაკეთე ეს. ამ მხრივ სანერვიულო არაფერი მქონდა. თანაც ეს BMW იმაზე მეტყველებდა, რომ დონორის შერჩევისას ვიღაც მაწანწალას არ გადავყრივარ. ავარიის დროს დარტყმით გამოწვეული საშინელი ტკივილის შეგრძნება დიდხანს მტანჯავდა და დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ კვლავ მივჯდომოდი საჭეს.

პირველი, რაც მოვითხოვე ნარკოზიდან გამოსულმა, ჩემი დონორის უბის წიგნაკი იყო. მომიტანეს მთლად სისხლში ამოთხვრილი.

საგონებელში ჩამაგდო იქ ჩანიშნულმა შეხვედრებმა, მაგრამ ქირურგმა შემახსენა, რომ უბის წიგნაკის მფლობელი ცოცხალი აღარ არის და, შესაბამისად, არავისთან შეხვედრა აღარ მოეთხოვება.

მერე ვისურვე დედაჩემი მოეყვანათ.

— თქვენ დედა არ გყავთ, — მოთმინებით განმიმარტა ქირურგმა — საკუთრივ დედათქვენი დიდი ხანია გარდაიცვალა, იმ ქალს კი, ახალ მეხსიერებაში რომ გყავთ, ძალიან გაუჭირდება თქვენი ცნობა. თანაც ის ხომ ახლა ძალიან დამწუხრებულია.

— მაინც მინდა ვნახო. მე ის მიყვარს. არ შეგიძლიათ მომიხერხოთ შეხვედრა მასთან?

არ ვიცი, რა ზღაპარი მოიგონა, რისი წყალობითაც ქალი დათანხმდა მოვენახულებინე კლინიკაში.

— საბრალო ბალღი, — მეუბნება — თქვენც ავარიაში მოჰყევით?

მოვუყევი, რომ კარგად ვიცნობდი მის ვაჟს, რომ ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ, მის ბავშვობაზე, თუ როგორ უყვარდა მოცხარი, როგორ ეშინოდა ღამით სიბნელის, აგრეთვე ენების შესწავლის როგორი ნიჭი ჰქონდა (მე, ორ სიტყვას რომ ვერ გადავაბამდი ესპანურად, ახლა სრულყოფილად ვფლობდი ამ ენას ინგლისურსა და გერმანულთან ერთად).

საწყალი ქალი გონს ვერ მოსულიყო:

— საიდან იცით ეს ყველაფერი? ის არასოდეს არაფერს ჰყვებოდა.

ტიროდა. გამომშვიდობებისას დავპირდი, როგორც კი გამოვჯანმრთელდებოდი, მოვინახულებდი, რადგანაც აშკარად სიყვარულს ვგრძნობდი ამ დედის მიმართ.

— შესაძლოა, რომ ჩემი ძველი მეხსიერებიდან რაიმე შემომრჩენოდა? — ვკითხე ქირურგს.

— ნაკლებ სავარაუდოა. რატომ მეკითხებით?

— იმიტომ, რომ სადღაც შორს ისე მახსოვს, თითქოს მძულდა ჩემი ნამდვილი დედა.

— ნუ იგონებთ რაღაცებს და ნუ ართულებთ ვითარებას. ყოველ შემთხვევაში, შემცვლელი გყავთ.

ერთ დღეს ჩემი ოთახის კარი იღება და ვიღაც გამძვინვარებული ქალი შემოვარდება. როგორც გაირკვა, ეს მისი ცოლია, რომელმაც შემოსვლისთანავე შეურაცხმყო:

— ესე იგი ეს თქვენ ხართ, თქვენ იყავით მასთან ერთად BMW-ში, ხომ? დამიმალეს. შე ძუკნა, დანამდვილებით ვიცოდი, რომ მარტო არ იყო.

აი ამ ქალის დანახვაც კი არ მინდოდა. რატომ შევირთე ცოლად? მიდი და გაიგე... სულ უბედურება მოჰქონდა. აქვე გავიფიქრე, რომ შესაძლოა ისიც ამასვე გრძნობდეს ჩემ მიმართ. დიახ, ნამდვილად ასე იქნებოდა. მაგრამ ახლა აშკარად არავითარი სურვილი არ მქონდა, ამეტანა ეს ქალბატონი თავისი საყვედურებით, და უცერემონიოდ გავაძევე.

წასვლისას მაინც მომაძახა:

— ყველაფერთან ერთად, უგროშოდაც დამტოვა!

ფულადი პრობლემები ის იყო, რაც საკმაოდ დიდ საზრუნავს მიჩენდა. საქმეები აწეწილ-დაწეწილი მქონდა. ჩემი დონორი გაკოტრების პირას მისულიყო. შესაძლოა, ამის გამო თავიც კი მოეკლა, ვინ იცის? ეს ჩემამდე იყო. თუმცა ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? უბრალოდ არ მსიამოვნებდა ჩემს მეხსიერებაში ამ ქალის ყოფნა.

საბოლოოდ ფეხზე რომ დავდექი, მარტოობა ვიგრძენი. ძველ მეხსიერებასთან ერთად დავკარგე ყველა ძველი მეგობარი. სამაგიეროდ, დავინტერესდი ახალშეძენილებით და გადავწყვიტე გამეცნო ისინი. მის უბის წიგნაკში ტელეფონის ნომრების სიიდან ერთ-ერთი ავკრიფე:

— მისი ძველი მეგობარი ვარ... სიამოვნებით შეგხვდებოდით...

ერთს ასეთსაც გადავაწყდი:

— ეს ბოზის შვილი? ძალიანაც კარგი, ცხვირ-პირი რომ დაიმტვრია!.. — და ყურმილი დამიკიდა. მახსოვს, როგორ ამოვშალე.

ერთიც, მისი თანაკურსელი უნივერსიტეტიდან, გაცილებით თავაზიანი აღმოჩნდა. მაგონდება ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა; რამდენი რამ გადაგვხდენია ერთად!

ცოლთან ერთად ვახშამზე დამპატიჟა.

— საბრალო ბიჭი, — მეუბნება — თავს ვიქცევდით, კარგი დრო გვიტარებია...

— თავშექცევა მოჩვენებითი იყო, — ვცადე შეპასუხება — მას ყოველთვის რაღაცის ეშინოდა.

— ეშინოდა? თქვენ ის არ გცნობიათ. მუდამ საბრძოლოდ იყო მომართული...

— მცდარი წარმოდგენა გაქვთ მასზე. ბავშვობიდან უბედური გახლდათ. მამას არ უყვარდა და არ მიიჩნევდა თავის ღირსად...

— ეს უკვე სხვა საქმეა. ამაზე ვერაფერს ვიტყვი.

— ქალბატონი მართალია, — ჩაერია მისი ცოლი — დალხენილი ცხოვრება არა ჰქონია.

ჩემზე უკეთ ვის შეიძლება სცოდნოდა? ოცდაათი წლის შემდეგაც ღია მქონდა ეს ჭრილობა...

კიდევ ერთი, ვისაც დავუკავშირდი, მისი კოლეგა გახლდათ. ერთ დროს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. გამენდო:

— სიფრთხილე აკლდა, რისკზე მიდიოდა... ესეც მისი ტალანტის ნაწილი იყო. მაგრამ ჩაძირეს. რომ ეცოცხლა, დარწმუნებული ვარ, გამოსავალს იპოვიდა, ისევ მოახერხებდა ფეხზე დადგომას.

რასაკვირველია! მოფიქრებული მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა იმ მძიმე მდგომარეობიდან თავდასაღწევად, რომელშიც ჩამაგდეს. ამის შესახებ ორიოდ სიტყვით ვუთხარი ჩემს თანამოსაუბრეს, რომელიც გაოცდა, ასე კარგად რომ ვიყავი საქმის კურსში. თავისთან მუშაობაც კი შემომთავაზა, მაგრამ იმხანად სამუშაოს არ ვეძებდი, მხოლოდ ვცდილობდი, ჩემი ახალი მეხსიერების მიხედვით სამეგობრო აღმედგინა.

ეს ხანგრძლივი პროცესი თითქმის არაფრისმომცემი აღმოჩნდა. საკუთარ ფესვებს რომ მოწყდები, ცხოვრებას ვეღარ გააგრძელებ, რადგანაც ახლები ხელოვნურია, არ არის ყოფით ნასაზრდოები.

ერთადერთი შეხვედრა, რაღაც რომ მომიტანა, მის მდივან ქალთან იყო. ჟანა მზადაა ნებისმიერი სამსახური გამიწიოს მას მერე, რაც ჩემს საქმეებს მივუბრუნდი კლინიკაში; კლონირებაზე ვმუშაობდით, და დიდი წარმატებითაც, მაგრამ ადმინისტრაციას უხეში შეცდომები მოუვიდა, მაგალითად, უზარმაზარი სარეკლამო დანახარჯები, და ალბათ ბევრი სხვაც, რაც ჩემგან ფარულად ხდებოდა.

ჟანა ჩამციებოდა, მომეშორებინა ისინი, ვინც უღალატა მის ყოფილ პატრონს:

— გაგონებაც კი არ უნდოდა, და სწორედ ამან დაღუპა. — მითხრა ჟანამ და სამი კიდეც დამისახელა.

რამდენად შესაძლებელი იყო ეს? ჩემს მეხსიერებაში ისინი ერთგულ და თავდადებულ თანამშრომლებად რჩებოდნენ. ისევ ჟანას ვენდე; თავი შორს დავიჭირე და გამოძიება ჩავატარებინე მათ ხარჯვით საქმიანობაზე. ამით დავიწყე, მერე სხვა ნაბიჯებიც გადავდგი და დავინახე, რომ ჟანას რჩევები ყურადსაღები იყო; ის მართლაც გამჭრიახი აღმოჩნდა. მეხსიერება მკარნახობდა, რომ ეს ქალი ჩემი საყვარელი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ვერაფერს ვიზამდი, მაგრამ მეტი გულისხმიერებით ვექცეოდი და ხელფასი მოვუმატე, რასაც ნამდვილად იმსახურებდა თავდაუზოგავი შრომით.

ერთ დღეს ფრთხილად შემომაპარა სიტყვა ლილიზე... ამ კოხტა ქერა ქალს რამდენჯერმე შევხვედრივარ ყოველგვარი სერიოზული განზრახვის გარეშე, და ახლა ჟანასგან ვიგებ, ერთმანეთს რომ დავშორდით, ჩემგან ბავშვი გაუჩენია და ამჟამად არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს.

ბავშვი! ესღა მაკლდა! ის მე არანაირად არ მახსოვდა და მის შესახებ არც ლაპარაკი მსურდა და არც გაგონება. მხოლოდ მცირეოდენი თანხა გადავეცი ჟანას მეშვეობით. თუმცა ამ ამბავმა რამდენადმე საგონებელში ჩამაგდო; ვგრძნობდი, რომ ჟანა ჩემს საქციელს მკაცრად ჰკიცხავდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თოვლის პაპა ხომ არ ვარ!

კლინიკაში მდგომარეობა მალე გამოსწორდა. კლონირება მოდად იქცა და ძალიან გაიზარდა მასზე მოთხოვნილება, ჩვენ კი საუკეთესო სპეციალისტები გვყავდა. თუმც ამ დროისთვის ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული. დღეში ათი საათი მიწევდა მუშაობა. კმაყოფილი კი ვიყავი, მიზანს რომ მივაღწიე, მაგრამ გავბეზრდი.

ფული არ მაკლდა და გამიჩნდა მოგზაურობის სურვილი. მაგალითად, წავიდოდი მარსზე; იწყებოდა ორგანიზებული ექსკურსიები, მაგრამ ვერავინ ვნახე, ვინც მეგზურობას გამიწევდა. მგონი უკვე ვთქვი, საწყისი მეხსიერება რომ დავკარგე, აღარ ვიცოდი, ვინ იყვნენ ჩემი მაშინდელი მეგობრები. ცხადია, არც მათი სახელები მახსოვდა. პიროვნება კი, ვინც გავხდი, არ გახლდათ განწყობილი დამეგობრებისთვის. ხომ არ შევცდი, მაინცდამაინც მამაკაცის მეხსიერება რომ ვარჩიე?

როდესაც საშინელი კოშმარები დამეწყო, სადაც მამის მხრივ ძალადობით დატერორებულ ბიჭს ვხედავდი, ამას უკვე ვეღარ გავუძელი და ჩემს ქირურგს დავუკავშირდი. მოხიბლული იყო ჩემით, როგორც პაციენტით, და თავს იწონებდა ამ პირველი წარმატებული ოპერაციით.

— თავს როგორ გრძნობთ? — მეკითხება.

— ცუდად. ვისი მეხსიერებაც გადმომინერგეთ, თითქმის ისეთივე უბედური ყოფილა, როგორც მე. ყოველ შემთხვევაში, იმდენივე ცუდი მოგონება ჰქონია. ნუთუ ამქვეყნად ყველა უბედურია?

— ჩემო კარგო, ვერაფერს ვიზამთ, უნდა შევეგუოთ, რომ არ არსებობს, ან ძალზე ცოტაა ბედნიერებით აღსავსე მეხსიერება.

— შემთხვევით ხომ ვერ შეძლებდით ჩემი ძველი, ვგულისხმობ, ნამდვილი მეხსიერების დაბრუნებას?

— ვწუხვარ, ეს შეუძლებელია. თქვენი პირველადი მეხსიერება განადგურებულია. ამგვარი ოპერაციები შეუქცევადია. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია ახალი გადაგინერგოთ, მაგრამ ესეც რისკს შეიცავს; ხომ არ ვიცით, რითი აღმოჩნდება დატვირთული.

აღარ გავრისკე. ისევ ვაგრძელებ მუშაობას კლონირების კლინიკაში. 5 საათისთვის, ჩვეულებრივ, მომიტანენ ერთ ბოთლ ვისკის და, ფეხზე ძლივს რომ ვდგავარ, ჟანას დახმარებით მივბარბაცებ შინ.

**ფრანგულიდან თარგმნა**
**ლია რუხაძემ**

* * *



მიძღვნითი წარწერა ბევრგვარი გვინახავს წიგნზე, მაგრამ... უმიზეზოდო? ასეთი რამ არსად შეგვხვედრია... ანკი რატომ უნდა შეგვხვედროდა — განა უმიზეზოდაც შეიძლება წიგნის ჩუქება? და თან მაინცდამაინც წარწერაშიც უნდა გამოჩნდეს?

თურმე შეიძლება, და თან მაინცდამაინც წარწერაშიც იჩინოს თავი, თორემ შალვა დადიანის რჩეულ თხზულებათა პირველ ტომზე, 1958 წლის გამოცემაზე, ამ სიტყვას ხომ ვერ ამოვიკითხავდით:

— შალვას წიგნს უმიზეზოდ ვუძღვნი ჩემს მეგობარს და გემრიელ მწერალს აკაკი ბელიაშვილს. იოსებ გრიშაშვილი. 1959 წ. 19/1 მწერალთა ყრილობა.

ამ წარწერიდან იმასაც ვიგებთ, რომ აკაკი ბელიაშვილს იოსებ გრიშაშვილი მეგობრადაც მიიჩნევდა და შემოქმედადაც ძალიან აფასებდა: გემრიელ მწერალსო.

მაგრამ შალვა დადიანის წიგნს რატომ ჩუქნის?

ალბათ როგორც ისტორიული რომანის ჟანრში აკაკი ბელიაშვილის უშუალო წინამორბედისას. მართალია პირველ ტომში შალვას მინიატურები და მოთხრობებია შეტანილი, მაგრამ იგი უპირველესად მაინც „უბედური რუსის“ ავტორად გახლდათ ცნობილი. და დაე დანარჩენი ტომების შეძენაზე, მათ შორის ამ რომანისაც, აკაკი ბელიაშვილს თვითონვე ეზრუნა.

ეს უკვე უნიკალურად ქცეული წიგნი ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება და ლია გუსევა საგანგებოდ გადმომიღებდა: შენი ამბავი რომ ვიცი, რაღაცაში გამოგადგებაო!..

რატომაც არა...

ჯერ ისედაც და... ეს „უმიზეზო“ ხომ მთლად მშვენებაა!..

* * *

ფშაური ანდაზაოო, — მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუწერია „უბის წიგნაკში“, ამ გავრცობილი თარიღით რომ აღნიშნულა: 1931-33 წწ აპრილამდე.

— სტუმარმა სამი ტყუილი იცის: არა მშიან, არა მცივა, არ მეძინება. არც ერთი არ დაეჯერების.

მხოლოდ ამ კუთხეში გაეგონა, მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, ანდაზათა კოლექციებში სხვაგან ვერსად დაედასტურებინა და ზოგადქართულად კი აღარ აღიქვამდა, არამედ მარტოდენ ამ მხარის კუთვნილებად.

ეგაა, აღარ გვამცნობს, თუ რას მოჰყვა ამ ანდაზის ხსენება, მაგრამ საფიქრებელია, რომ თვითონ მიხეილს მიიწვევდნენ სუფრაზე, იგი კი, მორიდების გამო, თავპატიჟს დაიდებდა: არა მშიაო. და მოპატიჟე ამ ანდაზით შემოსცინებდა.

მწერალი მოიხიბლებოდა ამ მოხდენილი, მახვილი სიტყვით და სასწრაფოდ შეიტანდა უბის წიგნაკის ჩანაწერებში, რათა შესაფერის დროს მხატვრულ ტექსტშიც ჩაერთო, ოღონდ ნეტა როგორ — მხოლოდ ფშაურ გარემოში გაეთამაშებინა თუ, თხრობის კვალობაზე, რომელიმე სხვა კუთხისთვისაც გაემეტებინა?

დიდხანს დარჩებოდა ეს ჩანაწერი უქმ მასალად, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკები“ მზის სინათლეს იხილავდა ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, თუმც ეს ანდაზა, ცოტაოდნავ სახეცვლილი, ოთარ ჩხეიძის რომანში — „ბორიაყი“ — მოხვდებოდა და თვალნათლივია, მხოლოდ ფშაველებს კი არ შეუთხზავთ, საერთოქართული სიბრძნის სალაროს კუთვნილებაა და ქართლშიც ამიტომ გავრცელებულიყო. მწერალსაც იქ ჩარჩენოდა ხსოვნაში.

ნიკუშა ჩაჩანიძე, უდროო დროს ხალხური სიმღერების ჩასაწერად ქართლის სოფლებში რომ მოგზაურობს, იტრიელებსაც უნდა მიადგეს კალოზე და: მალე იქნება სამხარიო, — უნდა ამცნონ მასპინძლებმა.

ამან თავი უნდა გაიქნიოს: არაფერი მინდაო.

და ერთ-ერთმა დამხვდურმა:

— ვიცი... სტუმარმა სამი ტყუილი უნდა თქვასო, მეჩქარებაო, არა მშიანო, აქით არ მოვდიოდი, თორემ კარგი საჩუქარი მქონდაო თქვენთვისაო.

დიალოგის გაგრძელებაც საგულისხმოა:

— არა... რატომ?! — უნდა იუხერხულოს სტუმარმა.

— ასეა ნათქვამი... — განუმარტავენ, რომ სახელდახელოდ კი არ შეაგებეს ეს პასუხი, არამედ ძველთაგან გადმოსცემიათ.

— ყველაზე ჰო არა?! — თავისაზე დგას სტუმარი.

მაგრამ მასპინძელთაგანი:

— ნუ ავუხირდებით, ნათქვამია და იყოს, ჩვენც გავიხსენოთ და გავიხალისოთ...

პირდაპირ ნუკი გაიგებო, — მიახვედრებენ, — ჩაუკვირდი, იუმორითაა შეფერილიო.

იუმორი „ბორიაყში“ უფრო გამკვეთრებულია, ვიდრე „უბის წიგნაკის“ ჩანაწერში, და გამკვეთრებულია საჩუქრის ხსენებით ასეთ ეფექტურ კონტექსტში.

ეს პასაჟი ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა გიორგი შენგელაიასა და ერლომ ახვლედიანზე — რეჟისორსა და სცენარისტზე — რომ კინოფილმის „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ გადაღებისას ამ ანდაზას ვერ შეელეოდნენ და დავითს — ჭაბუა ამირეჯიბი რომ განასახიერებს ამ პერსონაჟს — ათქმევინებდნენ ლევან აბაშიძის მიერ ხორცშესხმული ნიკუშასადმი. ისიც ისე თავადიშვილურად, ისე მოხდენილად, ისეთი არტისტიზმითა და სილაღით ამბობს, მაყურებელს გონებაში ებეჭდება და უთუოდ საკუთარ თავსაც ადარებს: ხან სტუმრისა და ხანაც მასპინძლის როლში.

ისე თითქოს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ დაკარგული ფრაგმენტიაო, ჯუმბერის არაკს („ყარყატის თავგადასავალი“) რომ მოჰყვება მძაფრი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა რუქასა და ლეონს შორის და ერთგვარი სიაც ჩამომწკრივდება, სწორედაც სამეულის პრინციპზე აგებული: სამთა ჰმართებს მტრობაო, სამთა არა მართებენ მტერობანიო, სამთა ჰმართებს სიტკბონიო, სამნი შვრებიან ცუდადო, სამთა ჰმართებენ ენამრავლობაო, სამთა ჰმართებენ გარდახვეწაო, სამთა ენატრება სიკვდილიო, სამნი განიძებიანო, სამნი განარისხებენ კაცსაო.

და დაშვენდებოდა, რატომაც არ დაშვენდებოდა ამ ჩამონათვალს სტუმრის სამი ტყუილის აუცილებლობის პასაჟიც.

რაო, ყველა სტუმარი არ იგულისხმება?

ან ჩვენ რატომ უნდა ავუხირდეთ, ნათქვამია და იყოს, ჩვენც გავიხსენოთ და გავიხალისოთ...

მიხეილ ჯავახიშვილის კვალობაზე.

კვალობაზე ოთარ ჩხეიძისა.

* * *

„დინოზავრიდან დიზაინამდე“ ციკლის ერთ-ერთ ჩანაწერში — „მონტაჟი“ — ტარიელ ჭანტურია ახსენებს ფოტოს, ზედ ქართული მწერლობის სამი გიგანტი რომ გამოსახულა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი — და თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია გამოკიდებული; და დასძენს: ბევრი ალბათ არც დაფიქრებულა, რომ ეს ფოტო უბრალოდ მონტაჟიაო.

*მეგობრული შარჟები ბადრი გაგნიძისა*

— არასოდეს ილიას, აკაკისა და გოგებაშვილს ერთად სურათი არ გადაუღიათ... მრავალწერტილი, რომელიც ეს-ესაა დავსვი, მიზეზის ახსნისაგან გაგვათავისუფლებს.

და მოუწოდებდა გამოჩენილ, ცნობილ, სახელოვან, დიდებულ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს: გადაიღეთ ერთად სურათი! გიყვარდეთ ერთმანეთი! პატივი ეცით ერთმანეთს და გადაიღეთ სურათი ერთადო!

თუ არა, მომავალი იძულებული იქნებოდა მიემართა ფოტომონტაჟის ხელოვნებისათვის.

— ეს კი, მოგეხსენებათ, ის აღარაა...

ფინალში ჩნდებოდა ის მთავარი სათქმელი, რისთვისაც ეს პოლიტიკური — და არამარტო ლიტერატურული — ნამცვრევი დაიწერა: რაც შეეხება ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, მათ, სანამ ასე უნუგეშოდ და ქართველი ხალხის ბედის საზიანოდ და სავალალოდ ერთმანეთს წაეკიდებოდნენ, უკვე მოასწრეს სურათების გადაღება ერთად... წამხდარ დროზე ესეც კარგიაო! — და „მამულის“ ის ნომერი, სადაც ეს ჩანაწერი პირველად გამოქვეყნდებოდა, გადავსებული აღმოჩნდებოდა ამ ერთად გადაღებული ფოტოებით, ყოველგვარი მონტაჟური ჩარევის გარეშე. ყველაზე ხშირად მაინც ზვიად გამსახურდიას სახე იტრიალებდა ფოტოდან ფოტოზე.

ის მონტაჟური ფოტოსურათი კი, ქართული ოჯახები სათავითაო ადგილას რომ გამოკიდებდნენ, მურმან ჩაჩუას ნახელავი გახლდათ. იდეა კი იმას გაეჩინა, ერთხელ შემთხვევით რომ წააწყდებოდა ძველ ფოტოსურათს, უამრავი ადამიანი რომ გამოსახულიყო და, მათ შორის, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილიც გვერდი-გვერდ. აქეთ მიხეილ ვეზირიშვილი მოსჯდომოდათ, მაშინდელი თვალსაჩინო მოღვაწე, სხვათა შორის, ილიასთან კინაღამ დუელი რომ მოუხდებოდა და... ისევ თვითონ დათმობდა: ჩემი საყვარელი პიროვნებაა და ტყვია როგორ ვესროლოო!..

და გაიფიქრებდა მურმან ჩაჩუა: აქ რომ აკაკი წერეთელი იჯდეს, ხომ უკეთესი იქნებოდა, თანაც ხალხში კი არ იყვნენ დამსხდარნი, არამედ — ცალკე ეს სამეულიო.

თავისებურად სიმბოლური გამოდიოდა!..

განაფიქრს მაშინვე საქმედ აქცევდა — აბა, რისი ფოტოხელოვანი გახლდათ — გამოაცალკევებდა ამ სამ პიროვნებას იმ ძველი ფოტოსურათიდან, ამოიღებდა მიხეილ ვეზირიშვილის სახებას და აკაკი წერეთელს ჩაამონტაჟებდა, ერთმანეთს შეუხამებდა და... კიდეც აქცევდა ერთ ყველაზე საყვარელ ფოტოდ.

ცოტამ იცოდა ამ პოპულარული ფოტოსურათის ნამდვილი წარმომავლობა, თუმც მათ თვალშიც არაფერი აკლდებოდა ამ გამოსახულებას — სიმბოლურ გააზრებას ანკი რას აკლებს ფოტომონტაჟი.

სიმბოლიკისათვის ეს სწორედაც ის არის!..

თუმც, ცხადია, ემჯობინებოდა ეს ფოტო ავთენტიკური რომ ყოფილიყო, მაგრამ... იქ, სივრცეებში ხომ მაინც არის ჭეშმარიტი და ბუნებრივი ამ სამეულის ერთობლიობა.

...აქვს, როგორ არა აქვს მონტაჟებსაც თავისი ბედი!..

# დაბრუნება ანუ ძიება წარსულისა

ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბავია...

ერთ მშვენიერ საღამოს, ახალგაზრდა ქართველი მწერლები ე.წ. სტელას ბაღში იდგნენ და ბჭობდნენ, კინოში შევიდეთ თუ რესტორანშიო. ერთიც იქვე იყო და მეორეც. რატომღაც კინო ამჯობინეს.

სტელას ბაღის კინოთეატრში იმ დღეს გადიოდა პოლონური ფილმი „ძიება წარსულისა“ (როგორც შემდგომში შევიტყვეთ, დედანში ერქვა „დაბრუნება“. უცხოური ფილმისათვის სახელწოდების შეცვლა ჩვეულებრივი რამ გახლდათ იმ წყეულ წარსულში).

კინოში შესვლა თუ არშესვლაო — რომ ბჭობდნენ, ოთარ ჭილაძეს საკრამენტული ფრაზა წარმოთქვა: ეს ფილმი ოტიას მოეწონა და დიმას არ მოეწონაო (განმარტებისათვის: ოტია პაჭკორია — ცნობილი ქართველი ლიტერატორი, აწ განსვენებული; დიმა ერისთავი — ცნობილი ქართველი მხატვარი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!). ასე თქვა ოთარმა და დასძინა: არა ღირს ნახვაო; მაგრამ ძმაკაცების (და უფროსი ძმის!) ხათრით დათანხმდა, ფილმის დამთავრებისას კი დაასკვნა: აკი ვამბობდიო...

არც არის გასაკვირი. ოთარ ჭილაძის პოეზიის დახასიათება ერთადერთი სიტყვით რომ შეიძლებოდეს, ალბათ, ყველაზე მეტად „მკაცრი“ გამოდგებოდა. დიახ, მკაცრი პოეზია, სადაც ყველაფერი, პატრიოტიზმი იქნება თუ სიყვარული, აისახება თავდაჭერილად, ენის მოუჩლექავად, ლაკონიურად და ჩამოძერწილად. არც გაცვეთილი რელიქტები გეჩხირება ყელში და არც თავაშვებული აბსტრაქციები.

თანამედროვე ქართული პოეზიისათვის ეს ლამის რევოლუციას უდრის!

დავუბრუნდეთ კინოს. ზემოხსენებული პოლონური ფილმის დამდგმელი რეჟისორი გახლავთ ეჟი პასენდორფერი, სცენარის ავტორი — მწერალი რომან ბრატნი. გადაღებულია 1960 წელს.

საბჭოთა კინოკრიტიკას არ გამოჰპარვია „დაბრუნება“.

ერთი ცნობილი კრიტიკესა (ე.ი. ქალბატონი კრიტიკოსი), თქვენ წარმოიდგინეთ, დიმა ერისთავისა და ოთარ ჭილაძის მხარეზე აღმოჩნდა, ოღონდ ფილმი სრულიად სხვა ასპექტით დაიწუნა.

იგი აღნიშნავს, რომ 60-იანი წლების პოლონურ კინოში სამხედრო თემამ ერთგვარად ფერი იცვალა და მელოდრამა შეისისხლხორცა. ომის საწინააღმდეგო ფილმებს თურმე ენაცვლება ფილმები, რომელთაც შავბნელ წარსულში დარჩენილი ომი ენატრებათ.

კრიტიკესა ამტკიცებს, რომ სწორედ რეჟისორის უპასუხისმგებლობით აიხსნება ორაზროვნება დასკვნებისა, ამ ფილმიდან („დაბრუნება“) რომ გამომდინარეობსო.

მოკლედ გადმოგვცემს ფილმის სიუჟეტს:

ვინმე „ჭაღარა“ (ალბათ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი იატაკქვეშა ფსევდონიმია), ლამაზი შესახედაობის მამაკაცი, კარგად შენახული და მოვლილი, საზღვარგარეთიდან სამშობლოში სტუმრად ჩამოდის. რამდენიმე დღეში საკმაოდ ბევრს ასწრებს: ათვალიერებს ვარშავას, სადაც 1944 წლის შემოდგომაზე დამარცხებული აჯანყების მონაწილენი საკანალიზაციო არხებით [გინახავთ ვაიდას „არხი“?] ეცლებოდნენ გერმანელ ოკუპანტებს. მდუმარედ დგას მემორიალურ დაფებთან, დაღუპულ ნაცნობ-მეგობართა გვარებით რომ არის დაფარული. მოინახულებს იმათ, ვინც მოწყალე ბედმა ცოცხლებში დატოვა. სიამოვნებასაც არ იკლებს — ვიღაცის ცოლის შეცდენას ახერხებს. დასასრულ, თავის ყოფილ თანამებრძოლებს ძვირადღირებული „მერსედესის“ ბრწყინვალებით გააოგნებს. და დარწმუნდება იმაშიც, რაოდენ ღრმა და საწყალობელია მათი დეგრადაცია, ვინც უახლოეს წარსულში ვაჟკაცურად, თავზე ხელაღებით ებრძოდა საძულველ მტერს.

„ჩვენ ყველანი ნამწვავები ვართ“, — ეუბნება ექიმი ინკა თავის ყოფილ მიჯნურს. ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობენ, განა ის ქვეყანაა, რომლისთვისაც იბრძოდნენ ინკა და ჭაღარა? (ამ შეკითხვას საბჭოთა კინოკრიტიკესა სვამს ანუ გვიღეჭავს ფილმის დედააზრს).

ეტყობა, ყოველგვარი შარის თავიდან ასაცდენად (სოციალისტურ პოლონეთს ჩირქს რატომა სცხებო?) რეჟისორი თავს იზღვევს და ფილმის ფინალში ასეთ მაღალიდეურ კადრს გვთავაზობს:

ელეგანტური და ამპარტავანი ჭაღარა (უკვე კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენელია!) მორჩილად იხრება წელში თავისი ფრანგი თუ გერმანელი პატრონის წინაშე, მანქანის კარს უღებს და თავად „მერსედესის“ საჭეს მიუჯდება. თურმე მძღოლი ყოფილა. კინოკრიტიკესა კი ღრმააზროვნად, ოღონდ არადელიკატურად, შენიშნავს: მაშასადამე, ლაქია ყოფილაო. მაშასადამე, ისიც ნამწვავი არისო!

როგორც ზემოთ ითქვა, „დაბრუნების“ სცენარი შეუთხზავს გამოჩენილ პოლონელ მწერალს რომან ბრატნის (ნამდვილი გვარი — მულიარჩიკი. „ბრატნი“ ოკუპაციის დროინდელი იატაკქვეშა ფსევდონიმია, რომელიც ლიტერატურულ ფსევდონიმად აქცია). მისი უაღრესად პოპულარული რომანი „კოლუმბები. დაბადების წელი 1920“ პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს („დათბობა“ რომ მწიფდებოდა) და მას შემდეგ თითქმის ყოველწლიურად ბეჭდავდნენ. გამოცემათა ოდენობამ საუკუნის მიწურულში ოცდაათს გადააჭარბა!

იმ პოლონელთა ბედი, ვინც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდა გერმანელ ოკუპანტებს, სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს, და არც თბილ ემიგრაციაში გახიზნულა, განსაკუთრებით აღელვებს რომან ბრატნის. „ნამწვავთა“ მწარე ხვედრი აღელვებს.

აღნიშნული რომანის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, გვარად კოსიორეკი, ყველა დროსა და ყველა რეჟიმს რომ მოერგება (ფსევდონიმი არა აქვს, იატაკქვეშეთში არა ყოფილა), შემთხვევით ქუჩაში გადაეყრება წინააღმდეგობის მოძრაობის აქტივისტს, აყლაყუდა ტიროლსკის (ფსევდონიმი „პაწაწო“), რომელსაც, ალბათ, სხვისი ნახმარი შარვალი აცვია, კოჭებამდე რომ სწვდება, და გაშავებული თითები მოუჩანს დაგლეჯილი ფეხსამოსიდან. გალაღებული კოსიორეკი ოდინდელ ნაცნობს მედიდურად მიმართავს: „ერთი მითხარი, თქვენი ბრძოლით რა ხეირი დაგადგათ? დელიკატურად რომ მოგახსენოთ — მძღნერი და მეტი არაფერი!“

გაკვეთილს უქმად არ ჩაუვლია.

ცოტა ხნის შემდეგ ყოფილი მეთაური ეჟი ჩასჩიჩინებს პაწაწოს: „ჩვენ ხომ ჩვენი გულისთვის არ ვღვრიდით სისხლს. ჩვენ ხომ სამშობლო გვიხმობდა, სამშობლოსათვის ვკვდებოდით!“

„სამშობლოო!“ — ახარხარდება პაწაწო და ჩაიბუზღუნებს: „როცა იწყებენ ღაღადს სამშობლოზე, თქვენი მონამორჩილი პან ტიროლსკი ქუდს იხურავს და შინ მიეშურება“.

ამიერიდან, როგორც ჩანს, მგზნებარე ეჟი კი აღარ იქნება მისი მეთაური (ომი დამთავრდა!), არამედ — მარიფათიანი კოსიორეკი.

აყლაყუდა პაწაწო შინ მიეშურება და ნაღვლიანად ფიქრობს: მე თუკი მიყვარს სამშობლო, სამშობლოსაც უნდა ვუყვარდე, ცალმხრივი სიყვარული სად გაგონილაო?!

## მოფერებით ბეჭოს ეძახდნენ

„მე გიამბობთ არაკსაც და მართალსაც, ყველაფერს გიამბობთ, რაც გამიგონია და მინახავს“, — ასე გულმართლად გვაუწყებს თავის შემოქმედებით კრედოს XVII საუკუნის სომეხი მემატიანე ზაქარია ქანაქერცი (სხვათა შორის, მისი შორეული წინაპარი — თითქმის ოთხი საუკუნით ადრე! — ქართველი კაცი ყოფილა, სახელად გაბო ანუ გაბრიელი).

აშკარად თავმდაბალი ავტორი თავს ასე ისაწყლებს, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მის თხზულებაში მართალი ამბები გაცილებით მეტია, ვიდრე არაკი და ზღაპარი.

და რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, სომეხ მემატიანეს საკმაოდ საინტერესო ცნობები მოეპოვება თანადროულ საქართველოში მიმდინარე მოვლენათა შესახებ. კერძოდ, მოთხრობილია მარტყოფის აჯანყება და მარაბდის ომი; უკანასკნელი შებრძოლება თეიმურაზ პირველისა ყიზილბაშებთან; ეპიზოდები ვახტანგ V-ისა და გიორგი XI-ის ცხოვრებიდან.

ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში გადმოცემულია ერთი ლეგენდა, რომელიც სინამდვილეში მომხდარი ამბიდან უნდა იყოს წარმოქმნილი.

ლეგენდის მიხედვით, კაპადოკიაში დაღუპული წმ. გიორგის ნეშტი ოვანავანქის მონასტერში (შირაკის მხარე) დაუვანებიათ. და კარგა ხანია იქ ჩასულ კეთროვნებსა და ხეიბრებს კურნავდა.

ერთხელაც ქართველ უფლისწულს შეეყარა ავი სნეულება კანისა და ვერ განკურნეს. აუწყეს ქართველ მეფეს ოვანავანქში დაცული წმ. გიორგის ნეშტისმიერი სასწაულები და მასაც იმედი მიეცა, ჩემს ვაჟსაც უშველოსო. სნეული უფლისწულის წარგზავნას გეგმავდა, მაგრამ დედოფალი გაჯიუტდა, ერთადერთი შვილი მყავს, ვაითუ გზაში დამეღუპოსო. მაშინ გადაწყვიტეს გონიერ კაცთა ჩასვლა ოვანავანქში, რათა ჩამოეტანათ სასწაულთმოქმედი ძვლები წმ. გიორგისა. ასეც ქნეს. მაგრამ ოვანავანქის ეპისკოპოსმა და იქაურმა დიდებულებმა შეიცხადეს ნეშტის გადაადგილება მუდმივი ადგილსამყოფელიდან — მიუხედავად იმისა, რომ შირაკის მხარე საქართველოს სამეფოს მიეკუთვნებოდა.

სხვა გზა აღარ დარჩენოდათ და საქართველოს მეფის ბრძანებით, თავი მოუყარეს თორმეტ ყმაწვილს წარჩინებული გვარებიდან და მძევლებად წარგზავნეს ოვანავანქში. მაგრამ ვიდრე წმ. გიორგის ნეშტი თბილისს ჩააღწევდა, სნეული უფლისწული წუთისოფელს გამოესალმა.

ლეგენდა გვამცნობს, რომ გაჯავრებულმა ქართველმა მეფემ ნეშტი არ დაუბრუნა ოვანავანქის მონასტერს. საპასუხო აქციამაც არ დააყოვნა. ქართველ მძევლებს საპყრობილეში უკრეს თავი, მაგრამ ამით ვერაფერს გახდნენ.

სომეხი მემატიანე წერს: „ასე დარჩა წმ. გიორგის ნეშტი ქართველთა ქვეყანაში, ხოლო ის ყმაწვილები დამკვიდრდნენ სომეხთა ქვეყანაში“. მერე აზუსტებს საქმის ვითარებას: ორი წლის შემდეგ მძევლებს განუცხადეს, სადაც გინდათ, იქ წადითო. ერთი უკვე გარდაცვლილა ოვანავანქში, მეორე ციხიდან გაქცეულა გაურკვეველი მიმართულებით, ორნი დაბრუნებულან სამშობლოში, ერთიც ბერძენთა ქვეყანაში გადასახლებულა. შვიდნი კი სომხეთში დარჩენილან (ვინ იცის, აწი მძევლებად, ვაითუ, სპარსეთში გაგვისტუმრონო).

ახლა ისიც ვიკითხოთ, როდის მოხდა (თუკი მოხდა) ზემოთ აღწერილი ამბავი და სახელდობრ ვინ არიან საქართველოს მეფე დათო (ე.ი. დავითი) და უფლისწული ბეჟო (ბეჟანი?)

გამოჩენილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ზოგიერთი დეტალის საფუძველზე დასაკვნა, რომ მძევლების წარგზავნა ოვანავანქში უნდა მომხდარიყო დაახლ. XVI საუკუნის დამდეგს და სწორედ იმხანად ჩვენში მეფობდა დავითი — ქართლის მეფე დავით X. ამიტომაც ბაგრატიონთა გენეალოგიურ ტაბულაში ხსენებული მეფის რეალურად არსებულ ძეთა — ლუარსაბის, რამაზისა და დემეტრეს გვერდით ბეჟო ბატონიშვილსაც მიუჩინა საპატიო ადგილი.

მ. ბროსეს კვლევაში, სამწუხაროდ, იგნორირებულია ზაქარია ქანაქერცის მითითება იმის თაობაზე, რომ ოვანავანქში მძევლების ჩასვლისას შირაკის მხარე წარმოადგენდა ქართველი მეფეების სამფლობელოს, რაც აშკარად არ შეესაბამება XVI საუკუნის პოლიტიკურ ვითარებას. ამგვარად, დათო და ბეჟო სხვა დროში უნდა ვეძიოთ.

თუკი „ქართლის ცხოვრებას“ ამ მიზნით გადავიკითხავთ, თვალში უმალვე მოგვხვდება ორიოდე ეპიზოდი, სომხურ ლეგენდას რომ ეხმიანება.

XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს მეფე დავით VII (დავით-ულუ) თითქმის ყოველ წელს, შემოდგომიდან ზაფხულამდე, ქართული მხედრობის თანხლებით მონღოლთა სამხედრო ბეგარას იხდიდა ანუ საქართველოსა და შირვანის საზღვარზე აგებული ჯებირით („სიბა“) იცავდა ირანის ილხანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან „ოქროს ურდოს“ შემოტევებისგან.

ქართველი ჟამთააღმწერლის სიტყვით, ერთხელაც მეფის პირმშოს გიორგი ბატონიშვილს „სალმობა მუცლისა“ შეჰყრია. სნეული განუკურნავს დმანისის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს.

შემდგომში, უკვე „სიბაზე“ ყოფნისას დასნეულებულა თავად დავით-ულუ. ჩამოუყვანიათ საქართველოში და მარტყოფის ხატს გადაურჩენია მეფე.

მერე კვლავ გიორგი ბატონიშვილი გამხდარა ავად და ამჯერად ვერც ერთ ხატს ვეღარაფერი გაუწყვია. მოულოდნელი აღსასრული დამდგარა თვრამეტი წლის ჭაბუკისა.

სომეხი მემატიანის მიერ გადმოცემული ლეგენდა, ძირითად ხაზებში, ემთხვევა ჟამთააღმწერლის თხზულებაში დამოწმებულ მასალას.

ემთხვევა ქართველი მეფის სახელი, ემთხვევა ბატონიშვილის სასიკვდილო სნეულება, ემთხვევა მეფის არყოფნა თბილისში შვილის გარდაცვალებისას და ემთხვევა სასწაულთმოქმედი ხატების ამბავი.

რაც შეეხება ქართველი ბატონიშვილს სახელს ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში, საფიქრებელია, რომ ყრმა გიორგის მოფერებით ბეჟოს (ვეჟო?) ეძახდნენ და ტახტის მემკვიდრის მეტსახელი ხალხშიც გავრცელებულიყო.

---

## ...ქეთევანს

29 მარტს დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა პრეზენტაცია **ნინო ზედელაშვილის** წიგნისა **„ნაწილიანი“,** რომელიც წარმოადგენს მოგონებათა კრებულს მწერალსა და რეჟისორზე **გოდერძი ჩოხელზე**.

დუშეთის საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა ავტორ-შემდგენელს, დარბაზი ვერ იტევდა ლიტერატურის მოყვარულთ. ნინო ზედელაშვილმა ისაუბრა წიგნის შექმნისა და მასზე მუშაობის თაობაზე. გოდერძი ჩოხელის მეგობრებმა გაიხსენეს უდროოდ წასული შემოქმედი. ასევე მოეწყო დუშეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთა გამოფენა. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების გმირთა მრავალფეროვანი გალერეა ბავშვებმა ფუნჯითა და ფანქრით გააცოცხლეს. კარგი იქნება თუ საუკეთესო ნამუშევრები კიდეც გამოქვეყნდება ამ მოთხრობების ილუსტრაციებად ანდა სულაც ცალკე — იმ დღის სამახსოვროდაც და ამ მხრივ ყმაწვილების შესაგულიანებლადაც.

საღამო მუსიკალურად გააფორმეს: ანსამბლმა **„პოპურმა“** და დუშეთის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა **„ფხოვმა“.** მათ მიერ შესრულდა გოდერძი ჩოხელის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

საღამოს ესწრებოდნენ მწერლის ოჯახის წევრები და მეგობრები.